

# **ადამიტოსტრატიული**

## **სამართალდარვენა**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე  
2013, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia  
on **Administrative Cases**  
(in Georgian)  
2013, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)  
2013, №11

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)  
2013, №11

## ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქტორის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298-21-03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის კანონის შესრულება

## განვითარება

№ბს-1450-1384(კ-09)

23 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წევპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ჰ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### აღნერილობითი ნაწილი:

2009 წლის 10 აპრილს მ. ხ-იამ სარჩელი აღძრა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გარემოს დაცვის ინსპექციის მიმართ და მოითხოვა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის სამეც-რელო-ზემო სვანეთის ბიუროს ინსპექტორების განყოფილების №16401 დადგენილების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლით:

ქ. ზუგდიდში, მდინარე ... აპიროზე, ... ქუჩის შესახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე გამგეობასთან შეთანხმების შედეგად მოსარჩელეს გამოყოფილი აქვს 600 კვ.მ ფართობის ადგილი. მოსარჩელის მითითებით, ... ქ. №1 შესახვევში გადის კანალიზაციის მილი, რომლის დაზიანების შედეგად, ბინძურდებოდა მდინარე ..., ასევე მოსარჩელის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ჭიდან ხდებოდა ტერიტორიის დაბინძურება. ჭის სათავე დაფარული იყო რკინის ბაკით და არსებობდა ბაკის მოხსნის საჭიროება. ბაკის მოხსნა ვერ მოხერხდა ამნის საშუალებით, რადგან მის ზემოთ გადიოდა მაღალი ძაბვის ელსადენი, რის გამოც მოხდა ბაკის მოჭრა საკანალიზაციო ჭის გასუფთავების მიზნით.

მოსარჩელის მითითებით, მდინარის დაბინძურების ფაქტის შესახებ 2009 წლის 15 მარტს განცხადებით მიმართა გარემოს დაცვის ინსპექციას სათანადო ზომების მისაღებად.

ამდენად, მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია სადავო დადგენილებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82-ე მუხლის შესაბამისად, მისთვის ჯარიმის დაკისრება.

მ. ხ-იას სარჩელი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ - გარემოს

დაცვის ინსპექციის სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიურომ იმ მოტივით, რომ სამართალდარღვევათა შესახებ №017597 ოქმიდან დაგინდებოდა, რომ 2009 წლის 14 მარტს ქ. ზუგდიდში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ... მარცხენა სანაპიროზე მ. ხ-იამ მოახდინა მაზუთის ნარჩენის ღია წესით დაწვა ავტომანქანის საბურავების მეშვეობით, რაც წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს და აღნიშნულ ფაქტს არც მოსარჩელე უარყოფდა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით მ. ხ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, კერძოდ, ღია წესით მაზუთის ნარჩენების დაწვას საბურავების მეშვეობით.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის ქმედება არ იყო განპირობებული უკიდურესი აუცილებლობით, მას მაზუთის ნარჩენების ღია წესით დაწვით არ აუცდენია სხვა სახის საფრთხე – სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურება. სანაპიროს დაბინძურება გამოიწვია კანალიზაციის მილის დაზიანებამ, რომლის შეკეთების ვალდებულება ეკისრებოდა წყალეკანალს. შესაბამისად, ჩადენილი სამართალდარღვევა არ იყო განპირობებული საფრთხის აცდენით, რაც ემუქრებოდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ წესრიგს, საკუთრებას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს. სახეზე არ არის უკიდურესი აუცილებლობა ან სხვა გარემოება, რაც გახდებოდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

რაონული სასამართლოს მითითებით, სამართალდარღვევათა კოდექსის 252.2 მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის 820-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას სავალდებულოა ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის დასწრება, ხოლო თუ იგი თავს აარიდებს გამოცხადებას, შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი, რაც მოპასუხე მხარეს არ განუხორციელებია, მაგრამ აღნიშნული გარემოება რაიონულმა სასამართლომ არ მიიჩნია სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლად, რადგან კანონით გათვალისწინებული წარმოების მითითებული წესის დარღვევის არარსებობის პირობებ-

შიც მოცემულ საკითხზე არ იქნებოდა მიღებული სხვაგვარი გადაწყვეტილება, რის გამოც სასამართლომ აღნიშნული დარღვევა არ მიიჩნია არსებითი ხასიათის დარღვევად.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-იამ და მოითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მ. ხ...იას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, რაიონულმა სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის მე-12 მუხლის მოთხოვნა.

ზუგდიდის სუპერმარკეტის ტერიტორიაზე, მდინარე ... მარცხენა სანაპიროზე, მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე გადის კანალიზაციის მიღი და იგი გადის მდინარის მეორე სანაპიროზე. მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე მოწყობილია საკანალიზაციო ჭა, რომელიც არეგულირებს ქალაქში, სუპერმარკეტის ტერიტორიაზე ნახმარი ტექნიკური წყლისა და მასის გამდინარებას. 2009 წლის მარტში წყიმების შედეგად ადიდებულმა მდინარემ გაწყვიტა მასზე გამავალი საკანალიზაციო მიღი, დაახშო ჭა, რომელიც მდებარეობდა მოსარჩელის ტერიტორიაზე, რის გამოც ბინძურდებოდა მიმდებარე ტერიტორია, ნანილი კი ჩაედინებოდა მდინარეში. საჭირო გახდა ჭის ამოწმენდა. ჭის თავზე განთავსებული იყო მეტალის ავზი, რომლის აღება და სხვა ადგილას გადატანა სპეციალური ამნის გარეშე შეუძლებელი იყო. მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე ტექნიკის შეყვანა ვერ მოხერხდა, რადგან ავზის ზემოთ გადიოდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. შესაბამისად, მოსარჩელე იძულებული გახდა ადგილზე დაეჭრა ავზი ელექტროშემდუღებლის მეშვეობით, რა დროსაც აალდა მაზუთის ნარჩენი, რომელიც ავზის კედლებზე იყო და უმნიშვნელო მოცულობით გამოიყო კვამლი, რომელსაც არანაირი ზიანი არ გამოუწევია. საბურავების დაწვას ადგილი არ ჰქონია.

აპელანტის მითითებით, სამართალდარღვევის ოქმში არასწორად მიეთითა, რომ ცეცხლის გასაჩინად გამოყენებული იყო საბურავები, რის გამოც მ. ხ-ია არ დაეთანხმა ოქმს და უარი განაცხადა ხელისმონერაზე. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ცეცხლი სწორედ ავზის დაწვის დროს გაჩნდა და საბურავები გამოყენებული არ ყოფილა. სასამართლომ არ გაითვალისწინა ასევე ის გარემოება, თუ რა საფრთხეს ნარმოადგენდა შექმნილი მდგომარეობა იმ ტერიტორიაზე გან-

ლაგებულ სავაჭრო ობიექტებთან მყოფი ადამიანებისათვის საკანალიზაციო ჭიდან ტერიტორიის დაბინძურების გამო. ამდენად, მ. ხ-იას მოქმედება მიმართული იყო უფრო მძიმე საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

მ. ხ-იას სააპელაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ – გარემოს დაცვის ინსპექციის სამეცნიელო-ზემო სვანეთის ბიურომ იმ მოტივით, რომ მ. ხ-იამ მოახდინა ნარჩენების ღია წესით არადანიშნულებისამებრ დაწვა, რასაც მ. ხ-იაც არ უარყოფს. მოწინააღმდეგე მხარემ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ ცეცხლის გასაჩენად გამოყენებული არ იყო მანქანის საბურავები, რადგან აღნიშნული დადასტურებულია ოქმის შემდგენისა და მონმის მიერ. ასევე მოწინააღმდეგე მხარემ არ გაიზიარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მაზუთის ღია წესით დაწვით აცდენილ იქნა უფრო დიდი საფრთხე, რადგან აღნიშნულის აუცილებლობა არ არსებობდა, მითითებულის შესახებ მას შეეძლო მიემართა შესაბამისი ორგანოებისათვის, რაც არ გაუკეთებია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის განჩინებით მ. ხ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 14 მარტს გარემოს დაცვის ინსპექციის სამეცნიელო-ზემო სვანეთის ბიუროს სპეციალისტის – გ. ქ-იას მიერ შედგა №01759 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის მიხედვით, ქ. ზუგდიდში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე ... სანაბიროზე მ. ხ-იამ ღია წესით დაწვა მაზუთის ნარჩენები მანქანის საბურავების საშუალებით. მ. ხ-იამ ახსნა-განმარტების მიცემაზე, ხელის მოწერასა და ოქმის ჩაბარებაზე უარი განაცხადა, რის შესახებაც სათანადო აღნიშვნა გაკეთდა ოქმში. რაიონულ სასამართლოში მონმის სახით დაკითხულმა სამართლდარღვევის ოქმის შემდგენმა გ. ქ-იამ განმარტა, რომ ხელმძღვანელის დავალებით მივიდა ადგილზე, სადაც საბურავების მეშვეობით ინვოდა რკანის ავზი მაზუთის ნარჩენებით. მ. ხ-იას განმარტებით, აღნიშნული კეთდებოდა საკანალიზაციო ჭის შეკეთების მიზნით, მაგრამ მისი მოქმედების აუცილებლობა არ ჩანდა და არც რაიმე სხვა საფრთხე ყოფილა აცილებული. აღნიშნულზე შედგა ოქმი, რომლის დადასტურებასა და ასლის მიღებაზე მ. ხ-იამ უარი განაცხადა. ადმინისტრაციული სამარ-

თალღარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დაინიშნა ზეპირი განხილვა, სადაც დაბარებული იყო სამართალდამრღვევი. იგი ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა და 2009 წლის 31 მარტის დაგენილებით მ. ხ...იას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა, რომ მას არ ჩაუდენია სამართალდარღვევა, რადგან საბურავების მეშვეობით მაზუთის ნარჩენების დაწვას მ. ხ-ია ადასტურებს გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის სახელზე 2009 წლის 16 მარტს გაგზავნილ განცხადებაში. ასევე რაოთოულ სასამართლოში მიცემულ განმარტებაში აღნიშნა, რომ მაზუთის ნარჩენების საბურავების მეშვეობით დაწვა გამოწვეული იყო უფრო მეტი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ამასთან, ოქმის უსწორობაზე რაიმე შენიშვნები არ წარუდგენია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მ. ხ-იამ ჩაიდინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა.

სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ დაზიანებული მილისა და მოშლილი საკანალიზაციო ჭის აღდგენა ევალებოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „...“, რომლისთვისაც მ. ხ-იას არ მიუმართავს. ამდენად, მოსალოდნელი გარემოს დაბინძურების აცდენა შესაძლებელი იყო შესაბამისი სამსახურებისათვის მიმართვით, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული არ ყოფილა. ამასთან, არსებული პრობლემა მაზუთის ნარჩენების დაწვით არ მოგვარდებოდა და არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე საფრთხეს ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია და მ. ხ-იას მოქმედებით არც რაიმე სხვა შესაძლო ზიანი არ ყოფილა აცდენილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-იამ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-18 მუხ-

լուս մոռեացնա դա սատանագործ ար Շեացասա սայմիս გարշմողեծեցի, կյանքության պահպատճեցի ար գաամաեցուլա մի գարշմողեծեցի, ռոմ Շեքելու գահնեցա ազնութեա դաժիրու գորու դա մաս սածուրացեցի ար գամուցացնեցի, ռազ արամուրուա առասա սամարտալդարձացացու ոյն մին. աղնութեալու տառեանց ոյնու Շեմդցեցի թ. յ-իաս ռամբեց մետքու պահպատճեցի ար նարմուցացնեցի, սացա ար նարմուցացնեցի մետքու պահպատճեցի մասու Շեսաեցի, ոյս բա սագրտեց ոյս Շեմնուլու մի Եր- ռութորուանց գանլացիալու սացայրու անդուեցի ան պարտութու նամու մուռու ադամունեցի սատացու սացանալունացու ჭուգան դա պան- մուրեցի Շեգագա, ռու ալսացագործա պահպատճեցի պարացեցա ჭու գան- մենցա.

Ամգենագ, կասագորու մոտուեցի, մուսու մոյմեցեցի մոմար- տուլու ոյս սագրտեց մամից սագրտեց տացուգան ասացուլեցելա դա ացուլեցու ոյն յէնա մամից Շեգացի. ամաստան, սրուլու աալցեց ար մոմ- եցարա. րունու կասրու սացա ոյս նցուու դա կասրու Շիցնու արև- ծուլ ոյնա պահպատճեցի մուլուանց ար գասիրեցի.

Սացասացու սասամարտուլու աֆմինուլու սայմետա նալա- գու 2010 նու 26 օնցրու գանինեցի աֆմինուլու սապ- ռուցու կողցեցու 34.3 մուխու „Շ“ կցըշոնեցի Շեսաձամուսա դա ձասամարտա ոյն պահպատճեցի թ. ե-իաս սացասացու սահիցարու (Պրո- ցեսուալու կասացու).

թ. ե-իաս սացասացու սահիցարու ար պահպատճեց մեարյմ- գարշմու գա պատճեց մանուկու սամեցրու թեմու սանցետու ծո- յուրում դա մոռեացնա մու գայմապացուլեցեցի սարու տէմա Շեմց- ցու մուցուցու:

Մոնինաալմցեց մեարու նարմումացգենու մոտուեցի, սա ա- զու գա գա ալմցու ոյն յայտու, ռոմ թ. ե-իամ 2009 նու 14 մարտս մոռեացնա լու նցու մանցու նարինեցի անցա սածու- րացեցի մեշցեցու, ռազ գա ալմցու սամարտալդարձացու ոյնու Շեմցեցնու դա մոնինու սահու գայմա ու ու անութուլու թ. յ-իաս մուր.

թ. ե-իաս ոյնու Շեմցեցնու սահու ռամբեց Շենութեցի ար գամուցուցուամ. մոնինաալմցեց մեարյմ ար գա թուարա կասագորու արցումեն- գու, ռոմ մուսու յեմցեց գանուրու կու պահպատճեցու ոյս սացու այցու- լու մուլու մու, ռագան սածուրացեցի մեշցեցու մանցու նարի- նեցի լու նցու գա անցու մաս ար այցուցնա սագրտ մենութեալու- ցան թուա. գա թուանցու սացանալունացու գու ալմցեց ավալու- ծու թուա ու ու ու մոնինու կալութեցու Շեն „...“, ռոմլու տացու թ. ե-իաս ար մումարտաց.

### **Սամոցուացու նանուլու:**

Սացասացու սասամարտու սայմիս մասալցեցի Շեսնացլու, գա-

საჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ხ-იას საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივნისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, სწორად განმარტა იგი, სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სათანადო შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან კასატორის მიერ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ავზის დაჭრისას მანქანის საბურავების საშუალებით მაზუთის ნარჩენები დაიწვა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის საკასაციო პრეტენზია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია, კასატორმა ვერ უზრუნველყო აღნიშნულის საჩინააღმდეგო არგუმენტებზე მითითება, რადგან საქმეში წარმოდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისა და გარემოს დაცვის ინსპექციის, სამეცნიერო-ზემო სვანეთის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სახელზე შედგენილი მ. ხ...იას განცხადებები, სადაც განმცხადებელი უთითებს, რომ კუთვნილი ტერიტორიის განმენდისას მოხდა ავზში არსებული მაზუთის ნარჩენების დაწვა საბურავების გამოყენებით. აღნიშნული გარემოება მ. ხ-იამ დაადასტურა ასევე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით, კერძოდ, მოსარჩელებმ არ უარყო ის ფაქტი, რომ მოახდინა მაზუთის ნარჩენების ღია წესით დაწვა მანქანის საბურავების გამოყენებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს დაუშვებლად და დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის საკასაციო პრეტენზია საქ-

მის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად მართებულად დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და აღნიშნულთან დაკავშირებით საპროცესო ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნა. მითითებული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელმაც თუმცა ჩაიდინა ამ კოდექსით ან ადმინისტრაციული სამართალდაღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენა სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოქმედება, მაგრამ რომელიც მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი იმ საფრთხის ასაცდენად, რაც ემუქრებოდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ წესრიგს, საკუთრებას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, მმართველობის დადგენილ წესს, თუ მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა ამ საფრთხის აცდენა სხვა საშუალებებით და თუ მიყენებული ზიანი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე აცდენილი ზიანი. აღნიშნული ნორმა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს სამართალდარღვევის ჩამდენ პირს, იმ პირობებში, თუ ამგვარი სამართალდარღვევა ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში. უკიდურესი აუცილებლობა კი სახეზეა, როდესაც პირი მოქმედებდა მნიშვნელოვანი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომლის აცდენაც შეუძლებელია სხვა საშუალებებით და მიყენებული ზიანი ნაკლებნიშვნელოვანია ვიდრე აცდენილი ზიანი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მ. ხ-იას მოქმედება არ იყო ჩადენილი უკიდურესი აუცილებლობის პირობებში, რადგან არ დასტურდება, რომ იგი მოქმედებდა მნიშვნელოვანი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით როდესაც მოახდინა ავზში არსებული მაზუთის ნარჩენების საბურავების მეშვეობით ლია წესით დაწვა, რაც ნარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და აღნიშნულის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებების გამოყენებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო ვერ გაიზიარებს კასატორის საკასაციო

პრეტენზიას, რომ არასწორად დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ჩადენის გამო, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით მართებულად მიიჩნია, რომ სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება გამოიტანა, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, შესაბამისად, სახეზე არ არის მისი დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორ მ. ხ-იას სსსკ-ის 53.1 მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯის – 30 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ხ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის განჩინება;
3. მ. ხ-იას დაეკისროს სასამართლო ხარჯის – 30 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაჯარიმების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩინაობის სუბიექტის განსაზღვრა

### განხილვა

№პს-945-919(ქ-10)

16 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბა-  
თილად ცნობა;

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ნ-შეკვეთი სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხების:  
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართვე-  
ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დე-  
პარტამენტის მიმართ და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქ-  
მეთა სამინისტროს 2009 წლის 8 ივნისის №718 ბრძანების, სა-  
პატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2009 წლის  
6 აპრილის წერილის საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესა-  
ხებ ბათილად ცნობა, გასაჩივრების ვადის აღდგენა და  
№ბა869448 სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა, შემ-  
დეგი საფუძვლით:

#### **საქმის გარემოებები:**

მოსარჩელე მუშაობდა სს „...“ მძღოლად. 2009 წლის 6 მარტს  
საჩერებაზ თბილისში მისივე საკუთრებაში არსებული სატრან-  
სპორტო საშუალებით CDC – 942 სკანია R 124-420 და მისაბმე-  
ლით FF 448 ახდენდა ორგანიზაციის მიერ საჩერებში შესყიდუ-  
ლი სამშენებლო ქვიშის ტრანსპორტირებას. რეალურად და ოფი-  
ციალური დოკუმენტების შესაბამისად ქვიშის მოცულობა შე-  
ადგენდა 17 გვ-ს.

ტრანსპორტირების დროს გომის გადასახვევთან საპატრუ-  
ლო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს და აწონეს ზემოაღ-  
ნიშნული სატრანსპორტო საშუალება. აწონვის შედეგად საპატ-  
რულო პოლიციამ დააფიქსირა, რომ მანქანის საერთო წონა იყო  
50880 კგ. რაზედაც შეადგინა ადმინისტრაციული სამართალ-  
დარღვევის ოქმი და საქართველოს ადმინისტრაციული სამარ-

თალღარღვევათა კოდექსის 129<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად დააჯარიმა – 3440 ლარით.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 129<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, „საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომელთა თითოეულ წამყვან ან არანამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა – 44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა – დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამნეობის ზღვარს, – გამოიწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატორის ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის დაჯარიმებას თითოეულ ზედმეტ ტონაზე 500 ლარის ოდენობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად).

კონკრეტულ შემთხვევაში კი საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილ ოქმში დაფიქსირდა, რომ ავტომოანქანის საერთო წონა 6880 კგ-ით აღემატება ქარხანა დამამზადებლის მიერ დადგენილ ტვირთამნეობის ზღვრულ მასას – 44000 კგ-ს, რაც მოსარჩელის განმარტებით, არასწორია, კერძოდ, მაქსიმალური წონა რასაც იწონიდა ავტომობილი შეადგენდა 43480 კგ-ს, რაც ნაკლებია კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ზღვარზე.

მოსარჩელის მითითებით, თავად ავტომობილის (სკანიას) წონა საპასპორტო მონაცემებით შეადგენს 8000 კგ-ს, ხოლო მისაბელის წონა შეადგენს 8280 კგ-ს, შესაბამისად, საერთო ჯამში ორივეს წონა შეადგენს 16280 კგ-ს (პასპორტის ასლები ერთვის საჩივარს);

სასაქონლო ზედნადებით სს „...“ შექნილი ქვიშის მოცულობა შეადგენს 17 მ<sup>3</sup>, რომლის მაქსიმალური წონაც ვიბრირებულ მდგომარეობაშიც კი შეადგენს 27030 კგ-ს ( $17^3 = 1590$  კგ-ს) ანუ ზემოალნიშნული ლოგიკით მანქანის მაქსიმალური წონა, რომელზედაც დატვირთული იყო 17 მ<sup>3</sup> ქვიშა შეადგენდა  $16280+27030=43310$  კგ.

გარდა ამისა, ოქმის შედგენის შემდეგ თბილისში სასწორის მეშვეობით გადამონმდა დატვირთული მანქანის სრული მასა და მისი ოდენობა შეადგენდა 42890 კგ-ს.

ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, მართალია, მის მიერ

მოხდა გასაჩივრების ვადის გაშვება, მაგრამ აღნიშნული გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, ვინაიდან, საჯარიმო ქვითრის შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ დაჯარიმებულ იქნა ორგანიზაცია სს „...“, კანონმდებელი სამართალდარღვევად მიიჩნევს, როგორც ოპერატორს ისე – ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, თუმცაალა იქვე მიუთითებს, რომ დაჯარიმებით შეიძლება დაჯარიმდეს ერთ-ერთი, ან ორივე ერთად. მართალია, საჯარიმო ქვითარში დამრღვევად მითითებული იყო ა. წ-შვილი, მაგრამ აღნიშნული მიიჩნიეს ქვითრის ნაკლად, ვინაიდან, ქვითრის ფორმა არ ითვალისწინებს დამრღვევად იურიდიული პირის დაფიქსირების შესაძლებლობას (საჯარიმო ქვითარში დამრღვევის გრაფაში წერია: სახელი, გვარი (და არა სახელნოდება – იურიდიული პირის შემთხვევაში); დაბადების თარიღი, რაც ასევე არ მიესადაგება იურიდიული პირის მოთხოვნებს). ამასთან, აქტში სს „...“ მოხსენიებულია, როგორც სატრანსპორტო საშუალებისა და ტვირთის მესაკუთრე, რამაც ასევე გამოიწყოა გაუგებრობა ჯარიმის ადრესატის დადგენის კუთხით, მით უფრო, რომ ჯარიმის ოდენობის გრაფაში არ არის მითითებული – თუ ვინ დაჯარიმდა. სწორედ აღნიშნული მიზეზით საჯარიმო ქვითარი გასაჩივრდა სს „...“ მიერ კანონით დადგინდ 10-დღიას ვადაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდების შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირშა).

მოსარჩელის მითითებით, 2009 წლის 6 აპრილის წერილით უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე იმ მოტივით, რომ საჯარიმო ქვითარი შედგენილი იყო კონკურეტულად მის მიმართ 2009 წლის 6 მარტს, რა დროსაც განემარტა მისი გასაჩივრების წესი და ვადა, რაც ასევე აღნიშნულია საჯარიმო ქვითრის ასლზე და მათ მიერ მითითებული გარემოება გასაჩივრების ვადის გაშვების თაობაზე ვერ ჩაითვლება საპატიოდ.

### **სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:**

მოსარჩელემ „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალ-

დარღვევის კოდექსის 129<sup>1</sup>-ე და 273-ე მუხლების საფუძველზე  
მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართ საქალაქი  
სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სა-  
მინისტროს 2009 წლის 8 ივნისის №718 ბრძანებისა და ამავე  
სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2009  
წლის 6 აპრილის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის, ა. წ-შვილის საჩივრის განხილვაზე უარის  
თქმის შესახებ ბათილად ცნობა და საპატრულო პოლიციის დე-  
პარტამენტისათვის საჩივრის განხილვის დავალება.

მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სა-  
სარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის  
სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმ მოტივით, რომ  
2009 წლის 6 მარტის №... საჯარიმო ქვითარი გამოტანილი იყო  
მოქალაქე ა. წ-შვილის მიმართ (დამრღვევად მითითებულია მო-  
სარჩელე), ამასთან, საჯარიმო ქვითარში მითითებულია მისი გა-  
საჩივრების წესი და ვადები. შეუძლებელია ვადის გაცდენის სა-  
პატიო მიზეზად იმ გარემოების მითითება, რომ საჯარიმო ქვი-  
თარში ა. წ-შვილთან ერთად ნახსენებია ასევე სს „...“ და რომ  
საჯარიმო ქვითარმა „შეიყვანა შეცდომაში“ რამაც გამოიწვია  
გაურკვევლობა ჯარიმის ადრესატის გარკვევის კუთხით.

მოპასუხის განმარტებით, ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ ვერ  
შეძლო ზუსტად განესაზღვრა ვის ჰქონდა საჯარიმო ქვითრის  
გასაჩივრების უფლებამოსილება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს  
გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა.  
წ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი სა-  
ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის 8 ივნი-  
სის №718 ბრძანება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-  
ნისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2009 წლის 6  
აპრილის №20/6-წ/5 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;  
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პო-  
ლიციის დეპარტამენტის დაფენა ა. წ-შვილის 2009 წლის 30 მარ-  
ტის საჩივრის განხილვა, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემ-  
დეგნაირად:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა  
კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამარ-  
თალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ  
კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციუ-  
ლი სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღე-

ბული დადგენილება, შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანი-და 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაც-დენის შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამ-დებობის ჰირმა). ამდენად, საპატიო მიზეზით გაცდენილი ვა-დის აღადგენა საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორ-განოს დისკრეციული უფლებამოსილებაა, რომლიც გამოყენე-ბულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით და ფარგლებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსი-ლების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერე-სების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. კონკრეტულ შემთხვევაში, კი საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, საპატრულო პოლი-ციის დეპარტამენტმა, ასევე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი უთხრეს ა. ნ-შვილს გაცდენილი ვადის აღ-დგენაზე, საპატიო მიზეზის არარსებობის მოტივით. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომამ – ნარდგენილი საჩივრის განუხილველობამ, რის შედეგადაც ა. ნ-შვილს მოეს-პო კანონიერი უფლება – ზემდგომი ორგანოს მეშვეობით გადა-ემონმებინა საპატრულო პოლიციის მიერ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების კანონიერება, გამოიწვია ამ კანონიერი უფლების დაუსაბუთებელი არათუ შეზღუდვა, არამედ – საერ-თოდ დაუსაბუთებელი აკრძალვა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, 2009 წლის 6 მარტს, ა. ნ-შვილი იმყოფებოდა რა შრომითი მოვალეობის შესრულების პროცესში – დასაქმებული იყო სს „...“ მძღოლად, ამ უკანასკნე-ლის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაჰქონ-და სს „...“ ტვირთი – მის მიერ დელიქტის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებელი ცალსახად იქნებოდა სს „...“; დაინტერესებულ პირად, ყველანაირ ნარმოებაში (ადმინისტრაციული ან სასამარ-თლო), ა. ნ-შვილთან ერთად, აუცილებლად მიჩნეული იქნებო-და სს „...“.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, დასახელებული ნორ-მით გათვალისწინებული ქმედება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებაა, რომლის გამოწვეული ზიანის ობიექტია

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება. მითითებული ქმედებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სუბიექტი არ არის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული (შეიძლება იყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატორი (მძღოლი) ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე).

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარეა ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელმათან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს „...“ მოცემულ საქმეში წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს მისვე კუთხითი სატრანსპორტო საშუალებით მისვე ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ნებისმიერ სამართლებრივ დაგაში, ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129<sup>1</sup>-ე მუხლიდან გამომდინარე, სამართალდარღვევის ჩადენისათვის შესაძლებელი იყო პასუხისმგებლობა დაკისრებოდა მხოლოდ მას, ან/და – ა. ნ-შვილთან ერთად.

სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის მიზნებისათვის ამა თუ იმ გარემოების „საპატიო მიზეზად“ კვალიფიკაციისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ობიექტური, არამედ – სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებაც. ანუ, არა მხოლოდ ისეთი ფაქტორები, რომელიც არ იყო დაინტერესებული პირის ნებაზე დამოკიდებული (სტიქიური უბედურება, მძიმე ავადმყოფობა და ა.შ.), არამედ ისეთი სუბიექტური ფაქტორი, როგორიცაა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება განსახორციელებელი ქმედებისადმი, ამ შემთხვევაში – სამართლებრივი გასაჩივრება-არგასაჩივრებისადმი.

არც სს „...“ და არც ა. ნ-შვილს არ ჰქონიათ განზრახვა – უარი ეთქვათ №869448 საჯარიმო ქვითრის კანონიერება-დასაბუთებულობის შესამოწმებლად დავის გაგრძელებაზე; პირველმა მათგანმა წარადგინა კიდეც საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში, მეორე კი – კეთილსინდისიერად ელოდა საჩივრის განხილვის შედეგს. შეიტყო რა ეს შედეგი (2009 წლის 27 მარტს, როცა სს „...“ ჩაბარდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 23.03.09 წ. №20/6-2599 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-

მართლებრივი აქტი), ა. წ-შვილმა 3 დღის ვადაში წარადგინა საჩივარი. გასაჩივრების ვადა არ ყოფილა გაცდენილი არც ა. წ-შვილის გაუფრთხოლებლობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს დასკვნით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით საჩივრის წარსადგენად დადგენილი, გაცდენილი ვადის აღდგენის დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენეს უკანონოდ: მათ მიერ გამოცემული აქტებით დაუსაბუთებლად შეიზღუდა ა. წ-შვილის ზე-მოხსენებული კანონიერი უფლება-ინტერესი, რის გამოც სასამართლო მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ერთნააღმდეგება კანონს – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლს, ასევე – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილების სარტოლუციო ნაწილში განავითარებს რამდენიმე სახის მსჯელობას, მოჰყავს ზოგადი ფაქტები, რომლებსაც შემდგომში აძლევს გარკვეულ სამართლებრივ შეფასებებს და შედეგად გამოაქვს დასკვნები. ცალ-ცალკე აღებული განვითარებული მსჯელობები (გარდა დისკრეციული უფლებამოსილების არასწორად გამოყენებისა და სხვა რამდენიმე საკითხისა) შეესაბამება კანონისმიერ მსჯელობებს. აპელანტის განმარტებით, არამართებულია სასამართლოს მსჯელობა დელიქტური ვალდებულებებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობებისას დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, საქმის აღმდერელი უფლებამოსილი პირის დადგენის საკითხის გადაწყვეტის თაობაზე, რომელსაც არანაირი სამართლებრივი შემხებლობა არ გააჩნია სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის დარეგული-რებასთან და უფრო მეტიც, ისინი თავისი სამართლებრივი ბუნებით დამატებული განსხვავებულნიც კი არიან ერთმანეთისაგან.

მოწინააღმდეგე მხარემ – ა. წ-შვილმა სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ ა. წ-შეიღმა დავის გადაწყვეტის ფორმად აირჩია სამართალდარღვევათა თაობაზე მიღებული აქტის გასაჩივრება ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით. მითითებული აქტების კატეგორიის გასაჩივრების წესი განსხვავდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესისაგან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება, შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადამი. აღნიშნული ვადის სააპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმის შესაბამისად, გაშვებული გასაჩივრების ვადის აღდგენის აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაინტერესებული პირის დასაბუთებული არგუმენტი კანონით დადგენილი ვადის გაშვების სააპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე, რაც გამორიცხავს აპელაციის მოსაზრების მართებულობას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ნორმა გულისხმობს მხოლოდ დაუძლეველი ხასიათის ფაქტორების გათვალისწინებას. შესაბამისად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მართებულია საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ დასახელებული ნორმით გათვალისწინებული გარემოების „სააპატიო მიზეზად“ კვალიფიკაციისათვის, შესაძლებელია არა მარტო ობიექტური, არამედ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია, აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, საჩივრის მიღება მიეკუთ-

ვწება ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტის სფეროს, თუმცა განმარტა, რომ აღნიშნული სასამართლოს არ ართმევ-და შესაძლებლობას დამოუკიდებლად შეემოწმებინა ადმინის-ტრაციული ორგანოს მხრიდან ვადის აღდგენაზე უარის თქმის მართებულობა.

სააპელაციო პალატამ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებ-ზე მითითებით გაიზიარა სასამართლოს მოსაზრება იმის თაო-ბაზე, რომ სადავო აქტები მიღებულია ზოგადი ადმინისტრაცი-ულ კოდექსის მე-7 და საქართველოს ადმინისტრაციულ სა-მართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლების მოთხოვნათა დაუცველად. შესაბამისად, არსებობს ზოგადი ადმინისტრაცი-ულ კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სადავო აქ-ტების ბათილად ცნობისა და 23-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-ასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატ-რულო პოლიციის დეპარტამენტმა და მოითხოვა თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარ-ჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით, ამავე კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველ-ზე გამოტანილი დადგენილების გასაჩივრების ვადას წარმოად-გენს 10 დღე, რომლის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევა-ში მისი აღდგენა შეიძლება განახორციელოს საჩივრის განმხილ-ველმა უფლებამოსილმა ორგანომ. კასატორის მითითებით, სა-სამართლომ ყურადღება მიაქცია სიტყვა – „შეიძლება“ და აღ-ნიშნა, რომ გასაჩივრების ვადის აღდგენა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას წარმოადგენს, თუმცა მიიჩნია, რომ დის-კრეცია არასწორად იქნა გამოყენებული, აღნიშნული მსჯელო-ბით გარდა იმისა, რომ სასამართლო პირდაპირ შეიქრა ადმინის-ტრაციული ორგანოს დისკრეციაში და ყოვლად დაუსაბუთებ-ლად მიუთითა მას, როგორი გადაწყვეტილება უნდა მიეღო, ამასთან არ მიუთითა სასამართლოს ეს განმარტება რას ემყა-რებოდა, უფრო მეტიც მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორ-განოს უარს – გასაჩივრების ვადის აღდგენაზე საფუძვლად ედო შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები: საჯა-რიმო ქვითარი შედგენილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 4 აგვისტოს №782 ბრძანებით დადგენილი ფორმისა და წესის შესაბამისად, რომლის უკანა მხარეს ნათლად არის გან-

მარტებული და აღნიშნული, რომ ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

ასევე განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ.

ამასთან, სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, ასევე ამ კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა.

კასატორის განმარტებით, ასევე არამართებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალწარმოებაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულების გამოყენება.

კასატორის მოსაზრებით, ასევე არამართებულია სასამართლოს მსჯელობა აღნიშნული დავის გადაწყვეტისას შრომის კანონთა კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის დელიქტური ვალდებულების გამოყენების თაობაზე, ვინაიდან, შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებულ შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობებზე სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებით რეგულაციაზე (ცალდებულებით-სახელშეკრულებო სამართალი. გარიგებანი და ა.შ) და არა მესამე პირებისთვის დელიქტით მიყენებულ ზიანის ანაზღაურებაზე, ვინაიდან ამ ნაწილში სამოქალაქო კოდექსი შრომის კოდექსისგან დამოუკიდებლად განსაზღვრავს და არეგულირებს წარმოშობილ ურთიერთობებს, მეორეც, გაუგებარია რა სამართლებრივ და ლოგიკურ კავშირს პოულობს სასამართლო, დელიქტის დროს ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტის სამოქალაქო წესით დადგენილ წესსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას მისი ჩამდენი სუბიექტის დადგენის წესს შორის, მით უმეტეს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში 129<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის დროს ა. წ-შვილი, როგორც სატრანსპორტო საშუალების მძღოლი უშუალოდ იქნა ცნობი-

ლი ბრალეულად არანორმირებული ტვირთის გადაზიდვაში, რაც მისი, როგორც მძღოლის უშუალო ვალფებულებების დარღვევიდან გამომდინარეობდა, კერძოდ, „საგზაო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი მძღოლს ავალდებულებს, რომ შეამოწმოს არის თუ არა კანონმდებლობით განსაზღვრულ ოდენობასთან შესაბამისობაში მისი ტვირთი და ამის მერე დაიწყოს მოძრაობა.

კასატორი არ დაეთანხმა, ასევე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ „საპატიო მიზეზად“ კვალიფიკაციისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ობიექტური, არამედ – სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებაც. ანუ ვადის აღდგენისას გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მისაღებია არა მხოლოდ ის ფაქტორები, რომლებიც არ იყო დააინტერესებულ მხარის ნებაზე (სტიქიური უბედურება, ავადმყოფობა და ა.შ.) არამედ ისეთი სუბიექტური ფაქტორები – როგორიცაა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება აქტის გასაჩივრებისადმი, ანუ სუბიექტურ ფაქტორებმი კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო მოიაზრებს სამართალდამრღვევის სურვილს – გაასაჩივროს მის მიმართ შედგენილი საჯარიმო ქვითარი, ანუ მთავარია სურვილი და საპატიოდ უნდა ჩაითვალოს ვადის გაშვება, ვინაიდან მხარემ ვერ შოახერხა მისი უფლების რეალიზაცია კანონის არცოდნის გამო და გაუშვა გასაჩივრების ვადა.

კასატორის განმარტებით, ზოგადი ადმინისტაციული კოდექსის 94-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით, ანუ ნორმა მითითებას აკეთებს მხოლოდ ისეთ გარემოებებზე, რომელიც წარმოადგენს დაუძლეველი ხასიათის ფაქტორებს, მისი თავიდან აცილება არ არის დამოკიდებელი სუბიექტის ნებაზე და გამორიცხავს პირის ბრალეულობას მოქმედების განუხორციელებლობაში. არანაირ სხვა ფაქტორებზე არც პირდაპირ და არც მინიშნებით საუბარი არ არის. ასევე მხედველობაშია მისაღები, რომ აღნიშნული ნორმა გარკვეულ წილად ბლანკეტური ხასიათისაა და მისი პირველი პუნქტი ურთიერთობების რეგულირებისათვის აპრიორად იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-69-ე მუხლებს (ვადების თავს), საიდანაც ვადების აღდგენის საკითხს კონკრეტულად არეგულირებს 65-ე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ვადის აღდგენა დასაშვებია თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც მოქმედება არ შესრულ-

და, ხოლო საპატიო მიზეზთა დასადგენად მითითებას აკეთებს ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილზე, რომლის მიხედვითაც საპატიო მიზეზად ითვლება ქმედების განუხორციელებლობა ისეთი მიზეზით, როგორიც არის ავადმყოფობა, ან ლო ნათესავის გარდაცვალება, ან სხვა ობიექტური გარემოებები, რომელიც სუბიექტისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის ამა თუ იმ ქმედების განხორციელების შესაძლებლობას.

საკასაციო საჩივრის დასაშევებობასთან დაკავშირებით მოსაზრება წარმოადგინა ა. წ-შვილმა, რომელშიც აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარებოდა დასაშვებად ცნობას, შემდეგი მოტივით:

მონინაალდეგე მხარის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება, შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, გასაჩივრების 10-დღიანი ვადა შეიძლება აღდგეს იმ შემთხვევაში, თუ ვადის გაშვება მოხდა საპატიო მიზეზით. ვინაიდან, აღნიშნული ნორმა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის არცერთი სხვა ნორმა არ იძლევა განმარტებას, რომ საპატიობაზე მოიცავს მხოლოდ ობიექტურ გარემოებებს, იგი მოიცავს, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მიზეზებასაც.

სამართალდარღვევათა კოდექსის 129<sup>1</sup>-ე მუხლი სამართალდამრღვევად მიიჩნევს, როგორც მძღოლს, ისე სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, ხოლო შეიძლება დაჯარიმდეს ან ერთი ან მეორე ან ორივე ერთად, ანუ მსგავს შემთხვევაში სახეზე ეს სოლიდარული პასუხისმგებლობა. შესაბამისად, მონინაალდეგე მხარის განმარტებით, როდესაც დგება სამართალდარღვევის ოქმი მასზე გარკვევით უნდა იყოს მითითებული თუ ვინ ჯარიმდება, ამასთან, კანონი თავადაც განმარტავს, რომ ესენია – მძღოლი და მესაკუთრე, ერთადერთი, რაც სამართალდამცავმა უნდა გადაწყვიტოს – არის ის, თუ ვინ დაჯარიმოს, მაშინ როცა თავად სამართალდარღვევის ოქმში საერთოდ არ არის მითითებული გრაფა დაჯარიმებული პირის ვინაობის შესახებ

რაც შეეხება საპატიო მიზეზით გაშვებული ვადის აღდგენის დისკრეციულობას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ პუნქტის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილება – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველებზე მისაღები გადაწყვეტილება, აღნიშნული მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი სურვილის მიხედვით აქვს უფლება მიიღოს ან ერთი ან მეორე გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით შსს საპატრულო პოლიციის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (აბსოლუტური კასაცია).

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის მასალების გაანალიზების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივრის მოტივების გადამოწმების შედეგად მიაჩინა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის განხილვა-გადაწყვეტისას არ არის დაშვებული იმგვარი საპროცესო-სამართლებრივი დარღვევა, რომელსაც შესაძლოა გამოეწვია საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენა, სასამართლომ სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა სადაც სამართლებრივი გადაწყვეტილების და სწორად გადაწყვიტა დაგვა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამდღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი გადაწყვეტილების დაგვა.

ლოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, სამართლის განვითარები-სათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ სამართლებ-რივი შეფასება მისცეს: 1. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიე-რებას, თუ რამდენად იყო დაცული დისკრეციული უფლებამო-სილების განხორციელების ფარგლები და რამდენად ობიექტუ-რად იქნა შერჩეული მისალები გადაწყვეტილება და 2. ადმინის-ტრაციული საჩივრის შეტანისთვის კანონით დადგენილი ვადის გაშვების აღდგენის სამართლებრივი ფუნქციის საკითხს.

სადაც სამართალურთიერთობა წარმოიშვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში საპატრულო პოლიციისა და შპს „...“ მძღოლ ა. წ-შვილს შორის, კერძოდ, მო-ცემულ სამართალურთიერთობაში გამოვლინდა სამართალდარ-ღვევა, რომელზეც შედგა სამართალდარღვევის ოქმი და გამო-ცემულ იქნა გადაწყვეტილება ა. წ-შვილის დაჯარიმების თაო-ბაზე.

საქმის მასალების მიხედვით ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია რომ 2009 წლის 6 მარტს ა. წ-შვილი მოძრაობდა სს „...“ კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით (სახელმწიფო №..., მისაბმელი FF-...) და გადაპქნიდა სს „...“ კუთვნილი ტვირთი - ქვიშა (დასტურდება სერია ბბ-24 №005961 საგადასახადო ან-გარიშ-ფაქტურით), რა დროსაც გაჩერებულ იქნა საპატრულო პოლიციის მიერ, გადამოწმდა ტვირთის წონა, რის შემდეგაც სა-პატრულო პოლიციამ დაფგენილად მიიჩნია ა. წ-შვილის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კო-დექსის 129<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვე-ვის ჩადენის ფაქტი, რადგან, ანონცის შედეგად, ავტოსატრან-სპორტო საშუალების საერთო მასამ შეადგინა 50880 კგ, რაც 6880 კგ-ით მეტი იყო ქარხანა-დამამზადებლის მიერ დადგე-ნილ ტვირთამნეობის ზღვრულ მასაზე - 44000 კგ-ზე. შესაბა-მისად, საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი №869448 სა-ჯარიმო ქვითრით ა. წ-შვილს დაედო ადმინისტრაციული სახ-დელი - ჯარიმა 3440 ლარის ოდენობით. საჯარიმო ქვითარი ჩა-იბარა სამართალდამრღვევმა ადგილზე, იმავე დღეს.

2009 წლის 13 მარტს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს საჩივრით მიმართა სს „...“ და მოითხოვა №869448 საჯარიმო ქვითრის გაუქმება, რაზედაც გამოიცა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 23.03.09 წ. №20/6-2599 ინდივიდუალური ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ მითითებული საჯარი-მო ქვითრის გასაჩივრების უფლება ჰქონდა მხოლოდ უშუალოდ

სამართალდამრღვევს – ა. წ-შვილს.

2009 წლის 30 მარტს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს საჩივრით მიმართა ა. წ-შვილმა და მოითხოვა №869448 საჯარი-მო ქვითრის გაუქმება, რაზედაც გამოიცა საპატრულო პოლი-ციის დეპარტამენტის 06.04.09 წ. №20/6-წ/5 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჩივრის განხილვა-ზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ გასული იყო საჯა-რიმ ქვითრის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადა.

2009 წლის 11 მაისს ა. წ-შვილმა ადმინისტრაციული საჩივ-რით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 06.04.09 წ. №20/6-წ/5 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტის, აგრეთვე – №869448 საჯარიმო ქვითრის გაუქმება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის 8 ივ-ნისის №718 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმა-ყოფილდა. სამინისტრომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საპატიო მიზეზი გასაჩივრების ვადის ალდენისათვის, რადგან №869448 საჯარიმო ქვითარში ნათლად იყო დაფიქსირებული სამართალ-დამრღვევად ა. წ-შვილი და არა სს „....“.

სასარჩელო წესით ა. წ-შვილმა სადავოდ გახადა საპატრუ-ლო პოლიციის დეპარტამენტის 2009 წლის 6 აპრილის №20/6-წ/ 5 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სა-ჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ და საქართველოს ში-ნაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის 8 ივნისის №718 ბრძა-ნება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ადმინისტრაციული საჩი-ვარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლო-ების საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129<sup>1</sup>-ე მუხლის შინაარსის განმარტებას, კერძოდ, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება მართლსაწინააღმდე-გო და ბრალეული ქმედებაა, რომლით გამოწვეული ზანის ობი-ექტია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება. რომ აღნიშნული ქმე-დებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სუბიექ-ტიც არ არის ერთპიროვნულად განსაზღვრული, რადგან იგი შე-იძლება იყოს, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპე-რატორი (მძღოლი) – ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე.

ამავე კოდექსის 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup>-ე განსაზღვრული წე-

სით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს იმ პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილი პირის ცნება გულისხმობს, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი უშუალოდ უნდა ეხებოდეს ან ზიანს აყენებდეს პირის სამართლებრივ ინტერესს. პირის სამართლებრივი ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს განურჩევლად იმისა, თუ საგნობრივად რომელ სამართლებრივ სივრცეში წარმომადილი უფლება-მოვალეობების დადგენა, შეწყვეტა, აკრძალვა, შეცვლა, გამოიწვია სადავო აქტით გათვალისწინებულმა სამართლებრივმა შედეგმა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი წარმომადგენლის შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „o“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „o“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მხარე არის წებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

მითითებული ნორმის შინაარსი გულისხმობს, რომ პირის კანონიერი ინტერესი არის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი გათვალისწინებული, სამართლის ნორმით დაცული ინტერესი.

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება ნიშნავს სწორედ სამართლის ნორმით დაცული ინტერესის – დარღვეული მატერიალური უფლების აღდგენის შესაძლებლობას.

ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – თანაზომიერების პრინციპის რეალიზაციის მიზნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ადმინისტრაციული წარმოების ამ სახეში გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენის შესაძლებლობა, კერძოდ, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გაშვებული ვადა უნდა აღადგინოს, თუ მისი გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით.

ანალოგიურ შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლიც, რომლის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დაგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).

საკასაციო სასამართლო აღნიშნული ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენის კომპეტენცია განეკუთვნება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. აღნიშნული უფლებამოსილება ზედმინებით ხელსაყრელია პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ვინაიდან გაშვებული ვადის აღდგენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა სამართლებრივი კონტროლი განახორციელოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე, თავიდან იქნას აცილებული სასამართლო დავა, რაც დამატებით სამოხელეო და საბიუჯეტო ტვირთათან არის დაკავშირებული.

დისკრეციული უფლებამოსილების დეფინიციის /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის ო/ ქვეპუნქტი/ მიხედვით ეს არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თა-

ვისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების-თვის დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აღმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად უნდა გამოიკვლიოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რამაც განაპირობა კანონით დადგენილი ვადის გაშვება, უნდა შეაფასოს, რამდენად იბიქტურ ხასიათს ატარებს ის მიზეზები /სუბიექტური ფაქტორი/, რამაც გამოიწვია ვადის გაშვება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენა-შეფასება უმნიშვნელოვანეს პროცედურულ სტადიას წარმოადგენს და სწორედ მასზეა დამოკიდებული გამოცემული აქტით წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა. რამდენადაც სწორედ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე უნდა მოხდეს მოწესრიგებისთვის სამართლის ნორმის შეფარდება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად შეფასეს სამართალდარღვევის კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლი და სასამართლო პირდაპირ შეიქრა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში, და განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, კერძოდ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევა-დაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შებოჭილია კანონიერების პრინციპით, კონკრეტულად, კანონისმიერი დათქმის პრინციპით, რომელიც, თავის მხრივ, კონსტიტუციაში განმტკიცებულია დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და პირის ძირითადი უფლებების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე.

ამასთან, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2. მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის სამართლებრივი არგუმენტი მცდარია, რაც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტის – დისკრეციული უფლებამოსილების მეტად ზედაპირული გაგებიდან; ამგვარი მსჯელობა საერთოდ გამორიცხავს და ფორმალურ ნიშნამდე დაჟყავს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას სასამართლო კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე.

მმართველობითი ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების არასწორი, ფორმალისტური გაგება წარმოადგენს არაკეთის დამკვიდრებას ხელ-ფეხს გაუხსნიდა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან კანონშეუსაბამო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებას საქართველოში, მაშინ, როცა სასამართლო ორგანოების პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს სრული სასამართლო კონტროლის განხორციელება მმართველობითი ორგანოების საქმიანობაზე, მათი გადაწყვეტილებების მიქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უკომპრომისო შემონმების მერვეობით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ ფუნქციას და ემსახურება უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური – ხელისუფლების დანაწილების და ურთიერთგანასწორების პრინციპის რეალიზაციას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებაზე მსჯელობისას უნდა გამოიკვლიონ რამდენად დასაბუთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის შერჩეული გადაწყვეტა, რაც თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს საქმეზე ფაქტების ობიექტურ გამოკვლევა-დადგენა-შეფასებას. სასამართლო ამონმებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ, მის კანონიერება-დასაბუთებულობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მისაღები, ოპტიმალური იყო არსებული შესაძლებლობებიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივ შეფასებასა და დასკვნას, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყოფს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, კერძოდ, კა-

ნონით დადგენილი ვადის გაშვების საპატიოობის გამოკვლევა-შეფასებისას მიღებული გადაწყვეტილების სისწორის, კანონ-შესაბამისობის დასაბუთება. ადმინისტრაციული ორგანოების სამართლებრივი შეფასება საერთოდ გამორიცხავს ა. წ-შვილის ინტერესების გათვალისწინებას. მაშინ, როცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I მუხლის მე-2 ნაწილით კოდექსის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობისა და საჯარო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეეფასებინა, შეიძლება თუ არა საპატიოოდ იქნას მიჩნეული ა. წ-შვილის იმედოვნება, რომ ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის უფლებამოსილება გააჩნდა არა მხოლოდ მას, არამედ, მის დამქირავებელ იურიდიულ პირსაც. ხოლო, დამქირავებლის - ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის სუბიექტად არმიჩნევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის საფუძველი გახდა. ამგვარი შეფასების მოხდენისას ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ხარისხი, სამართლის ნორმის განსაზღვრულობის არასაკმარისი დონე, მოსახლეობის სოციალურეკონომიური ზოგადი სურათი, საჯარო წესრიგისადმი დამოკიდებულება და სამართლებრივი დახმარების (დაცვის) ხელმისაწვდომობის პრობლემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არაპროპორციული ფორმალიზმით მიიღეს გადაწყვეტილებები, რითაც საერთოდ უგულებელყველეს ა. წ-შვილის კერძო ინტერესი - ძირითადი პროცედურული უფლების - ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის და მათი გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლების რეალიზაციის თაობაზე. მაშინ, როცა მიუკერძოებელი და ობიექტური განხილვის პირობებში, ა. წ-შვილის ვარაუდი, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტს წარმოადგენდა არამხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი (მძღოლი), არამედ, მესაკუთრეც, შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ვადის გაშვების პატივსადებ მიზეზად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივი შეფასებები სწორია და სრულად გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებისა და კონკრეტული ნორმების სწორი გამოყენება – განმარტებიდან, რის გამოც

მოცემული დავა გადაწყვეტილია ობიექტურად და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, სსსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინება;

3. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **კასუსისმგებლობა სახართვო პირობების დარღვევის გამო**

### **გადაცევაფილება საქართველოს სახელით**

№ბს-1912-1865(კ-10)

20 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების  
ბათილად ცნობა.

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 20 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ი/ს  
„ა. ხ-იანი ...“ დირექტორმა – ა. ხ-იანმა მოპასუხების–საქარ-  
თველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომ-  
ბრის №3781 ბრძანების, რომლითაც მოსარჩელე დაჯარიმდა 3  
000 ლარით, ბათილად ცნობას, ასევე საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროს 2009 წლის 17 დეკემბრის №851 ბრძანების ბათი-  
ლად ცნობას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სა-  
ჩივარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით ი/ზ „ა.  
ხ-იანი ...“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია  
შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ინდ/საწარმო „ა. ხ-იანი ...“-  
ის მიერ ორგანიზებული სათამაშო აპარატების სალონში 2009  
წლის 30 სექტემბერს ჩატარებული შემოწმების (გადამოწმების)  
შედეგად გამოვლინდა, რომ მენარმემ დაუდგენელ დროს აზარ-  
ტულ თამაშობაში შეიტანა ცვლილება, კერძოდ, მენარმემ სა-  
თამაშო აპარატების სალონში საქმიანობა დაიწყო 11 ცალი სა-  
თამაშო აპარატით, შემოწმების (გადამოწმების) დღეს კი აღ-  
მოჩნდა, რომ სალონში განთავსებული იყო და ფუნქციონირებ-

და 18 ცალი სათამაშო აპარატი. აპარატების რაოდენობის გაზრდის თაობაზე მოსარჩეულეს არ უცნობებია წინასწარ მოპასუხისთვის. ასევე, გადამოწმების დროს აღმოჩნდა, რომ მოსარჩეულეს არ გააჩნდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემით მიღებული ჩანაწერები, ასევე სალონში გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა არ იყო დამოწავებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და სხვა უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრულ ადგილას და შერჩეული განლაგებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის №3781 ბრძანებით ინდ. საწარმო „ა. ხ-იანი ...“ დაჯარიმდა 3 000 (სამი ათასი) ლარით. ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი, „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშოების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37<sup>1</sup>-ე მუხლი.

ინდ/საწარმო „ა. ხ-იანი ...“-მა შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის №3781 ბრძანება გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რომლის 2009 წლის 17 დეკემბრის №851 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა საჩივარი და ძალაში დარჩა გასაჩივრებული ბრძანება. თუმცა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიუთითა, რომ შემოსავლების სამსახური არ იყო უფლებამოსილი შეემოწმებინა საკითხი იმის შესახებ, ვიდეომეთვალყურეობის სისტემა იყო თუ არა დამოწავებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და სხვა უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრულ ადგილას და შერჩეული განლაგებით, ვინაიდან ეს საკითხი წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 26 ოქტომბრის №3781 ბრძანების გამოცემას წინ უსწრებდა სხვა ადმინისტრაციული აქტების გამოცემა, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქ. თბილისს მთავარი სამსამართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონის სამსამართველოს 2008 წლის 24 დეკემბრის №127, №128 და №129 ბრძანებებით მოსარჩელე დაჯარიმდა 1000 – 1000 ლარით (ანუ თითოეული ბრძანებით დაეკისრა 1 000 ლარი, სულ ჯამში – 3 000 ლარი). ამ ბრძანებების გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი იყო ის, რომ 1. მოსარჩელის – ინდ. საწარმო „ა. ხ-იანი ...“-ის სათამაშო აპარატების სალონში სალარო არ იყო აღჭურვილი სათანადო დაცვით, მისი ერთ-ერთი კუთხე იყო ლია, შემინული იყო არაბრონირებული შუშით (ბრძანება №127), 2. მოსარჩელის – ინდ. საწარმო „ა. ხ-იანი ...“-ის სათამა-

შო აპარატების სალონში ვიდეომეთვალყურეობის კამერები ვერ მოიცავდა სათამაშო დარბაზის მთელ სივრცეს (ბრძანება №128), 3. მოსარჩელის – ინდ. საწარმო „ა. ხ-იანი ...“-ის სათამაშო აპარატების სალონში სალარო არ იყო აღჭურვილი ცალკე ვიდეომეთვალყურეობის კამერით, რომლითაც შესაძლებელი იქნება სალაროსთან მდგომი პირის კონკრეტულად დანახვა და იდენტიფიცირება (ბრძანება №129).

თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მომსახურების სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის განყოფილების 2010 წლის 16 თებერვლის №6207/02-10 წერილით დგინდება, რომ ინდ/მეწარმე „ა. ხ-იანი ...“-ს 2009 წლის I კვარტლისთვის თბილისის რეგიონული ცენტრიდან გატანილი აქვს 17 ცალი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ნიშანი, 2009 წლის II კვარტალში – 18 ცალი ნიშანი, ხოლო 2009 წლის III კვარტალში – 18 ცალი ნიშანი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, როდესაც მოსარჩელემ დაიწყო თავისი სამეწარმეო საქმიანობა, მის მიერვე ორგანიზებულ სათამაშო აპარატების სალონში განათავსა 11 ცალი სათამაშო აპარატი. 2009 წლის 30 სექტემბრის (გადამოწმების დღეს) მდგომარეობით აღმოჩნდა, რომ მას სათამაშო აპარატების სალონში ნაცვლად 11 აპარატისა, დადგმული ჰქონდა 18 ცალი აპარატი, მაშინ, როდესაც ინდ/მეწარმე „ა. ხ-იანი ...“-ს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის არ უცნობებია სათამაშო აპარატების სალონში დაფგმული აპარატების რიცხოვნების 11-დან 18-მდე გაზრდის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „აზარტულ და მომგებიან თამაშობებში ცვლილებების შეტანის (რომელიც არ გამოიწვევს თამაშობის არსებით ცვლილებას) შემთხვევაში, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია გათამაშებამდე ორი კვირით ადრე, თანხმობის მიღების მიზნით, სათანადო დოკუმენტებთან ერთად, წერილობით მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მიმართვა არ განიხილება. ერთი კონკრეტული ციკლის (ტირაჟის) დასრულებამდე წამახალისებელ გათამაშებაში ცვლილებები არ დაიშვება“. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სათამაშო აპარატების სალონის ორგანიზებისათვის ნებართვის მისაღებად, „ლიცენზიებისა და ნე-

ბართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, იურიდიულმა (ფიზიკურმა) პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: გ) სათამაშო აპარატების ჩამონათვალი სახელწოდების, მოდიფიკციის, საქართველო ნომრის, დამზადების წლის მითითებით; დ) სათამაშო აპარატების თამაშების მოკლე აღნერილობები, თითოეულ აპარატზე მაქსიმალური ფსონისა და მოგების მაქსიმალური ოდენობის მითითებით“. მითითებული ნორმების საფუძვლზე თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ სათამაშო აპარატების სალონში აპარატების რიცხოვნების 11-დან 18-მდე გაზრდა წარმოადგენს „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ აზარტულ და მომგებიან თამაშობებში ცვლილების შეტანას, რა შემთხვევაშიც აუცილებელი იყო ორგანიზატორს (მოსარჩელეს) მოსალოდნელი ცვლილების შესახებ წინასწარ ეცნობებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის. მხოლოდ ამ უკანასკნელისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში იქნებოდა მოსარჩელე უფლებამოსილი განეხორციელებინა აღნიშნული სახის ცვლილება, ანუ გაეზარდა სათამაშო აპარატების რაოდენობა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, იმ მოსაზრების მართებულობას, რომ სათამაშო აპარატების სალონში აპარატების რიცხოვნების გაზრდა მომგებიან თამაშობებში ცვლილების შეტანას წინავს, ადასტურებს ასევე „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების დებულებანი. კერძოდ, თუკი ნებართვის გაცემზე უფლებამოსილი პირისთვის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის აუცილებელია, რომ ნებართვის გაცემის მომენტში მან ზედმინევნით ზუსტად იცოდეს სათამაშო აპარატების სალონში დასადგმელი აპარატების ყველა ძირითადი მახასიათებელი (სახელწოდება, მოდიფიკაცია, საქართველო ნომერი, დამზადების წელი, თამაშობის მოკლე აღნერა, მაქსიმალური ფსონი, მოგების მაქსიმალური ოდენობა), ბუნებრივია, რომ საქმიანობის შემდგომ ეტაპზე თუკი ორგანიზატორი გადაწყვეტს, რომ გაზარდოს სათამაშო აპარატების რაოდენობა, მან ამ მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, ასევე, უნდა აცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ყველა იმ დეტალზე მითითებით, რაც გათვალისწინებულია „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კა-

ნონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სათამაშო აპარატების სალონში დადგმულ ახალ სათამაშო აპარატებზე თბილისის რეგიონული ცენტრიდან მიიღო სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ნიშნები (18 ცალი ნიშანი), მას მაინც არ ათავისუფლებს ვალდებულებისან, დაცვას „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა (წინასწარი შეტყობინების პროცედურა). თუმცა, თბილისის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ სუბიექტებიდან თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი ფუნქციები, მიზნები და ამოცანები; ლატარიების, აზარტულ და სხვა მომგებიან თამაშობებთან მიმართებაში თბილისის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) წარმოადგენს გადასახადების (ამ შემთხვევაში – მოსაკრებლის) აღმინისტრირებაზე (ანუ გადასახადების გამოანგარიშებაზე და გადახდაზე) პასუხისმგებელ პირს, მის ფუნქციებში არ შედის საკითხის გადაწყვეტა იმის შესახებ, მიანიჭოს თუ არა, ან/და რა კონკრეტული პირობებით მიანიჭოს დაინტერესებულ პირს (პირებს) ლატარიების, აზარტულ და სხვა მომგებიან თამაშობების ორგანიზების უფლება. ეს ფუნქცია, ანუ ნებართვის გაცემის ფუნქცია და ამ ნებართვასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების კომპეტენცია მიკუთვნებული აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. შესაბამისად, დაუშვებელია, რომ მოსარჩელის მიერ თბილისის რეგიონული ცენტრიდან (საგადასახადო ინსპექციდან) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნიშნების მიღება გაიგივდეს მომგებიან თამაშობებში ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის შეტყობინებასთან.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია შეასრულოს ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით მასზე დაკისრებული მოვალეობები. იმავე კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწყობ პირთა მიერ ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და გამოიწვევს პასუხისმგებლობას „ლიცენზიებისა და ნებართვე-

ბის „შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37<sup>1</sup>-ე მუხლის „გ“ პუნქტით დადგენილა, რომ ნებართვის მფლობელ პირთა მიერ ამ კანონით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის, ნებართვის სახეობების მიხედვით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა შეადგენს სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ 1000 ლარს. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ნებართვის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება კანონით. ნებართვის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სანებართვო პირობების დაცალისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებისათვის. იმავე 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამაგებას. ნებართვის მფლობელს ჯარიმის დაკისრებისას განესაზღვრება ვადა და შესაბამისი პირობები სანებართვო პირობების დაკავშიროვისათვის.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი ნებართვის მფლობელს აგალდებულებს სანებართვო პირობების დაცვას. ამ კანონის 33-ე მუხლის თანახმად, ნებართვის მფლობელის მიერ თუ როგორ სრულდება სანებართვო პირობები, აკონტროლებს ნებართვის გამცემი, რომელიც კონტროლს ახორციელებს სანებართვო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით. იმავე კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნებართვის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა ინვენს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას კანონით დადგენილი წესით. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, „ე“ პუნქტით ნებართვა დეფინიცირებულია, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელე-

ბის უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას...“ იმავე მუხლის „ფ“ პუნქტით სანებართვო პირობები არის კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმოადგენლობითი ორგანის გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნებისა და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ ნებართვის მფლობელს ნებართვის გამცემისაგან განსაზღვრული ჰქონდა გარკვეული ვადა კონკრეტული დარღვევის გამოსასწორებლად, არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია არ აკმაყოფილებდეს იმ დანარჩენ სანებართვო პირობებს, რომელთათვისას ვადა არ განსაზღვრია. საქალაქო სასამართლო თვლიდა, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვა, მენარმეს ავალდებულებს ამ კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას, ვიდრე ის ამ კანონით გათვალისწინებულ ქმედებას ახორციელებს. თვითონ ის გარემოებაც, რომ ნებართვის გამცემი კონტროლს ახორციელებს სანებართვო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით და არა სრული მოცულობით, ამ გარემოებაზე უსგამს ხაზს. საქალაქო სასამართლო მიუთითებდა, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს ზოგადად სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის და მისი მიზანია ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დაცვის უზრუნველყოფა სანქციების მეშვეობით, სანებართვო პირობების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისათვის კი კანონი ამკაცრებს პასუხისმგებლობას. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, სანებართვო პირობების შეუსრულებლობაში არ შეიძლება მოაზრებული იყოს მხოლოდ ის სანებართვო პირობები, რომელთათვისაც წინა შემოწმებისას ნებართვის მფლობელს განესაზღვრა გარკვეული ვადა. ზემოაღნიშნული კანონის 34-ე მუხლი ნებართვის მფლობელს ავალდებულებს დადგენილ ვადაში არა მარტო კონკრეტული დარღვევის გამოსასწორებას და მის სანებართვო პირობებთან შესაბამისობაში მოყვანას, არამედ იმის პრევენციულ ღონისძიებაც არის, რომ იგი, როგორც ამ კანონით განსაზღვრული ქმედების განმახორციელებელი სუბიექტი, ვალდებულია აკმაყოფილებდეს ამ კანონით დადგენილ სანებართვო მოთხოვნებს სრულად, ვიდრე ახორციელებს ამ საქმიანობას, მიუხედავად იმისა, განესაზღვრა თუ არა რაიმე

ვადა ამა თუ იმ კონკრეტული სანებართვო პირობის შესრულებისათვის.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი/მ „ა. ხ-იანი ...“ დირექტორმა – ა. ხ-იანმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ი/მ „ა. ხ-იანი ...“ სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი/მ „ა. ხ-იანი ...“.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი.

კასატორი მიუთითებდა, რომ სასამართლოებმა მარტონდენ სანებართვო პირობების განმეორებითი დარღვევა მიიჩნიეს სანებართვო პირობების დარღვევისათვის ჯარიმის გასამმაგების საფუძვლად მაშინ, როდესაც მისი აზრით, ზემოაღნიშნული მუხლის ნორმები შეეხებიან ისეთ შემთხვევებს, როცა ნებართვის გამცემის მიერ სანებართვო პირობების დასაკმაყოფილებლად ნებართვის მფლობელისათვის განსაზღვრული გონივრული ვადის მიცემის შემდეგ ნებართვის მფლობელი კვლავ არ შეასრულებს სანებართვო პირობებს.

კასატორი თვლიდა, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა ინვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას, კასატორი მიუთითებდა, რომ მოპასუხემ სასამართლოში ვერ წარადგინა მტკიცებულება იმისა, რომ იგი სანებართვო პირობების გამოსასწორებლად გაფრთხილებულია და ამის გამოსასწორებლად განსაზღვრული ჰქონდა გონივრული ვადა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და სარჩელის დაკმაყოფილებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი/მ „ა. ხ-იანი ...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევით, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოადგენს განჩინების გაუქმების საფუძველს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 3 ოქტომბრის №2453 ბრძანების საფუძველზე გაიცა №19-06/2927 ნებართვა, რომლის საფუძველზეც ი/მ „ა. ხ-იანი-მანი+%-ს“ მიეცა უფლება ქ. თბილისში, ნუცუბუძის ქ. №179-181 კორპუსებს შორის №21/004 ნაკვეთზე არსებულ ორსართულიანი მენობის 1 სართულზე, ფართი №1, კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მოეწყო სათამაშო აპარატების სალონი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს 2008 წლის 24 დეკემბრის №127, №128 დაც №129 ბრძანებების თანახმად, შემონმდა რა ი/მ „ა. ხ-იანი...“ სათამაშო აპარატების სალონი, დადგენილ იქნა, რომ ი/მ „ა. ხ-იანი...ს“ მიერ დაირღვა „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, რა დროსაც იგი დაჯარიმდა ცალ-ცალკე 1000-1000 ლარით, ანუ თითოეული ბრძანებით მას დაეკისრა 1000 ლარი, სულ 3000 ლარის ოდენობით.

2009 წლის 30 სექტემბერს გადამონმებულ იქნა ინდივიდუალური საწარმო „ა. ხ-იანი ....“ მიერ სანებართვო პირობების შესრულება, რა დროსაც კვლავ გამოვლინდა „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის ფაქტები, კერძოდ ი/მ „ა. ხ-იანი...“ სათამაშო აპარატების სალონის

მოწყობის №19-06/2927 ნებართვით ორგანიზებული საქმიანობა დაიწყო 11 ცალი სათამაშო აპარატის გამოყენებით, დაუდგენელ დროს მენარმებ აზარტულ თამაშობაში შეიტანა ცვლილება და შემოწმების დროს 2009 წლის 30 სექტემბერს საქმიანობას ეწეოდა 18 ცალი აპარატის გამოყენებით, რის შესახებაც არ აცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ასევე მის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სათამაშო აპარატების ვიდეომეთვალყურეობის სისტემით მიღებული ჩანაწერები, გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა არ იყო დამოწაუებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/ და სხვა უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრულ ადგილას და შერჩეული განლაგებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის №3781 ბრძანებით დადგენილია, რომ ი/მ „ა. ხ-იანი-...“ მიერ დარღვეულია „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით, 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდ. სანარმო „ა. ხ-იანი ...“ „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე კანონით დადგენილი მოთხოვნების განმეორებით დარღვევისათვის დაჯარიმდა 3000 ლარით.

ინდ/ სანარმო „ა. ხ-იანი ...“ შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის №3781 ბრძანება გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რომლის 2009 წლის 17 დეკემბრის №851 ბრძანებით მიჩნეულ იქნა, რომ ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შემოწმება არ შედიოდა შემოსავლების სამსახურის კომპეტენციაში, თუმცა ქმედების განმეორებითი ხასიათის გამო ჯარიმა დარჩა უცვლელი, შესაბამისად საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საქართველოში ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების სფეროს სახელმწიფოს მხრიდან ჩეგულირება, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის შესაბამისად. ხსენებული საკანონმდებლო აქტის მე-7 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების (ძველი რედაქცია) თანახმად, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვების გაცემასა და გაუქმებას, მათში ცვლილებების შეტანასა და უწყებრივ სანებართვო რეესტრში რეგისტრაციას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ამ კანონით გათვალისწინებული სანებართვო პირობების დარღვევისათვის ნებართვის მფლობელთა დაჯარიმებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხემ – შემოსავლების სამსახურმა სადაც ადგინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის №3781 ბრძანებით, მოსარჩევეს დააკისრა გასამმაგებული ჯარიმა 3000 ლარი ანუ საკითხის გადაწყვეტილისა მოპასუხემ გამოიყენა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34.2 მუხლის დებულებანი, რასაც საკასაციო სასამართლო უსაფუძლოდ მიიჩნევს შემდეგ გარემოებათა გამო:

„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37.2 მუხლით, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მომწყობ პირთა მიერ ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვენების შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად. ამავე კანონის 37-ე მუხლის „გ“ ქვეპუნტით განისაზღვრა, რომ ნებართვის მფლობელ პირთა მიერ ამ კანონით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის, ნებართვის სახეობების მიხედვით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა შეადგენს: სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 1000 ლარს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34.1 მუხლის თანახმად, ნებართვის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება კანონით. ნებართვის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას

სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებისათვის. ამავე ნორმის მე-2 პუნქტით პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას. ნებართვის მფლობელს ჯარიმის დაკისრებისას განესაზღვრება ვადა და შესაბამისი პირობები სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისათვის.

საკასაციო სასამართლო ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მიიჩნევს, იმისათვის, რომ უფლებამოსილმა პირმა ვალდებულ პირს დააკისროს გასამმაგებული ჯარიმა, პირველ რიგში უნდა გამოარკვიოს თუ რა სახის სანებართვო პირობების დარღვევას ჰქონდა ადგილი პირველი დაჯარიმების დროს და აღნიშნული დაჯარიმების თაობაზე მიღებული ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულ ვადაში მოხდა თუ არა დარღვეული სანებართვო პირობების გამოსწორება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მართალია ინდ/სანარმო „ა. ხ-იანი ...“ მიმართ შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის №3781 ბრძანების გამოცემას წინ უსწრებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს 2008 წლის 24 დეკემბრის №127, №128 და №129 ბრძანებები, მაგრამ მხოლოდ ეს გარემოება არა-საკმარისია იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34.2 მუხლის დებულებანი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განმეორებითობისათვის გადამწყვეტია დროის განსაზღვრულ ჰერიოდში ერთი და იმავე გადაცდომის ჩადენისა და გამოუსწორებლობის ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში არსებითია ის გარემოება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს 2008 წლის 24 დეკემბრის №127, №128 დაც №129 ბრძანებების გამოცემას საფუძვლად დაედო „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების დარღვევა, კერძოდ, შემოწმების პერიოდში 2008 წლის 23 დეკემბერს ინდ/ სანარმ „ა. ხ-იანი ...“ სათამაშო აპარატების სალონში სალარო არ იყო აღჭურვილი სათანადო დაცვით, მისი ერთ-ერთი კუთხე იყო ღია და შემინული არ იყო

ბრონირებული შუშით, ვიდეომეთვალყურეობის კამერები ვერ მოიცავდა სათამაშო დარბაზის მთელ სივრცეს და დარბაზში არ იყო დამონტაჟებული კონკრეტულად მთავარ და სათადარიგო შემოსასვლელზე ორიენტირებული ვიდეომეთვალყურეობის კამერა, სალარო არ არის აღჭურვილი ცალ-ცალკე ვიდეომეთვალყურეობის კამერით, რომლითაც შესაძლებელი იქნება სალაროში მდგრმი პირის კონკრეტულად დანახვა და იდენტიფიცირება. 2009 წლის 30 სექტემბერს კი შემოსასვლების სამსახურის მიერ გამოვლინდა სრულიად სხვა სახის გადაცდომა, კერძოდ სახეზე იყო „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა: მენარმე 2009 წლის 30 სექტემბერს ნაცვლად 11 ცალი სათამაშო აპარატისა, სათამაშო ბიზნესს აწარმოებდა 18 ცალი აპარატის გამოყენებით, რის შესახებაც არ აცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას გადაცდომის განმეორებითი ხასიათის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სადაცვო აქტის გამოცემის დროს მოქმედ „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმად აზარტულ და მომგებიან თამაშობებში ცვლილებების შეტანის (რომელიც არ გამოიწვევს თამაშობის არსებით ცვლილებას) შემთხვევაში, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზაციონულდებულია, გათამაშებამდე ორი კვირით ადრე, თანხმობის მიღების მიზნით, სათანადო დოკუმენტებთან ერთად, წერილობით მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო იზიარეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ დარღვეულია „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შემოსასვლების სამსახურმა სადაცვო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდო ისეთი სახის სანებართვო პირობების დარღვევა, რომელზედაც არ იყო მითითებული ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს 2008 წლის 24 დეკემბრის ბრძანებებში და მინამდე გამოცემული არცერთი ადმინისტრაციული აქტით არ ყოფილა განსაზღვრული ვადა სწორედ ამ სახის დარღვევის აღმოსაფხვრელად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის საფუძველზე ნებართვის მფლობელისათვის დაკისრებული ერთმაგი, სამმაგი და სამმაგი ჯარიმის კიდევ გასამმაგებული თანხის გადახდის ვალდებულება წარმოადგენს კანონისმიერ ვალდებულებას, რომელიც უნდა შესრულდეს, თუმცა ამავე საკანონმდებლო აქტის 34-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების ერთობლივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ჯარიმის დაკისრების, ერთმაგი ჯარიმის გასამმაგების, გასამმაგებული ჯარიმის კვლავ გასამმაგების და ბოლოს – ნებართვის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს თავდაპირველი სანებართვო პირობის (პირობების) დარღვევა-შეუსრულებლობა, ხოლო მომდევნო ეტაპზე-დაჯარიმებების მიუხედავად ნებართვის მფლობელის მიერ ამ კონკრეტული სანებართვო პირობების გამოუსწორებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის №3781 ბრძანების ბათილად ცნობის პირობებში მოპასუხეს-შემოსავლების სამსახურს უნდა დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის – ინდ/ სანარმო „ა. ხ-იანი ...“ მიმართ, 2009 წლის 30 სექტემბერს მოსარჩელის კუთვნილ სათამაშო აპარატების სალონში გამოვლენილი დარღვევის გამო პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-10, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53.1-ე მუხლებით და

## გ ა დ ა ც ყ ვ ი ლ დ ე ს:

1. ი/მ „ა. ხ-იანი ...“ საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ნოემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი/მ „ა. ხ-იანი ...“ სარჩელი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის №3781 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2009 წლის 17 დეკემბრის №851 ბრძანება და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მოსარჩელის – ი/მ „ა. ხ-იანი ...“ მიმართ 2009 წლის 30 სექტემბერს სათამაშო აპარატების სალონში გამოვლენილი დარღვევის გამო პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ საკითხის გადაწყვეტის მიზნით მიიღოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება);

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურს ი/მ „ა. ხ-იანი ...“ სასარგებლოდ დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის გადახდა.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ნარმობის გამომრიცხვაში გარემოება**

### **გადაცევის ფილება საქართველოს სახელით**

№ბს-252-250(კ-12)

27 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმითა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ჰ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების  
ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელება, საქმის წარმოე-  
ბის შეწყვეტა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მოსარჩევე: დ. გ-ე

მოპასუხევები: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომა-  
რაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; შპს „...“

სარჩელის სახე: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული  
კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული  
საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, აბონენტ  
№...-ზე საქმის წარმოების შეწყვეტა.

#### **სარჩელის საგანი:**

1) 2011 წლის 28 ივნისის №002872 სამართალდარღვევის ოქ-  
მის ბათილად ცნობა;

2) შპს „...“ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ  
2011 წლის 6 ივლისის №01/778 დადგენილების ბათილად ცნობა

3) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარე-  
გულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგვისტოს №20/  
7 გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის დაქმაყოფი-  
ლებაზე უარის თქმის შესახებ, ბათილად ცნობა.

4) აბონენტ №...-ზე ადმინისტრაციული სამართალდარღვე-  
ვის საქმის წარმოების შეწყვეტა.

#### **სარჩელის საფუძველი:**

ფაქტობრივი: შპს „...“ წარმომადგენლებმა შეადგინეს სა-  
მართალდარღვევის ოქმი №002872 გარდაცვლილ ვ. გ-ეზე, გა-  
ზის მიტაცების ფაქტზე. მოსარჩელის განმარტებით, შპს „...“

წარმომადგენლებმა გადაიღეს ფოტომასალა მილზე, როცა მონტაჟდებოდა გაზის ხელსაწყო და ოქმის შედგენის დროისათვის მასში გაზი არ მიედინებოდა.

მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ აცნობეს შპს „...“ და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, რომ ვ. გ-ე გარდაცვლილი იყო შპს „...“ 2011 წლის 6 ივლისის №01/778 დადგენილებით გაფრთხილება მიეცა გარდაცვლილ ვ. გ-ეს.

**სამართლებრივი:** მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადაც აქტები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და უნდა შეწყდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოება აბონენტ ...-ზე.

მოპასუხის შპს „...“ შესაგებელი:

**ფაქტობრივი:** 2011 წლის 28 ივნისს შპს „...“ წარმომადგენლებმა აბონენტთან აღმოაჩინეს მრიცხველის გვერდის ავლით არსებული ბუნებრივი გაზის მილი, რომლითაც აბონენტი ბუნებრივ გაზს მოიხმარდა აღურიცხავად.

შპს „...“ წარმომადგენლებს სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას მოსარჩელემ საზოგადოების წარმომადგენლების შეცდომაში შეყვანის მიზნით ხარუდგინა ვ. გ-ის პირადობის მოწმობა, რომლის მიმართაც შედგა სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო ვ. გ-ის გარდაცვალების თაობაზე შპს-ს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა.

შპს „...“ ვ. გ-ის გარდაცვალების თაობაზე ცნობილი გახდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან გადმოგზავნილი სარჩელიდან, რომელსაც ერთვოდა ვ. გ-ის გარდაცვალების მოწმობა.

მოპასუხის განმარტებით, სამართალდარღვევის №ა002872 ოქმისა და ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების შესახებ აქტის გაუქმების არანაირი საფუძველი არ არსებობს, ხოლო, რაც შეეხება ვ. გ-ის მიმართ შპს „...“ 2011 წლის 6 ივლისის №01/778 დადგენილების გაუქმებას, სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის მოტივით, როგორც ამას მოსარჩელე მოითხოვს, არამართებულია, ვინაიდან საქმის მასალებით დადასტურებულია სამართალდარღვევის, კერძოდ, ბუნებრივი გაზის დატაცების ფაქტი.

**სამართლებრივი:** სამართლებრივ საფუძვლებზე მითითება არ არის.

მოპასუხის – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაგებელი:

**ფაქტობრივი:** მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის – დ.

გ-ის მიერ წარდგენილ საჩივარში არსად არ არის მითითებული დედამისის – ვ. გ-ის გარდაცვალების ფაქტი, აღნიშნულით მან კომისია განზრას შეიყვანა შეცდომში.

შპს „....“ მიერ გადმოგზავნილ მასალებში, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში მითითებულია მოქალაქე ვ. გ-ის პირადი ნომერი, საქმის მასალებში კი არსად არ მოპოვებოდა იმის მტკიცებულება, რომ ვ. გ-ე 3 წლის გარდაცვლილი იყო.

მოპასუხის მითითებით, ოქმის შედგენის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ მოშემარებლის მიერ ადგილი ჰქონდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების შესახებ“ დადგენილების მე-9 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას, კერძოდ, აბონენტის მიერ ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებას.

**სამართლებრივი:** საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 2011 წლის 3 აგვისტოს №20/7 გადაწყვეტილების მიღებისას მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ იხელმძღვანელა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით და კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით „დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდების და მომხმარების წესების შესახებ“.

**საქმის გარემოებები:** 2008 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა მოსარჩელის დედა – ვ. გ-ე, გარდაცვალების დროისათვის ვ. გ-ის სახელზე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებული იყო უძრავი ნივთი მდებარე, ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში, რომლის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში სრულად არ არის განხორციელებული.

2011 წლის 28 ივნისს შპს „....“ თანამშრომლებმა შეადგინეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი ვ. გ-ის მიმართ, ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების გამო, ხოლო 2011 წლის 6 ივლისს „....“ მიერ ვ. გ-ეს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაედო გაფრთხილება.

ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება დ. გ-ემ გაასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგვისტოს №20/7 გადაწყვეტილებით დ. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2011 წლის 11 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს

განცხადებით მიმართა დ. გ-ემ და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა, კერძოდ, ვ. გ-ის მიმართ შპს „...“ მიერ დარიცხული 1663,40 ლარის გაუქმება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 12 ოქტომბრის საოქმო განჩინებით დ. გ-ის შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2011 წლის 12 ოქტომბრის განცხადებით დ. გ-ემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე მოპასუხე შპს „...“ გაზის მიწოდების აღდგენის დავალდებულება.

2011 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით დ. გ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

**საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგვისტოს №20/7 გადაწყვეტილება ძალაში შესვლის მომენტიდან და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა შპს „...“ მიერ გამოცემული და მოსარჩელე დ. გ-ის მიერ სადაცოდ გამხდარი №ა002872 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და 2011 წლის 6 ივლისის №01/778 დადგენილების კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე.

**სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

შპს „...“ მონაცემთა პაზაში ბუნებრივი გაზის მომხმარებლად ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში ... სააბონენტო ხომრით რეგისტრირებულია გ-ე.

ვ. გ-ე გარდაიცვალა 2008 წლის 17 იანვარს და მისი დანაშთი ქონება მიიღეს მისმა კანონისმიერმა მემკვიდრეებმა დ. გ-ემ და ნ. გ-ემ.

2011 წლის 28 ივნისს შპს „...ს“ თანამშრომლებმა შეადგინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ვ. გ-ის მიმართ, ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების გამო, ხოლო 2011 წლის 6 ივლისს „...ს“ მიერ ვ. გ-ეს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაედო გაფრთხილება.

2011 წლის 28 ივნისს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და 2011 წლის 6 ივლისის დადგენილება და გ-ემ გაასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, რომელიც მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგვისტოს №20/7 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა.

ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში მდებარე უძრავი ქონება საჯარო რესტრში აღრიცხულია დ. გ-ის, ნ. გ-ის, მ. გ-ის, ე. ბ-ის, გ. ბ-ის, ქ. ჯ-ის საკუთრების უფლებით.

### **სასამართლოს მიერ სადავოდ მჩნეული ფაქტები:**

სადავოა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და გარდაცვლილ ვ. გ-ისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების კანონიერება.

### **დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2003 წლის 7 აგვისტოს №12 დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ამ უკანასკნელის უფლებამოსილების მიერთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამავე დადგენილების 49.1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯვრების საფუძველზე. ხოლო 49.2 თანახმად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც სრულყოფილად არ არის გამოკვლეული საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

ზემოაღნიშნული დადგენილების 50.1 მუხლის შესაბამისად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია უფლებამოსილია: გამოითხოვოს დოკუმენტები; შეაგროვოს ცნობები; მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს; დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი; დაინშნოს ექსპერტიზა; გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები; მტკიცებულებათა შეგრო-

ვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონ-მდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

სასამართლოს განმარტებით, ასეთივე შინაარსია მოცემული „ელექტრონურგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დამატების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებითი აღსრულების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილების 11.7 მუხლში, რომლის მიხედვით საკითხის ობიექტურად გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია ადმინისტრაციული ნარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

სასამართლოს მოსაზრებით, სამართლნარმოების პროცესში მხარეთა მხრიდან ნარმოდგენილი მტკიცებულებები საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ სადაც აქტის გამოცემისას განხილვისა და შეფასების საგანი არ ყოფილა, ამასთან, ნარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა არ ქმნის დავის კანონიერად და ობიექტურად გადაწყვეტის საკმარის წინაპირობას, მათი წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო.

საქალაქო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულ ორგანოს სადაც საკითხის გადაწყვეტისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაეფგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მის მიერ არ განხორციელებულა; კერძოდ, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ისე მიიღო გადაწყვეტილება დ. გ-ის მიმართ, რომ არ დაუდგენია თუ რა კავშირი არსებობდა ადმინისტრაციულ სახდელდადებულ ვ. გ-ესა და დ. გ-ეს შორის, მითუფრო, როცა შპს „...“ მიერ 2011 წლის 6 ივლისს №10/778 დადგენილების გამოცემისას იგი რამდენიმე წლის გარდაცვლილი იყო, ასევე არ შეუფასებია შპს „...“ თანამშრომლის მიერ შედგენილი №ა002872 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შესაბამისობა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილების მოთხოვნებთან და არსებობდა თუ არა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების გამორიცხავი რომელიმე გარემოება. ასევე, არ დაუდგენია აღნიშული კოდექსის 96<sup>1</sup>.1 მუხლით გათვალისწინებული სამართალ-

დარღვევის ფაქტის არსებობის უტყუარობა, იმ პირობებში, როცა ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში მდებარე უძრავი ქონება არ წარმოადგენს მხოლოდ დ. გ-ს საკუთრებას.

### **სასამართლოს დასკვნები:**

გასაჩივრებული აქტი უკანონოა და მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მთელი რიგი მტკიცებულებების მოპოვებისა და შეფასების საფუძველზე უნდა გამოსცეს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმმარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგვისტოს №20/7 გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-12 მუხლებით, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2003 წლის 7 აგვისტოს №12 დადგენილებით; „ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დამატების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებითი აღსრულების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმმარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>, 96-ე მუხლებით.

### **აპელანტი: დ. გ-**

**მონინაალმდეგე მხარები (მოპასუხე):** საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმმარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; შპს „...“

### **აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაუქმებით ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩე-

ლის დაკმაყოფილება, კერძოდ, შპს „...“ მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ 2011 წლის 6 ივლისის №01/778 დადგენილების, სამართალდარღვევის ოქმის №ა002872 ბათილად ცნობა; საქმის წარმოება შეწყვეტა აბონენტ №...-ზე, რომელიც გამოიცა გარდაცვლილ ვ. გ-ეზე და მიეთითა დ. გ-ის სააბონენტო ნომერი.

#### **აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** 2011 წლის 28 ივნისს შპს „...“ თანამშრომლებმა შეადგინეს თითქოსდა გაზის უმრიცხველოდ მოხმარებაზე სამართალდარღვევის ოქმი, 2008 წლის 17 იანვარს გარდაცვლილ ვ. გ-ეზე, რომელიც გადასცეს ჯ. ხ-ი, რომელიც არ დაეთანხმა აღნიშნულ ოქმს და ოქმზე მიანერა, რომ ოქმი იყო უკანონო, ვინაიდან გაზის დატაცების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

აპელანტის მითითებით, შპს „...“ მიერ დაინიშნა სხდომა, რომელზეც დაიბარეს ჯ. ხ-ი, რომელიც არ გამოცხადდა იმ მოტივით, რომ იგი არ იყო უფლებამოსილი პირი.

ვინაიდან, ვ. გ-ის მიმართ გამოტანილი გაფრთხილების დადგენილებაში მითითებული იყო დ. გ-ის მიერ მომხმარებული გაზის აბონენტის ნომერი ... საჩივარი შეიტანა მან.

აპელანტის განმარტებით, მარეგულირებელმა კომისიამ არ გაარკვია საქმის გარემოებები, არ დაადგინა იყო თუ არა სახე-ზე სამართალდარღვევის ფაქტი. შპს „...“ თანამშრომლებმა ოქმი შეადგინეს გარდაცვლილ ვ. გ-ეზე, რაც არამართებულია, არასწორია ასევე შპს „...“ თანამშრომლების განმარტება იმის თაობაზე, რომ ვ. გ-ის პირადობის მოწმობის ასლი მათ მისცა დ. გ-ემ, მაშინ როდესაც დ. გ-ეს შპს „...“ თანამშრომლები საერთოდ არ უნახას.

საქალაქო სასამართლომ ასევე არანაირი შეფასება არ მისცა ექსპერტის დასკვნას და სპეციალისტის ცნობას, რომ გაზის დატაცება შეუძლებელი იყო, ვინაიდან, გამაცხელებელში არ შედიოდა წყალი და მასთან მიერთებული არ იყო გაზი, სასამართლომ არანაირი შეფასება არ მისცა ასევე იმ გარემოებას, რომ ფართი, სადაც ე.ნ გაზის დატაცება დაფიქსირდა, ეკუთვნის ქ. ჯ-ს და არა გარდაცვლილ ვ. გ-ეს.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, შეფასება არ მისცა მოპასუხის შპს „...“ შესაგებელში მითითებულ მოთხოვნას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 232-ე მუხლის საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით და სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის მოთხოვნას.

**სამართლებრივი:** აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპ-

როცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, არ გამოიყენა სა-მართალდარღვევის კოდექსის 232.9 მუხლი, გადაწყვეტილების გამოტანისას უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო და ზოგა-დი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები, მარეგულირებელი კომისიის დადგენილებები და სხვა ნორმატიული აქტები, რაც სპეციალური დარეგულირების მიზნით გამოცემული აქტებია ასეთი ტიპის სადავო საკითხების გადასაწყვეტად.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზო-ლუციო/:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით დ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის გა-დაწყვეტილება.

### **აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელა-ციო სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამარ-თლოს მოტივაცია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებე-ბი, არ არის საკმარისი სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით (სადავო საკითხის გადაწყვეტით) საქ-მეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, შესაბა-მისად მართებულია სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებუ-ლება საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოე-ბის შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად აქტის გამოცემის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამარ-თლოს შეფასებებს და დასკვნას სამართლებრივ საკითხთან და-კავშირებით.

**კასატორი:** დ. გ-ე

**მოწინააღმდეგე მხარეები:** საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; შპს „...“

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინების გაუქ-მება, ყველა სადავო აქტის ბათილად ცნობა და საქმის წარმოე-ბის შეწყვეტა.

**კასაციის მოტივები:** სამართლებრივი:

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით გადაწყვეტილე-

ბა იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

**მატერიალური:** კასატორის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოსაკვლევი არაფური არ არის, დადგენილია, რომ ვ. გ-ე არის გარდაცვლილი და ამ საკითხს გამოკვლევა არ სჭირდება. გამოკვლევა არ სჭირდება ასევე იმ ფაქტსაც, რომ გაზის დატაცება შეუძლებელი იყო, რაც დასტურდება ასევე ექსპერტის დასკვნით, აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგო მტკიცებულება კი მოწინააღმდეგებ მხარეს არ წარმოუდგენია, მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ დ. გ-ე ვერ დაიტაცებდა გაზის, ვინაიდან ფართი, სადაც გაზის დატაცება დაფიქსირდა სხვა პირის საკუთრებაა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ საკასაციო შესაგებლით დ. გ-ის საკასაციო საჩივრი არ ცნო.

**საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამდლვრები:** (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის დ. გ-ის საკასაციო საჩივრი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების, გასაჩივრებული განმინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დ. გ-ის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით დ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ: ბათილად იქნეს ცნობილი: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება №20/7 დ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივრის

დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; შპს „...“ 2011 წლის 28 ივნისის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №002872; შპს „...“ ადმინისტრაციული სახდელის დადგების შესახებ 2011 წლის 6 ივლისის №01/778 დადგენილება და შენყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ვ. გ-ის მიმართ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ სასამართლომ გასა-ჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერია-ლური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართვე-ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „ე“ მუხ-ლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომე-ლიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კა-ნონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსა-ბუთებელია.

სააპელაციო სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ არ შეუსწავლია სააპელაციო საჩივრის მოტივაცია, არ გადმოუცია გადაწყვეტილებაში სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი არ-გუმენტაციის გამაქარწყლებელი იურიდიული დასაბუთება, რი-თაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ ობიექ-ტურად დადგენისა და კანონიერი შეფასებების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ ქვემდგომმა სასამარ-თლოებმა ობიექტური შეფასება არ მისცეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, არც სარჩელში და არც საპელაციო საჩივრში მითითებული გარემოებები არ არის გამოკვლეული, შესაბამისად, მითითებულ საკითხებზე არ არის გადმოცემული სასამართლო მსჯელობები და დასკვნები. სასამართლოთა დასკვნა – ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებული უფ-ლებამოსილების გამოყენების საჭიროების შესახებ სრულიად და-უსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საპროცესო კანონით განსაზღვრული დანაწესის ნამდვილი შინაარსიდან.

სასამართლოებმა არ იმსჯელეს რა სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებზე, ზემომითითებული უფლებამოსილების გამოყე-ნებით პრაქტიკულად თავი აარიდეს დავის არსებითად და სა-ბოლოო გადაწყვეტას.

საქმის მასალებით, დადასტურებულია, რომ შპს „...“ თანამ-შრომლებმა შეადგინეს სამართალდარღვევის აქტი №002872, ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში, ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმა-რების (დატაცების) შესახებ, მომხმარებლად მიეთითა – გ-ე, ხო-ლო აბონენტის ნომრად – ... .

2011 წლის 28 ივნისს შპს „...“ ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევის №002872 ოქმში, თბილისში, ... ქ. №9-ში დამრღვევად მიეთითა - ვ. გ-ე პირადი №...; აბონენტის ნომრად – ... .

2011 წლის 6 ივლისს „...“ №01/778 დადგენილებით ვ. გ-ე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და ადმინისტრაციული სამართალდარღვევთა კოდექსის 961.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის სახით დაედო გაფრთხილება.

საქმის მასალების მიხედვით შპს „...“ მონაცემთა ბაზაში ბუნებრივი გაზის მომხმარებლად ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში ... სააბონენტო ნომრით რეგისტრირებულია აბონენტი – გ-ე, სახელის გარეშე, რასაც ადასტურებს ასევე მოსარჩელე – დ. გ-ე და რაც დასტურდება ასევე საქმეში არსებული ტრანზაქციებით.

ზემოაღნიშნული დადგენილება დ. გ-ემ გაასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგვისტოს №20/7 გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შპს „...“ 2011 წლის 6 ივლისის №01/778 დადგენილება მოქ. დ. გ-ის (აბონენტის №...) მიმართ გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

საქასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადაცო სამართალურთიერთობა წარმოიშვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა სფეროში შპს „...“ და ფიზიკურ პირს – დ. გ-ის შორის, კერძოდ, მოცემულ სამართალურთიერთობაში გამოვლინდა სამართალდარღვევა, რომელზეც შედგა სამართალდარღვევის ოქმი და გამოიცა გადაწყვეტილება ვ. გ-ის დაჯარიმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთ-

რების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ამავე კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ელექტროენერგიის ნარმოების ლიცენზიანტის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების გადაცემის ან განაწილების ქსელიდან ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) ტრასპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსელიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით იწვევს გაფრთხილებას, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენა და დამრღვევის დასჯა ემსახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხოლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება – კერძო ინტერესს – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირებას პირობებში ირღვევა ადმინისტრაციული სასამართლოს ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქმართალდარღვევათა კოდექსით ასევე რეგლამენტირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონის დაცვის სულისკვეთი, კანონიერების განმტკიცება.

ამავე კოდექსით განსაზღვრულია ასევე ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუშვებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების დაწყება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა სამართალდარღვევა ან უკვე დაწყებული წარმოების შეწყვეტა, კერძოდ, კოდექსის 232-ე მუხ-

ლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს მუხლში ჩამოთვლილი პირობების არსებობის შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის გარდაცვალების გამო, რომლის მიმართ დაწყებული იყო საქმის წარმოება (პუნქტი მე-9).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისას საჯარო ფუნქციის განმხორციელებელი, უფლებამოსილი შპს ვალდებული იყო სრულად და ყოველმხრივ გამოერკვია საქმის გარემოებები, მით უფრო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შპს „...“ მონაცემთა ბაზაში ბუნებრივი გაზის მომხმარებლად ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში ... სააბონენტო ნომრით რეგისტრირებულია აბონენტი – გ-ე, სახელის გარეშე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას დაუშვებელია სანქციის დაკისრება ადრესატის უცთომლად და უტყუარად დადგენის გარეშე. ამგვარ ვითარებაში საფრთხე ექმნება მმართველობის კანონიერების პრინციპს, რისი დაშვებაც სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში შეუწყნარებელია.

ზემოაღნიშნული კოდექსის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, თუ სახეზეა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლით რეგლამენტირებული რომელიმე პირობა, დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, შპს „...“ თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის №002872 ოქმი შედგენილია ვ. გ-ის მიმართ, ვ. გ-ე განისაზღვრა ასევე სამართალდამრღვევად 2011 წლის 6 ივლისის შპს „...“ №01/778 დადგენილებით და მას ადმინისტრაციული სახდელის სახით დაედო გაფრთხილება, ხოლო საქმეში არსებული ვ. გ-ის გარდაცვალების მოწმობიდან ირკვევა, რომ ვ. გ-ე გარდაიცვალა 2008 წლის 19 იანვარს.

ზემოაღნიშნული გამომდინარე, დასტურდება, რომ შპს „...“ თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაიწყო გარდაცვლილი პირის მიმართ, გარდაცვლილი პირი იქნა ასევე შპს „...“ დადგენილებით მიჩნეული სამართალდამრღვევად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 232.9 მუხლის შესაბამისად, კი უპირობოდ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორ-

განოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლო შეფასებას აძლევს ასევე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებას №20/7 დ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასკვნის, რომ იგი თავისი შინაარსით წინააღმდეგობრივია და არ ემყარება საქმის გარემოებების ყოველმხრივ და ობიექტურ საფუძველზე ჩამოყალიბებულ დასკვნას, კერძოდ, როგორც საქმის მასალებით დადასტურებულია შპს „...“ 2011 წლის 28 ივნისის ადმინისტრაციული სამართლდარღვევის №ა002872 ოქმი და შპს „...“ ადმინისტრაციული სახდელის დადგების შესახებ 2011 წლის 6 ივლისის №01/778 დადგენილება შედგენილია ვ. გ-ის მიმართ, ხოლო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგვისტოს №20/7 გადაწყვეტილებაში მითითებულია სამართლდამრღვევად დ. გ-ე. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლების მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ მათვის დ. გ-ის საჩივრის განხილვისას ცნობილი არ იყო ვ. გ-ის გარდაცვალების თაობაზე და განმარტავს, რომ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით რეგლამენტირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობა და ფუნქციები, რომლის შესაბამისად, კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, კომისიის დებულება და სხვა საკანონმდებლო აქტები. ამ კანონის 5.1 მუხლის შესაბამისად, „კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – დადგენილებას.“

„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს „ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახ-

დელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების დამტკიცების შესახებ“ №14 დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად, „ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესები (შემდგომში „წესები“) არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 961-ე და 149-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქების შედგენასთან, აღრიცხვა-ანგარიშებასა და შესაბამისი სანარმოების მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს“, ამავე დადგენილების III თავი არეგულირებს ადმინისტრაციული სახდელის დადების წესსა და მისი გასაჩივრების პროცედურებს, კერძოდ, დადგენილების მე-11 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელის შესახებ დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2003 წლის 7 აგვისტოს №12 დადგენილების IV თავში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები. აღნიშნული დებულების 49-ე მუხლის მიხედვით სემეკი ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძვლზე, მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც სრულყოფილად არ არის გამოკვლეული სემეკის მიერ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, როგორც ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო გადაწყვეტილების მიღებისას ობიექტურად შეეფასებინა საქმის გარემოებები, გამოეთხოვა საქმის მასალები და მათი სრულყოფილად შესწავლის შედეგად მიეღო გადაწყვეტილება, მით უფრო, რომ ზემოაღნიშნული დებულების 50-ე მუხლის შესაბამი-

სად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სემეკი უფლება-მოსილია: а) გამოითხოვოს დოკუმენტები; ბ) შეაგროვოს (ცნო-ბები; გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს; დ) დაათვალი-ეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი; ე) დანიშნოს ექსპერ-ტიზა; ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები; ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასე-ბის მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

ზემოაღნინულიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტი-კისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია საჩივრის განხილვისას ვალდებული იყო საქმის სწორად და ობი-ექტურად გადაწყვეტის მიზნით გამოეთხოვა დოკუმენტები, შე-ეგროვებინა საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ყველა დო-კუმენტაცია და მხოლოდ მათი ობიექტური განხილვისა და შეფა-სების შედეგად მიეღო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან მის დაკმა-ყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულმა ორგანომ იმდენად ზერელედ, არასრულ-ფასოვნად განიხილა დ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი, რომ მისი დასაშვებობის სტადიაზე ისიც კი არ შეუმოწმებია, იყო თუ არა უფლებამოსილი პირი საჩივრის ავტორი, რა სამართლებრი-ვი კავშირი ჰქონდა მას ვ. გ-ესთან, არსებითად არის დარღვეუ-ლი სადაცო აქტის ფორმალური კანონიერება, რის გამოც ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1 მუხლის საფუძველ-ზე ასევე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ენერ-გეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება №20/7 დ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, როგორც უკანონო ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო სადაცო სამართალურთიერთობის სპეციფიურობის გათვალისწინებით საჭიროდ მიიჩნევს აღნიშ-ნოს, რომ ქვეყანაში არსებული დაბალი სამართლებრივი და სა-მოქალაქო კულტურის, უმძიმესი სოციალური ფონის, ადმინის-ტრირების არათანამედროვე მეთოდების გამოყენების პირო-ბებში რთულდება საჯარო წესრიგის მაღალი სტანდარტით უზ-რუნველყოფა, თუმცა, ადმინისტრირების ეფექტიანობა არ შე-იძლება და ვერ მიიღწევა ადამიანის უფლებათა შელახვის და კანონიერების უგულებელყოფის ხარჯზე. ამავდროულად, უნ-და ამაღლდეს მოქალაქეთა, ამ შემთხვევაში მომხმარებელთა თვითშეგნება, რომ აბონენტთა კეთილსინდისიერება დიდწი-

ლად განსაზღვრავს ინფრასტრუქტურული სერვისის არსებულობის სტანდარტის გაუმჯობესების ტემპებს.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, იმ შემთხვევაში თუ უტყუარად და ობიექტურად დადგინდებოდა ან დადგინდება გარდაცვლილის ბინაში, სხვა დეფაქტო მცხოვრები პირის მიერ ბუნებრივი აირის აღურიცხავად მოხმარების ფაქტი, ადრესატის საარნმუნოდ დადგენის შემთხვევაში, არ ათავისუფლებს რეალურ მომხმარებელს – ვალდებულებისაგან – დაიცვას კანონის მოთხოვნები.

განსახილებელ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში ადგილი ჰქონდა თუ არა სამართალდარღვევის ფაქტს, კერძოდ, ბუნებრივი აირის დატაცებას, ვინაიდან ადრესატის გარდაცვალების ფაქტი გამორიცხავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შესაძლებლობას. ხოლო, სხვა პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი განხილვის საგანს არ წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ვ. გ-ის (და არა აბონენტ – გ-ის, როგორც მოსარჩელე ითხოვს) მიმართ და შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შპს „...“ 2011 წლის 28 ივნისის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №ა002872 და შპს „...“ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ 2011 წლის 6 ივლისის №01/778 დადგენილება, როგორც უკანონო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53 მუხლის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და შპს „...“ სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროთ 100-100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 372-ე, 390-ე მუხლებით და

## გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ტ ა:

- დ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარა-გების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 3 აგ-ვისტოს გადაწყვეტილება №20/7 დ. გ-ის ადმინისტრაციული სა-ჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

4. შპს „...“ 2011 წლის 28 ივნისის ადმინისტრაციული სამარ-თალდარღვევის ოქმი №ა002872;

5. შპს „...“ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ 2011 წლის 6 ივლისის №01/778 დადგენილება და შეწყდეს ად-მინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ვ. გ-ის მიმართ.

6. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარე-გულირებელ ეროვნულ კომისიასა და შპს „...“ სახელმწიფო ბიუ-ჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სა-ხით 100-100 ლარის გადახდა;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კვალიფიკაციის კანონის რეაბილიტაცია

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-785-769(კ-12)

5 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ნკეპლადე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

#### აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: შპს „...“; დირექტორი – თ.შ-ე

მოპასუხეები: საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების საა-გენტოს ქვემო ქართლის სააგენტო;

**სარჩელის სახე:** – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

**სარჩელის საგანი:**

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 11 მაისის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ №401432 დადგენილების ბათილად ცნობა;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა:

**სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** 2011 წლის 14 აპრილს გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების სპეციალისტს შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №040935 შპს „....“ მიმართ, რადგან ავტოსამრეცხაოს შემოწმებისას ავტომანქანების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ქვიშისა და მინის ნარჩენი ავტოსამრეცხაოს უკანა მხარეს იყო დაყრილი, რომლის მოცულობამ შეადგინა 1,5 კბ.მ.

2011 წლის 11 მაისს გარემოს დაცვის ქვემო ქართლის ბიუროს №401432 დადგენილებით შპს „....“ დაჯარიმდა 3000 ლარით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტები მიღებულია კანონის დარღვევით, რადგან გარემოს დაცვის სამსახურს ოქმის შედგენისას არ განუმარტავს მისი უფლებები, არ დაუკითხავთ მოწმები და კოორდინატებიც გაურკვეველი საფუძვლით აქვთ დადგენილი.

**სამართლებრივი:** მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები უნდა გაუქმდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე.

მოპასუხის – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს წერილობითი შესაგებელი:

**ფაქტობრივი:** 2011 წლის 14 აპრილს ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ავტოსამრეცხაოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებს შპს „....“ ავტოსამრეცხაოს უკანა მხარეს ყრიდა, რაზედაც შედგა ადმინისტრაციული სამარ-

თალღარღვევის ოქმი №3040935.

2011 წლის 26 აპრილს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მიმდინარეობისას, გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს თანამშრომლებმა დაბინძურებულ ტერიტორიაზე, სატელიტური სანავიგაციო სისტემის საშუალებით დაბინძურებული ტერიტორიის მფლობელის გარკვევის მიზნით აიღეს კორდინატები, მისი საჯარო რეესტრის გადაგზავნის შემდეგ, რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 6 მაისის №69690 ნერილით დადგინდა, რომ დაბინძურებული ტერიტორია არ მოხვდა შპს „...“ კუთვნილ ტერიტორიაზე. ალნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მიმწერებული შპს „...“ სწორად დაჯარიმდა ადმინისტრაციული სამართალდაღვევათა კოდექსის 146'-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

**სამართლებრივი:** მოპასუხის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 278-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეშუნქტის შესაბამისად არ არსებობს გასაჩინორებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

#### **საქმის გარემოებები:**

შპს „...“ ქ. რუსთავში, ... ქუჩის დასაწყისში ეწევა სამენარმეო საქმიანობას. კერძოდ, აქვს ავტოსამრეცხაო.

2010 წლის 12 ოქტომბერს გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146'-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი №034006, მასზე, რომ შპს „...“ ავტოსამრეცხაოს ირგვლივ ტერიტორია დაბინძურებული იყო საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.

2010 წლის 1 ნოემბრის რუსთავის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით შპს „...“ ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146'-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩამდენად, იგი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს წარმომადგენლის მიერ 2011 წლის 14 აპრილს შპს „...“ ვიზუალური დათვალიერებით კვლავ გამოვლინდა, შპს „...“ მიერ ავტოსამრეცხაოს მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების ფაქტი, ავტომანქანების სარეცხი საშუალებების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ქვიშისა და მინის ნარჩენებით, რაც შეადგენდა 1,5მ-ს. ალნიშნულზე შედგა ადმინისტრაციული სამარ-

თალღდარღვევის ოქმი №3040935 და 2011 წლის 11 მაისს გარე-მოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს №401432 დადგენილებით, შპს „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით, ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნა-წილის შესაბამისად.

#### **რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/ სარეზოლუციო ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი (საჩივარი) არ დაკმაყოფილდა.

#### **სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

შპს „...“ ქირავნობის საფუძველზე დაკავებული აქვს რუს-თავში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა, სადაც ეწევა სამენარმეო საქმიანობას, მოწყობილი აქვს ავტომანქანის სამრეცხაო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით შპს „...“ ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 146<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, თუმცა გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით.

2011 წლის 4 აპრილს შპს „...“ მიმართ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს თანამშრომლის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №040935 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის. კერძოდ, შპს „...“ გამოვლენილ იქნა რუსთავში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ავტომანქანის რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ქვიშისა და მიწის ნარჩენით დაბინძურებაში, რაც შეადგენდა 1,5მ<sup>3</sup>-ს.

2011 წლის 11 მაისს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს №401432 დადგენილების თანახმად, შპს „...“ ჯარიმის სახით დაეკისრა 3000 ლარის გადახდა.

#### **სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:**

სადავო შპს „...“ მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

#### **სასამართლოს შეფასება სადავო ფაქტებთან მიმართებაში:**

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარ-

ჩელე შპს „...“ მიერ დაბინძურებულ იქნა ავტოსამრეცხაოს მიმ-დებარე ტერიტორია, (კონდინატები X... და Y...), რომელიც სა-ქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვ-ნული სააგენტოს ინფორმაციით არ წარმოადგენს კერძო საკუთ-რებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამარ-თლოს მიაჩინა, შპს „...“ ჩაიდინა სამართალდარღვევა გათვალის-წინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვე-ვათა კოდექსის 164<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ის ბრალეულია მის ჩადენაში და ექვემდებარება პასუხიშეგებლობას და საქარ-თველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინის-ტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს №401432 დაგენილების გამოცემისას გამოკვლე-ულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამ გარემოებათა შეფასე-ბისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ მიიჩ-ნია, რომ შპს „...“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყო-ფილდეს.

#### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კო-დექსის 34-ე, მე-60<sup>1</sup>, 96-ე მუხლებით, საქართველოს ადმინის-ტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის მე-10, 164<sup>1</sup>-ე, 264-ე მუხლებით

#### **აპელაციის შპს „...“ დირექტორი – თ.შ-ე**

**მოწინააღმდეგ მხარე:** საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურ-სების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტო.

#### **აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარ-ჩელის დაკმაყოფილება.

#### **აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის წარმომადგენლის განმარტებით, არასწორადაა დადგენილი დაბინძურებული ტერიტორიის კო-ორდინატები, ვინაიდან, მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა საქალაქო სასამართლოს სხდომაზეც დაადასტურა, რომ ჯიპი-ესის ხელსაწყოს საშუალებით კოორდინატების გაზომვისას ად-გილი აქვს ცდომილებას 3-8 მეტრის ფარგლებში. ამასთან, აპე-ლანტის მითითებით, ტერიტორიაზე ავტომანქანის რეცხვისას

ქვიშის ან მიწის დაყრას ადგილი არ ჰქონია.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზო-ლუციო/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განჩინებით შპს „...“ სა-აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 1 ნოემბრის გა-დაწყვეტილება.

### **აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპე-ლაციო სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტი-ვები, პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათ-ვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

### **გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზია-რების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამარ-თლოს შეფასებებსა და დასკვნებს ფაქტობრივ და სამართლებ-რივ გარემოებებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსე-ბის სამინისტროს ქვემო ქართლის ბიუროს სწრაფი რეგისტრის განყოფილების მიერ 2011 წლის 14 აპრილს შპს „...“ გამოვლე-ნილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის განმეორებით ჩადენაში.

აღნიშნულ სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ იქნა დაბინძურე-ბული ტერიტორიის კოორდინატები, რაზედაც 2011 წლის 26 აპ-რილს შედგა შესაბამისი აქტი, აქტს ხელი მოაწერა თავად შპს „...“ დირექტორმა თ. შ-ემ, რომელსაც საწინააღმდეგო შენიშვნები აზომვის დროს არ დაუფიქსირებია. აქტის შინაარსიდან გამომ-დინარე, დანაგვიანებული მიწის ნაკვეთი არ მოხვდა უძრავი ქო-ნების მესაკუთრის, ზ. შ-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, რაც დას-ტურდება ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ინფორმაციით, რომლის მიხედვით გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ აღებულ კოორდინატებზე X ... და Y ... არსებუ-ლი ტერიტორია არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

**სამართლებრივი:** საქართველოს ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-სი.

**კასატორი:** შპს „...“, დირექტორი - თ.შ-ე

**მოწინააღმდეგე მხარე:** საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტო;

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 4 ივლისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

**კასაციის მოტივები:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვემოთ დამტკიცების შესაბამისად.

**მატერიალური:** კასატორის განმარტებით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ყოველგავარი მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე დააკისრა ადმინისტრაციული სახდელი, არ დაუკითხავთ მოწმები, არც ოქმის შედგენისას განუმარტავთ შპს „...“ დირექტორისათვის არანაირი უფლებები, ამასთან, სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნულია, რომ შპს „...“ დირექტორმა უარი განაცხადა ოქმზე ხელის მოწერაზე, კასატორის განმარტებით, კი ოქმი შედგენილი არ ყოფილა სამართალდარღვეის ადგილზე. ასევე გაურკვეველია რის საფუძველზე დაადგინეს კოორდინატები  $X=...=...$ . კასატორის მითითებით, არასწორად იქნა აღებული დაბინძირებული ტერიტორიის ზემოაღნიშნული კოორდინატები ჯი-პი-ესის ხელსაწყოთი, ვინაიდან, აღნიშნული ხელსაწყო იძლევა დიდ ცდომილებას და ამას თავად მოპასუხეც ადასტურებს. შპს „...“ მიერ არ დანაგვიანებულა 634,5 კვ.მ ტერიტორია.

ამასთან, კასატორის განმარტებით, შპს მდებარეობს ... ქუჩაზე, სადაც 2010 წლიდან მიმდინარეობდა ქუჩის რეკონსტრუქცია და სამუშაოს შესრულების დროს ასფალტის ქველი საფარი იყრებოდა ხევის პირას ხრამში.

მოწინააღმდეგე მხარემ – ბუნებრივი რესურსების სააგენტომ წერილობითი მოსაზრებით მოითხოვა შპს „...“ საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, იმ მოტივით, რომ საკასაციო საჩივრი არ აკმაყოფილებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის მოთხოვნებს.

**საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები:** (საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის შპს „...“ საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად როგორც პროცესუალური კასაცია.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემონმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ; სადავონ საკითხის გადაუწყეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 11 მაისის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ №401432 დადგენილება, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაეგალოს საქმის გარემოებების ხელახლა გამოკვლევის საფუძველზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და დავა არსებითად გადაწყვიტა მაშინ, როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე ოფიციალობის პრინციპის გამოყენებით სრულყოფილად არ არის მო-

პოვებული და გამოკვლეული საქმის გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტომ (საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სამსახურის უფლებამონაცვლე) ისე გამოსცა 2011 წლის 11 მაისის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ №401432 დადგენილება, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა ოქმის საფუძველზე, რომ საერთოდ არ გამოუკვლევია აღნიშნული ოქმი შედგენილი იყო თუ არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამო გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის მიხედვით დავის გადაუწყვეტლად, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

საქმის მსასალების შესაბამისად, შპს „...“ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე დაკავებული აქვს რუსთავში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის წაკვეთი და შენობა-ნაგებობა, სადაც ეწევა სამენარმეო საქმიანობას, კერძოდ, აქვს ავტომანქანების სამრეცხაო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით შპს „...“ ცნობილ იქნა სამართალდარღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და მიეცა მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2011 წლის 11 მაისის №401432 დადგენილებით სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის

სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა ოქმის საფუძველზე, შპს „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევთა კოდექსის 146<sup>1</sup>.3 მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსააწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხოებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ამავე კოდექსის 146<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულია სანქცია ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ დასუფთავების წესების დარღვევისათვის, კერძოდ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, უცარგისი კონსტრუქციების, მასალების, ნივთების, მიწისა და კლდოვანი ქანების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მათ ნაპირებზე, ფერდობებსა და ხევებში, პარკებში, ბაღებში, სკერებში, გაზონებში, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრა, ნარჩენებისა და ნაგვის გატანის, გატანა-გადაზიდვისა და დასუფთავების წესების დარღვევა იწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით იწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, განმარტავს: იმისათვის, რომ ფიზიკური თუ იურიდიული პირის ქმედება ზემოაღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირ-

დეს, სახეზე უნდა იყოს არამართლზომიერი ქმედების როგორც დასჯადის, შემადგენლობა, კერძოდ: ზუსტად უნდა იყოს და-დასტურებული სამართალდამრღვევი ჩამდენი პირის ვინაობა, დაბინძურებული ტერიტორიის ფარგლები, კერძოდ, შედის თუ არა იგი ფიზიკური თუ იურიდიული პირის საკუთრებაში არსე-ბულ ტერიტორიაში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსე-ბის სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვე-მო ქართლის სააგენტომ 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმი-ნისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე ისე გამოსცა 2011 წლის 11 მაისის №401432 დადგენილება შპს „...“ დაჯარიმების თაობაზე, რომ საერთოდ არ გამოუკვლევია პქნ-და თუ არა ნამდვილად შპს „...“ მიერ მისი მიმდებარე ტერიტო-რის დაბინძურების ფაქტს ადგილი. სწორედ იქნა თუ არა დად-გენილი დაბინძურებული ტერიტორიის კოორდინატები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამარ-თალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყვე-ლა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დადგინ-დებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარე-მოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწ-ყვეტისათვის. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს მონა-ცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგება-ში მიცემული პირის ახსნა-განმარტებებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით... და სხვა დოკუ-მენტებით. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრა-ციული სამართალდარღვევის ოქმი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და დამრღვევის დასჯა ემ-სახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხო-ლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება – კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაც-ვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირების პირობებში ირღვე-ვა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინ-სტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროცენტულო-ბის პრინციპი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახ-მად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორ-

განოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკური მმართველობის საქმინობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება სხვა მმართველობით სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებისაგან. უპირველესად, მისი მომზადებისა და გამოცემის პროცედურის თვალსაზრისით.

ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიცია დამოკიდებულია მომხდარი ფაქტის, სამართლის ნორმაში სწორედ ასეთად მიჩნეული ფაქტის, გარემოების სრულად და ზუსტად აღწერილთან თანადამთხვევაზე და შესაბამისობაზე, ანუ ქმედება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონით ასეთად მიჩნეული ქმედების ნიშნების შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ იმ პირობებში, როცა საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ სპპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს (საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემი ქართლის სამსახურის უფლებამონაცელე) მიერ დადგენილება გამოიცა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სარწმუნოდ გამოკვლევის გარეშე, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია სწორად მოხდა თუ არა ჯიპი-ესის ხელსაწყოს საშუალებით დაბინძურებული ტერიტორიის კოორდინატების დადგენა, კოორდინატები აღებულ იქნა თუ არა შპს „...“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, თუ იგი აღებულ იქნა შპს-დან მოშორებით სხვა ტერიტორიაზე, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოს სარწმუნოდ არ გამოუკვლევია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა თუ არა შპს „...“ მიერ და მის მიერ მოხდა თუ არა ტერიტორიის დაბინძურება, მით უფრო მაშინ, როცა 2010 წლის მარტის ბოლოდან მიმდინარეობდა ... ქუჩის რეკონსტრუქცია, კერძოდ, გამოიცვალა წყლის მიღები და გზის საფარი ანუ აღნიშნულ ქუჩაზე მიმდი-

ნარეობდა სარემონტო სამუშაოები და ტერიტორიის დაბინძურება შესაძლოა მომხდარიყო ამ სამუშაოების ჩატარების დროსაც, მით უფრო იმ პირობებში, როცა დასადგენია, რამდენად შესაძლებელია ავქტომანქანის რეცხვის დროს წარმოქმნილი ნარჩენები შეადგენდეს 1,5 მ3. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩატაროს ადმინისტრაციული წარმოება და გამოიკვლიოს შპს „...“ ნამდვილად არის თუ არა სადავო შემთხვევაში სამართალდამრღვევი იურიდიული პირი, ასევე უნდა იმსჯელოს სწორად მოხდა თუ არა დაბინძურებულ ტერიტორიაზე კოორდინატების აღება, უნდა გამოარკვიოს ჯი-პი-ესის ხელსაწყოს მეშვეობით აღებული კოორდინატები ანუ ის კოორდინატები, რა კოორდინატებშიც დაჯარიმდა შპს „...“ აღებულ იქნა თუ არა იმ ტერიტორიაზე, იმ მისამართზე სადაც მდებარეოს შპს „...“ და რაც მითითებულია სამართალდარღვევის ოქმში.

აქვე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 240-ე მუხლით სამართალდარღვევის ოქმისთვის დადგენილი რეკვიზიზიტებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან, გამომდინარეობს, რომ შისი შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენის და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შედგენა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილების მიღებისას ასევე გამოკვლეული არ ყოფილა ის გარემოება, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა თუ არა სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენის ადგილას, თუ ოქმი შედგა სხვა ადგილას, როგორც ამას კასატორი აღნიშნავს, ორგანოს არ გამოუკველია ასევე სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დაირღვა თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 240.4 მუხლის დანაწესი, კერძოდ, სამართალდამრღვევის განემარტა თუ არა ამავე კოდექსის 252-ე მხულით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აგრეთვე აღინიშნება ოქმში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება, სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადაც ამართალდარღვევად არაკავალიფიური მიჩნევა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსს 32.4. მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადაც ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმართველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციას და მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს საერთოდ არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა – შეფასება, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში რიგ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება მათი გამოკვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც შეს „...“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და სადაც საკითხის გადაწყვეტლად ადმინისტრაციული საპროცესო კო-

დექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღლოს ამ გარემოებათა საკითხის ხელახალი განხილვისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უნდა დაეკისროს სამართალწარმოებისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის გადახდა შპს „...“ სასარგებლოდ, ხოლო სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32.4; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 390-ე 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 11 მაისის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ №401432 დადგენილება;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი;

დაევალოს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებათა ხელახალი გამოკვლევის საფუძველზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონით დადგენილ ვადაში;

5. სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს დაცვისროს შპს „...“ მიერ სამართალწარმოებაზე გაწეული შპს „...“ სასარგებლოდ ხარჯების სახით გადახდილი (100+150+300) 550 ლარის გადახდა;

6. სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს დაცვისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ადგილისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-567-557(კ-12)

26 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული  
კომისიის 2011 წლის 15 ივლისის №360/18 გადაწყვეტილების  
ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „...-იმ“ 2011 წლის 29 ივლისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 15 ივლისის №360/18 გადაწყვეტილება შპს „...-სათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას

იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კო-დექსით და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, საქართველოს კანონით.

საქალაქო სასამართლოს მიერ გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ და შეფასებულ იქნა შემდეგი მტკიცებულებები: კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 6 ივლისის №10/576 - 11 სამსახურებრივი ბარათი, შპს „...“-ის 2011 წლის 14 ივნისის №6/2484-11 წერილი, შპს „...“-ის ამონანერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის 2011 წლის 12 ივლისის №10/599-11 სამსახურებრივი ბარათი, შპს „...“-ის 2011 წლის 15 ივლისის №6/2970-11 წერილი თანდართული დოკუმენტებითურთ, შპს „...“-ის წარმომადგენლის ა. თ-ის ახსნა-განმარტება გაკეთებული 2011 წლის 15 ივლისის კომისიის სხდომაზე. კომისიაში ადმინისტრაციული წარმოების მასალებისა და გადაწყვეტილების შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზე, დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: შპს „...“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს, ავტორიზაციის თარიღი – 2011 წლის 31 იანვარი; შპს „...“-ის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში შევიდა ცვლილება, კერძოდ 2011 წლის 20 აპრილიდან, შენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შპს „...“-ის დამფუძნებლად რეგისტრირებულია „...“, ნაცვლად ა. თ-ისა; შპს „...“-ს სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილების შესახებ, კერძოდ კომპანიის დამფუძნებლის შეცვლის თაობაზე, კომისიისათვის ცნობილი გახდა შპს „...“-ის 2011 წლის 14 ივნისის №6/2484-11 წერილით, რომლითაც აცნობა კომისიას კომპანიის დირექტორების შეცვლის თაობაზე და წარადგინა ახალი ამონანერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. აღნიშნულ ამონანერში გარდა ახალი დირექტორებისა (ა. ო-ა, გ. ხ-ი) დაფიქსირებული იყო შპს „...“-ის 100%-იანი წილის ახალი მესაჟუთრე „...“. კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „...“-ის ახალი პარტნიორი „...“ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა 2011 წლის 20 აპრილს, რასთან დაკავშირებითაც შპს „...“-ის მიერ კომისიაში ინფორმაცია არ ყოფილა წარდგენილი. შესაბამისად, დარღვეულ იქნა კომისიისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად კანონით დადგენილი 7 დღიანი ვადა; შპს „...“-ს კომისიის 2011 წლის 31 მაისის №261/18 გადაწყვეტილებით დაეკისრა ადმინისტრა-

ციული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე – გაფრთხილება; შპს „...“-ის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 0,5%-ს, კომისიაში წარდგენილი რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშების მიხედვით, შეადგენს 8,295.94 (რვა ათას ორას ოთხმოცდათხუთმეტი მთელი ოთხმოცდათოთხმეტი მეასედი) ლარს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის (2011 წლის 2 მაისამდე მოქმედი რედაქციით) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია, თავისი საქმიანობის ან/და მომსახურების მოდიფიცირების, აგრეთვე მის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციაში სხვა სახის ცვლილებების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას, რომელიც აღნიშნულ ცვლილებებს ამ კანონით დადგენილ ვადაში და განსაზღვრული წესით ატარებს რეგისტრაციაში ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის (2011 წლის 2 მაისამდე მოქმედი რედაქციით) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია, თავისი საქმიანობის ან/და მომსახურების მოდიფიცირების, აგრეთვე მის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციაში სხვა სახის ცვლილებების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას, რომელიც აღნიშნულ ცვლილებებს ამ კანონით დადგენილ ვადაში და განსაზღვრული წესით ატარებს რეგისტრაციაში ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში;

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის ან ერთი წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა.

ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზის საფუძველზე საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ამონანერი მერამეთა და არა-სამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან

შეიცავს, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების უფლებათა რეგისტრში რეგისტრირებულ მონაცემებს; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში ამონანერში აისახება ინფორმაცია საწარმოს პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ; 2005 წლის 17 ივნისს კომისიის №408/21 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ავტორიზაციის დეკლარაციის ფორმა. დეკლარაციის ელექტრონული ფორმა ივსება ყველა ავტორიზებული პირის მიერ და კანონით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციასთან ერთად შეიცავს ავტორიზებული პირის შესახებ სამენარმეო რეგისტრაციის მონაცემებს, მათ შორის ინფორმაციას დამფუძნებლების (პარტნიორების) შესახებ; ავტორიზებული პირების დეკლარაციაში განხორციელებული ცვლილება საჭიროებს კომისიისათვის 7 სამუშაო დღის ვადაში შეტყობინებას; შპს „-ს დეკლარაციის ფორმა შევსებული აქვს 2011 წლის 31 იანვარს. შესაბამისად, შპს „...“-სათვის ცნობილი იყო, რომ დეკლარაცია შეიცავს ინფორმაციას კომპანიის დამფუძნებელთა შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“-ს მიერ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში, კერძოდ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრში და შესაბამისად, კომისიის მიერ დადგენილ დეკლარაციის ელექტრონულ ფორმაში შეტანილი მონაცემების ცვლილების შესახებ, კომისიისათვის კანონით დადგენილ ვადაში ინფორმაციის მიუწოდებლობით, დარღვეულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა წარმოადგენს ავტორიზებული პირის სანქცირების საფუძველს. კომისიის 2011 წლის 31 მაისის №261/18 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „...“-ის მიმართ სანქციის სახით გამოყენებულია გაფრთხილება, „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-11პის მუხლის, „ისმოს-საავტორო უფლებების შესახებ“ ხელშეკრულების მე-8 მუხლის, „შემსრულებლების, ფონოგრამების, დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ“ რომის 1961 წლის კონვენციის მე-13 მუხლის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 37-ე, 38-ე, 50-ე, 51-ე მუხლებისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ მიმწინა, რომ შპს „...“-ის მიმართ გამოყენებულ უნდა ყოფილიყო ჯარიმა, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე, რომლის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევის ან/და ლიცენზის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოფხვერულობის ან ერთი წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა. კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის 2011 წლის 12 ივლისის №10/599-11 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, შპს „...“-ის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 0,5 პროცენტი შეადგენდა 8,295.94 ლარს; შესაბამისად, შპს „...“-ს, ჯარიმის სახით დაეკისრა 8,295.94 (რვა ათას ორას ოთხმოცდათხუთმეტი მთელი ოთხმოცდათოხმეტი მეტასედი) ლარი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცეს კანონით დადგენილი პროცედურული წესების დაცვით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი გამოყოფს არსებითი პროცედურული დარღვევის სამ სახეს: – სხდომათა საჯარობის პრინციპის დარღვევით გამართულ კოლეგიური დაწესებულების სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოდ ექვემდებარება ბათილად გამოცხადებას, მიუხედავად იმისა, იგივე გადაწყვეტილება მიღებოდა თუ არა ლია სხდომის დროს.

– ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ იგი არასწორი ადმინისტრაციული წარმოების სახის გამოყენებით გამოიცა.

– ასევე, აქტის მომზადებისა და გამოცემის წესების აშეარა დარღვევად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ასეთი დარღვევის არ არსებობის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგარი გადაწყვეტილება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის კონკრეტულ საფუძვლებს განსაზღვრავს ზოგადი ადმინისტრაცი-

ული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი და მე-2-ე ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებოთად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებოთ დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოსამართლომ გამარტა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის აუცილებელი არ არის დადგინდეს, რომ პროცედურული მოთხოვნების დაცვის პირობებში ამ საკითხზე აუცილებლად სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღებოდა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გაბათილდეს თუ დადგინდება, რომ ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვისას არსებობდა სხვაგვარი გადაწყვეტილების შესაძლებლობა თუ პროცედურული დარღვევის არ არსებობა სხვა გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ შანსს წარმოშობს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. ხოლო მოპასუხე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი შესაგებელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით, მაგრამ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცების ტკირთის მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება და მოსარჩელის განთავისუფლება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან არასწორია, ვი-

ნაიდან მოსარჩელე ყოველთვის ვალდებულია თავად დაასაბუ-  
თოს სარჩელი და როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაცი-  
ული სამართალწარმოებით არ არის განსაზღვრული და შესაბა-  
მისად არ იგულისხმება ამ ვალდებულების მოპასუხე მხარეზე  
გადაკისრება. როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ  
ნარმოებაში მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესი უფ-  
ლებებითა და შესაძლებლობებით. კერძოდ თითოეულმა მხარემ  
უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს  
თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამდენად, თითოეულმა  
მხარემ უნდა შიუთითოს მის სასარგებლოდ მოქმედ გარემოე-  
ბებზე და თუ იგი სადაცო გახდება, უნდა დაამტკიცოს ამ გარე-  
მოებების არსებობა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემ-  
თხვევაში მოპასუხე მხარის მიერ ადგილი არ ჰქონია საქართვე-  
ლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5  
პუნქტის, 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-3 ნაწილების დარ-  
ღვევას.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოე-  
ბების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო აქ-  
ტის გამოცემისას გამოკვლეულია და შესწავლილია საქმისათვის  
მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. ზ/აღნიშნული ნორმე-  
ბის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემ-  
თხვევაში მოპასუხე მხარის მიერ ადგილი არ ჰქონია კანონის ისე-  
თი დარღვევასა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
მომზადების ან გამოცემის წესის ისეთ არსებით დარღვევას,  
რომლის არსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე იქნებო-  
და მიღებული სხვაგვარი გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც  
სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო აქტი გამოცემულია კანო-  
ნის დაცვით და არ არსებობს მისი ბათილობის საფუძვლები.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-  
რა შპს „...-მ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინებით შპს „...-ის“  
სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა  
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2012 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამო-  
ქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თა-  
ნახმად, სააპელაციო სასამართლო ამონშებს გადაწყვეტილე-  
ბას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამარ-  
თლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახ-

მად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის არ დაკმაყოფილების შესახებ და მიიჩნია, რომ აპელანტის – შპს „...-ის“ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...-იმ“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს მიერ ადგილი აქვს კანონის არასწორ განმარტებას, რაც გახდა შპს „...-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. კასატორმა აღნიშნა, რომ მან სასამართლოს წარუდგინა კონკრეტული მტკიცებულება, კერძოდ მის მიერ შევსებული დეკლარაციის ფორმა, რომელიც არავითარ ინფორმაციას დამფუძნებლის შესახებ არ შეიცავს. ამასთან არავითარი ჩანაწერი შპს „...-ის მიერ 2011 წლის 31 იანვარს შევსებულ დეკლარაციაში მის შპს „...-ის პარტნიორის შესახებ არ მოიპოვებოდა. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 19.2 მუხლის „გ“ პუნქტში შეტანილ ცვლილებაზე. აღნიშნული მუხლის 2011 წლის 2 მაისამდე მოქმედი რედაქცია ავტორიზებულ პირს ავალდებულებდა თავისი საქმიანობის ან/და მომსახურეობის მოდიფიცირების, აგრეთვე მის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციაში სხვა სახის ცვლილების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეეტყობინებინა აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის. 2 მაისის შემდეგ კი ჩაიწერა რომ ავტორიზებული პირი ვალდებული იყო თავისი საქმიანობის ან/და მომსახურების მოდიფიცირების, ასევე წილის ან აქციების მფლობელთა ცვლილების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას. ნათელია, რომ კანონმდებელმა ამ ტიპის ცვლილების შესახებ კომისიის ინფორმირების ვალდებულება ავტორიზებუ-

ლი პირებისთვის დაადგინა 2011 წლის 2 მაისის შემდეგ და მანამდე ასეთი ვალდებულება იურიდიულად არ არსებობდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებით შპს „....ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მისი განხილვა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შპს „....ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; შპს „....ის“ სარჩელი და ემსუბულების ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 15 ივნისის №360/18 გადაწყვეტილება შპს „....ისათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტი; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის დაკისროს შპს „....ის“ სასარგებლოდ მის მიერ სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 664 ლარისა და 79 თეთრის ანაზღაურება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსს 393-ე მუხლის მე-2 მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ განსახილველი დავა გადაწყვიტა არსებითად, მაშინ როცა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საჭიროებს გამოეყენებას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კო-

დექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაწყვეტილად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტურივ გარემოებებს: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 31 მაისის №261/18 (შპს „...“-სათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე) გადაწყვეტილებით: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-4, 98-ე, 99-ე მუხლების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მარეგულირებელი წესების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის, „ლიტერატურული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე და 44-ე მუხლების, „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის მე-11ბის მუხლის, ისმო-ს „საავტორო უფლებების შესახებ“ ხელშეკრულების მე-8 მუხლის, „შემსრულებლების, ფონოგრამების, დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ“ რომის 1961 წლის კონვენციის მე-13 მუხლის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 37-ე, 38-ე, 50-ე, 51-ე მუხლების შესაბამისად, შპს „...-ს მიეცა გაფრთხილება „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის მე-11bis მუხლის, ისმო-ს „საავტორო უფლებების შესახებ“ ხელშეკრულების მე-8 მუხლის, „შემსრულებლების,

ფონოგრამების, დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ“ რომის 1961 წლის კონვენციის მე-13 მუხლის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 37-ე, 38-ე, 50-ე, 51-ე მუხლებისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დარღვევის გამო და დაევალა შპს „...“-ს უზრუნველეყო საქართველოს ტერიტორიაზე სატელევიზიო არხების: „MEZZO“, „FASHION TV“, არამართლზომიერი გადაცემის დაუყოვნებლივ შეწყვეტა. 2011 წლის 14 ივნისს შპს „...“-ის დირექტორებმა: გ. ხ-მა და ა. ო-ამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს აცნობეს, რომ შპს „...“-ი წარმოადგენს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს. 2011 წლის 14 ივნისს განხორციელდა ცვლილებები კომპანიის მენეჯმენტში, კერძოდ დაინიშნა ახალი დირექტორი, ა. ო-ა და გ. ხ-ი. აღნიშნულ წერილს დაერთო ამონანერი სამეწარმეო რეესტრიდან. 2011 წლის 6 ივლისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს სამსახურებრივი ბარათით მიმართა კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსმა ი. ხ-მ და განუმარტა, რომ შპს „...“-ის მიერ დარღვეულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის და „გ“ ქვეპუნქტები, კერძოდ: სადამუძნებლო დოკუმენტაციაში 2011 წლის 20 აპრილს განხორციელებული ცვლილება (ა. თ-ის ნაცვლად 100% წილის მფლობელად განისაზღვრა კომპანია „....“ (...)) დამადასტურებელი დოკუმენტი: (ამონანერი მეწარმეთა და არასამეწარმეო და (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან), კომისიაში წარმოადგინა 2011 წლის 14 ივნისს, ანუ გადააცილა 32 დღე. აღნიშნული სამსახურებრივი ბარათით მოთხოვნილი იქნა თანხმობა, რათა ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (თანდართულ ასლებთან ერთად) შემდგომი შესწავლისა და რეაგირებისათვის გადაეცეს სამართლებრივ დეპარტამენტს. კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის 2011 წლის 12 ივლისის №10/599-11 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, შპს „...-ის“ (ავტორიზაცია გაიარა 2011 წლის 31 იანვარს) ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 0,5%-ი კომისიაში წარდგენილი რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებების მიხედვით შეადგენს – 8,295.94 ლარს. 2011 წლის 11 ივლისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ №01/1422-11 წერილით აცნობა შპს „...-ის“, რომ საქართველოს ზოგადი ად

მინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 2011 წლის 15 ივნისს 16:00 საათზე, გამართებოდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) სხდომა, სადაც განიხილებოდა შპს „...-ის“ სანქცირების საკითხი, მის მიერ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილების შესახებ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ინფორმაციის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო. (საფუძველი: კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 2011 წლის 6 ივნისის №10/576-11 სამსახურებრივი ბარათი). შპს „...-იმ“ 2011 წლის 15 ივნისს განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ივნისის №01/1422-11 შეტყობინების თაობაზე, სადაც განმარტებული იქნა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მართლაც ითვალისწინებს ავტორიზებული პირების მხრიდან წილის მფლობელთა ცვლილებაზე ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას, მაგრამ აღნიშნული კანონი მიღებულ იქნა 8 აპრილს და ძალაში შევიდა გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ. „...-ის“ დამფუძნებელთა შორის ცვლილება განხორციელდა 20 აპრილს, შესაბამისად, დამფუძნებელთა შორის მომხდარი ცვლილების კომისიაში წარდგენის იურიდიული ვალდებულება 2011 წლის 20 აპრილისათვის არ არსებობდა. რაც შეეხება 2011 წლის 20 აპრილისათვის მოქმედი კანონის რედაქციას, მანამდე მოქმედი რედაქცია, მსგავსი ინფორმაციის წარდგენის იურიდიულ ვალდებულებას არ შეიცავდა, რაზეც მეტყველებს თუნდაც კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ავტორიზაციის წესი, რომელიც საუბარია მხოლოდ სარეგისტრაციო მონაცემების და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ანუ დირექტორების შეცვლის შემთხვევაში კომისიაში ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებაზე. ხოლო რაც შეეხება დამფუძნებელთა შორის მომხდარ ცვლილებას, აღნიშნული სპეციალურად იქნა დაკონკრეტებული 2011 წლის 8 აპრილის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა მისი გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოითხოვა საქმეზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან არ არსებობდა კომპანია „...-ის“ სანქცირების საფუძველი.

საკასაციო პალატა მიუთითებს „ელექტრონული კომუნიკა-

ციების შესახებ,, საქართველოს კანონის (პირველადი რედაქტირების) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია თავისი საქმიანობის ან/და მომსახურების მოდიფიცირების, აგრეთვე მის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციაში სხვა სახის ცვლილებების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას, რომელიც აღნიშნულ ცვლილებებს ამ კანონით დადგენილ ვადაში და განსაზღვრული წესით ატარებს რეგისტრაციაში ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს ზემოაღნიშნული კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში 2011 წლის 8 აპრილს შეტანილ ცვლილებაზე, რომელიც ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, რომელშიც კანონმდებელმა დააკონკრეტა თუ რა სახის ცვლილების განხორციელებისას იყო ავტორიზებული პირი ამ შემთხვევაში შპს „...“ ვალდებული აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა კომისიისათვის; კერძოდ კი აღნიშნული ცვლილების თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია თავისი საქმიანობის ან/და მომსახურების მოდიფიცირების, ასევე წილის ან აქციების მფლობელთა ცვლილების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას, რომელსაც ეს ინფორმაცია შეაქვს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას და სამართლებრივ დასკვნას, რადგანაც ავტორიზებულმა პირმა სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილება განახორციელა 2011 წლის 20 აპრილს, ანუ კანონში შეტანილი ცვლილებების ამოქმედებამდე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წებისმიერი ავტორიზებული პირის მიერ ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების შემდგომ კანონში შეტანილი ცვლილება არ უნდა გავრცელებულიყო ცვლილებამდე არსებულ ქმედებაზე.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კომისია ანარმოებს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრს, რომელშიც შეიტანება დეკლარაციის მონაცემები; ავტორიზებული პირის მიერ დეკლარაციაში მითითებული მონაცემების ჩამონათვალი განსაზღვრულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით, ესენია: საფირმო სახელნოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), მეწარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრა-

ციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამო-სილი პირის სახელი და გვარი; ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შე-საბამისად, დეკლარაციას უნდა დაერთოს ამონანერი მენარმე-თა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, აგრეთვე იურიდიული პირის წესდებისა და ფიზი-კური პირის საიდენტიფიკაციო შესაბამისი დოკუმენტის ასლი;

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტი-ციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ბრძანებით დამ-ტკიცებული „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის“ მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ამონანერი განმარტებულია, როგორც „სანარმოს და არასამენარმეო (არაკომერციული) იუ-რიდიული პირის, ინდივიდუალური მენარმის, უცხო ქვეყნის სა-ნარმოს და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პი-რის ფილიალის (მუდმივი დაწესებულების, ნამომადგენლობის) შესახებ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იუ-რიდიულ პირთა რეესტრში, საჯაროსამართლებრივ და საგადა-სახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრებში არსებული მონა-ცემების შემცველი, ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით შედ-გენილი დოკუმენტი“; ამავე ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამონანერი მზადდება მენარმეთა და არა-სამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის, სა-ჯაროსამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნო-ბის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძ-ველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის რეგის-ტრირებული სუბიექტის, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში ამონანერი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პარტნიორთა წილებზე მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს. ამასთანავე, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვე-პუნქტის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზო-გადოების შემთხვევაში, ამონანერში აისახება ინფორმაცია სა-ნარმოს პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ;

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სა-კასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამონანერი მენარმეთა და არა-სამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი-დან, რომელშიც დაფიქსირებულია ყველა მონაცემი და დარე-გისტრირებულია მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერცი-ული) იურიდიული პირების რეესტრში საჯაროა, ხელმისაწვდო-

მია ყველასათვის და იგი გაიცემა ნებისმიერ პირზე. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კომისიამ უნდა იმსჯელოს, მოცემულ შემთხვევაში რამდენად მართებულია კომისიის მიერ ად-მინისტრაციული სახდელის (ჯარიმა) დადგება იმ საფუძვლით, რომ შპს „...იმ“ დროულად არ აცნობა მას სადამფუძნებლო დო-კუმენტაციაში შეტანილი ცვლილება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოება-ზე, რომ სასამართლო პროცესზე ვასატორის წარმომადგენელ-მა წარმოადგინა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კო-მისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რიგი ავტორიზე-ბული პირების სანქცირების შესახებ და აღნიშნა, რომ „ელექ-ტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით სხვა კომპანიებსაც ჰქონიათ მსგავსი პრობლემები და კომისია შემოიფარგლა მხოლოდ მათი გაფრთხილებით ან სულაც ეპა-ტიათ აღნიშნული დარღვევები.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით, დისკრეციული უფლებამოსი-ლება ეს არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას სა-ჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებ-ლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება; დისკრეციული უფლება-მოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლო-ბას, მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარის პასუხისმგებლობით. ის, პირველ რიგში კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანი გა-დაწყვეტილების მიღებას ისახავს მიზნად. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გაიაზროს თუ რა მიზნის მისაღწევად მი-ენიჭა ეს უფლებამოსილება და რომელი ფაქტობრივი გარემოე-ბები გაითვალისწინოს. მხოლოდ ამის შემდეგ ის შეაფასებს შემ-თხვევას და მიიღებს გადაწყვეტილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინაალმდეგება კანონს ან არისებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კა-ნონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნო-ბის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზე-

ბის თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ ალ-ტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებულია საკითხის ხელახლა განხილვისას გამოიკვლიოს თუ რამდენად შეიძლებოდა შპს „...-ისათვის“ ადმინისტრაციული სახელელის დადგების დროს გამოყენებული ყოფილიყ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. ასევე, მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იმსჯელოს და მოცემულ საქმეზე მიიღოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ამდენად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევის შედეგად მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული – თბილისის – სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინების გაუქმებისა და შპს „...-ის“ საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის საფუძველზე მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დაეკისროს შპს „...-ის“ მიერ სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 664 ლარისა და 79 თეთრის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:**

შპს „...-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

შპს „....-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

სადაც საკითხის გადაუწყვეტილად ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 15 ივნისის №... გადაწყვეტილება შპს „....-ისათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებს გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დაეკისროს შპს „....-ის“ სასარგებლოდ მის მიერ სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 664 ლარისა და 79 თეთრის ანაზღაურება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაჯარიმება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№პს-544-535(ე-12)

2 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: გ. ბ-ი

მოპასუხეები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო;

**სარჩელის სახე:** – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

**სარჩელის საგანი:**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №ბდ 967448 საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობა;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოსათვის გ. ბ-ის სასარგებლოდ ზიანის სახით – 302 ლარის ანაზღაურების დაკისრება;

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მაცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №... დადგენილების, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აკრძალვის თაობაზე, ბათილად ცნობა.

5. მოპასუხისათვის – სახელმწიფო ბაჟისა და საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი 690 ლარისა და 16 დღის განაცდურის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 11 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმეები გ. ბ-ის სარჩელებისა გამო №3/6991-11 და №3/8931-11 გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭათ წომერი №3/6991-11

**სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 11 აგვისტოს საკუთარი სატვირთო „მაზის“ მარკის ავტომანქანით მოძრაობდა ქ. თბილისში დილომი-9 და დილომი-10 მონაკვეთზე, სადაც მან მოძრაობისას დააზიანა გაზსადენი მილი. უბედური შემთხვევის თავიდან აცილების გამო განარიდა ავტოსატრანსპორტო სამუალება შემთხვევის ადგილიდან, რის გამოც შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა საპატრულო პოლიციის

პატრულ-ინსპექტორმა შეადგინა საჯარიმო ქვითარი №... საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის და დააჯარიმა – 300 ლარით, ხოლო მანქანა გადაიყვანეს შპს „...“ სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე.

მოსარჩელის მითითებით, მისი მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალება შეესაბამება კანონით დაშვებულ ნორმებს და არის 4 მეტრის სიმაღლის.

დილომი-10-ის მონაკვეთზე შპს „...“ გაზსადენი მილის სიმაღლე სავალი ზედაპირიდან შეადგენს 3მ და 92 სმ-ს, რაც არ შეესაბამება „გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების მოთხოვნებს, რის გამოც საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გ. ბ-ს უკანონდ ჩამოართვა ავტომანქანა და დააჯარიმა 300 ლარით.

2011 წლის 19 აგვისტოს გ. ბ-ის წარმომადგენელმა უ. მ-ემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარ სამმართველოში გაასაჩივრა ადმინისტრაციული სამართლადარღვევის ოქმი დაჯარიმების თაობაზე. ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის შთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2011 წლის 2 ნოემბრის ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს №... დადგენილებით გ. ბ-ს აეკრძალა მართვის უფლება 24 თვის ვადით, იმ მოტივით, რომ მან დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსის 290.1 მუხლით გათვალისწინებული საურავისა და საჯარიმო თანხის გადახდის ვადა. აღნიშნული გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, რომლის 2011 წლის 21 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან საჯარიმო თანხის გადახდის ვადა არ დაურღვევია, მას 2011 წლის 9 სექტემბრის ქ. თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს №... გადაწყვეტილებით დაკისრებული ჯარიმის გადახდა შეეძლო 2011 წლის 4 ნოემბრამდე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით გ. ბ-ის შუამდგომლობა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქ-

ტების ქ. თბილისის და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ალსრულებისა და №... საჯარომ ქვითრით 300 ლარის გადახდის აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა, აღნიშნული განჩინება ჩაბარდა 2011 წლის 24 ოქტომბერს, რომელშიც მითითებული იყო, რომ მას განჩინების გასაჩივრება კერძო საჩივრით შეეძლო 12 დღის ვადაში ანუ 2011 წლის 4 ნოემბრამდე, მან არ გამოიყენა გასაჩივრების უფლება და 2011 წლის 31 ოქტომბერს, 2011 წლის 4 ნოემბრამდე, ვადაზე ადრე გადაიხადა დაკისრებული ჯარიმა – 300 ლარი.

**სამართლებრივი:** მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების მე-6 მუხლის მე-13 პუნქტი, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი, 24-ე მუხლის 14-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტი, მე-18 მუხლი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 120-ე მუხლი, ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტები, 252-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 275-ე მუხლი.

**მოპასუხის –** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაგებელი:

**ფაქტობრივი:** მოპასუხემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლით: მას შემდეგ, რაც გ. ბ-მა დააზიანა შპს „...“ გაზგამტარი მილი, შემთხვევის ადგილიდან ისე გადაიყვანა სატრანსპორტო საშუალება, რომ არ დააფიქსირა სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა. შესაბამისად, დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება), აღნიშნული საჯარიმ ქვითარი მოსარჩელემ გაასაჩივრა 2011 წლის 19 აგვისტოს და მოითხოვა მისი გაუქმება. ადმინისტრაციული სამართლდარღვევათა კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად, საჯარიმ ქვითრის აღსრულება შეჩერდა საჩივრის განხილვამდე ქ. თბილისის და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და მოსარჩელე ვალდებული იყო გადაეხადა ჯა-

რიმა.

2011 წლის 17 ოქტომბრის შუამდგომლობა აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, აღნიშნული განჩინება მოსარჩელეს ჩაპარდა 2011 წლის 24 ოქტომბერს, განჩინებით მოსარჩელეს ეძლეოდა უფლება მისი გადაცემიდან 12 დღის გადაში გაესაჩივრებინა იგი ეკრძო საჩივრით, რაც არ ითვალისწინებდა იმას, რომ მას შეეძლო, დადგენილი ვადის დაურღვევლად, 4 ნოემბრამდე გადახდა ჯარიმა.

მოპასუხის განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელემ ჯარიმა არ გადაიხადა კანონით დადგენილ დროში, გ. ბ-ს კანონმდებლობის შესაბამისად დაეკისრა საურავი და აეკრძალა მართვის უფლება.

**სამართლებრივი:** მოპასუხე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup>, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე და 275-ე მუხლებზე. საქართველოს კანონზე „საგზაო მოძრაობის წესების უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 და 29-ე მუხლებზე და მიიჩნევს, რომ როგორც 2011 წლის 11 აგვისტოს №... საჯარიმო ქვითარი ასევე 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილება, რომელთა ბათილობასაც ითხოვს მოსარჩელე, შეესაბამება კანონმდებლობას და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

### **საქმის გარემოებები:**

2011 წლის 11 აგვისტოს გ. ბ-ი საკუთარი ავტომანქანით (სახელმწიფო ნომრით ..., მისაბმელი სახელმწიფო ნომრით ...) მოძრაობდა ქ, თბილისში, დილომი-9 და 10-ის ხელმარცხნივ მშენებარე ბიზნესცენტრ ობიექტისკენ. აღმაშენებლის ხევნიდან გადაუხვია რა ხელმარჯვნივ, დილომი 9-ის დამრეც მონაკვეთზე, ჩვეულებრივად გაიარა გაზის მილსადენის ქვეშ, საიდანაც ხელმარცხნივ 70-80 მეტრის მოშორებით გავიდა დილომი 10-ის მონაკვეთზე, სადაც ავტომანქანის მისაბმელზე განთავსებული კონტეინერის ზედაპირით დააზიანა გაზვამტარი მილი. მილის დაზიანების შემდეგ, იმის გამო რომ მანქანას არ ჰქონდა ნაპერკალსაქრობი მოწყობილობა ავტომანქანა 70-80 მეტრში განარიდა გაზამოფრქვევის ადგილს და თვითონ დაბრუნდა შემთხვევის ადგილას, სადაც უკვე იმყოფებოდნენ იქვე მდებარე შენობის დაცვის სამსახურის თანამშრომლები, რომლებსაც მომხდარზე ინფორმაცია უკვე გადაცემული ჰქონდათ გაზმომსახურების სამსახურისათვის, ხოლო თავად გამოიძახა საპატრულო პოლიცია.

მოსარჩელის განმარტებით, ადგილზე გამოცხადებულმა პო-

ლიციის თანამშრომელმა აზომა მხოლოდ მიღსადენის გვერდულის პერპენდიკულაური სიმაღლე და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის შესაბამისად, (საგზაო-სატრასპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვების გამო) დააჯარიმა – 300 ლარით, ასევე ჩამოართვა სატრანსპორტო საშუალება და გადაიყენა შემთხვევის ადგილიდან შპს „...“ სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე, სადაც იმყოფებოდა 2011 წლის 27 აგვისტომდე.

თავის მხრივ, შპს „...“ შემთხვევიდან მეექვსე დღეს – 2011 წლის 16 აგვისტოს წარუდგინა 1787,26 ლარის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუმცა 2011 წლის 2 სექტემბერს აღნიშნული მოთხოვნა სიტყვიერად მოხსნა.

მოსარჩელის განმარტებით, შემოწმებით დადგინდა, რომ მისი ავტომანქანის სიმაღლე კონტეინერის ჩათვლით არ აღემატებოდა 4 მეტრს, ხოლო შპს „...“ გაზსადენის მიღი განთავსებულია 3 მეტრზე და 92 სმ-ზე, რაც არ შეესაბამება საქართველოს „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №31-1/525 ბრძანებით დადგენილ მინისზედაც გაზსადენის მაღალ საყრდენებზე გაყვანის მინიმალურ 5 მეტრიან სიმაღლეს, აღნიშნულის გამო, მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სამმართველოს საჯარიმო ქვითრის გაუქმების თაობაზე, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით არ დაქმუყოფილდა.

ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, მას 2011 წლის 11 აგვისტოს №... ქვითრით დაკისრებული ჯარიმის გადახდა შეეღლო 2011 წლის 4 ნოემბრამდე. მან აღნიშნული საჯარიმო ქვითარი გაასაჩივრა 2011 წლის 19 აგვისტოს, 2011 წლის 9 სექტემბრის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარმა სამმართველომ საჩივარი არ დააკმაყოფილა და გასაჩივრების უფლება განუსაზღვრა 1 თვის ვადით. მოსარჩელემ 2011 წლის 6 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა და მოითხოვა, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ადმინისტრაციული სახდელის სახით – 300 ლარის დაკისრების თაობა-

ზე ბათილად ცნობა ასევე მისი გადახდის ვალდებულების საქმის განხილვის ვადით შეჩერება. საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით უარი ეთქვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერებაზე, აღნიშნული განჩინება ჩაბარდა 2011 წლის 24 ოქტომბერს, სადაც მითითებული იყო, რომ 12 დღის ვადაში ანუ 2011 წლის 4 ნოემბრამდე შეეძლო მისი გასაჩივრება კერძო საჩივრით. მოსარჩელის განმარტებით, თუ იგი გასაჩივრების უფლებას არ გამოიყენებდა, უნდა გადაეხადა ჯარიმა. მან 2011 წლის 31 ოქტომბერს ანუ დადგენილ ვადაზე 4 დღით ადრე გადაიხადა ჯარიმა – 300 ლარი, მიუხედავად აღნიშნულისა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №... დადგენილებით ჯარიმის გადაუხდელობის გამო 24 თვით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

### **რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/ სარეზოლუციო:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით გ. ბის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

2011 წლის 11 აგვისტოს გ. ბ-ი, მართავდა რა კუთვნილ „მაზის“ მარკის სატევირთო ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით ..., მოსაბმელი სახელმწიფო ნომრით ...), ქ. თბილისში, დილომი-10-ის საავტომობილო გზაზე, ავტომანქანის მისაბმელზე განთავსებული კონტეინერის ზედაპირით მოედო სიმაღლეზე გამავალ გაზგამტარ მიღლს, რის შედეგადაც მიღლი გატყყდა. შეჯახების შემდეგ, ვინაიდან გატეხილი მიღლიდან გამოდიოდა გაზი, აფეთქების თავიდან ასაცილებლად მძღოლმა ავტომანქანა გადაიყვანა შემთხვევის ადგილიდან მოშორებით, ისე რომ არ მოუნიშნავს ავტომანქანის მდებარეობა შეჯახების შემდეგ.

მოსარჩელის გამოძახების შედეგად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. პატრულ-ინსპექტორმა გ. თ-მა გ. ბ-ის მიმართ შეადგინა საჯარიმო ქვითარი №..., საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე და დააჯარიმა მოსარჩელე 300 ლარით.

ამავდროულად, ავტომანქანა გადაყვანილ იქნა შპს „...“ სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე, სადაც იმყოფებოდა 2011

წლის 27 აგვისტომდე; ავტოსადგომიდან გამოყვანისას გ. ბ-მა გადაიხადა საფასური 302 ლარის ოდენობით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით გ. ბ-ის საჩივარი №ბდ96448 საჯარიმო ქვითარის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩევემ დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა 2011 წლის 31 ოქტომბერს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №... დადგენილებით გ. ბ-ს აეკრძალა მართვის უფლება 24 თვის ვადით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 21 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

#### **სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:**

2011 წლის 11 აგვისტოს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ გ. ბ-მა მისი მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომანქანა გადაიყვანა შემთხვევის ადგილიდან და მიაფარა თვალთახედვის არქს. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟს, ადგილზე გამოცხადებისას ავტომანქანა შემთხვევის ადგილის სიახლოეს არ შეუნიშნავს.

#### **მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება:**

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოძრაობის წესების დარღვევის არარსებობისა და აგრეთვე – სატვირთო ავტომანქანის თვალთახედვის არქში დატოვების თაობაზე მოსარჩელის ახსნა-განმარტება და განმარტა, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს მიზანმიმართული ყურადღება ახასიათებს, რაც პროფესიული საქმიანობის შინაარსით, საკუთარი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებით არის განპირობებული. თვითმხილველ მოწმეთა თვალსაზრისით ამ ჯგუფის მიერ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღება უკავშირდება მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ისინი ასრულებენ გარკვეულ გარემოებებზე, მოქმედებებზე, ობიექტებზე, ადამიანებზე გაცნობიერებულად მიზანმიმართული ყურადღების მეშვეობით. ასეთი თვითმხილველის აღქმის მაღალი ხარისხი, ჩეკენების სისრულე, უკავშირდება იმას, რომ მუშავმა წინასწარ, თუნდაც ზოგადად იცის აღსაქმელი სიტუაციის, მოვლენის არსი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, იმ პირის ახსნა-განმარტება, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შესაძლოა ნაკარნახევი იყოს დარღვევის დაფარვის, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის აცილების ან სხვა ქვენაგრძნობით, ამიტომ ასეთი პირის ჩვენება ყოველთვის უნდა შეჯერდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან.

### **სამართლებრივი შეფასება / კვალიფიკაცია/:**

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტისა „დ“ ქვეპუნქტის თანახმად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლი ვალდებულია სავალი ნაწილის გათავისუფლების, დაშავებულის საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანის აუცილებლობის შემთხვევაში, მოწმეთა თანდასწრებით, წინასწარ დააფიქსიროს სატრანსპორტო საშუალების მდგრამარეობა, შემთხვევასთან დაკავშირებული ნაკვალევი და საგნები, მიიღოს ყველა საჭირო ზომა მათი შენარჩუნებისა და შემთხვევის ადგილის შემოსაზღვრისათვის. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ვალდებულება მოსარჩელეს არ შეუსრულება, ისე გადაიყვანა მისი მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის თვალთახედვის არედან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით. ზემოთ მითითებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ქმნის ამ სამართალდარღვევის შემადგენლობას, შესაბამისად – გასაჩივრებული საჯარიმო ქვითრით ზუსტად, კანონის საფუძველზე დაფიქსირდა ჩადენილი სამართალდარღვევა და სამშართველოც იხილავდა რა საჩივარს კანონიერ საჯარიმო ქვითართან დაკავშირებით, მოკლებული იყო შესაძლებლობას – გამოეცა 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლის შენიშვნის 1-ლი პუნქტის თანახმად ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები-

სათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 11-ლი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით; 290-ე მუხლის 11-ლი ნაწილის თანახმად ამ კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას დამრღვევს უფლება აქვს დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლიდან ოცდაათ დღეში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას დამრღვევს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ვადით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალების (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის) მართვის უფლება. 290-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან ოცდაათ დღეში. სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სამართალდამრღვევმა 123-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა საურავთან ერთად უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის შედგენიდან 60 დღის ვადაში. კონკრეტულ შემთხვევაში კი დადგენილია, რომ გ. ბ-ს აღნიშნულ ვადაში ჯარიმა და საურავი არ გადაუხდია.

რაც შეეხება მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურებას, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან, სასამართლოს მიერ კანონიერადაა მიჩნეული გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მოსარჩელის მიმართ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების განხორციელების ფაქტი არ დგინდება, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში უსაფუძვლოა.

#### **აპელანტი: გ. ბ-ი**

მოწინააღმდეგებ მხარე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამართველო

#### **აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტ გ. ბ-ის წარმომადგენლის განმარ-

ტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატ-რულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთი-ანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №... საჯარიმო ქვითარში დაჯარიმების საფუძვლად მითითებული მიზეზი და სამართლებრივ საფუძვლად მითითებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლი ურ-თიერთნინაღმდეგობაშია, კერძოდ, აპელანტის განმარტებით, ოქმში მითითებულია, რომ თითქოს მან ვერ უზრუნველყო სა-გაბარიტო სიმაღლის უსაფრთხოება და ამიტომ შეეჯახა ჰაერ-ში გამავალ მიღს. უდავოა, რომ მისი მართვის ქვეშ მყოფი ავ-ტომანქანის სიმაღლე ზუსტად თავსდება კანონით დადგენილ პარამეტრებში და იგი არ აღემატება 4 მ-ს, ხოლო ჰაერში გამა-ვალი მიღი, რომლის სიმაღლე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 5 მეტრისა, ნორმიდან დაშვებულია 108 სმ-ით. აპელანტის გან-მარტებით, აღნიშნული მიღი ქუჩის გადაკვეთაზე ჰაერში სა-ერთოდ არ უნდა გატარებულიყო და პროექტის შესაბამისად უნ-და გადიოდეს მიწის ქვეშ გრუნტში 0.9 მ სიღრმეზე. აქედან გა-მომდინარე, აპელანტის განმარტებით, საპატრულო პოლიციის არგუმენტები უსაფუძვლოა, ამასთან, დავას არ იწვევს ის ფაქ-ტი, რომ გაზსადენის მიღის დაზიანების შედეგად აფეთქების თავიდან აცილების მიზნით, მან სატრანსპორტო სამუალება შემთხვევის ადგილიდან გაიყვანა, აღნიშნულის აუცილებლო-ბაზე მიუთითა თავად ჰატრულ ინსპექტორმა საქალაქო სასა-მართლოს 2012 წლის 7 მარტის სასამართლოს სხდომაზეც.

დავას არ იწვევს ის გარემოებაც, რომ მანქანის გადაყვანის შემდეგ თვითონ დაბრუნდა შემთხვევის ადგილას და გამოიძა-სა საპატრულო პოლიცია, რომელსაც სადაცოდ არ გაუხდია მიღ-თან ავტოკონტრინერის შეხების ადგილის პოზიცია. აპელანტის-თვის გაუგებარია თუ რატომ გახდა მისი ბრალეულობის გარე-მოებად შემთხვევის ადგილის მოუნიშვნელობა იმ დროს, რო-დესაც ეს ადგილი ანუ შეხების კონტაქტურობა დაფიქსირდა 392 სმ სიმაღლეზე.

აპელანტის შეფასებით, არასწორია საქალაქო სასამართლოს შეფასება, რომ მან დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა ვადის დარღვევით, ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მისი შუამდგომლობა ინდივი-დუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების ქ. თბი-ლისის და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილების აღსრულებისა და №... საჯარიმო ქვითრით 300 ლარის გადახდის აღსრულების შე-ჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა, აღნიშნული განჩინება ჩა-

ბარდა 2011 წლის 24 ოქტომბერს, რომელშიც მითითებული იყო, რომ მას განჩინების გასაჩივრება კერძო საჩივრით შეეძლო 12 დღის ვადაში ანუ 2011 წლის 4 ნოემბრამდე, მან არ გამოიყენა გასაჩივრების უფლება და 2011 წლის 31 ოქტომბერს, 2011 წლის 4 ნოემბრამდე, ვადაზე ადრე გადაიხადა დაკისრებული ჯარიმა – 300 ლარი.

**სამართლებრივი:** აპელანტის განმარტებით, საქალაქო სა-სამართლომ არ გაამახვილა ყურადღება საქართველოს ადმი-ნისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსის 270-ე და 275-ე მუხლებზე, რასაც შედეგად მოჰყვა გ. ბ-ისათვის მართვის უფ-ლების აკრძალვა და დამატებით 550 ლარის საურავის დაკისრე-ბა.

მოწინააღმდეგე მხარემ – შსს საპატრულო პოლიციის დე-პარტამენტმა სააპელაციო შესაგებლით სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მიუთითა, რომ სადავო ოქმი №... შედგენილია კანონ-მდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს სააპელაციო სა-ჩივრის დაკამაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზო-ლუციო/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის განჩინებით გ. ბ-ის საა-პელაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება.

**აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპე-ლაციო სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტივე-ბი, პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათ-ვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

**გასაჩივრებული განჩინების დასკვნების გაზიარების თა-ობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპე-ლაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესა-ხებ და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლოა და შესაბამისად, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებ-

რიცი საფუძვლები. მოსარჩელის მიერ ვერც საპელაციო სასა-მართლოს სხდომაზე იქნა ნარმოდგენილი რაიმე მტკიცებულე-ბა, იმ გარემოებების დასადგენად, რომ სადავო ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულ იქნა კანონის მოთ-ხოვნათა ისეთი დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, შეიძლებოდა გამხდა-რიყო მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

**კასატორი:** გ. ბ-ი

**მოწინააღმდეგე მხარე:** საქართველოს შინაგან საქმეთა სა-მინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართვე-ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დე-პარტამენტის ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამ-მართველო

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის საპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილება.

**კასაციის მოტივები:**

**სამართლებრივი:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით გადაწყვეტილე-ბა იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული. გადაწ-ყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სა-მართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

**მატერიალური:** კასატორის მიმართ გამოიყენეს საქართვე-ლოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლითაც დადგენილია პასუხისმგებ-ლობა სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევისა დაგილის მიტოვების გამო, რასაც მისი მხრიდან ად-გილი არ ჰქონია. კასატორის განმარტებით, სატრანსპორტო სა-შუალების სახიფათო ადგილიდან გაყვანა სრულებით არ ნიშ-ნავს შემთხვევის ადგილის მიტოვებას. საპელაციო სასამარ-თლომ არასწორად გამოიყენა ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევათა კოდექსის 123-ე მუხლი.

კასატორის მოსაზრებით, მას ბრალი დასდეს შემთხვევის ადგილის არ მონიშვნის გამო, რაც საერთოდ არ არის დაფიქსი-რებული ოქმში და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლით საერთოდ არ არის დას-ჯადი, ამასთან, პოლიციის სამმართველომ, დეპარტამენტმა და სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ადმინისტრაციულ-სა-მართალდარღვევათა კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და უკანონოდ დაარიცხეს საურავი ჯარიმის გადაუხდელობის გა-

მო, ამასთანავე აუკრძალეს მართვის უფლება ორი წლის ვადით.  
**საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-  
საშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:** (საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 პ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის გ. ბ-ის  
საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული  
საპროცესო კოდექსის 34.3 წანილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალის-  
წინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაო-  
ბაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად როგორც ასოლუტური  
კასაცია.

**მოწინააღმდეგე მხარემ – შსს საპატრულო პოლიციის დე-  
პარტამენტმა და ქ. ტბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი  
სამმართველომ საკასაციო საჩივარი არ ცნეს და მოითხოვეს კა-  
სატორისათვის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის  
თქმა.**

### **სამოტივაციო წანილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, სა-  
კასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა ახ-  
სნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების და-  
საბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამარ-  
თლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ბ-ის  
საკასაციო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს; გაუქმდეს ქ. ტბი-  
ლისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
პალატის 2012 წლის 10 მაისის განჩინება და საკასაციო სასა-  
მართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომ-  
ლითაც გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს, კერძოდ:

ბათილად იქნეს ცნობილი: ა) საქართველოს შინაგან საქმე-  
თა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბი-  
ლისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011  
წლის 11 აგვისტოს №... საჯარიმო ქვითარი, მისი გამოცემის მო-  
მენტიდან; ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სა-  
პატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 9 სექტემბრის  
№... გადაწყვეტილება, მისი გამოცემის მომენტიდან; გ) საქარ-  
თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცი-  
იის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატ-  
რულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემ-  
ბრის №... დადგენილება, მისი გამოცემის მომენტიდან; დ) სა-  
ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლი-  
ციის დეპარტამენტის 2011 წლის 21 ნოემბრის №... გადაწყვე-  
ტილება, მისი გამოცემის მომენტიდან; საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს დაეკისროს გ. ბ-ის სასარგებლოდ ზიანის სახით – 302 ლარის გადახდა; გ. ბ-ს დაუბრუნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უკანონო ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე დაკისრებული ჯარიმა-საურავის სახით გადახდილი – 550 ლარი; მოპასუხებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის გ. ბ-ის მიერ სამართალწარმოებისას გალებული სასამართლო ხარჯების –  $50+50+50+100+150=400$  ლარის (სახელმწიფო ბაჟის სახით) გადახდა მის სასარგებლოდ; მოპასუხებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის გ. ბ-ის მიერ სამართალწარმოებისას გაღებული სასამართლოს გარეშე ხარჯების – 690 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის მოტივი – განსახილველ დავაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევის – საგზაო-სატრასპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვების კვალიფიკაციის კანონიერების საკითხი, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შექმნა აბსოლუტური კასაციის წანამძღვრები, არის საგულისხმი და განსაკუთრებული, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს რამდენად კანონშესაბამისად ხდება საპოლიციო ორგანოების მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამოვლენისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დადგენა, შემთხვევის სამართალდამრღვევად მიჩნევა და ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც საპოლიციო ორგანოების, მოხელე პოლიციელების მმართველობითი საქმიანობისათვის, ასევე საგზაო-სატრანსპორტო ურთიერთობათა მონაწილეთათვის, რამდენადაც საპოლიციო სამართალი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ ნაწილს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, პროცედურებსა და წესებს, ადგენს ქმედების ხასიათის მიხედვით დიფერენცირებულ შეფასებას და განსაზღვრავს პასუხისმგებლობის სახეთა სისტემას. ამდე-

ნად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაგება-გა-მოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგა-დოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგ-ზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სწორი გამოკვლევა და კვა-ლიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერია-ლური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფას-თან, მმართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფ-ლების პრინციპების განხორციელებასთან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმინის-ტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხო-ლო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამარ-თლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით გათვალისწი-ნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება, კვალიფიკა-ცია მოითხოვს ნორმათშემთარდებული ადმინისტრაციული ორ-განოების, ასევე კონკრეტული მოხელე-პოლიციელების მხრი-დან მთელ რიგ პროცედურული მოქმედებების ადეკვატურ შეს-რულებას, სპეციალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატა-რებას საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გა-მოკვლევა-დადგენის გზით და კანონშესაბამის კვალიფიკაცი-ას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გა-დაწყეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ და-არღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2 და 394 „ე“ მუხლების მოთხოვნები; სა-სამართლომ დავა გადაწყვიტა ისე, რომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, სა-დაგო სამართალურთიერთობას არასწორად შეუფარდა სამარ-თლის ნორმა, სასამართლო დასკვნა არ გამომდინარეობს საქ-მეში შეკრებილი მტკიცებულებების ობიექტური ანალიზისა და შეფასებიდან. აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელო-ბებში არ არის გაქარწყლებული აპელაციის მოტივები.

სადაც სამართალურთიერთობა წარმოიშვა საქართველოს ად-მინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში, საპატრულო პოლიციის – ინსპექტორსა და მძღოლს (კასატორ გ. ბ-ს) შორის.

დავის გადაწყვეტილისას სასამართლომ გამოიყენა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 20.7 მუხლი, თუმცა კანონის მუხლის შინაარსის ციტირება არ ნიშნავს მისადაგებას სადაც სამართალურთიერთობისადმი, რამდენადაც საპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და დაუსაბუთებია განსახილელი დავის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა-შეფასებისას მითითებული მუხლით გათვალისწინებული რომელი მოთხოვნა უგულებელყო მოსარჩელემ, სადაც აქტით მოხდენილი კვალიფიკაცია გამომდინარეობდა თუ არა ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებების ობიექტური გამოკვლევისა და შეფასებიდან.

აგრეთვე, სასამართლომ ისე მიიჩნია კანონიერად გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №... საჯარიმ ქვითარი, რომ არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1. მუხლის შეფარდების კანონიერება.

სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია აპელაციის მოტივებზე, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნეული ქმედება – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, იყო თუ არა სახეზე, ასევე, გ. ბ-ის მოქმედებაში იყო თუ არა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ მისცა შეფასება თბილისის საქალაქო სასამართლოს განზოგადებულ მსჯელობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შეფასებისას სამართალდამრღვევისა და პოლიციის მოხელის ჩვენებების საადონობასთან დაკავშირებით შესაბამისად, ბუნდოვანია სააპელაციო სასამართლო ეთანხმება თუ არა მას.

განსახილებულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასება-განმარტების საგანს ნარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ქმედების – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, რომელიც განეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კატეგორიას და მისი ჩადენა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემომითითებული ნორმის ჩამოყალიბებისას, კანონმდებელმა არ განსაზღვრა თუ

რა ფაქტობრივი გარემოებები, ან მათი ერთობლიობა ჩაითვლება ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციისათვის, რაც უდავოდ საკანონმდებლო ხარვეზად უნდა შეფასდეს. ასევე, ამ საკითხს არ აწესრიგებს არც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც შეავსებდა ხარვეზს. ამგვარ ვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმათშემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანოების პრატიკის, თუ როგორ გამოიყენებენ აღნიშნულ ნორმას მმართველობითი ღონისძიებების განხორციელებისას. ასევე, ქვეყნაში საჯარო წესრიგისა და სამართლიანი მმართველობის უზრუნველყოფისათვის უმნიშვნელოვანესია სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელება მართლმაჯულების განმხორციელებელი სასამართლო ორგანოების მხრიდან, რომ დაცულ იქნეს კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, რათა მიღწულ იქნეს მმართველობითი სამართლის უმთავრესი მიზანი: ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყონ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობისა და საჯარო ინტერესების დაცვა.

### **საქმის მასალების მიხედვით, ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია:**

2011 წლის 11 აგვისტოს გ. ბ-ი, კუთვნილი „მაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანის (სახელმწიფო ნომრით ...., მოსაბმელი სახელმწიფო ნომრით ...) მართვისას, ქ. თბილისში, დილომი-10-ის საავტომობილო გზაზე, ავტომანქანის მისაბმელზე განთავსებული კონტეინერის ზედაპირით მოედო სიმაღლეზე გამავალ გაზგამტარ მილს, რის შედეგადაც მილი გატყდა. შეჯახების შემდეგ, ვინაიდან გატეხილი მილიდან გამოდიოდა გაზი, აფეთქების თავიდან ასაცილებლად მძლოლმა ავტომანქანა გადაიყვანა შემთხვევის ადგილიდან მოშორებით, ისე რომ არ მოუნიშნავს ავტომანქანის მდებარეობა შეჯახების შემდეგ.

მოსარჩევის გამოძახების საფუძველზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. პატრულ-ინსპექტორმა გ. თ-მა გ. ბ-ის მიმართ შეადგინა საჯარიმო ქვითარი №..., საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე და დააჯარიმა მოსარჩევ 300 ლარით.

ამავდროულად, ავტომანქანა გადაიყვანილ იქნა შპს „...“ სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე, სადაც იმყოფებოდა 2011 წლის 27 აგვისტომდე; ავტოსადგომიდან გამოყვანისას გ. ბ-მა გადაიხადა საფასური 302 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა 2011 წლის 31 ოქტომბერს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №... დადგენილებით გ. ბ-ს აერძოლა მართვის უფლება 24 თვის ვადით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290.1 მუხლით გათვალისწინებული საურავისა და საჯარიმო თანხის გადახდის ვადის დარღვევის მოტივით.

აღნიშნულზე გ. ბ-მა ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, რომლის 2011 წლის 21 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ბ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის სიმაღლე ზუსტად თავსდება კანონით დადგენილ პარამეტრებში და იგი არ აღემატება 4 მ-ს, ხოლო ჰაერში გამავალი მილი, რომლის სიმაღლე უნდა ყოფილიყო არა-ნაკლებ 5 მეტრისა, ნორმიდან დაშვებულია 108 სმ-ით.

მოსარჩელემ სადაც გახადა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, მიზნია, რომ ოქმში აღწერილი ფაქტორივი გარეშემობები, კერძოდ, საჯარიმო ქვითარები დაჯარიმების საფუძვლად მითითებული მიზეზი და სამართლებრივ საფუძვლად მითითებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლი ურთიერთინაალმდეგობაშია. ოქმში მითითებული რომ თითქოს მან ვერ უზრუნველყო საგაბარიტო სიმაღლის უსაფრთხოება და ამიტომ შეეჯახა ჰამავალ მილს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას არ განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე საქმის განხილვისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-626-596(კ-07) ზ. ნ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – თბილისის საპატრულო პოლიციის მიმართ, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენისა და ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების კანონიერებასთან მიმართებით, კერძოდ:

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრა-

ციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახ-დელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წე-სით შეიძლება განესაზღვროს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევის ჩამდენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაცი-ულ სამართალდარღვევათა კოდექსი თავისი იურიდიული ბუ-ნებით რეპრესიული ტიპის საკანონმდებლო აქტია, აღნიშნუ-ლისაგან პრინციპულად განსხვავებული ანუ ადმინისტრაციას-თან მიმართებაში მოქალაქეთა უფლებებზე დაფუძნებულ კა-ნონმდებლობას წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კო-დექსი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორ-განობის მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, სა-ჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს განსაზღვრულ ფორმა-ლურ წესს ადმინისტრაციული ორგანოსათვის, რომელიც დაცუ-ლი უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-მოცემისას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე ადმი-ნისტრაციულ სამართლებრივი აქტების გამოცემისას მათი სა-მართლებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება ად-მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზ-ღვრული პროცედურა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე ნორ-მატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საქართვე-ლოს შეს მინისტრის 2005 წლის 4 აგვისტოს №792 ბრძანებით დამტკიცებულ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქ-მის, საჯარიმო ქვითრისა და სატრანსპორტო საშუალების მის-თვის დროებითი ნებართვის ფორმირების დამტკიცების, მათ შეესებასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქ-მის განმხილველ ორგანოში წარდგენის წესის შესახებ“ მე-3 მუხლი განსაზღვრავს საჯარიმო ქვითრის შევსების შესაძლებ-ლობას და წესს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კო-დექსით გათვალისწინებულ იმ შემთხვევებში, როცა კოდექსის შესაბამისი მუხლით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ით-ვალისწინებს ჯარიმას, სამართალდარღვევა არ საჭიროებს ად-მინისტრაციულ გამოკვლევას, ხოლო საამისოდ უფლებამოსი-ლი პირი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევათა საქმეს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს სახდელს, მიუხედავად იმისა, დამრღვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოიყენე-ბულ პასუხისმგებლობის ზომას. ამავე ბრძანების მე-5 მუხლის

მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია სამართალ-დარღვევის უფლება, სურვილის შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის I ნაწილს დაურთოს ახსნა-განმარტება და შენიშვნები, სადაც კეთდება სათანადო ჩანაწერი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობის საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება სხვა მმართველობით სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებისაგან. უპირველესად, მისი მომზადების და გამოცემის პროცედურის თვალსაზრისით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის მიხედვით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა პასუხობდეს ამავე კოდექსით განსაზღვრულ ადმინისტრაციული წარმოებისათვის (შესაბამისი სახით) დადგენილ წესს. კოდექსით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შეიცავს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს ადმინისტრაციული სანქციების დადებასთან დაკავშირებით. ამდენად, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონმდებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსებში ადმინისტრაციული წარმოების განსხვავებულ სახეს, განსხვავებულ პროცედურას ამკვიდრებს, მმართველობითი ფუნქციის სპეციფიკიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინის მიხედვით ყოველი პროცესუალური კანონმდებლობა აირეკლავს და ითვალისწინებს შესაბამისი დარგის მატერიალური კანონმდებლობის ინსტიტუტებს, პრინციპებს, მიზანს. ადმინისტრაციულ მართლმსაჯულების მეშვეობით პირი ახდენს თავის სუბიექტური უფლების სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის რეალიზაციას, ხოლო სასამართლო ამონტებს ადმინისტრაციის მოქმედების კანონიერებას.

ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებულ ურთიერთო-

ბებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №... საჯარიშვილი ქვითარი, როგორც კანონსაწინააღმდეგო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1. მუხლის შესაბამისად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, შემდეგ გარემოებათა გამო: 1. სადაც აქტში აღნერილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ოქმში მითითებული, რომ „გ. ბ-მა ვერ უზრუნველყო საგაბარიტო სიმაღლის უსაფრთხოება და შეეჯახა ჰაერში გამავალ მიღს“, არ ჰპოვებს დადასტურებას საქმის მასალებით, პირიქით, დადგენილია, რომ გ. ბ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის სიმაღლე ზუსტად თავსდება კანონით დადგენილ პარამეტრებში და იგი არ აღემატება 4 მ-ს, ხოლო ჰაერში გამავალი გაზის მიღი, რომლის სიმაღლე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების მიხედვით უნდა ყოფილიყო არანაკლებ 5 მეტრისა, ნორმიდან დაშვებულია 108 სმ-ით. ამდენად, აქტში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოება არ ემყარება შემთხვევის ადგილზე საქმის გარემოებების ყოველმხრივ და ობიექტური გამოკვლევას, დადგენასა და შეფასებას, შესაბამისად, ნორმათშეფარდების ფუნქცია განხორციელებულია სრულიად კანონსაწინააღმდეგოდ, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებასთან მას საერთო არა აქვს.

2. აქტში აღნერილი მეორე ფაქტობრივი გარემოება – „მძღოლმა ავტომანქანა შეჯახების ადგილიდან თვალთახედვიდან ყავდა გაყავანილი“, რაც შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1. მუხლის შეფარდების საფუძვლად, ექვემდებარება სამართლებრივ შეფასებას, თუ რამდენად კანონიერად დაკვალიფიცირდა კონკრეტული ქმედება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის, რომელშიც დეფინირებულია

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, განმარტავს: ქმედება, რომლითაც გამოხატულია პოზიტიური თუ ნეგატიური ფორმით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) კვალიფიცირდება თუ სახეზეა შემდეგი ერთობლიობა: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები:

1. ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა /მუხლი 13./;
2. აუცილებელი მოგერიება /მუხლი 18./;
3. უკადურესი აუცილებლობა /მუხლი 19./;
4. შეურაცხადობა /მუხლი 20./.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით განისაზღვრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე განხილვის წესი, კერძოდ: „ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, რაც გულისხმობს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამორკვევას, მის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, ადგილზე ადმინისტრაციული სახდელის დადებას და საჯარიმ ქვითრის ჩაბარებას დამრღვევისათვის“.

ადმინისტრაციული სახდელის შემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის გამოვლენისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დადგენა, შემთხვევის მონაწილის სამართალდამრღვევად მიჩნევა, ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მოხდენა და სამართალდამრღვევისთვის სანქციის შეფარდება აუცილებლად მოიცავს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების, ისევე, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებათა გამოკვლევა-დადგენასა და შეფასებას. სწორედ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობის პირობებში შეიძლება პირს შეფარდოს ადმინისტრაციული სახდელი, რომლის დადების ზოგადი წესების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდე-

ლი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით /მუხლი 33. 1/.

ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სახდელის და-დებისას შეფასების საგანს წარმოადგენს – ჩადენილი სამარ-თალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრა-ლის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შე-მამსუბუქებელი და დამამტკიცებელი გარემოებანი.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათ-ვის სახდელის დადება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერების პრინციპის ზედმინევნით დაცვის საფუძველზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლა-მენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილე-ბის განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამო-სილების განხორციელება კანონის საფუძველზე და მის შესა-ბამისად, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ გა-ნახორციელოს რაიმე მოქმედება.

აღნიშნული პრინციპი პირდაპირ გამომდინარეობს სამარ-თლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, რომელიც პირველ რიგ-ში გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას – სამართლებ-რივი ნორმის სიცხადის და სამართლებრივი შედეგების განვირე-ტადობის უზრუნველყოფის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, სადაც აქტში გამოყენებული სამართლებრივი ნორმა არ გან-საზღვრავს თუ რა ფაქტობრივი გარემოებები, ან მათი ერთობ-ლიობა ჩაითვლება ქმედების სამართალდარღვევად კვალიფი-კაციისათვის, რაც პრობლემატურს ხდის მისი შეფარდების კა-ნონიერებასა და სამართლიანობას.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-906-192-(კ-05) დ. ა-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – სა-ქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებ-სა და დასკვნებს, კერძოდ, „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ ნდობას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს კანონის ნორმების სიცხადეს. კანონმდებლო-

ბის „არაწინააღმდეგობრიობის“ პრინციპი კი განაპირობებს კანონმდებლობას, როგორც ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა წინააღმდეგობისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისე შეხამების ვალდებულებას, რომ ესა თუ ის მოქალაქე არ აღმოჩნდეს დაუცველი ურთიერთსაბაზინააღმდეგო მოვალეობისაგან. კანონშემოქმედებით საქმიანობის განხორციელებისას კანონმდებელი შეზღუდულია ნორმატიული, სოციალური, ლოგიკური, ენობრივი და სხვა ხასიათის შეზღუდვებით, კერძოდ, კანონმდებლის ნორმატიული შეზღუდვა კონსტიტუციიდან და სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციით დაცულ ნორმათა კომპლექსიდან გამომდინარეობს“.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე ეყრდნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – საქმეზე მ. ნ-ე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში №2/2-389 ჩამოყალიბებულ განმარტებებს:

„საკონსტიტუციო სასამართლომ ხარისხის მიხედვითაც უნდა შეაფასოს სადაცო ნორმები. თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადაცო ნორმა უხარისხოა, დადგინდება კონკრეტული უფლების დარღვევაც. ხარისხის თვალსაზრისით კანონს წაეყენება გარკვეული მოთხოვნები – ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, განჭვრეტადი, არ იძლეოდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას“.

„დარღვეულია სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და გულისხმობს, რომ ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი. ადამიანს უნდა შეეძლოს ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა. საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციის სხვადასხვა ნორმებთან სადაცო ნორმების შესაბამისობის ანალიზისას, უნდა დაადგინოს, ხომ არ გამოუწვევია უფლების დარღვევა ნორმის განუსაზღვრელობას“.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ქმედების – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, სამართალდარღვევად დადგენა ვერ პასუხობს სამართლის ნორმის სიცხადის, განჭვრეტადობის, განსაზღვრუ-

ლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის სტანდარტს, რის გამოც ნორმის გამოყენება-განმარტება ნორმათშემფარდებელი ორგანოების მხრიდან შესაძლებელია უკიდურესად ფართო და გაუმართლებელი დისკრეციის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. აღნიშნულის პრევენციისთვის აუცილებელია სასამართლო ორგანოებმა სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის უფლებამოსილებაზე დაყრდნობით დაადგინონ ნორმის ლოგიკური გამოყენება-განმარტების ფარგლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ქმედების – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაბილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, განხილული უნდა იქნეს საგზაო-სატრანსპორტო კანონმდებლობის მოთხოვნების კონტექსტში, კერძოდ, 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლით დადგენილია მძღოლის ზოგადი მოვალეობები, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის ქცევის სტანდარტი განსაზღვრულია ამავე მუხლის მე-7-ე პუნქტით, რომლის მიხედვით: ა) დაუყოვნებლივ გააჩეროს (არ დაძრას ადგილიდან) სატრანსპორტო საშუალება, ჩართოს საავარიო მაშუქი სიგნალიზაცია.

დ) სავალი ნაწილის გათავისუფლების, დაშავებულის საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანის აუცილებლობის შემთხვევაში, მოწმეთა თანადასწრებით, წინასწარ დააფიქსიროს სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა, შემთხვევასთან დაკავშირებული ნაკვალევი და საგნები, მიიღოს კველა საჭირო ზომა მათი შენარჩუნებისა და შემთხვევის ადგილის შემოსაზღვრისათვის.

აღსანიშნავია, რომ არც მოცემული ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვების კვალიფიკაციის განმსაზღვრელ გარემოებებს. ამგვარ ვითარებაში, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადების, ასევე, კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-7-ე პუნქტის ა) ქვეპუნქტის მძღოლისთვის შეფარდება უნდა გამომდინარეობდეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნებიდან და ეფუძნებოდეს ობიექტურად გამოკვლეულ და დაგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-7-ე პუნქტის ა) და დ) ქვეპუნქტებით –დადგენილი მოთხოვნები – მიზნად

ისახავს და უზრუნველყოფს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტების ზუსტ და უტყუარად დაფიქსირებას, მონაწილეთა ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრას, დაშავებულის დახმარებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმებით კანონმდებელი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლს, ავალებს რა შემთხვევის ადგილის ფაქტების ფიქსაციას, განიხილავს მას, როგორც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ობიექტური გამოკვლევისა და კვალიფიკაციის კანონიერების უზრუნველყოფის კეთილსიზდისიერ თანამონაწილედ, რაც საპოლიციო ორგანოების საქმიანობისა და საჯარო წესრიგისა და კანონიერების დაცვაში ხელშეწყობას მოიცავს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს საგამონაკლისო, ატიპიურ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის არსებობას და მათ მიმართ იდენტური მიდგომები შესაძლებელია გაუმართლებელი აღმოჩნდეს.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ ამგვარ არაორდინაციურ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ხოლო პოლიციის მოხელის სტანდარტულმა მიდგომამ, საბოლოოდ უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ქმედების – მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კატეგორიად უნდა დაკვალიფიცირდეს მძღოლის მოქმედების არაკეთილსიზნდისიერების, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ობიექტური გამოკვლევისა და კვალიფიკაციის კანონიერების უზრუნველყოფის, როგორც საჯარო ფუნქციის განხორციელებაში თანამონაწილეობის, თავის არიდების ობიექტურად დადასტურების პირობებში. მძღოლის მოქმედების შეფასებისას შესწავლილი და გამოკვლეული უნდა იქნეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის ფაქტები. რა ამოძრავებდა მძღოლს შემთხვევის ადგილის მიტოვებისას, ჰქონდა თუ არა ადგილი იმგვარ იმუტიურ გარემოებას, რა შემთხვევაშიც შეიძლება გამოირიცხოს მისი ბრალეულობის საკითხი, რამდენადაც პირის ბრალის გარეშე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემადგენლობა სახეზე არ არის.

მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა ისე შეაფასეს კანონიერად საპოლიციო ორგანოს მიერ გ. ბ-ის ადმინისტრაციულ სამარ-თალდამრღვევად მიჩნევის საკითხი, რომ

ვერ დაასაბუთეს, თუ რაში გამოიხატა მისი ბრალეულობა, ობიექტურად არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული შემთხვევის ადგილზე არსებული ვითარება, ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, რა მიზეზებმა განაპირობა მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაყვანა. საქმის მასალებით უტყუარადა დადგენილი, რომ მძღოლს გ. ბ-ს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია, იგი დაელოდა პოლიციის მისვლას ადგილზე. სიზუსტისთვის უნდა აღინიშნოს, რომ „ადგილი დატოვა“ სატრანსპორტო საშუალებამ მეორე (სათადარიგო) მძღოლის მეშვეობით. სასამართლოებს არ შეუფასებიათ, რომ გ. ბ-ის მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაყვანა იყო თუ არა გამოწვეული მომეტებული საფრთხის – ბუნებრივი გაზის გაჟონვის შესაძლო შედეგების (მაგ, აალება, აფეთქება და სხვა მსგავსი) თავიდან ასაცილებლად. შეეძლო თუ არა მძღოლს ამგვარ ექსტრემალურ ვითარებაში ობიექტურად განესაზღვრა მომეტებული საფრთხის მასშტაბი, მისი გადაწყვეტილება – განერიდებინა მატერიალური ქონება, სატრანსპორტო საშუალება მისი განადგურების, დაზიანების რისკის ზონიდან, გამომდინარეობდა მატერიალური ზიანის თავიდან აცილების, თუ შემთხვევის ადგილის ფაქტობრივი გარემოებების შეცვლის მიზნიდან. მძღოლის მოქმედების მიზნის განსაზღვრა უნდა დაემყაროს კონკრეტული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონანილის როლის გამორკვევასა და შეფასებას. დადასტურებულია, რომ შეჯახება გამოიწვია არა მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების, არამედ, ჰაერში გამავალი გაზის მილის სიმაღლის ნორმატიულად – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით განსაზღვრული სტრუქტურის დარღვევამ.

საკავაციო სასამართლო განმარტავს, რომ 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის ა)ქვეპუნქტის დანაწესის – მძღოლის ვალდებულების – დაუყოვნებლივ გააჩიროს (არ დაძრას ადგილიდან) სატრანსპორტო საშუალება, მიზანს წარმოადგენს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტების ზუსტი და უტყუარად დაფიქსირება, მონაწილეთა ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრა. მაშინ, როცა განსახილველი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტების დაფიქსირებისთვის აფტო-სატრანსპორტო საშუალების გადაყვანა არ წარმოადგენდა ხელშემშენებლის ან დამაბრკოლებელ გარემოებას, რამდენადაც შეჯახება მოხდა არა სხვა ავტო-სატრანსპორტო საშუალებას-

თან, არამედ, ჰაერში გამავალი გაზის მილთან. ასეთ ვითარება-ში, მოხელე-პოლიციელის გამოსაკვლევ ფაქტებს სამართალ-დამრღვევის გამოსავლენად წარმოადგენს მილის და ავტო-სატ-რანსპორტო საშუალების სიმაღლის აზომვა მათი კანონით გან-საზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აღნიშნული პროცედურული მოქმედება ფაქტების მოპოვება-გამოკვლევის მეშვეობით, მიუხედავად მძღოლის თხოვნისა, მო-ხელე-პოლიციელს საერთოდ არ შეუსრულებია, სადაც აქტში ამგვარი რამ ასახული არ არის. ამდენად, ამ არასტანდარტული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მიმართ მოხელე პოლიცი-ელმა გამოიყენა სტანდარტული, ორ ან რამდენიმე ავტო-სატ-რანსპორტო საშუალებების შეჯახებისთვის დამახასიათებელი ფაქტების გამოკვლევა-შეფასების მიდგომა, რაც სავსებით ლო-გიყურად არაკანონზომიერი და გაუმართლებელია, არსებითად, თვისობრივად სხვა ტიპის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამოსაკვლევად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადა-დებით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციისათვის პრინციპულია, გაირკვეს ნორმის ფუნქცია, რათა სამართალშე-ფარდების მომენტში სანქციამ შეასრულოს ნორმის შექმნის მი-ზანი.

საკასაციო სასამართლო მითითებული ნორმის ნამდვილი ში-ნაარსის ანალიზიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემ-თხვევის ადგილის მიტოვების სამართალდარღვევად მიჩნევის და მისი სანქცირების დადგენით, კანონმდებელი პასუხობს ად-მინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 1-ლი მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანებს, რომლის მიხედვით ასეთს წარმოადგენს: „მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სა-მართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მო-ქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, მოქალაქე-თა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულე-ბის სულისკვეთებით“.

ავტოსაგზაო-შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემ-თხვევის ადგილის მიტოვება სწორედ რომ ენინააღმდეგება ქვე-ყანაში საჯარო წესრიგს, წარმოადგენს საერთო ცხოვრების წე-სების უპატივცემულობას, ხელს უშლის კანონიერების დაცვა-

სა და განმტკიცებას.

აღნიშნული სამართალდარღვევის კვალიფიკაცია და მისი შეფარდება პირისთვის, შეუძლებელი და შესაბამისად, კანონ-საწინააღმდეგო იქნება პირის ბრალეულობის განსაზღვრის გარეშე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნორმათშემთხვერ-დებელმა ორგანოებმა, კონკრეტულად მოხელე-პოლიციელებ-მა სამართალშეფარდების პროცესში უნდა გამოიკვლიონ და და-ადგინონ შემთხვევის ადგილის მიტოვებისას მძღოლის ბრალე-ულობის (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა) საკითხი. საკასა-ციონ სასამართლო ლოგიკურად მიიჩნევს, რომ მონაბილე მძღო-ლის ქმედება შესაძლებელია ამგვარად დაკვალიფიცირდეს იმ შემთხვევაშიც, როცა თავად ადგილზე რჩება, მაგრამ ავტო-სატ-რასპორტო სამუალებას შეუცვლის ადგილმდებარეობას (გადა-ყენებს, გაარიდებს ან სხვა ამგვარი), თუკი იგი ამას ჩაიდენს ბრალეულად (განზრახ ან გაუფრთხილებლად), ე.ი. როცა ის შეგ-ნებით მოქმედებს/უმოქმედობს ან ქარაფშუტულად ვარაუ-დობს ან არ ითვალისწინებს, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც გაერთვალისწინებინა თავისი მოქმედების/უმოქმედობის მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის ბრალეუ-ლობის საკითხის გამორკვევა, შეფასება, დადგენა უმნიშვნე-ლოვანესი და ურთულესი სამართლებრივი ღონისძიებაა, რის გამოც ნორმათშემთხვერ-დებელი მოხელე პოლიციელები აღჭურ-ვილნი უნდა იყვნენ საფუძვლიანი იურიდიული ცოდნით, მაღალ დონეზე უნდა ფლობდნენ ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლე-ვის, დადგენის ტექნიკას, შესაბამის აუცილებელ სათანადო უნარ-ჩვევებს. აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს საპო-ლიციო ორგანოებმა უნდა გაატარონ მასშტაბური სამართლებ-რივი, ტექნიკური, პროფესიული სწავლების ინტენსიური ღო-ნისძიებები, რათა თავიდან იქნას აცილებული საპოლიციო ფუნ-ქციების არაჯეროვანი შესრულება, რაც ადამიანის უფლებე-ბის დარღვევის მიზეზი ხდება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არც ზემდგომ ადმი-ნისტრაციულ ორგანოს და არც სასამართლოებს საერთოდ არ უმსჯელიათ გ. ბ-ის მოქმედების კვალიფიკაციისას ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-19 მუხლით დად-გენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხვე-ლი გარემოების – უკიდურესი აუცილებლობის თაობაზე, აღ-ნიშნულთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციული საჩივ-რის, ისე სარჩელისა და აპელაციის მოტივები დატოვებულია უპასუხოდ, სამართლებრივი მსჯელობისა და შეფასების გარე-

შე, რითაც დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის, ხოლო სამართალწარმოებისას ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპები და ნორმები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ბ-ის სარჩელი და-საბუთებული და საფუძვლიანია, სადაც აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სპეციფიური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ იქნა მოკვლეული ჯეროვნად. შესაბამისად, საქმის გარემოებების გამოკვლევა ჩატარებულია არასრულყოფილად. სადაც სამართალურთიერთობის-თვის შეფარდებული სამართლის ნორმა არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც სადაც აქტი კანონსაწინააღმდეგოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კანონსაწინააღმდეგოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილება. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტისას დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის მოთხოვნები, რის გამოც იგი ექვემდებარება ბათილად ცნობას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1. მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, კერძოდ, სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარმა არ არ არის მი-

თითებული კონკრეტული გარემოებები, ფაქტები, რომელთა შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზეც გამოიცა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები უგულებელყოფილ იქნა სადავო გადაწყვეტილების გამოცემისას, რამდენადც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, შეეფასებინა და ემსჯელა, ადმინისტრაციული საჩივრის მოტივებზე, ხოლო არგაზიარების პირობებში დასაბუთებულად გაექარნებულებინა მათი იურიდიული უსაფუძვლობა.

საქმეში წარმოდგენილი სადავო აქტში აღნერილია გ. ბ-ის არგუმენტები, მის არაბრალებულობასთან და უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედების თაობაზე, რომელიც ზემდგომმა ორგანომ არ გაიზიარა, თუმცა, რა ლოგიკით და საფუძვლებით, გაუგებარია, ვინაიდან გადაწყვეტილება ასეთ მსჯელობას არ შეიცავს. ასევე, დაუსაბუთებელია მსჯელობა მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მონიშვნასთან დაკავშირებით, რადგან ზემდგომმა ორგანომაც ასევე, სტანდარტული მიდგომა გამოავლინა სრულიად ორიგინალურ შემთხვევასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა-გადაწყვეტისას გააჩნია მეტი სამართლებრივი ვალდებულება, საჩივრის მიუკერძოებლად განხილვის პირობებში ობიექტური შეფასება მისცეს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერებას, გაანალიზოს სადავო საკითხთან მიმართებით დამკეიდრებული პრაქტიკა, უზრუნველყოს მის სისტემაში კანონიერი სამართალშეფარდების სტანდარტის შემუშავება.

საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს მოსარჩელის მოთხოვნას – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №... დადგენილებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 21 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №... საჯარიმო ქვითრის, მისი გამოცემის მომენტიდან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილების, მისი გამოცემის მომენტიდან კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევის და ბათილად ცნობის გამო.

შესაბამისად, დასაბუთებულია მოსარჩელის სხვა მოთხოვნები – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს დაეკისროს მის სასარგებლოდ ზიანის სახით – 302 ლარის გადახდა, ასევე, გ. ბ-ს დაუბრუნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უკანონო ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე დაკისრებული ჯარიმა-საურავის სახით გადახდილი – 550 ლარი, როგორც გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სამართლებრივი შედეგები, მათი გაუქმების გამო.

საკასაციო სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებისთვის აუცილებლად მიაჩნია სამართლებრივი შეფასება მისცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შსჯელობა-სა და დასკვნას, კერძოდ, სასამართლომ არ გაიზიარა მოძრაობის წესების დარღვევის არარსებობისა და აგრეთვე – სატვირთო ავტომანქანის თვალთახედების არეში დატოვების თაობაზე მოსარჩელის ახსნა-განმარტება და განმარტა: „სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს მიზანმიმართული ყურადღება ახასიათებს, რაც პროფესიული საქმიანობის შინაარსით, საკუთარი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებით არის განპირობებული. თვითმხილველ მოწმეთა ამ ჯგუფის მიერ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მი-

ლება უკავშირდება მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, თავიანთი პროფესიულ მოვალეობას ისინი ასრულებენ გარკვეულ გარემოებებზე, მოქმედებებზე, ობიექტებზე, ადამიანებზე გაცნობიერებულად მიზანმიმართული ყურადღების მეშვეობით. ასეთი თვითმხილველის აღქმის მაღალი ხარისხი, ჩვენების სისრულე, უავშირდება იმას, რომ მუშავმა წინასწარ, თუნდაც ზოგადად იცის აღსაქმელი სიტუაციის, მოვლენის არსი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, იმ პირის ახსნა-განმარტება, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შესაძლოა ნაკარნახევი იყოს დარღვევის დაფარვის, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის აცილების ან სხვა ქვენაგრძნობით, ამიტომ ასეთი პირის ჩვენება ყოველთვის უნდა შეჯერდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან“.

აღნიშნული მსჯელობის შეფასებისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1635-1589(კ-08) 6. პ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, რომლითაც საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცა თუ რამდენად კანონიერად და ადეკვატურად მიუსადაგა სააპელაციო სასამართლომ სამართლის კონკრეტული ნორმის განმარტებისას (რამდენადაც სამართლის ამ ნორმის სწორ გაგება-გამოყენებასთან დაკავშირებით ნამსჯელი აქვს საკასაციო სასამართლოს), საკასაციო სასამართლოს ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნები განსახილველი დავის გარემოებებს, ვინაიდან აღნიშნულ საქმეზე საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამგვარი „ხელმძღვანელობა“ ასევე აზარალებს მართლმსაჯულების ავტორიტეტს, ამავდროულად არსებობს ასეთის გამეორების საშიშროებაც და მოითხოვს პრევენციული ზომის (ანუ შესაბამისი განმარტების) მიღებას, რათა ქვემდგომმა სასამართლოებმა უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები მათი გაზიარების შემთხვევაში კვალიფიციურად მიუსადაგონ განსახილველ დავის გარემოებებს. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ: „სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება პრაქტიკულად აგებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების /საქმეზე ზ. ნ-შვილის სარჩელისა გამო, მო-

პასუხე თბილისის საპატრულო პოლიციის მიმართ/ ძირითადი დასკვნების ციტირებაზე, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით განსაზღვრულ მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების თვალსაზრისით.

„პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებებისა და დასკვნებით ხელმძღვანელობა მოითხოვს კასაციის არსის და ამოცანების ღრმა გააზრებას, ვინაიდან კასაცია არის სამართლებრივი საშუალება, რომლის საფუძველზეც ხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება მატერიალურ-სამართლებრივი დარღვევებისა და საპროცესო ხარვეზების /სამართლებრივი და ფაქტორივი შემოწმება/ კუთხით. კასაციის ამოცანებია კონკრეტული დავის ფარგლებში (ცალკეული პირის სამართლებრივი დაცვა, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის (მართლმსაჯულების) უზრუნველყოფა და სამართლის განვითარება.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ კანონმდებელმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წანამდლვრების დადგენით განსაზღვრა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოს როლი და დანიშნულება: კონცეპტუალური სასამართლო, რომლის ფუნქცია გაცილებით მეტია, ვიდრე მართლმსაჯულების და სასამართლო კონტროლის განხორციელება.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარებებისა და მოსამართლეთა 1997 წლის 20 ოქტომბერს ქ. პრაღაში გამართულ შეხვედრაზე თემაზე „უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებებისა და მოვალეობების ურთიერთდამოკიდებულება“ ჩამოყალიბებული დასკვნების მიხედვით: „უზენაესი სასამართლო, რომლის კონკრეტული მიზანია სამართლის დინამიკური, პროგრესირებადი და მაუნიფიცირებელი განმარტების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებაში. ზოგადად, უზენაესი სასამართლოები უზრუნველყოფენ იმას, რომ გარანტირებული იყოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა სხვა მოქალაქეებთან ან ხელისუფლების ორგანოებთან ურიერთობაში“.

უზენაესი სასამართლოს როლზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო ასევე ეყრდნობა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წლის 7 თებერვლის №ლ(95)5 რეკომენდაციას

წევრ სახელმწიფოების მიმართ, რომლის IV თავის მე-7 მუხლის მიხედვით განისაზღვრა, რომ მესამე სასამართლოში საჩივრების წარდგენა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ საქმეებზე, რომელთა გადასინჯვაც დასაშვებია მესამე ინსტანციის მიერ, მაგალითად, ისეთი საქმეები, რომლებმაც შეიძლება განავრცის სამართლი ან ხელი შეუწყოს სამართლის ერთგვაროვან ინტერპრეტაციას, ეს საქმეები შეიძლება აგრეთვე შეიზღუდოს იმ საჩივრებამდე, რომლებმიც საქმე ეხება საყოველთაო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სამართლის ნორმას.

საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი როლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკასაციო საჩივრის საფუძვლების განსაზღვრის წესებით შესაძლებელი უნდა გახდეს მართლმსაჯულების ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან ერთად ერთმანეთთან ჰარმონიაში მოიყვანოს ის მთავარი მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება კასაციას:

– ზოგადად, მართლწესრიგის დაცვა და მისთვის ხელის შეწყობა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მეშვეობით და ამით სამართლებრივი სტაბილურობის შექმნა;

– ცალკეულ შემთხვევებზე გადაწყვეტილებების სამართლიანობა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამი საფუძველი:

- აბსოლუტური კასაცია;
- დივერგენტული კასაცია;
- პროცესუალური კასაცია;

აბსოლუტური კასაციის შემთხვევაში კონკრეტული საქმე მოიცავს საპროცესო საფუძველს, რომელზედაც შესაძლებელია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დებულებათა ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება ან კანონის ხარვეზის აღმოფხვრა.

აგრეთვე, ისეთ შემთხვევაშიც, როცა თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრი, უხეში განსხვავების დანერგვა, თუმცა გადამწყვეტია ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ერთიანი სასამართლო პრაქტიკისთვის. აღიარებულია, რომ სამართლის ნორმის განმარტებისას ან გამოყენებისას დაშვებული მატერიალური და ფორმალური შეცდომა მაშინ სცილდება ცალკეული შემთხვევების მიზანით.

ვების ფარგლებს და სერიოზულად ვნებს საზოგადო ინტერესებს, როდესაც ეს შეცდომა მასშტაბურია და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მის საფუძველზე შეირყეს ნდობა მართლმასჯულების მიმართ.

დივერგენტული კასაციის მიზანს წარმოადგენს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაცვა გარკვეულ სამართლებრივი ნორმების განმარტებებისას. დივერგენტული კასაციის დაშვება ასევე ემსახურება სამართლებრივი ერთიანობის, სტაბილურობის და სამართლის თანასწორო გამოყენების დაცვას. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების (განსხვავებული სამართლებრივი შეფასება, განმარტება) მიღებამ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს გააზრებულად, შეგნებულად ხდება და ჯეროვნად არის დასაბუთებული (რამდენადც სააპელაციო სასამართლოს მართლმასჯულების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს განმარტება არასწორად მიაჩნია), შეიძლება ასევე ბიძგი მისცეს სამართლის შემდგომ განვითარებას. დივერგენტული კასაციის დაშვება ემსახურება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს შორის იურიდიული დისკუსიის შედეგის მნიშვნელოვანი ხასიათის განსაზღვრას.

პროცესუალური კასაციის შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს დარღვევის მნიშვნელოვანი ხასიათი, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე /შედეგზე/.

კასაციის დაშვების ეს საფუძველი, პირველ რიგში მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოხდა ძირითადი საპროცესო უფლებების დარღვევა, ასევე სსსკ-ის 394-ე მუხლში ჩამოთვლილი საკასაციო საჩივრის ყველა აბსოლუტური საფუძველი, რაც უდავოდ გავლენას ახდენს მართლმასჯულების რეპუტაციაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ მექანიკურად მიუსადაგა სადავო სამართლუროთიერთობას საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი განმარტება, საქმის ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევა-დადგენის გარეშე, რაც ლახავს პირის კანონით გარანტირებულ უფლებას სამართლიან სასამართლოზე“.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული ზემოთმოყვანილი სამართლებრივი მსჯელობა და დასკვნა, პრაქტიკულად წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-626-596(კ-07) ზ. 6-ის სარჩელისა გამო, მოპა-

სუხის – თბილისის საპატრულო პოლიციის მიმართ, ჩამოყალიბებული სამართლებრივი მსჯელობის: „საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას, ვინაიდან კანონმდებელი არ ადგენს მოწმეთა აუცილებელ დასწრებას, ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამოვლენ პოლიციის მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება. აღნიშნული, რასაკვირველია არ გამორიცხავს სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობას, მიკერძოებას ან არაობიექტურ შეფასების კონკრეტული შემთხვევის დასაშვებობას (შესაძლებლობას)“, სრულიად არასწორ, თავისი არსით არასამოსამართლო და კანონშეუსაბამო ინტერპრეტაციას, რადგან საკასაციო სასამართლოს განზოგადებული ხასიათის მსჯელობა განვითარებულია ვარაუდის დონეზე, მათ შორის, მსჯელობაშივე დაშვებულია სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობის, მიკერძოების ან არაობიექტური შეფასების კონკრეტული შემთხვევის შესაძლებლობა, რის გამოც ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, და არანაირ ლოგიკური წაკითხვის პირობებში ზემოაღნიშნული მსჯელობა არ შეიძლება ქვემდგომი სასამართლოების მიერ ტრანსფორმირდეს იმგვარი იმპერატიული ხასიათის, ლოზუნგის ტიპის დეკლარაციული შინაარსით, როგორიცაა: „სამართალდამცავი ორგანოს ნარმომადგენელს მიზანმიმართული ყურადღება ახასიათებს, რაც პროფესიული საქმიანობის შინაარსით, საკუთარი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებით არის განპირობებული“.

ან კიდევ: „იმ პირის ახსნა-განმარტება, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შესაძლოა ნაკარნახევი იყოს დარღვევის დაფარვის, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის აცილების ან სხვა ქვენაგრძნობით, ამიტომ ასეთი პირის ჩვენება ყოველთვის უნდა შეჯერდეს საქმეზე შეერებილ სხვა მტკიცებულებებთან“.

აღნიშნული განმარტებებით (რაც საკასაციო სასამართლოს ინფორმაციით (ქვემდგომი სასამართლოების პრაქტიკა), სამწუხაოდ, ერთჯერადი ხასიათის არ არის, ამდენად, არსებობს ასეთის გამეორების საშპროებაც და მოითხოვს პრევენციული ზომის (ანუ შესაბამისი განმარტების) მიღებას, რათა ქვემდგომისა სასამართლოებმა უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები მათი გაზიარების შემთხვევაში ადეკვატურად და კვალიფიციურად მიუსადაგონ განსახილველ საქმეებს), ქვემ-

დგომი სასამართლოები უხეშად არღვევენ ადმინისტრაციული და სამოქალაქო პროცესუალური სამართლის ფუნდამენტურ – მიუკერძოებლობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს.

ამგვარი სასამართლო შეფასებები, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში განვითარებული მსჯელობებითა და შეფასებებით მსგავსი „ხელმძღვანელობა“, სინამდვილეში წარმოადგენს იურიდიულ მანიპულაციას და საერთო არა აქვს საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი სტანდარტების გამოყენებასთან, რაც მთლიანობაში აზარალებს მართლშასულების ავტორიტეტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი დასაბუთებული და საფუძვლიანია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას. სსსკ-ის 53-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე მოპასუხებებს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მოსარჩელის გ. ბ-ის მიერ სამართალნარმოებისას გაღლებული სასამართლო ხარჯების –  $50+50+50+100+150=400$  ლარის (სახელმწიფო ბაჟის სახით) გადახდა მის სასარგებლოდ. ასევე, სსსკ-ის 37-ე მუხლის II ნაწილის და სსსკ-ის 53-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე მოპასუხებებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის გ. ბ-ის მიერ სამართალნარმოებისას გაღლებული სასამართლოს გარეშე ხარჯების – 690 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს :**

1. გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი:
  - ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №... საჯარიმო ქვითარი, მისი გამოცემის მომენტიდან;

- ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 9 სექტემბრის №... გადაწყვეტილება, მისი გამოცემის მომენტიდან;
- გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №... დადგენილება, მისი გამოცემის მომენტიდან;
- დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 21 ნოემბრის №... გადაწყვეტილება, მისი გამოცემის მომენტიდან;
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს დაეკისროს გ. ბ-ის სასარგებლოდ ზიანის სახით – 302 ლარის გადახდა;
6. გ. ბ-ს დაუბრუნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უკანონო ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე დაკისრებული ჯარიმა-საურავის სახით გადახდილი – 550 ლარი;
7. მოპასუხებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის გ. ბ-ის მიერ სამართალწარმოებისას გაღებული სასამართლო ხარჯების –  $50+50+50+100+150=400$  ლარის (სახელმწიფო ბაჟის სახით) გადახდა მის სასარგებლოდ;
8. მოპასუხებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის გ. ბ-ის მიერ სამართალწარმოებისას გაღებული სასამართლოს გარეშე ხარჯების – 690 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდა;
9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# დაჯარიმება ავტოსაგზაო სამართლადანვების გამო

## განჩინება

№პს-220-212(კ-13)

9 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლასე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების  
ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე – ლ. გ-ი

მოპასუხეები: 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინის-  
ტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-  
ლო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველო

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქარ-  
თლის სამსარეო მთავარი სამმართველო

**სარჩელის სახე:** საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-  
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

### სარჩელის საგანი:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-  
ლო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს  
2010 წლის 7 სექტემბრის დადგენილების ბათილად ცნობა;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-  
ლო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს  
2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების ბათილად ცნობა;

3. 2011 წლის 21 მაისის №... საჯარიმო ქვითრის ბათილად  
ცნობა;

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-  
ლო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს  
2011 წლის 11 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-  
ლო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 4 აგვისტოს №... გა-  
დაწყვეტილების ბათილად ცნობა.

## **სარჩელის საფუძველი:**

### **ფაქტობრივი:**

მოსარჩელე მიუთითებს, რომ 2011 წლის 21 მაისის საჯარი-მო აქტის გამოცემამდე მისთვის უცნობი იყო 2010 წლის 7 სექ-ტემბრის – საურავის დარიცხვისა და 2010 წლის 12 ოქტომბრის – მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილებების არსებობის ფაქტი. აღნიშნული დადგენილებები არის კანონსა-ნინაალმდეგო, რადგან მოსარჩელეს 2010 წლის 2 სექტემბერს უკვე გადახდილი პქონდა 2010 წლის 2 აგვისტოს დაკისრებული ჯარიმა, რაც გახდა საფუძველი შემდგომში სადაცო დადგენი-ლების მიღებისა.

მოსარჩელის მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სადაცო აქტები გამოცემულია საქმის გარემოებების ობი-ექტური გამოკვლევის გარეშე.

**სამართლებრივი:** მოსარჩელეს მიაჩნია, რომ სადაცო აქტე-ბის მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციუ-ლი და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა-თა კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ, სადაცო აქტების აღსრუ-ლებისა და ხანდაზმულობის ვადები.

**მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამართველოს შესაგებე-ლი:**

მოპასუხის მოსაზრებით, შსს საპატრულო პოლიციის დეპარ-ტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს წერილით მოსარჩელე განემარტა, რომ 2011 წლის 21 მაისის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოცემულ იქ-ნა კანონის შესაბამისად შსს საპატრულო პოლიციის დეპარტა-მენტის ქვემო ქართლის სამმართველოს დადგენილების საფუძ-ველზე. წერილი მოსარჩელეს ჩაბარდა ფოსტის საშუალებით 2011 წლის 26 ივნისს, რის შემდეგაც მას არც შსს სამინისტრო-ში და არც სასამართლოში მისი ბათილად ცნობის საკითხი არ დაუყენებია, შესაბამისად, ღ. გ-ის სარჩელი სამართლებრივ სა-ფუძველს მოკლებულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **საქმის გარემოებები:**

2010 წლის 2 აგვისტოს ქ. გარდაბანში ავტომანქანით გადა-ადგილებისას ღ. გ-ი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის მო-ტივით გააჩერა გარდაბნის რაიონული პოლიციის უბნის ინსპექ-ტორ გამომიმდებელმა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესა-ბამისად იგი დაჯარიმდა 50 ლარით. რომელიც ღ. გ-მა გადაიხა-

და 2010 წლის 2 სექტემბერს.

2010 წლის 7 სექტემბრის №... შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს დადგენილებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე და 125-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად საჯარიმო თანხასთან ერთად დაეკისრა საურავის 150 ლარის გადახდა.

2010 წლის 12 ოქტომბრის შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს №... დადგენილებით ლ. გ-ს ჩამოერთვა მართვის უფლება 2010 წლის 2 ოქტომბრიდან 1 წლის ვადით.

2011 წლის 2 მაისს ლ. გ-ი დაჯარიმდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის 20 ლარით. მოსარჩელის მტკიცებით, ადნიშნული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ნარმოებისას მისთვის არ უცნობებიათ, რომ მას ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება და შესაბამისად არ გამოცემულა სხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი (საჯარიმო ქვითარი) შესაბამისი ზომების გატარების მიზნით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის.

2011 წლის 21 მაისს მოსარჩელე ლ. გ-ი საქუთარი ავტომანქანით გადაადგილებისას კვლავ გააჩერა გარდაბნის რაიონის უბნის ინსპექტორმა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ლ. გ-ი დაჯარიმა 200 ლარით, მართვის უფლების არ ქონის გამო. №... საჯარიმო ქვითრის შესაბამისად მას 2011 წლის 10 თებერვლიდან ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება. ლ. გ-ს ადგილზე ჩამოართვეს მართვის მოწმობა, ხოლო ავტომანქანა გადაიყვანეს საჯარიმო ავტოსადგომზე.

ლ. გ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 21 მაისს, მისი განცხადება რეგისტრაციაში გაატარეს 23 მაისის თარიღით, ხოლო ადგილზე განუმარტეს, რომ 2011 წლის 10 თებერვლიდან მას ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება.

2011 წლის 25 მაისს საჩიგარი გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. საჩივრის ავტორისათვის ახსნა-განმარტების მიცემის სტადიაზე ცნობი-

ლი გახდა, რომ მართვის უფლება ჩამორთმეული პქონდა არა 2011 წლის 10 თებერვლიდან, არამედ 2012 წლის 2 ოქტომბრიდან – 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე.

2011 წლის 2 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატ-რულო პოლიციის დეპარტამენტის 27 ივნისის წერილით მოსარჩევე ლ. გ-ს ეცნობა, რომ საჩივრის განხილვის ვადა გაგრძელდა ერთი თვის ვადით.

2011 წლის 7 ივლისს ლ. გ-ის განცხადება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან დაუბრუნდა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამართველოს. 8 ივლისს ლ. გ-ს კვლავ ჩამოართვეს ახსნა-განმარტება და გადასცეს 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

2011 წლის 11 ივლისის შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამართველოს გადაწყვეტილებით არ დაქმაყოფილდა ლ. გ-ის განცხადება, ძალაში დარჩა 2 აგვისტოს საჯარიმო ქვითარზე მიღებული დადგენილება მართვის უფლების 1 წლით აკრძალვის თაობაზე. ხოლო 2011 წლის 21 მაისის ჯარიმის გასაჩივრების ნაწილში განცხადება გადაგზავნილი იქნა შსს საპატრულო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო მთავარ სამართველოში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამართველოს 2011 წლის 19 ივლისის №... წერილის თანახმად, 2011 წლის 21 მაისის №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2011 წლის 18 ივლისს ლ. გ-მა ამჯერად ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჩივრით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, მოითხოვა 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელეს ჩამოერთვა მართვის უფლება, ასევე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამართველოს 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

2011 წლის 4 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით ლ. გ-ს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. 2010 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №... საჯარიმო ქვითარზე დარიცხული საურავის შესახებ, 2010 წლის 12 ოქტომბრის №... დადგენილება მართვის უფლების აკრძალვის შესახებ და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამართველოს №... გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

2011 წლის 26 აგვისტოს მოსარჩეულებ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2011 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილების შესაბამისად საჩივრით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. 2011 წლის 29 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით ლ. გ-ს განცხარტა, რომ მას გამოყენებული ჰქონდა საქართველოს აღმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის ერთჯერადი გასაჩივრების უფლება, რაზეც გამოცემული იყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2011 წლის 4 აგვისტოს №... გადაწყვეტილება და მას უფლება ჰქონდა მიერთა სასამართლოსათვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 2011 წლის 10 სექტემბრის წერილით ლ. გ-ს ეცნობა, რომ 2011 წლის 10 თებერვალს მის მიმართ მართვის უფლების აკრძალვის დადგენილება, რომელიც მითითებული იყო 2011 წლის 21 მაისის საჯარიმო აქტში, გამოტანილი არ ყოფილა.

#### **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. გ-ის სარჩევი (რომელსაც რუსთავის საქალაქო სასამართლო საჩივრად მოიხსენიებს) დაკაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 21 მაისის ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გარდაბნის რაიონული სამმართველოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (საჯარიმო ქვითარი) №...; არ დაკამაყოფილდა საჩივრის ავტორის მოთხოვნა: 1. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 2010 წლის 7 სექტემბრის დადგენილების; 2. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების; 3. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 2011 წლის 11 ივნისის №... გადაწყვეტილებისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 4 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

#### **სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

2010 წლის 2 აგვისტოს ლ. გ-ის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №..., რომლის მიხედვით იგი დაჯარიმდა 50 ლარით საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის;

აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმით გამოწერილი ჯარიმა საჩივრის ავტორმა გადაიხადა 2010 წლის 2 სექტემბერს;

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მიერ 2010 წლის 7 სექტემბერს გამოიცა დადგენილება და ლ. გ-ს საჯარიმო თანხასთან ერთად დაეკისრა საურავი 150 ლარის ოდენობით;

აღნიშნული საურავის დადგენილ ერთ თვით ვადაში გადაუხდელობის გამო 2010 წლის 12 ოქტომბერს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მიერ გამოიცა დადგენილება და ლ. გ-ს 2010 წლის 2 ოქტომბრიდან ჩამორთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ერთი წლის ვადით. ეს დადგენილება ლ. გ-ს არ ჩაბარებია;

2011 წლის 21 მაისს ლ. გ-ი დაჯარიმდა 200 ლარით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის. აღნიშნულ საჯარიმო ქვითარში მითითებულია, რომ ლ. გ-ს მართვის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა 2011 წლის 10 თებერვლის დადგენილების საფუძველზე.

აღნიშნული საჯარიმო ქვითარი და დადგენილებები საჩივრის ავტორმა გაასაჩივრა ადმინისტრაციული წარმოების წესით, მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2011 წლის 2 მაისს ლ. გ-ი დაჯარიმდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის 20 ლარით. აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას არ უცნობებიათ ლ. გ-ისათვის, რომ მას ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება და შესაბამისად არ გამოცემულა სხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი (საჯარიმო ქვითარი) შესაბამისი ზომების გატარების მიზნით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის.

2011 წლის 21 მაისს შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში (საჯარიმო ქვითარი) №... მითითებული 2010 წლის 10 თებერვლის დადგენილება ლ. გ-ის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ არ გამოცემულა.

#### **სადაცო ფაქტობრივი გარემოებები:**

მოსარჩელე სადაცოდ ხდის კანონით გათვალისწინებულ ვადებში, 2010 წლის 7 სექტემბრისა და 2010 წლის 12 ოქტომბრის

დადგენილებების გამოცემის წესის დარღვევის ფაქტს. კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ დადგენილებები გამოცემულ იქნა არა იმ დროს, რაც მითითებულია გამოცემის თარიღად, არამედ მოგვიანებით.

### **სასამართლოს მიერ სადაცოდ გახდილი ფაქტების შეფასება:**

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები გასაჩივრებული აქტების გამოცემის წესის დარღვევის შესახებ. შესაბამისად, დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – 2010 წლის 7 სექტემბრისა და 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დაცვით, დადგენილებაში მითითებული თარიღების მიხედვით და საწინააღმდეგოს მტკიცებისთვის არ არსებობს საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი მტკიცებულებები.

სასამართლოს დასკენები – საქმის მასალების გაცნობის, მხარის ახსნა-განმარტებების მოსამენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი წაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს.

### **დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 02 აგვისტოს საჯარიმო აქტით დაკისრებული ჯარიმა ლ. გ-ს უნდა გადაეხადა არა უგვიანეს 2010 წლის 1 სექტემბრის 24:00 საათისა. უდავოა, რომ ლ. გ-მა ჯარიმა გადაიხადა 2010 წლის 2 სექტემბერს.

ლ. გ-ი საჯარიმო ქვითრის მიხედვით ცნობილ იქნა ბრალეულად ამავე კოდექსის 125-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შესაბამისად, მის მიერ ჯარიმის, ნებაყოფლობით აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის გამო, მის მიმართ ამოქმედდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა საურავის დარიცხვის შესახებ.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ მოპასუხე ვალდებული იყო მისთვის ჩაებარებინა საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება და დადგენილების ჩაუბარებლობა ადრესატისათვის წარმოადგენს აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

2010 წლის 2 აგვისტოს, როდესაც ლ. გ-ი დაჯარიმდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული დარღვევი-სათვის, ადგილზე შედგა საჯარიმო ქვითარი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი), რომელშიც განმარტებული იყო ყველა ის მოსალოდნელი შედეგი, რაც შესაძლებელია მოჰყოლოდა ჯარიმის ან საურავის დროულად გადაუხდელობას. შესაბამისად, კანონმდებელმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-3 ნაწილით საურავის დამტრიცხველ ორგანოს მისცა დისკრეცია საურავის დაკისრების თაობაზე მიღებული დადგენილების სამართალდარღვევისათვის ჩაბარების თაობაზე, ხოლო ასეთის შეუსრულებლობა ავტომატურად არ ინვეს ამ დადგენილების ბათილობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2010 წლის 7 სექტემბერს გამოცემული დადგენილება ლ. გ-ისათვის საურავის დარიცხვის შესახებ შესაბამება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნებს და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

საურავის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო, ლ. გ-ს საპატრულო პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველოს 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებით ერთი წლის ვადით 2010 წლის 2 ოქტომბრიდან ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის 11-ლი პუნქტის შესაბამისად.

სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 303-ე მუხლის შინაარსის მიხედვით, კანონმდებელი მართვის უფლების ჩამორთმევის მომენტს უკავშირებს არა დადგენილების მხარისათვის ჩაბარებას, არამედ დადგენილების გამოტანის ფაქტს. ერთი მხრივ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-2 ნაწილით ავალდებულებს დადგენილების გამომტან ორგანოს (თანამდებობის პირს) 3 დღის ვადაში გაუგზავნოს დადგენილება სამართალდამრღვევს, ამასთან კონკრეტული შეზღუდვის დაწესებას კანონმდებელი უკავშირებს არა მხარეზე დადგენილების ჩაბარების ფაქტს, არამედ ობიექტურად სათანადო დადგენილების არსებობას.

მოცემულ შემთხვევაში 2010 წლის 2 აგვისტოს შედგენილი სამართალდარღვევის ოქმით ლ. გ-ს განემარტა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, რომელსაც გამოიწვევდა ჯარიმის

ან საურავის გადაუხდელობა. სამართალდამრღვევის მხრიდან სათანადო გულისხმიერების და წინდახედულების გამოჩენის შემთხვევაში ადვილად განჭვრეტადი იყო ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც დადგა მართვის უფლების ჩამორთმევით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების მიღების დროს არსებითად დაცული იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნები და არ არსებობს მისი გაუქმების ფორმალური და მატერიალური საფუძვლები. ხოლო ის ფაქტი, რომ აღნიშნული დადგენილება ადრესატისათვის ჩაბარებული არ ყოფილა, არ იძლევა მისი გაბათილების საშუალებას.

სასამართლო ეთანხმება ლ. გ-ს, რომ 2011 წლის 21 მაისს შედგენილ საჯარიმო ქვითარში დაშვებულია უზუსტობა, კერძოდ დადგენილია, რომ 2011 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება არ გამოცემულა უფლებამოსილი ორგანოს მიერ, იგი არ არის წარმოდგენილი საქმის მასალებში. თუმცა, სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტის ბათილობის საფუძველს.

სასამართლოს განმარტებით, საჯარო მოსამსახურების პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს ნებისმიერი ქმედების კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით შესრულება, ხოლო ასეთის განუხორციელებლობამ შესაძლოა წარმოშვას მათ მიერ განხორციელებული ქმედების თუ გამოცემული სამართლებრივი აქტის გაუქმება, მაგრამ კანონმდებელი ყველა ფორმალურ გადაცდომას საჯარო მოსამსახურის მხრიდან არ უკავშირებს ამ გადაცდომის დროს ჩადენილი ქმედების (გამოცემული აქტის) გაუქმებას. ასეთი შესაძლოა დადგეს, როდესაც გადაცდომას აქვს ისეთი ხასიათი, რომლის არ არსებობის დროს დასაშვები იყო სხვა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ პირის დაუდევრობით ან სხვა არასათანადო გულისხმიერების გამოჩენით მიღებულ იქნა სხვაგვარი, დაინტერესებული პირისათვის არასასურველი გადაწყვეტილება.

სასამართლომ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე, 300-ე, 121-ე მუხლების საფუძველზე გამოიტანა დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ლ. გ-ს ერთი წლის ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება 2010 წლის 2 ოქტომბრიდან, 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე, აღნიშნული დადგენილება საჩივრის ავტორს არ ჩაბარებია და იგი აღსრულებული არ ყოფილა

კანონით დადგენილი წესით და ვადაში. ამდენად, ლ. გ-ისათვის არ იყო ცნობილი იმ ფაქტის შესახებ, რომ მას აკრძალული ჰქონდა მართვის უფლება, შესაბამისად, მისი მხრიდან ჩადენილი ქმედება არ იყო ბრალული არც განზრას და არც გაუფრთხილებლობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2011 წლის 21 მაისს შედგენილი სამართლდარღვევის ოქმი ენინაალმდეგება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის მოთხოვნებს და არსებობს მისი ბათილად ცნობისათვის საკმარისი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

**აპელანტი (მოსარჩევე):** ლ. გ-ი

**აპელანტი (მოპასუხე):** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო

**თავდაპირველი მოპასუხეები:** 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველო;

**აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

აპელანტ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მოთხოვნა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება 2011 წლის 21 მაისის №... ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში.

აპელანტ ლ. გ-ის მოთხოვნა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და მისი სრულად დაკმაყოფილება.

ლ. გ-ის აპელაციის მოტივები:

**ფაქტობრივი:** აპელანტის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგი მოტივებით: 2011 წლის 21 მაისს მსოფლიო მართვის უფლების ჩამორთმევა მოხდა რეალურად არ არსებული 2011 წლის 10 თებერვლის დადგენილების საფუძველზე. ლ. გ-ს 2011 წლის 21 მაისამდე, კერძოდ, 2011 წლის 19 აპრილს და 2011 წლის 05 მაისს დაკისრებული აქვს ორი ჯარიმა, თუმცა არც ერთი მათგანი ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის საფუძველზე, რაც ადასტურებს, რომ 2010 წლის 7 სექტემბრის დადგენილება საურავის დარიცხვის შესახებ და 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ არ არსებობდა. გარდა ამისა, 2010 წლის 12 ოქ-

ტომბრის დადგენილება 2011 წლის 12 აპრილიდან აღსასრულებლად ხანდაზმული იქნებოდა.

აპელანტი აღნიშნავს, რომ 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებით მას მართვის უფლება ჩამოერთვა ამავე წლის 2 ოქტომბრიდან, რასაც მიიჩნევს უკანონოდ, რადგან კანონმდებლობის თანახმად აკრძალვის ათვლა უნდა დაიწყოს დადგენილების გამოცემის თარილიდან.

**სამართლებრივი:** აპელანტის სააპელაციო საჩივრის სამართლებრივ საფუძვლებად მიუთითებს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსს.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის მოსაზრებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან არ ემყარება საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

**სამართლებრივი:** აპელანტი მიიჩნევს, რომ არ არსებობდა 2011 წლის 21 მაისის საჯარიმო ოქმის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლით სამართალდარღვევის სუბიექტს წარმოადგენს პირი, რომელსაც არ აქვს ან ჩამორთმეული აქვს მართვის მოწმობა და არა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (მძლოლის მოწმობა). პირველი ინსტანციის სასამართლომ კი დადგენილად მიიჩნია რომ 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებით ლ. გ-ს ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება 1 წლის ვადით, შესაბამისად, მისი დაჯარიმება მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლი, რომელიც ზოგადი ხასიათისა და ეხება ზოგადად ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე გამოცემული დადგენილების აღსრულებას. ხოლო სპეციალური უფლების ჩამორთმევის დადგენილებათა აღსრულების წესს განსაზღვრავს ამავე კოდექსის 299-303-ე მუხლები. კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები ჩაითვლებიან სპეციალურ უფლებაჩამორთმეულად ამ უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილე-

ბის გამოტანის მომენტიდან. ამავე კოდექსის 121-ე მუხლით დაჯარიმებისას ნორმის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს და მტკიცებულების ძალა აქვს სწორედ ამ უფლების ჩამორთმევის ფაქტს და არა მართვის მოწმობის ჩამორთმევის ფაქტს.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი:/**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ღ. გ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება.

### **გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:**

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოებები არ ქმნის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

### **გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მსჯელობა, რომ დადგენილება მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ ძალაში შედის მისი მიღებისთანავე და მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს დადგენილება ადრესატს ჩაბარებული აქვს თუ არა.

სააპელაციო პალატამ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და

მე-300 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულებისათვის აუცილებელია მძღოლს ჩამორთვას მართვის მოწმობა, ხოლო, თუ მძღოლი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, თავს არიდებს მძღოლის მოწმობის ჩაბარებას, აღმსარულებელი ჩამოართმეეს მოწმობას იძულების წესით. შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში არა მარტო გაეგზავნა ლ. გ-ისათვის, არამედ ამავე კოდექსის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დადგენილება აღსრულებინა ლ. გ-ისათვის მართვის მოწმობის ჩამორთმევით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით პირი არ შეიძლება დაჯარიმდეს მართვის უფლების გარეშე ავტომანქანის მართვისათვის, თუ მან არ იცის, რომ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება და ამაზე არსებობს სათანადო დადგენილება.

**კასატორი (მოპასუხე)** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამსარეო მთავარი სამმართველო მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩევე): ლ. გ-ი

**თავდაპირველი მოპასუხები:** 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველო

**კასაციის განაცხადი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 თებერვლის განჩინების გაუქმება, რომლითაც უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ლ. გ-ის სარჩელის დაუკმაყოფილებლობა შეს გარდაბნის რაიონული სამმართველოს 2011 წლის 21 მაისის №... ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში.

**კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:**

**პროცესუალური:** კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და სამართლებრივი შეფასება არ მისცა მათ.

**სამართლებრივი:**

კასატორის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილის,

121-ე მუხლისა და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით პოლიციას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უფლება აქვს შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და შეუფარდოს დამრღვევს სათანადო სახდელი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს დაჯარიმებას იმ პირისა, რომელსაც მართვის უფლება არ აქვს ან ასეთი უფლება ჩამორთმეული აქვს. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. გ-ს აღნიშნული უფლება ჩამორთმეული ჰქონდა 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებით 1 წლის ვადით, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ავტოსანტრანსპორტო საშუალების მძღოლი სპეციალურ უფლებაჩამორთმეულად ითვლება დადგენილების გამოტანის დღიდან, ლ. გ-ს დადგენილების თანახმად, მართვის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა ერთი წლის ვადით, 2010 წლის 2 ოქტომბრიდან.

შსს გარდაბნის რაიონული სამმართველოს 2011 წლის 21 მაისის საჯარიმო ოქმს სწორედ ზემოაღნიშნული დადგენილება დაედო საფუძვლად.

კასატორი განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ინსპექტორ-გამომძიებელი არაა მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო, არც მართვის უფლების ჩამორთმევის დადგენილების გამომტანი ორგანო რომელმაც აღსასრულებლად უნდა მიაქციოს დადგენილება და არც სააღსრულებო ორგანო, რომელიც ვალდებულია გამოავლინოს სამართალდარღვევა და რეაგირება მოახდინოს მასზე.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს დასკვნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე-300-ე მუხლების თანახმად ოქმის ბათილად ცნობის შესახებ, ვინაიდან 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება, რომლის საფუძველზეც გამოიცა ოქმი, კანონიერია.

კასატორის მოსაზრებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლი ზოგადი ხასიათისაა და ესება ზოგადად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე გამოცემული დადგენილების აღსრულებას. რაც შეეხება სპეციალური უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების წესს განსაზღვრავს კოდექსის 299-ე, 303-ე მუხლები. სპეციალური უფლების ჩამორთმევის შესახებ ადმინისტრაციული სახდელი თავისი შინაარსით განსხვავდება

სხვა სახდელებისაგან და წარმოადგენს პირის სამოქალაქო უფლების შეზღუდვას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-300 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილება ძალაში შედის და აღსრულდება გამოტანის მომენტიდან. დადგენილებით განსაზღვრული იურიდიული შედეგის დადგომა დაკავშირებულია დადგენილების გამოტანიდან შეზღუდვის მოქმედების ვადით, ამ შემთხვევაში არ უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე ზოგადი ნორმით მითითებული აღსრულების 6-თვიანი ვადა, რადგან მართვის მოწმობის ფიზიკურად ჩამორთმევა კი არ ზღუდვას პირის უფლებას, არამედ დადგენილება ამ უფლების ჩამორთმევის შესახებ რაც გარკვეული ვადითაა გამოცემული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლით დაჯარიმების შემთხვევაში იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს და მტკიცებულების ძალა აქვს სწორედ უფლების ჩამორთმევის ფაქტის არსებობას და არა მართვის მოწმობის ჩამორთმევის ფაქტს. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული მუხლი ადგენს პირის დაჯარიმებას, რომელსაც არ აქვს ან ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება. მართვის უფლების ჩამორთმევის თაობაზე უნდა იარსებოს შესაბამისმა დადგენილებამ, რომლის ძალაში შესვლას, აღსრულებასა და გასაჩივრებას კანონმდებელი უკავშირებს მისი გამოტანის მომენტს. კასატორი ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ლ. გ-მა არ იცოდა დადგენილების არსებობის შესახებ, რის გამოც იგი არ შეიძლებოდა დაჯარიმებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრა ლ. გ-მა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 24 მაისის განჩინებით ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ხარვეზის შეუკსებლობის გამო.

მოწინააღმდეგე მხარეს ლ. გ-ს, ასევე თავდაპირველ მოპასუხეებს: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს წერილობითი მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები (სასკ 34.3 მ.):

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის – შსს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივრი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „ა“ ქეყუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე, რომ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემობათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას, სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სადაც სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა მატერიალური სამართლის ნორმა და დავა გადაწყვეტა მოქმედი კანონმდებლობის ნორმების სწორი განმარტების საფუძველზე.

ნინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით საკასაციო საჩივრის მოტივი – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე, 283-ე, 287-ე მე-300, 303-ე მუხლების საფუძველზე მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების ძალაში შესვლისა და აღსრულების მომენტის სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხი, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შექმნა აპსოლუტური კასაციის წანამძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, რომელთა გამოცმოებულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, საკასაციო სასამარ-

თლოს მიერ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს რამდენად კანონშესაბამისად ხდება საპოლიციო ორგანოების მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამოვლენისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოვლევა, დადგენა, შემთხვევის სამართლდარღვევად მიჩნევა და ადეკვატური სამართლებრივი კანონიფიციის მიცემა.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობიდან გამომდინარე, კერძოდ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლის ფუნქციის კანონიერ გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და შესაბამისი უწყებები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამდენად, ნინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით:

1. მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცეს საპოლიციო ორგანოების მმართველობითი ფუნქციის – საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის როლს და მნიშვნელობას საჯარო წესრიგის კულტურის დამკაიდრებაში, ამ სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებას, განსაზღვრის ანალოგიურ სამართლებრივ შემთხვევებში სამართალშეფარდების სტანდარტი, რითაც ხელი შეეწყობა მსგავსი სამართალურთიერთობების მოწესრიგების სწორი სამართლებრივი პრაქტიკის დამკაიდრებას;

2. საკასაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების ჰარმონიზაციის საკითხზე;

3. საკასაციო სასამართლომ უნდა განმარტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ინსტიტუტი და მისი გამოყენება პრაქტიკაში;

4. საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საგზაო მოძრაობის მონაწილის, როგორც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ერთ-ერთი თანაშემოქმედის მოვალეობების და პასუხისმგებლობის საკითხი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკენები სასარგებლო იქნება, როგორც საპოლიციო ორგანოების, მოხელე პოლიციელების მმართველობითი საქმიანობისათვის, ასევე საგზაო-სატრანსპორტო ურთიერთობათა მონაწილე-

თათვის, რამდენადაც საპოლიციო სამართალი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ ნაწილს, გან-საზღვრავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უზრუნველ-ყოფის ინსტრუმენტებს, პროცედურებსა და წესებს, ადგენს ქმედების ხასიათის მიხედვით დიფერენცირებულ შეფასებას და განსაზღვრავს პასუხისმგებლობის სახეთა სისტემას. ამდე-ნად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაგება-გა-მოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგა-დოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგ-ზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სწორი გამოკვლევა და კვა-ლიფიკაცია, შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დადება და მისი აღსრულება უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველ-ყოფასთან, მართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდო-ბის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმი-ნისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხო-ლო ადმინისტრაციულ სამართლუროთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამარ-თლო პრაქტიკის ჩამოყალბებაში.

1. საჯარო წესრიგის უზრუნველყოფით ლონისძიებათა შორის საგზაო-სატრანსპორტო მოძრაობის სისტემაში წესრიგის დამ-კვიდრება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამ მმარ-თველობითი ფუნქციის შესრულება კომპლექსურ მიდგომებს საფრთხებს, უპირველესად, კი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოე-ბის უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გან-საზღვრას, ვინაიდან წესრიგი საგზაო მოძრაობაში მოიცავს რამ-დენიმე კომპონენტს; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზ-რუნველყოფას; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფის სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელი-სუფლებისა და ადგილობრივი ოვითმმართველობის ორგანოე-ბის უფლებამოსილებათა გამიჯვნას; საგზაო მოძრაობის უსაფ-რთხოების მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სახელმწი-ფოებრივი აღრიცხვის ორგანიზებას, საგზაო მოძრაობის უსაფ-რთხოების უზრუნველყოფის პროგრამების შექმნას, მიღებასა და დაფინანსებას; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფის მოთხოვნების დადგენას; სატრანსპორტო საშუალე-ბათა მართვის უფლების მინიჭებისათვის აუცილებელი მოთხოვ-

ნების განსაზღვრას; საგზაო მოძრაობის მონაწილის ზოგადი უფლებებისა და მოვალეობების დადგენას; გზის ვარგისიანობის სტანდარტის შემუშავებას საგზაო ნიშნების განთავსებას და ა.შ.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა განსაზღვრულია 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონით „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“, რომლის მე- 3 მუხლის მიხედვით სახელმწიფო პოლიტიკას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში წარმოადგენს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შემდეგი საშუალებებით:

ა) საავტომობილო, მინისზედა საქალაქო ელექტროტრანსპორტისა და საგზაო მეურნეობის საქმიანობის რეგულირება;

ბ) საგზაო მოძრაობის ორგანიზება;

გ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებათა მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა;

დ) პირის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებისა და მოთხოვნების შესწავლის ორგანიზება;

ე) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამედიცინო უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება;

ვ) სატრანსპორტო საშუალების, მასთან დაკავშირებული პროდუქციისა და საგზაო მეურნეობის საქმიანობის სერტიფიცირება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით დადგენილი წესით;

ზ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული წესების, სტანდარტების, ტექნიკური ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება და დადგენილი წესით დამტკიცება, აგრეთვე მათ შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, კვალიფიკაცია მოითხოვს ნორმათშემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე კონკრეტული მოხელე-პოლიციელების მხრიდან მთელი რიგი პროცედურული მოქმედებების ადეკვატურ შესრულებას, სპეციალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევა-დადგენის გზით და კანონშესაბამის კვალიფიკაციას. ამგვარ ვითარე

ბაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმათშემფარდებელი ად-მინისტრაციული ორგანოების პრაქტიკას, თუ როგორ გამოიყე-ნებენ აღნიშნულ ნორმას მმართველობითი ღონისძიებების გან-ხორციელებისას. ასევე, ქვეყანაში საჯარო წესრიგისა და სა-მართლიანი მმართველობის უზრუნველყოფისათვის უმნიშვნე-ლოვანესია სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორ-ციელება მართლმსაჯულების განმხორციელებელი სასამარ-თლო ორგანოების მხრიდან, რომ დაცულ იქნეს კერძო და საჯა-რო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, რათა მიღწე-ულ იქნეს მმართველობითი სამართლის უმთავრესი მიზანი: ად-მინისტრაციულმა ორგანოებმა თავიანთი საქმიანობის განხორ-ციელებისას უზრუნველყონ ადამიანის უფლებებისა და თავი-სუფლებების, კანონის უზენაესობისა და საჯარო ინტერესე-ბის დაცვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საგზაო-სატრან-სპორტო მოძრაობის სისტემაში კანონიერი მმართველობის სტანდარტის დამკეიძრება უშუალოდ აისახება სახელმწიფოს მასშტაბით, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხზე, ასევე, ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანზიტო, ტურიზ-მისა და სხვა ფუნქციების პოტენციალის დადებით განვითარე-ბაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ, სასკ-ის 407-ე მუხლის შესაბამისად, წამოყენებული არ არის და-საბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, კერძოდ:

#### **საქმის მასალებით დადგენილია:**

2010 წლის 2 აგვისტოს ქ. გარდაბანში საკუთარი ავტომანქა-ნით გადაადგილებისას ლ. გ-ი საგზაო მოძრაობის წესების დარ-ღვევის მოტივით გააჩერა გარდაბნის რაიონული პოლიციის უბ-ნის ინსპექტორ-გამომძიებელმა. საქართველოს ადმინისტრა-ციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-7 ნა-ნილის შესაბამისად ლ. გ-ი დაჯარიმდა 50 ლარით. რომელიც მან გადაიხადა 2010 წლის 2 სექტემბერს.

2010 წლის 7 სექტემბრის №... შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს დადგენილე-ბით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 290-ე და 125-ე მუხლის მე-7 ნანილის თანახმად სა-ჯარიმო თანხის კანონით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო მას დაეკისრა საურავის – 150 ლარის გადახდა.

2010 წლის 12 ოქტომბრის შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს №... დადგენილებით ლ. გ-ს საურავის გადაუხდელობის გამო ჩამოერთვა მართვის უფლება 2010 წლის 2 ოქტომბრიდან 1 წლის ვადით, თუმცა დადგენილება ლ. გ-ს არ ჩაბარებია და მისთვის არ უცნობებიათ მართვის მოწმობის ჩამორთმევის ფაქტის შესახებ.

2011 წლის 21 მაისს მოსარჩელე ლ. გ-ი საკუთარი ავტომანქანით გადაადგილებისას კვლავ გააჩერა გარდაბნის რაიონის უბნის ინსპექტორმა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ლ. გ-ი მართვის უფლების არ ქონის გამო დააჯარიმა 200 ლარით.

კასატორის მტკიცება ეფუძნება შემდეგს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სპეციალური უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების წესს განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 299-ე, 303-ე მუხლები, ხოლო კოდექსის 287-ე მუხლი ზოგადი ხასიათისაა და ეხება ზოგადად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე გამოცემული დადგენილების აღსრულებას. სპეციალური უფლების ჩამორთმევის შესახებ ადმინისტრაციული სახდელი თავისი შინაარსით განსხვავდება სხვა სახდელებისაგან და ნარმოადგენს პირის სამოქალაქო უფლების შეზღუდვას. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-300 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილება ძალაში შედის და აღსრულდება გამოტანის მომენტიდან, რის შემდეგაც შეზღუდვის ვადის შესაბამისად პირი ითვლება უფლება ჩამორთმეულად. ამ შემთხვევაში არ უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე ზოგადი ნორმით მითითებული აღსრულების 6-თვიანი ვადა, რადგან შართვის მოწმობის ფიზიკურად ჩამორთმევა კი არ ზღუდავს პირის უფლებას, არამედ დადგენილება ამ უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც გარკვეული ვადითაა გამოცემული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლით დაჯარიმების შემთხვევაში იმპერატიულ მოთხოვნას ნარმოადგენს. ამ შემთხვევაში მტკიცებულების ძალა აქვს სწორედ უფლების ჩამორთმევის ფაქტის არსებობას და არა მართვის მოწმობის ჩამორთმევას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ სადაცო საკითხის სწორი სამართლებრივი შეფასებისთვის უნდა გაანალიზდეს იმ

ნორმათა დანაწესები, რომელიც კონკრეტულ სადაც სამართალდარღვევას, კერძოდ: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121.1, 268.2, 283.1, 283.5, 287-ე, მე-300, 303.1 მუხლების საფუძველზე ანესრიგებს ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისა და აღსრულების წესს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს მისი ჩადენა მართვის უფლების აკრძალვის პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში მართვის უფლება ლ. გ-ს ერთი წლით ჩამორთმეული პქნოდა 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებით იმავე წლის 2 ოქტომბრიდან, თუმცა აღნიშნული დადგენილება მას არ ჩაბარებია და არ აღსრულებულა კანონით დადგენილი წესით და ვადაში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლი გამორიცხავს დადგენილების აღსრულებას, თუ მისი გამოტანიდან გასულია 6 თვე. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2011 წლის 21 მაისისათვის ლ. გ-ის მიმართ გამოცემული დადგენილება მართვის უფლების ჩამორთმევის თაობაზე აღსრულებული არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის საფუძველზე ჯარიმდება პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, ანუ, სამართლებრივი შედეგი მოჰყვება მართვის უფლების ჩამორთმევის ფაქტს და არა იმ გარემოებას ფიზიკურად მძღოლს ჩამორთმეული აქვს თუ არა მართვის მოწმობა. შესაბამისად, გამოვლინდება რა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომ ავტომანქანას მართავდა პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაში ფიქსირდება მართვის უფლების ჩამორთმევის ფაქტი, იგი ჯარიმდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის შესაბამისად, შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირი ჯარიმდება სატრანსპორტო საშუალების მართვისას, როდესაც: ა) მართვის უფლება საერთოდ არ აქვს, ან ბ) მართვის უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილის იმპერატიული დანაწესით, სატრანსპორტო საშუალება-

თა მძღოლები ჩაითვლებიან სპეციალურ უფლებაჩამორთმეულად ამ უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების გამოტანის დღიდან. განსახილველ შემთხვევაში ლ. გ-ს მართვის უფლება ჩამორთვეს 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებით. დადგენილებაში უფლების ჩამორთმევის თარიღად მიეთითა იმავე წლის 2 ოქტომბერი. საკასაციო სასამართლოს, მოუხედავად იმისა, რომ მოკლებულია შესაძლებლობას სამართლებრივი დასკვნა გამოიტანოს 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების კანონიერების თაობაზე, აღნიშნული არ წარმოადგენს საკასაციო საჩივრის მოტივს და საკასაციო სასამართლო შებოჭილია საკასაციო საჩივრის ფარგლებით, წინამდებარე საქმის სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებლად მიაჩნია, იმსჯელოს ადმინისტრაციული ორგანოების მანკიერპრაქტიკაზე, რომელსაც ტენდენციის სახე მიეცა ბოლო წლების განმავლობაში, როცა ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილების მიღებისას მისი სამართლებრივი შედეგის დადგომას განსაზღვრავს უკანა თარიღით, რაც არაერთხელ გამხდარა საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანი, კერძოდ, აღნიშნული საკითხის შეფასებისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში, საქმეზე №ბს-1580-1509(კ-09) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხის ა. რ-შვილის მიმართ, დაკავშირებით ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ:

„საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლას არაორაზროვნად და მკაფიოდ უკავშირებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლი/, რაც ნიშნავს, რომ აქტით განსაზღვრული მოწესრიგება, სამართლებრივი შედეგი შესასრულებლად სავალდებულო ძალას იქნება მხოლოდ ადრესატისათვის აქტის გადაცემის შემთხვევაში. ამდენად, სამართლებრივი აქტით უნდა განისაზღვროს ადრესატის აქტის გამოცემის თარიღის შემდგომი სამართლებრივი მდგომარეობა (უფლება-მოვალეობების დადასტურება, დაწესება, შეცვლა, შეწყვეტა). განსაზილველ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ადრესატისათვის სამართლებრივი შედეგის დადგომის უკანა თარიღით (15 დღით ადრე) განსაზღვრა ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

მიზანს, რომელიც მდგომარეობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამი მნიშვნელოვანი ამოცანის: 1. ადამიანის უფლებების და თავისუფლებების; 2. კანონის უზენაესობის და 3. საჯარო ინტერესების თითოეულ გადაწყვეტილებასა თუ მოქმედებაში, ერთობლივად უზრუნველყოფაში.

აღნიშნული მიზანის მიღწევას ემსახურება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებისა და უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების დადგენა.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგისათვის უკუძალის მიცემა იმ პირობებში, როცა არათუ დასაბუთებული, აღნიშნულიც კი არ არის აღმატებული საჯარო ინტერესის თაობაზე, რის გამოც ფიზიკური პირის – სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრა 15 დღით უკანა თარიღით. უფრო მეტიც, ვინაიდან კონტრაქტის 7.3. მუხლით განსაზღვრული ჯარიმის თანხის გადახდის ვალდებულების დაწყების ვადის დენა პირდაპირ არის მიმდევლი კონტრაქტის შეწყვეტის თარიღის იურიდიულ ფაქტთან, თვალსაჩინო ხდება პირის სამართლებრივი მდგომარეობის უკიდურესი სიმძიმე, რაც უხეშად ენინა-აღმდეგება ადმინისტრაციული სამართლის კანონიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს“.

„საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირების მხრიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით პირის სამართლებრივი მდგომარეობის უკანა თარიღით დაუსაბუთებელი განსაზღვრა, როგორც კანონისაწინააღმდეგონ და სამართლის პრინციპების უგულებელყოფით პრაქტიკის დაკვიდრების ტენდენცია, მიუკერძოებელ და ობიექტურ სასამართლო კონტროლს ექვემდებარება, რაც განსახილველ შემთხვევაში სრულებით უზრუნველყოფილია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ. ამდენად, იმ ვითარებაში, როცა: 1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კონკრეტულ საჯარო ინტერესზე მითითების დაუსაბუთებლად, პირის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრა უკანა თარიღით;

2. საქმის მასალებით მოსარჩევებ ვერ უზრუნველყო რა მინისტრის ბრძანების ადრესატისათვის ოფიციალური გაცნობის შესახებ სათანადო მტკიცებულების წარმოდგენა /ასეთად ვერ ჩაითვლება 2007 წლის 2 ივლისის ე.წ. გაცნობის ფურცელი, რამდენადაც ბრძანება გამოიცა 15 დღის შემდეგ/, მოპასუხის მხრი-

დან კონტრაქტის 7.3. მუხლით განსაზღვრული ჯარიმის გადახდის ვადის დარღვევის ფაქტი ვერ იქნება დადგენილი“.

2. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინის მიხედვით ყოველი პროცესუალური კანონმდებლობა აირეკლავს და ითვალისწინებს შესაბამისი დარგის მატერიალური კანონმდებლობის ინსტიტუტებს, პრინციპებს, მიზანს. მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონმდებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ზოგად ადმინისტრაციულ წარმოების განსხვავებულ სახესა და განსხვავებულ პროცედურას, მმართველობითი ფუნქციის სპეციფიკიდან გამომდინარე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების გამოცემის, ძალაში შესვლისა და აღსრულებისას, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული პროცედურა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების წარმოება შესაძლებელია ენინააღმდეგებოდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალი ადმინისტრაციული სამართლის კერძო, განსაკუთრებული წანილია, შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენება-განმარტება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უნდა ხდებოდეს ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპების ზედმინებით დაცვის საფუძველზე. კანონმდებლობის „არაწინააღმდეგობრიობის“ პრინციპი კი ვანაპირობებს კანონმდებლობას, როგორც ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა წინააღმდეგობებისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ის შესამების ვალდებულებას, რომ ესა თუ მოქალაქე არ აღმოჩნდეს დაუცველი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობისაგან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი თავისი იურიდიული ბუნებით რეპრესიული ტიპის საკანონმდებლო აქტია, აღნიშნულისაგან პრინციპულად განსხვავებული ანუ ადმინისტრაციასთან მიმართებაში მოქალაქეთა უფლებებზე დაფუძნებულ კანონმდებლობას წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს განსაზღვრულ ფორმა-ლურ საერთო წესს ადმინისტრაციულ ორგანოთათვის, რომე-ლიც დაცული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ჩაბარებისა და აღსრულებისას.

ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლით განსაზღვრულია საქმეზე მიღებული დადგენილების გამოცხადების, დადგენილების ასლის ჩაბარების ან გაგზავნის წესები, კერძოდ, დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში უნდა ჩა-ბარდეს ან გაეგზავნოს ადრესატს. ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-3 ნაწილით გან-საზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფ-ლებამოსილება ადრესატისათვის საურავის დარიცხვის შესა-ხებ დადგენილების ასლის ჩაბარების ან გაგზავნის თაობაზე, თუ საურავის დარიცხვის თაობაზე დამრღვევისათვის ან ამ კო-დექსით განსაზღვრულ შემთხვევებში ავტოსატრანსპორტო სა-შუალების მესაკუთრისათვის ცნობილი გახდა ადმინისტრაცი-ულ სამართალდარღვევათა კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის ჩაბა-რებისთანავე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლი განსაზ-ღვრავს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის პირობებს. კერძოდ, აქტის ძალაში შეს-ვლა დაკავშირებულია დადგენილი წესით მხარისათვის გაცნო-ბასთან ან სათანადო წესით გამოქვეყნებასთან თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თა-ნახმად, ინდივიდუალური აქტის ძალაში შესვლა გამოქვეყნე-ბამდე ან ოფიციალურად გაცნობამდე შესაძლებელია, როდე-საც არსებითი ზიანის საფრთხე ემუქრება სახელმწიფო ან სა-ზოგადიებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, პირის კანონიერ ინტერესს ან უფლებას. ზოგადი ადმინისტრა-ციული კოდექსის 55-58-ე მუხლებით კი განსაზღვრულია მხა-რისათვის აქტის ოფიციალური გაცნობის, ფოსტით გაგზავნის, გამოქვეყნებისა და საჯაროდ გაცნობის წესები.

კანონიერი მმართველობის წინაპირობას წარმოადგენს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის აღნიშნული წესები გათ-ვალისწინებული იყოს ადმინისტრაციული სამართლის განსა-კუთრებული ნაწილის, მათ შორის, საჯარიმო სამართლის მომ-წესრიგებელ კანონმდებლობაში. მართალია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 303-ე მუხლი მართვის უფ-ლების ჩამორთმევას უკავშირებს დადგენილების გამოტანის მო-მენტს, მაგრამ აღნიშნული არ ათავისუფლებს ადმინისტრაცი-

ულ ორგანოს დადგენილების მხარისათვის გაგზავნის ან გაცნობის ვალდებულებისაგან, რაც დადგენილია კიდეც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მეტიც, საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ ლ. გ-ი 2011 წლის 21 მაისამდე, 2 მაისს დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილით, დაჯარიმებისას მისთვის მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების არსებობის თაობაზე არ უცნობებიათ. რაც ცხადყოფს, რომ მოხელე პოლიციელი სრულყოფილად არ იცნობდა ლ. გ-ს სამართალდარღვევათა ისტორიას, მაშინ, როცა შესაბამის მონაცემთა ბაზაში მართვის უფლების ჩამორთმევის თაობაზე ფიქსირებული უნდა ყოფილიყო და მოხელე-პოლიციელი ვალდებული იყო ყველა ფაქტობრივი გარემოება გაეთვალისწინებინა, რასაც მოცემული საქმის მტკიცებულებების ანალიზიდან გამომდინარე სრულიად განსხვავებული სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა. უფრო მეტიც, 2012 წლის 21 მაისის საჯარიმო ქვითრის მიხედვით ლ. გ-ისათვის მართვის უფლების ჩამორთმევის თაობაზე დადგენილების გამოცემის თარიღად მითითებულია 2011 წლის 10 ოქტომბერი, საქმის მასალებით კი ირკვევა, რომ ასეთი დადგენილება საერთოდ არ არსებობდა და საჯარიმო ქვითრის შევსებისას დაშვებული იყო ფაქტობრივი შეცდომა. აღნიშნული დარღვევები მიუთითებს, რომ როგორც 2011 წლის 2 მაისის, ასევე, 2011 წლის 21 მაისის სამართალდარღვევის გარემოები კვალიფიციურად არ ყოფილა გამოკვლეული და მოხელე-პოლიციელებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო გულისხმიერება და პროფესიული კვალიფიკაცია კანონით დადგენილი მოვალეობებისადმი.

3. საკასაციო სასამართლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ინსტიტუტთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისათვის გაცნობის ფორმების გამოყენება დაკავშირებულია ადმინისტრაციული წარმოების ფორმებთან და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატთა რაოდენობასთან, ასევე მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელობის ხარისხთან. ოფიციალურობის თვალსაზრისით ეს სამივე ფორმა თანაბარი სამართლებრივი ძალის მატარებელია და თანაბარ სამართლებრივ შედეგებს იწვევს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიული ნორმა. კოდექსის ეს მოთხოვნა გამომდინარე-

ობს იქედან, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისათვის გაცნობა არის ფინალი ადმინისტრაციული წარმოებისა და მისი შედეგი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით ((სზაკ-ის 54-ე მუხლი); ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ კანონმდებლობით შესაძლებელია მისი ძალაში შესვლის სხვა ვადები იყოს დადგენილი). ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ზუსტი დროის განსაზღვრა მთიშვნელოვანია აქტის მიმართ საჩივრის და სარჩელის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადების დასაცავად. სწორედ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი ნესით გაცნობისთანავე იწყება მისი გასაჩივრების (სარჩელის შეტანის) ვადების ათველა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა წარმოადგენს არა მარტო აქტის კანონიერების კრიტერიუმს, არამედ მისი არსებობის წინაპირობას. როგორც საკანონმდებლო აქტი მისი ოფიციალური გამოქვეყნებით შედის ძალაში, ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას მისი ადრესატისათვის ოფიციალური გაცნობით.

თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიმართულია რამდენიმე ადრესატის მიმართ, აუცილებელია თითოეული მათგანისათვის მისი ოფიციალური გაცნობა. აქედან გამომდინარე შესაძლებელია თითოეული პირის მიმართ ძალაში შესვლის სხვადასხვა ვადები გვქონდეს სახეზე. ამან შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული პრობლემები წარმოშვას, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. ასეთი შემთხვევების თავიდან აცილებას ემსახურება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლი მოცემული მოწესრიგება. თუმცა ეს მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე – 58-ე მუხლების და სპეციალურ კანონებში მოცემული დანაწესების თავისებუ-

რებეჭს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის გადაცემის კანონით განსაზღვრული ფორმის დაუცველობა ყოველთვის არ აბრკოლებს მის ძალაში შესვლას, არამედ აქტს ხდის უკანონოს. ასე, მაგ., თუ წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის ზეპირი ფორმით გაცნობა მოხდა, ასეთი აქტი მისი მხარისათვის გაცნობის კანონით დადგენილი წესის დარღვევის გამო არის უკანონო, მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენადაც მოხდა ადრესატისათვის მისი ოფიციალური გაცნობა, ის შეიძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. მაგრამ, თუ კანონით გათვალისწინებული აქტის მხარისათვის ინდივიდუალური გადაცემის მიუხედავად (სზაპ-ის 58-ე მუხლის შესაბამისად) მოხდება მისი საჯაროდ გამოცხადების გზით გაცნობა, ამ შემთხვევაში თვითონ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის ფორმა არის უკანონო და ამდენად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შედის ძალაში, ანუ აქტი მხარისათვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მატარებელი არ არის.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის გაცნობის პროცესში არსებითა შემდეგი გარემოება:

– მხარისათვის მისი გაცნობა უნდა ატარებდეს ინდივიდუალურ ხასიათს, ანუ კონკრეტულად უნდა იყოს ადრესატი მითითებული, რამდენადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობა ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ისეთი ცალმხრივი წების გამოვლენა, რომელიც საჭიროებს მეორე მხარის მიერ მიღებას, შესაბამისად მოქმედებს სამოქალაქო სამართლის ნორმები მისი ნამდვილობის დასადგენად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ინსტიტუტი პირდაპირ კავშირშია აქტის ალსრულების ინსტიტუტთან, ვინაიდან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება არის ადმინისტრაციული წარმოების მნიშვნელოვანი სტადია. ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგები ვლინდება მის ალსრულებაში. ალსრულების ცნების ქვეშ მოიაზრება მოქალაქის ან სხვა სამართლის სუბიექტების საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებების იძულების წესით განხორციელების შესაძლებლობა. კანონით მკაფიოდ განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, დაუშვებელია ინდივიდუალურ ადმი-

ნისტრაციულ-სამართლებრივ აქტის აღსრულების დაწყება, თუ იგი ადრესატს არ ჩაპარდა კანონით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული სამართლდარღვევების გამოვლენა და შესაბამისი სახდელის შეფარდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით ხორციელდება და მისი გაცნობა ადრესატისათვის განეკუთხენება ნორმატიულად გარანტირებულ უფლებას – გააჩნიდეს კანონიერი მოლოდინი აქტის აღსრულების სტადიაში გადაზრდამდე დაკისრებული ვალდებულების გაცნობისა და გასაჩივრების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით.

განსახილები სამართლურთიერთობის შეფასებისას საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ლ. გ-ისათვის არ იყო ცნობილი მართვის უფლების აკრძალვის შესახებ. მართვის უფლების თაობაზე დადგენილება არ ჩაპარებია ადრესატს და იგი არ აღსრულებულა კანონით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღსრულდება მძღოლის მოწმობის ჩამორთმევით. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო არა მხოლოდ გაეგზავნა დადგენილების ასლი ლ. გ-ისათვის, არამედ მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად აღსრულებინა კიდეც დადგენილება მართვის მოწმობის ჩამორთმევით. ფაქტობრივად ლ. გ-ისათვის მართვის მოწმობის ჩამორთმევა მოხდა 2011 წლის 21 მაისს. ამ მომენტისათვის კი ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლით განსაზღვრული დადგენილების აღსრულების ექვს თვითინი ვადა უკვე გასული, ხოლო 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება აღსასრულებლად ხანდაზმული იყო.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის განმარტებას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 287-ე ზოგადი ნორმით განსაზღვრული დადგენილების აღსრულების ექს თვითინი ვადა, რადგან მართვის მოწმობის ფიზიკურად ჩამორთმევა კი არ ზლუდავს პირის უფლებას, არამედ დადგენილება ამ უფლების ჩამორთმევის შესახებ, ამასთანავე, კასატორის მოსაზრებით, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოქმედი კანონმდებლობა მძღოლს მართვის მოწმობის ტარებას აღარ ავალდებულებს.

აღნიშნულ არგუმენტთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-

სის 5.1 მუხლში რეგლამენტირებული ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების კანონის ფარგლებში განხორციელების სავალდებულო პრინციპი, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების წარმოება ხორციელდება კანონის მკაფიო დაცვის საფუძველზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სახდელების, მათ შორის, მართვის უფლების ჩამორთმევის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღზრდა კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283.1 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სახდელების დადების შესახებ დადგენილების აღსრულებას მისი გამოტანის მომენტიდან, ხოლო მე-5 ნაწილის მიხედვით დადგენილების გამომტანი როგონს ვალდებულებას წარმოადგენს – აღასრულოს მის მიერ გამოცემული აქტი. ამასთანავე, შე-300 მუხლით განსაზღვრულია როგორ უნდა აღსრულდეს დადგენილება, რომლითაც პირს ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა მართვის უფლების ჩამორთმევა და იმპერატიულად არის დადგენილი, რომ დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღსრულდება მძღოლის მოწმობის ჩამორთმევით, უფრო მეტიც, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია იძულებითი წესით მოწმობის ჩამორთმევა, როცა მძღოლი, რომელსაც უკვე ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, თავს არიდებს მოწმობის ჩაბარებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 303-ე მუხლით დადგენილი სპეციალური უფლების – სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებისათვის უფლების ჩამორთმევის ვადის გამოანგარიშებისათვის დადგენილი წესი არ აქარწყლებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, რომ კანონით დადგენილი წესით დადგენილ ვადაში მოახდინოს მის მიერ გამოცემული დადგენილების აღსრულება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადას. სადაც არ არის ფაქტი, რომ რეალურად ლ. გ-ისათვის, როგორც

დადგენილების არსებობის შესახებ შეტყობინება, აგრეთვე მართვის მოწმობის ჩამორთმევა განხორციელდა 2011 წლის 21 მაისს, მაშინ როდესაც დადგენილების გამოტანიდან გასული იყო ექვს თვეზე მეტი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლის თანახმად კი დადგენილება აღსასრულებლად იყო ხანდაზმული და აღარ ექვემდებარებოდა აღსრულებას.

ის, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მძლოლის მოწმობის ტარება სავალდებულო აღარ არის, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამედროვე ადმინისტრირება გულისხმობს უფლებამოსილებათა განხორციელებისას ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა-გამოყენებას, შესაბამისად შსს სპეციალური ელექტრონულ მონაცემთა ბაზების შექმნით და მართვის მოწმობის ტარების ვალდებულების მოხსნით კანონმდებლის მიზანს წარმოადგენს მძლოლების გათავისუფლება ზედმეტი ბიუროკრატიული წნევისაგან, მმართველობის ეფექტიანი და სწრაფი განხორციელება და არა ფიზიკურად მართვის უფლების მოწმობის ტარებასთან რაიმე სამართლებრივი შედეგის დაკავშირება. ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით მოწმობის ფიზიკურად ტარება არ არის სავალდებულო მძლოლებისათვის, არ წიმნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო გათავისუფლებულია კანონის მოთხოვნების შესაბამისად მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების (მართვის მოწმობის ჩამორთმევა) ვალდებულებისაგან. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის არ გამოყენების წინაპირობად ვერ მიიჩნევა მძლოლის მართვის მოწმობის გარეშე მოძრაობის დაშვების შესაძლებლობა. ეს ორი საკითხი ვერ იქნება ურთიერთდაკავშირებული და ვერ გამოღვება ხანდაზმულობის ვადის გაქარწყლების არგუმენტად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის საჯაროსამართლებრივი ვალდებულების განსაზღვრისას კანონმდებლის მიერ გასათვალისწინებელია ნორმატიული, სოციალური და სხვა ხასიათის შეზღუდვები, მათ შორის ქვეყანაში არსებული კონკრეტული სამართლებრივი რეალობა. მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილება თავის ბუნებით მიეკუთვნება შემზღვეული (ამკრძალავი) აქტების სახეს, რომელიც პირის სამართლებრივ მდგომარეობას ამძიმებს კონკრეტული უფლებით სარგებლობის აკრძალვით, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პროცედურული მოქმედების ჩატარების ვალდებულება ემსახურებოდეს კერძო ინტერესის – ადამიანის უფ-

ლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირლვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი. კანონიერი მართველობა, უპირველეს ყოვლისა ორიენტირებული უნდა იყოს პირის სუბიექტური უფლებების დაცვაზე. ხოლო კანონდარღვევის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოფდეს პირისათვის მისი სასამართლოს წესით გასაჩივრების შესაძლებლობას. ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მატერიალური და პროცესუალური ნორმების სწორი გაგება-გამოყენება უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მართვის უფლების შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას წარმოადგენს კანონით დადგენილ ვადაში და წესით გააცინოს ადრესატს უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილება და აღასრულოს იგი. კერძოდ:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დადგენილების გამომტანი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩააბაროს ან გაუგზავნოს ადრესატს;

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283-ე მუხლის 1-ლი და მე-5 მუხლების თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დადგენილება მიაქციოს აღსასრულებლად;

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-300 მუხლის თანახმად, დადგენილება უნდა აღსრულდეს მძღოლის მოწმობის ჩამორთმევით.

ამდენად, სადავო ურთიერთობაში კანონით დადგენილი ვალდებულება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ შესრულებულა.

4. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალი ანესრიგებს მოქალაქისა და მმართველობის ორგანოს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. ადმინისტრაციული კანონმდებლობით განისაზღვრება არა მხოლოდ მოქალაქის უფლებები, აგრეთვე ვალდებულებები მმართველობის ორგანოებთან მიმართებით. ადმინისტრაციულ სამართალში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, მოქმედი

დებს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული კეთილსინდი-სიერების პრინციპი, რომელიც თანაბრად ვრცელდება ადმინის-ტრაციულ ორგანოებსა და მოქალაქეებზე და ავალდებულებს მათ ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდონ კანონით დადგენილ უფლება-მოვალეობებს. ყოველი პირი ვალდებულია გაითვალის-წინოს გარემოებები, რომლებიც მისთვის ცნობილია ან უნდა ყო-ფილიყო ცნობილი, სათანადო გულისხმიერების გამოჩენის შემ-თხევები. განსახილველ შემთხვევაში, ლ. გ-ისათვის ცნობილი იყო ჯარიმით დაკისრებული თანხის კანონით დადგენილ – 30 დღის ვადაში გადახდის ვალდებულების შესახებ, შესაბამისად, როდესაც მან ჯარიმის გადახდის ვადას გადააცილა, უნდა ჰქო-ნოდა ვარაუდი იმისა, რომ ვადის გადაცილებას შედეგად მოჰ-ყვებოდა ადმინისტრაციულ ორგანოთა კანონმდებლობით გათ-ვალისწინებული ღონისძიებები.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე-ობს აგრეთვე კანონიერი ნდობის პრინციპი, რომელიც კრძალავს ისეთ მმართველობით საქმიანობას, რომელიც თავის მხრივ კა-ნონიერია, მაგრამ იწვევს მისი ადრესატის კანონიერი ნდობის უფლების იგნორირებას. ამ შემთხვევაში თანაზომიერების პრინ-ციპის გათვალისწინებით მოქალაქის ნდობა მმართველობის ორ-განოს ქმედებაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ინტერე-სი, რომელსაც იცავს ადმინისტრაციული ორგანო.

კანონით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა საქართვე-ლოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შე-სახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 45-ე მუხ-ლის მიხედვით: საქართველოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხო-ების უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა იწვევს დისციპლინურ, სისხლის სამართლისა და ადმინისტრა-ციულ პასუხისმგებლობას დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული საკა-ნონმდებლო აქტით კანონმდებელი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლს, ავალებს რა საგზაო მოძრაო-ბის კანონით დადგენილი წესების დაცვას და ითვალისწინებს ადეკვატური პასუხისმგებლობის ზომებს, განიხილავს მას, რო-გორც საგზაო-სატრანსპორტო მოძრაობის კანონიერების უზ-რუნველყოფის კეთილსინდისიერ თანამონაწილედ, რაც საპო-ლიციო ორგანოების საქმიანობისა და საჯარო წესრიგისა და კა-ნონიერების დაცვაში ხელშეწყობას გულისხმობს.

საკასაციო სასამართლო მითითებული ნორმატიული აქტის ანალიზიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ საგზაო-სატრან-სპორტო მოძრაობის მონაწილე მძღოლის მიერ წესების იგნო-

რიჩების სამართალდარღვევად მიჩნევის და მისი სანქცირების დადგენით, კანონმდებელი პასუხობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 1-ლი მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანებს, რომლის მიხედვით ასეთს წარმოადგენს: „მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით“.

საგზაო-სატრანსპორტო მოძრაობის მონაწილე მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა სწორედ რომ ენინააღმდეგება ქვეყანაში საჯარო წესრიგს, წარმოადგენს საერთო ცხოვრების წესების უპატივცემულობას, ხელს უშლის კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოდ ჩამოყალიბება შეუძლებელია მოქალაქეთა საჯარო წესრიგისადმი, კანონისადმი არასწორი დამოკიდებულების, მოქალაქეობრივი უპასუხისმგებლობის პირობებში, ხოლო, სწორი მიდგომებისა და ტრადიციის ჩამოყალიბება საზოგადოების და სახელმწიფო ინსტიტუტების ზრუნვის საგანუნდა წარმოადგენდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომა სასამართლოებმა სწორი შეფასება მისცეს საქმის მასალებს, სადაც ურთიერთობის მომწესრიგებულ ნორმატიულ ბაზას და კანონიერად და ობიექტურად გადაწყვიტეს დავა, შესაბამისად არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები.

ამასთან, სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამსარეო მთავარ სამმართვლოს უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 257-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 ოქტომბერის განჩინება;

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარ სამმართველოს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **დაჯარიმება ავტოსაგზაო სამართალდარღვევის გამო**

#### **განხილვა**

№ბს-878-860(კ-12)

9 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა:** ნ. ნეკლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. ვაჩაძე,

ჰ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება; საპროცესო ხარჯების ანაზღაურება;

**აღწერილობითი ნაწილი:**

მოსარჩევე – ე. თ-ე

მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი

## სამმართველო

**მესამე პირი – ი. ვ-ე**

**სარჩელის სახე:** საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა;

**სარჩელის საგანი:**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 8 მაისის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა;

2. საპროცესო ხარჯების ანაზღაურება;

3. ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება;

**სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:**

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 08 მაისს საკუთარი ავტომანქანით გადაადგილდებოდა ქ. ქუთაისში, ... ქუჩაზე. ... და ... ქუჩების გადაკვეთასთან, მოხვევის მანევრის შესრულებისას, მას შეეჯახა ... ქუჩაზე საპირისპირო მიმართულებით მოძრავი „ოპელის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით და არ დაემორჩილა შუქნიშნის წითელი ფერით განსაზღვრულ აკრძალვას.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულმა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა მოსარჩელე ცნეს სამართალდამრღვევად და დაჯარიმეს 250 ლარით.

მოსარჩელემ ავტო-ტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით მიმართა შპს „...“. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად ე. თ-ეს არ დაურღვევია მოძრაობის წესები და ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია ოპელის მარკის ავტომობილის მიერ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 25.2, 29.1, 32.4 მუხლების დარღვევამ.

**სამართლებრივი:** მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ 25.2, 29.1, 32.4 მუხლები.

**მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარ სამმართველოს შესაგებელი არ წარუდგენია. სასამართლო სხდომაზე შეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელემ დარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები – საპირისპირო ზოლიდან მოძრავ ავ-**

ტოსატრანსპორტო საშუალებას არ მისცა მანევრის დამთავრების საშუალება, თვითონ კი მოხვევის მანევრი ისე დაიწყო, რომ არ დარწმუნდა მის უსაფრთხოებაში.

### **მესამე პირის შესაგებელი:**

**ფაქტობრივი:** მესამე პირმა – ი. ვ-ემ სარჩელი არ ცნო, არ დაეთანხმა საქმეში წარმოდგენილ ექსაგრტიზის დასკვნას და განმარტა, რომ დასკვნა არის უსაფუძვლო და ტენდენციური, რადგან საგზაო მოძრაობის დაწყების წესები დაარღვია ე. თ-ემ, რასაც შედეგად მოჰყვა ავტომაქანების შეჯახება.

**სამართლებრივი:** საჯარიმო ქვითარი, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საპატრულო პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5, 96.1-2 მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით. საქმეზე დადგენილია და დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ე. თ-ეს ნამდვილად აქვს დარღვეული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის გათვალისწინებული მოძრაობის წესები, რასაც შედეგად მოჰყვა ავტომანქანების შეჯახება. ამდენად, სადაც არ ეწინააღმდეგება კანონს, რის გამოც არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

### **საქმის გარემოებები:**

2011 წლის 8 მაისს მოსარჩელე – ე. თ-ე საკუთარი, „მერსედესის“ მარკის ავტომანქანით, სახელმწიფო ნომრით – ... – ..., მოძრაობდა ქ. ქუთაისში, ... ქუჩაზე, საიდანაც მოძრაობის გაგრძელებას აპირებდა ... ქუჩის მარცხნივ ... ქუჩის მიმართულებით. ... და ... ქუჩებს შორის მოძრაობის წესებს აწესრიგებს შუქნიშანი. ე. თ-ეს მოხვევის მანევრის შესრულებისას შეეჯახა ... ქუჩაზე საპირისპირო მიმართულებით მოძრავი, „ოპელის“ მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით – ... – ..., რომელსაც მართავდა ი. ვ-ე. „ოპელის“ მარკის ავტომანქანა თავდაპირველად შეეჯახა „მერსედესის“ მარკის ავტომანქანის წინა ე.ნ. „ბუფერს“, ხოლო შემდეგ გვერდით მდებარე რკინის ბოძს.

საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, ახსნა-განმარტება ჩამოართვეს ავტომანქანების მძლოლებსა და მოწმეებს, შეადგინეს საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების სქემა, ავტოსაგზაო შემთხვევაში სამართალდამრღვევად მიიჩინეს ე. თ-ე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად დააჯა-

რიმეს 250 ლარის ოდენობით და ჩამოართვეს ავტომანქანა.

2011 წლის 13 მაისს ე. თ-ემ განცხადებით მიმართა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსს, განმარტა რომ არ ეთანხმებოდა 2011 წლის 8 მაისს საჯარიმო ოქმს და მოითხოვა სათანადო წესით დამონმებული ავტო-საგზაო შემთხვევის საქმის მასალების გადაცემა.

2011 წლის 14 მაისს ე. თ-ეს ასლების სახით გაეგზავნა ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, საგზაო-სატრანსტორტო შემთხვევის დათვალიერების სქემა და ახსნა-განმარტებები.

2011 წლის 22 მაისს ე. თ-ემ განცხადებით მიმართა შპს „...“, ნარადგინა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის მასალების ქსერო ასლები და მოითხოვა შემთხვევის ადგილის ავტოტექნიკური და ავტოტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება. 2011 წლის 30 მაისის შპს „...“ დასკვნის თანახმად ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეულია ავტომობილ „ოპელ ვეკტრა“-ს მძღოლის, ი. ვ-ის მიერ, რომლის მოქმედება არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ 25.2, 29.1, 32.4 მუხლების მოთხოვნებს. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული წესების შესრულების შემთხვევაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა; ავტომობილ „მერსედესის“ მძღოლის, ე. თ-ის, მოქმედებაში ზემოხსენებული კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა, რომელსაც შეეძლო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამოწვევა, არ აღინიშნებოდა.

2011 წლის 3 ივნისს ე. თ-ემ კვლავ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარ სამმართველოს და მოითხოვა მისთვის ეცნობებინათ საჯარიმო ქვითრის გაუქმების თაობაზე საქმის წაროება რა სტადიაზე იმყოფებოდა.

2011 წლის 6 ივნისს ე. თ-ეს ეცნობა, რომ საჯარიმო ქვითრის გაუქმებასთან დაკავშირებით მას საჩივარი წარდგენილი არ ჰქონია, ასეთი შოთხოვნა განცხადებაში დაფიქსირებული არ ყოფილა და 13 მაისის განცხადებით მხოლოდ საქმის მასალების ასლების გადაცემას ეხებოდა.

2011 წლის 10 ივნისს ე. თ-ემ შსს საპატრულო პოლიციის იმერეთის მთავარ სამმართველოში წარადგინა საჩივარი და მოითხოვა მისი დაჯარიმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ავტოსატრანსპორტო საშუალების დაბრუნება.

2011 წლის 11 ივნისის იმერეთის მთავარი სამმართველოს პასუხით ე. თ-ეს ეცნობა, რომ მისი საჩივარი 2011 წლის 8 მაისს

შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საჯარო-მო ქვითრის გაუქმებასთან დაკავშირებით განუხილველი დარჩა, რადგან არ იყო დაცული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით განსაზღვრული დადგენილების გასაჩივრების ათდღიანი ვადა; რაც შეეხება ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალური დაცული სადგომიდან გამოყვანას, ე. თ-ე უნდა გამოცხადებულიყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ჯგუფში, სადაც სატრანსპორტო საშუალება ჩაბარდებოდა კანონით დადგენილი წესით.

ე. თ-ე 2011 წლის 14 ივნისს სარჩელი აღძრა სასამართლო-ში. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით ე. თ-ის სარჩელის გამო აღძრულ ადმინისტრაციულ საქმეში ი. ვ-ე ჩაბმულ იქნა მესამე პირად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

#### **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით ე. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

ე. თ-ეს ჰყავს ავტომანქანა „მერსედესი“ სახელმწიფო ნომრით – .... ი. ვ-ეს ჰყავს ავტომანქანა „ოპელი“ სახელმწიფო ნომრით – ....

ე. თ-ე 2011 წლის 8 მაისს დაახლოებით 11:00 საათზე მოძრაობდა ქ. ქუთაისში ... ქუჩაზე, საიდანაც აპირებდა მოძრაობის გაგრძელებას ... ქუჩის ხელმარცხნივ ... ქუჩის მიმართულებით. ე. თ-ე შეჩერდა აღნიშნული გზის მონაკვეთზე, შუქნიშნის წითელ ფერზე და დაელოდა მწვანე ფერის ანთებას, შუქნიშნის მწვანე ფერის მაჩვენებლის გააქტიურების შემდეგ ე. თ-ემ გააგრძელა გზა, მივიდა გზაჯვარედინის ცენტრში და დაპირა ... ქუჩის მიმართულებით მოხვევის მანქერის გაგრძელება. ამავე დროს საპირასპირო მიმართულებიდან ... ქუჩაზე მოძრაობდა ი. ვ-ე „ოპელის“ მარკის ავტომანქანით, მათ შორის მოხდა შეჯახება. კერძოდ, „ოპელის“ მარკის ავტომანქანამ მარცხენა მხარე გაჰკრა „მერსედესის“ მარკის ავტომანქანის წინა ე.ნ. „ბუფერს“, ასცდა გზას და შეეჯახა რენის ბოძს. შემთხვევის ადგილზე მივიდა საპატრულო პოლიცია, რომელმაც შეადგინა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის სქემა.

საპატრულო პოლიციამ დაათვალიერა შემთხვევის ადგილი, ახსნა-განმარტება ჩამოართვა მძღოლებსა და მოწმეებს და მა-

თი ანალიზის შედეგად რომ ავტოსაგზაო შემთხვევის წარმოშობაში ბრალეულად მიიჩნია ე. თ-ე და შეუდგინა საჯარიმო ქვითარი, რომლითაც ე. თ-ე დაჯარიმდა 250 ლარით.

2011 წლის 13 მაისს ე. თ-ემ განცხადებით მიმართა საპატ-რულო პოლიციას და განუმარტა, რომ ის არ არის სამართალ-დამრღვევი და მოითხოვა საქმის მასალები.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ 2011 წლის 14 მაისს ავტოსაგზაო შემთხვევის ამსახველი დოკუმენტები გადაუგზავნა ე. თ-ეს.

2011 წლის 3 ივნისს ე. თ-ემ განცხადებით მიმართა იმერეთის მთავარ სამმართველოს და მოითხოვა ეცნობებინათ, თუ რა ბედი ენია საჩივარს, რომელიც მან 2011 წლის 13 მაისს წარადგინა.

2011 წლის 6 ივნისს იმერეთის მთავარი სამმართველოდან ე. თ-ეს ეცნობა, რომ მას 2011 წლის 13 მაისის განცხადებით მოთხოვნილი საქმის მასალები გადაცემული ჰქონდა, ხოლო საჩივარი არ წარუდგენია, შესაბამისად ვერც განიხილებოდა.

2011 წლის 10 ივნისს ე. თ-ემ იმერეთის მთავარ სამმართველოში შეიტანა საჩივარი და მოითხოვა მისი დაჯარიმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ავტოსანტრანსპორტო საშუალების დაბრუნება.

იმერეთის მთავარმა სამმართველომ ე. თ-ის საჩივარი არ განიხილა. განმარტა, რომ ე. თ-ეს გაშვებული ჰქონდა სამართალ-დარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით დადგენილი ვადა, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების მიღებისათვის უნდა გამოცხადებულიყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს სამართალ-დარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ჯგუფში, სადაც სატრანსპორტო საშუალება ჩაბარდებოდა კანონით დადგენილი წესით.

ე. თ-ემ 2011 წლის 14 ივნისს სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 8 მაისს მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, პროცესის ხარჯების ანაზღაურება და ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება.

სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით სასამართლო დანიშნა განმნესრიგებელი სხდომა. სასამართლომ სარჩელი მი-

იჩნია დასაშვებად.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე მიღებული სამომავლო გადაწყვეტილება შეეხებოდა ი. ვ-ის ინტერესებს, რის გამოც 2011 წლის 18 ივნისის განჩინებით ი. ვ-ე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში ჩაება მესამე პირად.

#### **სადაცო ფაქტობრივი გარემოებები:**

მოსარჩელემ განმარტა, რომ მან მოძრაობა დაიწყო შუქნიშნის მწვანე შუქის ანთების შემდეგ, ამიტომ მას შეეძლო დაუბრკოლებლად განეხორციელებინა მოხვევის მანევრი. ი. ვ-ე საპირისპირო მხრიდან მოძრაობდა წითელ შუქზე. შესაბამისად, ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეულია ი. ვ-ის ბრალეული ქმედებით. მოსარჩელემ წარადგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ამტკიცებს ი. ვ-ის ბრალეულობას. ე. თ-ემ ასევე მიუთითა, რომ მას ავტომანქანა ჩამოართვეს და აღარ უბრუნებენ.

მესამე პირის ი. ვ-ის წარმომადგენლის მტკიცებით, ი. ვ-ე შუქნიშანს გასცდა მოციმციმე მწვანე შუქის ანთების პროცესში.

#### **სასამართლოს მიერ სადაცოდ გახდილი ფაქტების შეფასება:**

სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებმა თვითონ უნდა ამტკიცონ გარემოებები, რომლებზეც ამყარებენ თავიანთ მოთხოვნასა და შესაგებელს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს ი. ვ-ემ წითელ შუქზე დაიწყო მანევრის შესრულება თუ მოციმციმე მწვანე ფერის შუქზე.

როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე და მათ მიერ წარმოდგენილი მოწმეები დაინტერესებული არიან საქმის შედეგით და მათი განმარტებების უტყუარად გაზიარება სასამართლოს შეიყვანს შეცდომაში.

სასამართლომ არ გაიზიარა ავტომანქანის დაბრუნების საკითხის სადაონბა. მოპასუხის განმარტებით, ავტომანქანა სადგომზე გაჩერებული იყო 10 დღით, რის შემდეგაც მოსარჩელეს ნებისმიერ დროს შეეძლო წაეყვანა ავტომანქანა. ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსის 2011 წლის 11 ივნისის მიმართვით ირკვევა, რომ მოსარჩელეს შეეძლო დაებრუნებინა საკუთარ ავტომანქანა, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს ავტომანქანის დაბრუნებაში არავინ ზღუდავდა და ავტომანქანის დაბრუნების გარემოება სადაცო არ იყო.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა არაა მოსარჩელის ბრალეული ქმედებით გამოწვეული და რომ იგი ი. ვ-ის ბრალეული ქმედებით დადგა. სასამართლოს ვალდებულებაა გამოარკვიოს დასახელებულ ავტოსაგზაო შემთხვევამი მოსარჩელის ბრალეულობა, რაც პირდაპირ კავშირშია გასაჩივრებული საჯარიმო ქვითრის კანონიერებასთან. მართალია, მოსარჩელემ წარადგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალი მიუძღვის ი. ვ-ეს, თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით. სასამართლომ განმარტა, რომ ი. ვ-ის ქმედება შესაძლებელია შეიცავდეს სამართალდარღვევის ნიშნებს, თუმცა მისი ბრალეულობის გარკვევა არაა ამ საქმის განხილვის საგანი. დავის არსი გამომდინარეობს ე. თ-ის მიერ მოძრაობის წესების დარღვევის შეფასებიდან. შესაბამისად, დისპოზიციურის პრინციპიდან გამომდინარე სასამართლო ვერ იმსჯელებს ი. ვ-ის ქმედებაზე. „საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით ირკვევა, რომ ე. თ-ემ დაარღვია საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილით და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ე“ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც ავტოსაგზაო შემთხვევის განმაპირობებელი ერთ-ერთი მიზეზია“.

სასამართლოს დასკვნა – დადგენილ ფაქტობრივ გარემოების ბათა სამართლებრივი შეფასების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება**

/კვალიფიკაცია/:

სასამართლომ განმარტა, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ანალიზით ირკვევა, რომ მოსარჩელემ გზაჯვარედინზე მოძრაობის ნებადამრთველი ნიშნის, მწვანე ფერის ან-თების შემდეგ დაიწყო მოძრაობა, გზაჯვარედინის იმ მონაკვეთამდე, საიდანაც უნდა დაეწყო მარცხნივ მოხვევის მანევრი, მაგრამ ამ დროს გზაჯვარედინზე უკვე შემოსული იყო საპირისპირო მიმართულებიდან მოძრავი „ოპელის“ მარკის ავტომანქანა. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნით გზაუნდა დაეთმო იმ სატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც მარ-

კვენა მხრიდან უახლოვდებოდა მოძრავი სატრანსპორტო საშუალება. დასახელებულ შემთხვევაში მოსარჩელის მოძრაობის ტრაექტორიამ და ო. ვ-ის მანქანის მოძრაობის ტრაექტორიამ ერთმანეთი გადაკვეთა. გზაჯვარედინზე მათი გავლის რიგითობა განსაზღვრული არ იყო, ამიტომ მძღოლებს უნდა ეხელმძღვანელათ ზემოაღნიშნული კანონის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილით და მოსარჩელეს გზა უნდა დაეთმო ო. ვ-ის მართვის ქვეშ არსებული „ოპელისათვის“, რადგან მათი ტრაექტორიების გადაკვეთის ადგილას „ოპელის“ მარკის ავტომანქანა მარჯვნიდან უახლოვდებოდა მოსარჩელეს. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა ვალდებული იყო საპირისპირო ზოლიდან მოძრავი „ოპელის“ მარკის ავტომანქანისათვის მიეცა მანევრის დასრულების საშუალება, რადგან „ოპელის“ მარკის ავტომანქანას მანევრი დაწყებული ჰქონდა, იგი მოძრაობდა პირდაპირ, შემოსული იყო გზაჯვარედინზე და აგრძელებდა მანევრის, ხოლო „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა ახლად იწყებდა მარცხნივ მოხვევის მანევრს. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე არ დარწმუნდა, რომ მანევრი იყო უსაფრთხო და მოხვევის მანევრი დაიწყო იმ დროს, როცა საპირისპირო ზოლიდან მის მანქანასთან მოახლოებული იყო „ოპელის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც მოძრაობის სიჩქარის მიხედვით არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეჩირებინა ავტომანქანა, რამაც საერთო ჯამში გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა.

#### **აპელანტი (მოსარჩელე): ე. თ-ე**

**მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე):** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმურეთის მთავარი სამმართველო

#### **მესამე პირი – ო. ვ-ე**

**აპელანტის მოთხოვნა –** ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის მოსაზრებით, როდესაც სასამართლო უდავო და დადგენილ ფაქტად მიიჩნევს ე. თ-ის შუქნიშნის ნებადამრთველ მწვანე ფერზე მოძრაობას, შუქნიშნის მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე, გაურკვეველია იმავე გადაწყვეტილებით რატომ „არ იზიარებს მოსარჩელის მტკიცებას, რომ ო. ვ-ემ მოძრაობა დაიწყო წითელ ფერზე“.

აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორად გამო-

იყენა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილი და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტები. აღნიშნული კანონის 27-ე მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა გზაჯვარედინზე არ არის შუქნიშანი, რომელიც განსაზღვრავს მოძრაობის რიგითობას, ხოლო 32-ე მუხლი კი ეხება შუქნიშნით მოწესრიგებულ გზაჯვარდინს. აპელანტის მტკიცებით, შეუძლებელია ე. თ-ის დაერღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული ორივე მუხლის მოთხოვნა.

ამასთან, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა. კერძოდ, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ი. ვ-ეს უნდა გაეთვალისწინებინა მთელი რიგი გარემოებები, ავტომანქანა უნდა ემართა ისეთი სიჩქარით, რომელიც მისცემდა გაჩერების შესაძლებლობას საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში.

**სამართლებრივი:** გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მისთვის ავტომანქანა არ ჩამოურთმევიათ, აღნიშნული დასკვნის საფუძვლად სასამართლო უთითებს მოპასუხის პოზიციას და საპატრულო პოლიციის წერილს. წერილი აშკარად ადასტურებს, რომ ავტომანქანის ჩამორთმევის ფაქტს ადგილი ნამდვილად ჰქონდა. ამას ადასტურებს ასევე საჯარიმო ქვითრის სახით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სადაც მითითებულია, რომ ე. თეს ჩამოერთვა ავტომანქანა. შესაბამისად, გადაწყვეტილების ამ ნაწილში მოსამართლის მსჯელობა არასწორი და დაუსაბუთებელია.

გასაჩივრებული საჯარიმო აქტი ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულ აქტის დასაბუთების წესს.

მოწინააღმდეგე მხარეს წერილობით შესაგებელი არ წარუდგენია.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი/:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით ე. თის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება:

**ფაქტობრივი დასაბუთება:** დადგენილია და მხარეთა დაცას არ იწვევს ის გარემობა, რომ გზაჯვარედინზე ე. თ-ემ მანევრი დაიწყო შუქნიშნის მარცხნივ მოხვევის ნებადამრთველი მწვანე ფერის ანთების შემდეგ.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკრეტული საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა განაპირობა გზაჯვარედინზე გავლის წესების დარღვევამ, მოცემული სადაცო სამართალურთიერთობის სწორად გადაწყვეტა საჭიროებს შემდეგი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევასა და შეფასებას: შეესაბამება თუ არ სინამდვილეს მესამე პირის განმარტება, რომ მან გზაჯვარედინზე გაიარა მოძრაობის ნებადამრთველ მოციმურები მწვანე შუქზე და ე. თ-ის მიერ მარცხნივ მოხვევის მანევრის დაწყებისას შემოსული იყო თუ არა მესამე პირი გზაჯვარედინზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მართალია, ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოსათვის საგალდებულო არ არის, მაგრამ სასამართლოს უარი ამ დასკვნის გაზიარებაზე დასაბუთებული უნდა იყოს. მხარეთა ურთიერთსანინააღმდეგო განმარტებების გამო შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს ი. ვ-ის გზაჯვარედინზე შემოსვლის მომენტი, აღნიშნულ საკითხზე დასკვნების გამოტანა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მოკლებულია დამაჯერებლობას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, კერძოდ, თუ ავტომანქანა „მერსედესმა“ გზაჯვარედინზე მარცხნივ მოხვევის მანევრი დაიწყო ნებადამრთველი დამატებითი სექციის მწვანე ისრის ანთების შემდეგ, შუქნიშნის მუშაობის პრინციპის გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო თუ არა ამ დროს საპირისპირო მოძრავი „ოპელის“ მარკის ავტომანქანისათვის ყოფილიყო მოძრაობის ნებადამრთველი რეჟიმი. წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა აღნიშნულ საკითხზე შეიცავს გარკვეულ მონაცემებს, თუმცა მათ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ რაიმე შეფასება არ მიეცა დაარც დამატებითი ინფორმაცია გამოთხვილი არ ყოფილა.

სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ თუ სასამართლო არ ეთანხმებოდა ექსპერტიზის დასკვნას დაუსაბუთებულობის მოტივით, მას შეეძლო დაენიშნა განმეორებითი ექსპერტიზა საერთოველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173.2 მუხლის თანაბრად. მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლომ არ გაიზიარა წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა დაუსაბუთებულობის მოტივით და სრულად გაიზიარა მესამე პირის განმარ-

ტება, რომ იგი გზაჯვარედინზე შევიდა მოციმციმე მწვანე შუქზე.

ასევე უსაფუძვლოა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომ ავტომანქანა „მერსედესისათვის“ მოხვევის მანევრის დაწყებისთანავე, მის წინ აღმოცენდა „ოპელის“ მარკის ავტომანქანა. საქმეში წარმოდგენილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სექტემბრის თანახმად, გზაჯვარედინზე, ... გამზირის სიგანე შეადგენს 23 მეტრს, შეჯახება კი მოხდა გზის მარჯვენა კიდიდან 21.4 მეტრი, ხოლო გზის სავალი ნაწილის მარცხენა კიდიდან 1.6 მეტრი დაშორებით, რაც ადასტურებს, რომ შეჯახება მოხდა მაშინ, როდესაც ა/მ „მერსედესი“ ასრულებდა საპირისპირო მოძრაობის ზოლის გადაკვეთის მანევრს და არა მარცხნივ მოხვევის მანევრის დაწყებისას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის გადაწყვეტისათვის.

### **სამართლებრივი დასაბუთება:**

სააპელაციო პალატა იზიარებს აპელანტის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ დავის გადაწყვეტისას პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

დადგენილია და მხარეთა დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა შუქნიშნით მოწესრიგბულ გზაჯვარედინზე. ორივე ავტომობილის სავალი ნაწილი შუქნიშნამდე მონიშნულია „სდექ“ ხაზით. „მერსედესის“ მხარეს შუქნიშანი აღჭურვილია დამატებითი მარცხნივ მოხვევის სექციით.

მოცემული სადაცო სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად, სასამართლომ გამოიყენა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველო კანონის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილი, რომელიც არეგულირებს არარეგულირებულ გზაჯვარედინზე უპირატეს გავლის რიგითობას. შესაბამისად, აღნიშნული ნორმის გამოყენება მოცემული სადაცო სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად დაუშვებელი იყო.

ასევე, სასამართლომ არასწორად გამოიყენა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. მართალია, სატრანსპორტო საშუალების მძლოლი ასრულებდა მარცხნივ მოხვევის მანევრს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, მის მხარეს შუქნიშანი აღჭურვილი იყო მარცხნივ მოხვევის ნებარდამრთველი დამატებითი სექციით, რომლის ჩართვის შერიოდში საპირისპირო მიმართულების ზოლისათვის ინთება მოძრაობის ამკრძალავი წითელი შუქნიშანი. შესაბამისად, არც აღნიშნული ნორმა არ აწეს-

რიგებს მოცემულ სადაცო სამართალურთიერთობას და ამ ნორმის მოთხოვნათა დაცვა ა/მ „მერსედესი“-ს მძღოლისათვის საჭირო არ იყო.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ მოცემული სადაცო სამართალურთიერთობა უნდა დარეგულირდეს „საგზაო მოზრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი წესების შესაბამისად, კერძოდ, შუქნიშნის ნებადამრთველი სიგნალის ჩართვისას მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც ამთავრებს გზაჯვარედინზე გადასვლას, და ქვეითს, რომელმაც ვერ დაამთავრა სავალ ნაწილზე გადასვლა მოცემული მიმართულებით. ანუ, უნდა დადგინდეს და შეფასება მიეცეს მესამე პირის მართვის ქვეშ მყოფი „ოპელის“ მარკის ავტომანქანა შესული იყო თუ არა გზაჯვარედინზე „მერსედესის“ მარკის ავტომანქანისათვის მარცხნივ მოხვევის ნებადამრთველი დამატებითი სექციის ჩართვისას. ამ გარემოების დასადგენად სასამართლო ყოველმხრივი და სრული შეფასება უნდა მისცეს როგორც მხარეთა განმარტებებს, ისე, საქმეში წარმოდგენილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემებს, ექსპერტიზის დასკვნას და ისე მიიღოს გადაწყვეტილება სადაცო საჯარიმო ქვითრის კანონიერებასთან დაკავშირებით. ხოლო, თუ სასამართლო არ გაიზიარებს ექსპერტების დასკვნას, უნდა გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დანიშნოს ექსპერტიზა.

ამასთან, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა დაცულ სადგომზე დგომის ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების საკითხზე, რადგან საქმის მსალებით მოსარჩევე შეზღუდული არ ყოფილა ავტომანქანის სადგომიდან გაყვანაში.

#### **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ე. თ-ის სარჩევი არ დაკავშირდა.

#### **სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ახალი ფაქტობრივი გარემობა:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებით საქმეზე დანიშნა განმეორებითი ავტოტექნიკური ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩატარდა კომისიური ავტოტექნიკუ-

რი ექსპერტიზა, საიდანაც ირკვევა, რომ ექსპერტიზაში მონაწილე ექსპერტების მიერ საერთო მოსაზრების დასკვნა გაცემული ვერ იქნა. კერძოდ, ექსპერტები და გ-იანი და დ. დ-ი მიიჩნევენ, რომ ავტომობილ „ოპელ-ვექტრას“ მძღოლს, ი. ვ-ეს ტექნიკური თვალსაზრისით (დამუხრუჭებით) ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება, ხოლო ექსპერტები რ. ვ-ი და გ. კ-ი მიიჩნევენ, რომ დასახელებული კანონის მოთხოვნები უგულებელყო „ოპელ-ვექტრას“ მძღოლმა ი. ვ-ემ, ხოლო „მერსედეს-ბენცის“ მძღოლის ე. თ-ის მოქმედება-ში აღნიშნული კანონის მოთხოვნების უგულებელყოფა, რასაც შეეძლო საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის გამოწვევა, არ აღინიშნება.

#### **სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:**

მოსარჩელემ განმარტა, რომ მან მოძრაობა დაიწყო მწვანე შუქის ანთების შემდეგ, ამიტომ მას შეეძლო დაუბრულებლად მანევრის განხორციელება. ი. ვ-ე საპირისპირო მხრიდან გამოვიდა წითელ შუქზე, ამიტომ იგი შეზღუდული იყო განეხორციელებინა მანევრი. ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეულია არა მისი, არამედ ი. ვ-ის ბრალეული ქმედებით.

#### **მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება:**

სასამართლომ არ გაიზიარა ექსპერტების რ. ვ-ისა და გ. კ-ის დასკვნა იმის თაობაზე, რომ ავტომობილი „ოპელ-ვექტრა“ მოძრაობდა დაახლოებით 92 კმ/სთ სიჩქარით და მოცირციმე მწვანე ფერის შემჩნევის დროს იგი შემთხვევის ადგილიდან დაშორებული იყო 182 მეტრით. რადგან აღნიშნული დასკვნა ეყრდნობა მხოლოდ მათი გამოკვლევის შედეგებს, რომ ა/ზ „მერსედეს-ბენცთან“ შეჯახების გამო ა/ზ „ოპელ-ვექტრამ“ დაკარგა სიჩქარე, დაახლოებით 32 კმ/სთ-ით, რასაც დაამატეს ა/ზ „ოპელ-ვექტრას“ მოძრაობის სიჩქარე 60 კმ/სთ (მძღოლის განმარტებით) და მიიღეს 92 კმ/სთ, საიდანაც მოხდა მანძილის განსაზღვრა.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის და ექსპერტთა რ. ვ-ისა და გ. კ-ის განმარტებები და დასკვნა იმის თაობაზე, რომ ა/ზ „მერსედეს-ბენცმა“ მოძრაობა დაიწყო მოხვევის ნებადამრთველი მწვანე შუქის ანთების შემდეგ. ამ დასკვნამდე ექსპერტები მივიღნენ მათივე გამოთვლებით მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომ ა/ზ „მერსედეს-ბენცის“ მიერ გზაჯვარედინზე მარცხნივ მოხვევის მანევრის დაწყების დროს ა/ზ „ოპელ-ვექტრა“ შემთხვევის ადგილიდან დაშორებული იყო

დაახლოებით 128 მეტრით, ხოლო ექსპერტები დ. გ-ი და დ. დ-ი განმარტავენ, რომ სათანადო მეთოდიკის არარსებობის გამო შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი შუქნიშნის ფერზე გაიარა ამა თუ იმ სატრანსპორტო საშუალებამ. ის გარემოება, რომ ა/მ „ოპელ-ვექტრა“ შუქნიშნებით ანიშნებდა ა/მ „მერსე-დეს ბენცს“ დაეთმო გზა, ადასტურებს, რომ იგი შემოსული იყო გზაჯვარედინზე და სარგებლობდა უპირატესი უფლებით და-ესრულებინა გზაჯვარედინზე გავლის მანევრი.

### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

სასამართლომ განმორტა, რომ საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნებადამრთველი მწვანე სიგნალის ჩართვის დროს მარცხნივ მოხვევისას ურელსო სატრანსპორტო საშუალების მძლოლი ვალდებულია გზა დაუთმოს საპირისპირო მიმართულებიდან ან მარჯვნივ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას. აღნიშნული შეეხება რეგულირებად გზაჯვარედინს და სასამართლომ არ გაიზიარა ექსპერტების რ. ვ-ისა და გ. კ-ის მოსაზრება, რომ ეს წესი ვრცელდება ისეთ მოწესრიგებულ გზაჯვარედინზე, რომელსაც არ აქვს დამატებითი სექცია და არ შეიძლება გავრცელდეს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაზე. სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში უდავოა ის გარემოება, რომ ე. თ-ე უხვევდა მარცხნივ, ხოლო ი. ვ-ე მოძრაობდა მისგან მარჯვნივ, შესაბამისად ე. თ-ე ვალდებული იყო დაეცვა ზემოდასახელებული კანონის მოთხოვნა.

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩევე ვალდებული იყო მანევრის განხორციელების წინ დარწმუნებულიყო მის უსაფრთხოებაში. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩევის განმარტება, რომ მან მარცხნივ მოხვევამდე გაიხედა როგორც წინ, ისე მარჯვენა მხარეს და დარწმუნდა, რომ ა/მანქანები არ მოძრაობდნენ. სადავო არ არის ის გარემოება, რომ ე. თ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი მარცხენა მხრიდან შეეჯახა მის წინ მყოფ „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომობილს. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოსარჩევის მითითება, რომ მის მიერ განხორციელებული მანევრი იყო უსაფრთხო. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ექსპერტების დასკვნა, რომ ზემოდასახელებული ნორმა შესაძლო გავრცელდეს მხოლოდ არარეგულირებულ გზაჯვარედინზე. სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელმა მძლოლი დაავალდებულა, რომ მის მიერ განხორციელებული მანევრი უნდა იყოს უსაფრთხო და ასეთი ვალდე-

ბულებებისაგან არ შეიძლება გათავისუფლდეს ის მძღოლი, რომელიც მოძრაობს რეგულირებულ გზაჯვარედიზე.

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მძღოლმა სატრანსპორტო საშუალება უნდა მართოს ისეთი სიჩქარით, რომელიც არ აღმატება დადგენილ შეზღუდვებს. გარდა ამისა, მძღოლი ვალდებულია მუდმივი კონტროლი გაუწიოს სიჩქარეს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წესების მოთხოვნათა შესასრულებლად, ექსპერტები დ. გ-ი და დ. დ-ი აღნიშნავენ, რომ მოცემულ შემთხვევაში ავტომობილ „ოპელ-ვექტრას“ მძღოლს ი. ვ-ეს ტექნიკური თვალსაზრისით ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო და მის ქმედებაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება.

შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ პატრულ-ინსპექტორებმა ავტოსატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე განხილვისას სწორი შეფასება მისცეს სადაც სამართლურთიერთობას და მართებულად შეადგინეს ოქმი ე. თ-ის მიმართ.

**აპელანტი (მოსარჩევე):** ე. თ-ე

**აპელანტი (მოპასუხე):** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო

**მესამე პირი:** ი. ვ-ე

**აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

**აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ი. ვ-ე გზაჯვარედიზე გადიოდა მოციმციმე მწვანე შუქებე. შუქნიშნის მოძრაობის პრინციპის გათვალისწინებით, მარცხნივ მოხვევის ნებადამრთველი სექციის ანთების შემდეგ, საპირისპირო ზოლით მოძრაობას კეტავს შუქნიშნის წითელი ფერი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომლითაც უარყოფილი იქნა მოსარჩელის არგუმენტები ი. ვ-ის წითელ შუქნიშნზე გასვლასთან დაკავშირებით.

**სამართლებრივი:** აპელანტის განმარტებით, სასამართლომ

გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-10 ნაწილი, რომელიც არეგულირებს არა-რეგულირებულ გზაჯვარედინზე უპირატესი გავლის წესებს. მოცემულ შემთხვევაში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა შუქნიშნით მოწესრიგებულ გზაჯვარედინზე, სადაც მოძრაობის რიგოთობა განისაზღვრება შუქნიშნის ფერებით. ამასთან, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი, რომლის თანახმად, ი. ვ-ეს უნდა გაეთვალსწინებინა მთელი რიგი პირობები და ავტომანქანა უნდა ემართა ისეთი სიჩქარით, რაც მისცემდა მისი გაჩერების შესაძლებლობას საფრთხის წარმოქმის შემთხვევაში.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი/:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტივები, პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ შედეგებს.

### **გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადაცო არ არის ის გარემოება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა შუქნიშნით მოწესრიგებულ გზაჯვარედინზე და ორივე ავტომობილის სავალი ნაწილი შუქნიშნამდე მონიშნულია „სდექ“ ხაზით. ა/ზ „მერსედეს ბენცის“ მხარეს შუქნიშანი აღჭურვილია დამატებით მარცხნივ მოხვევის სექციით. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეგულირებულ გზაჯვარედინზე ავტომობილის გავლის წესის და რიგითობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები არ გამორიცხავს ამავე ურთიერთობებზე კანონის ზოგადი ნორმების გავრცელების შესაძლებლობას, რომლებიც არეგულირებენ მანევრის დაწყების, მოძრაობის უსაფრთხოების, სათანადო სიჩქარის შერჩევის და ა. შ. წესებს. პალატამ აღნიშნა, რომ როგორც „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, ისე 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ერთნაირად განსაზღვრავენ, რომ მოძრაო-

ბის დაწყების, ზოლიდან ზოლში გადასვლის და მოხვევის მანევრი უნდა იყოს უსაფრთხო და მოძრაობის სხვა მონაწილეებს არ უნდა უქმნიდეს დაბრკოლებას.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები, რომ მოხვევის მანევრის დაწყების წინ იგი ვერ დარწმუნდა მის უსაფრთხოებაში, კერძოდ, გაიხედა მარჯვენივ, მარცხნივ, დარწმუნდა, რომ მანქანები არ მოძრაობდნენ და დაინტენდო მანევრი. პალატამ მიუთითა, რომ ა/მ „ოპელ-ვექტრას“ მძღოლის განმარტებით, მან ხმოვანი სიგნალით ანიშნა ა/მ „მერსედეს-ბენცის“ მძღოლს, რომელიც იწყებდა მარცხნივ მოხვევის მანევრს და კვეთდა რა მის სავალ ნაწილს, დაეთმო გზა და მიეცა შესაძლებლობა დაესრულებინა მანევრი (გზაჯვარედინზე გავლა), თუმცა ა/მ „მერსედეს ბენციმა“ განაგრძო მოძრაობა და მოხდა შეჯახება. ა/მ „ოპელ-ვექტრას“ მძღოლის განმარტებას შუქნიშნით და სიგნალებით არ უარყოფს ე. თ-ე, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ მომენტში ა/მ „ოპელ-ვექტრა“ არ იმყოფებოდა გზაჯვარედინის ფარგლებში. აღნიშნულ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე, პალატამ ჩათვალა, რომ ა/მ „მერსედეს ბენცის“ მძღოლის მარცხნივ მოხვევის მანევრის დაწყება არ იყო უსაფრთხო და ამ შემთხვევაში მისა მოქმედება არ შეესაბამება კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა არგუმენტები იმის თაობაზე, რომ ა/მ „მერსედეს-ბენცის“ მიერ მარცხნივ მოხვევის მანევრის დაწყების წინ ა/მ „ოპელ-ვექტრა“ არ იყო შესული გზაჯვარედინზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მხედველობაში მიიღო სსიპ ლევან სამხარაულის სახელმისა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების და.გ-ის და დ.დ-ის დასკვნა, რომ სათანადო მეთოდიკის არარსებობის გამო შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი შუქნიშნის ფერზე გაიარა ამა თუ იმ სატრანსპორტო საშუალებამ და ა/მ „მერსედეს-ბენცის“ მიერ მარცხნივ მოხვევის მანევრის წინ ა/მ „ოპელ-ვექტრა“ შესული იყო თუ არა გზაჯვარედინზე. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მხარეთა განმარტებებით და საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებით ცალსახად არ დასტურდება აღნიშნული გარემოება, ხოლო უდავოა, რომ ა/მ „ოპელ-ვექტრა“ შუქნიშნებით ანიშნებდა ა/მ „მერსედეს-ბენცის“ (მანევრის დაწყების მომენტში) დაეთმო გზა, სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ა/მ „მერსედეს-ბენცის“ მიერ მარცხნივ მოხვევის მანევრის დაწყების მომენტში ა/მ „ოპელ-ვექტრა“ შემოსული იყო გზაჯვარედინზე

და სარგებლობდა უპირატესი უფლებით დაესრულებინა გზაჯვარედინზე გავლის მანევრი. ამ შემთხვევაში ა/მ „მერსედეს-ბენცის“ მძლოლის მიერ უგულებელყოფილ იქნა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა სატრანსპორტო შემთხვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანება.

სააპელაციო პალატამ, ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა დაცულ ავტოსაფგომზე დგომის ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე, რადგან აღნიშნული მოთხოვნა სამართლებრივად დაკავშირებულია ძირითად მოთხოვნასთან, რომლის უარყოფა ასევე განაპირობებს ამ მოთხოვნის ბეჭდს. ამასთან, საქმის მასალებით მოსარჩელე შეზღუდული არ ყოფილა ავტომანქანის სადგომიდან გაყვანაში.

**კასატორი (მოსარჩელე) – ე. თ-ე**

**მოწინააღმდეგებ მხარე (მოპასუხე) – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო**

**მესამე პირი – ი. ვ-ე**

**კასაციის განაცხადი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება

**კასაციის მოტივები:**

**სამართლებრივი:** კასატორი მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

კასატორის მტკიცებით, მას არ დაურღვევია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლი და მის საფუძველზე კასატორის მიმართ გამოყენებული სანქცია უკანონოა. პოლიციის საჯარიმო აქტი უნდა გაუქმდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17, 22-ე და 32-ე მუხლების საფუძველზე. რასაც ადასტურებს საქმეში არსებული შპს „...“ ექსპერტების რ. ვ-ისა და გ, კ-

ის დასკვნით და მოწმეთა ჩვენებებით, კერძოდ, ავტომობილი „ოპელ ვექტრა“ შეჯახებამდე მოძრაობდა 92 კმ/სთ სიჩქარით, ხოლო მოციმციმე მწვანე შუქის შემჩნევის დროს შემთხვევის ადგილიდან დაშორებული იყო 128 მეტრით. ხოლო ავტომობილმა „მერსედესმა“ მოხვევა დაიწყო მწვანე შუქის ანთების შემდეგ, საესებით ლოგიურია, რომ თუ ერთი ავტომანქანა გამოვიდა მწვანე შუქზე, მეორე წითელზე გაივლიდა.

კასატორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიკერძოებული და სუბიექტური იყო. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა სამართლიანობის პრინციპს.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტების დასკვნების გაზიარებით სასამართლომ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან ეს ექსპერტები შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ ყოფილან. ამასთანავე, სასამართლომ იხელმძღვანელა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის ზოგადი ნორმებით და არასწორად განმარტა კანონი. მოსარჩელის მიერ დაცული იყო „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ყველა მოთხოვნა. კერძოდ, ის გადასვლამდე დარწმუნდა მისი მოძრაობის უსაფრთხოებაში, წესისამებრ, გაიხედა მარჯვნივ და დარწმუნდა, რომ მანქანები არ მოძრაობდნენ და დაიწყო შესაბამისი მანევრირება.

კასატორის შეფასებით, სასამართლოს მიერ დარღვეულია ადგინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „საგზაო უსაფრთხოების მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, ხოლო სამხარაულის ბიუროს დასკვნა დაუსაბუთებელია და არ ასახავს საემის გარემოებებს.

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით: ე. თ-ის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევისთვის, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღო.

მესამე პირის ი. ვ-ის მოსაზრებით, ე. თ-ის საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, თუ რამდენად დასაშვებია საკასაციო საჩივარი ადგინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.2 მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის წინაპირობების მიხედვით, კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ რაში მდგომარეობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უკანონობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამდღვრები (სასკ 34.3 მ.):

საკასაციო სასამართლომ მიიჩნა, რომ კასატორის – ე. თ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა კანონიერების შემოწმების და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე. თ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივრის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „გ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების გადამოწმების შედეგად მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის განხილვა-გადაწყვეტისას არ არის დაშვებული იმგვარი საპროცესო-სამართლებრივი დარღვევა, რომელსაც შესაძლოა გამოეწვია საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენა, სასამართლომ სწორად შეუფარდა ნორმა სადაც სამართალურთიერთობას და არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა.

პროცესუალური კასაციის წარმოდგენილი მოტივები არ ქმნის გასაჩივრებული განჩინების საპროცესო დარღვევებით გამოტანილად მიჩნევის საპროცესო კანონით (სსსკ-ის 393.2. მუხლი) განსაზღვრულ შემთხვევას. საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ სამართლებრივ არგუმენტაციას გადაწყვეტილების კანონთან შეუსაბამობის თაობაზე, კერძოდ, კასატორის არგუმენტი, რომ სასამართლოებმა არასწორად იმსჯელეს და შეაფასეს სადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ასახული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები, ვერ ჰპოვებს დადასტურებას საქმის მასალების მიხედვით. შესაბამისად, იგი ვერ იქნება გაზიარებული, როგორც დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოიშვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში, საპატრულო პოლიციასა და მძღოლს (კასატორ ე. თ-ეს) შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის კვალიფიკაცია მოითხოვს ნორმათშემცვარდებელი ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე კონკრეტული მოხელე-პოლიციელების მხრიდან მთელ რიგ პროცედურული მოქმედებების ადგევაცურ შესრულებას, სპეციალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევა-დადგენის გზით და კანონშესაბამის კვალიფიკაციას.

საქმის მასალების მიხედვით, ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ 2011 წლის 8 მაისს მოსარჩელე – ე. თ-ე საკუთარი, „მერსედესის“ მარკის ავტომანქანით, სახელმწიფო ნომრით – ... – ..., მოძრაობდა ქ. ქუთაისში, ... ქუჩაზე, საიდანაც მოძრაობის გაგრძელებას აპირებდა ... ქუჩის მარცხნივ – ... ქუჩის მიმართულებით, ... და ... ქუჩებს შორის მოძრაობის წესებს აწესრიგებს შუქნიშანი. ე. თ-ეს მოხვევის მანევრის შესრულებისას შეეჯახა ... ქუჩაზე საპირისპირო მიმართულებით მოძრავი, „ოპელის“ მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით – ... – ..., რომელსაც მართავდა ი. ვ-ე. „ოპელის“ მარკის ავტომანქანა თავდაპირველად შეეჯახა „მერსედესის“ მარკის ავტომანქანის წინა ე.წ. „ბუფერს“, ხოლო შემდეგ გვერდით მდებარე რკინის ბოძს.

საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, ახსნა-განმარტება ჩამოართვეს ავტომანქნების მძლლებსა და მოწმეებს, შეადგინეს საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის სქემა, ავტოსაგზაო შემთხვევაში სამართალდარღვევად მიიჩნიეს ე. თ-ე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად დააჯარიმეს 250 ლარს ოდენბით და ჩამოართვეს ავტომანქანა.

საქმის ხელახლა განხილვისას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის განჩინებით საქმეზე დაინიშნა განმეორებითი ავტოტექნიკური ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა სისპლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

სისპლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩატარდა კომისიური ავტოტექნიკური ექსპერტიზა, რომლის დასკვნის მიხედვით ექსპერტიზაში მონაწილე ექსპერტების მიერ საერთო მოსაზრების დასკვნა ვერ

გაიცა. კერძოდ, ექსპერტები დ. გ-ი და დ. დ-ი მიიჩნევენ, რომ ავტომობილ „ოპელ-ვექტრას“ მძლოლს, ი. ვ-ეს ტექნიკური თვალსაზრისით (დამუხრუჭებით) ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება, ხოლო ექსპერტები რ. ვ-ი და გ. კ-ი მიიჩნევენ, რომ დასახელებული კანონის მოთხოვნები უგულებელყო „ოპელ-ვექტრას“ მძლოლმა ი. ვ-ემ, ხოლო „მერსედეს-ბენცის“ მძლოლს ე. თ-ის მოქმედებაში აღნიშნული კანონის მოთხოვნების უგულებელყოფა, რასაც შეეძლო საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის გამოწვევა, არ აღინიშნება.

კასატორის მოტივი, რომ არ დაურდევევია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის და „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, ეფუძნება შემდეგს, რომ აღნიშნული დადასტურებულია მისივე ახსნა-განმარტებით და საქმეში არსებული შეს ...“ ექსპერტების დასკვნითა და მოწმეთა ჩვენებებით. კასატორის მოსაზრება, რომ ავტომობილი „ოპელ-ვექტრა“ მოძრაობდა 92 კმ/სთ სიჩქარით, ხოლო მოციმცირე მწვანე შუქის შემჩნევის დროს შემთხვევის ადგილიდან დაშორებული იყო 128 მეტრით. ა/ზ „მერსედეს-ბენცმა“ მოძრაობა დაიწყო მოხვევის ნებადამრთველი მწვანე შუქის ანთების შემდეგ. შესაბამისად, ლოგიკურია, თუ ერთი ა/ზ გავიდა მწვანეზე, მეორე ა/ზ გამოვიდოდა წითელზე, რის გამოც სასამართლოს დასკვნა სრულიად დაუსაბუთებელია, ვერ იქნება საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული შემდეგ გარემოებათა გამზ.

ზემომყენილი ფაქტები ამგვარად არის დადგენილი და შეფასებული ექსპერტების გ. კ-ისა და რ. ვ-ის დასკვნით, რომელიც თავის მხრივ, ემყარება შემდეგ გაანგარიშებას: ექსპერტების გამოთვლით ა/მანქანას შეჯახების დროს უნდა დაეკარგა 32 კმ/სთ სიჩქარე, რაც მითუმეტეს ი. ვ-ის ჩვენებაში დაფიქ-სირებულ მონაცემებს 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს და ამავე სიჩქარით განათების ბორზე დაჯახების თაობაზე, რის შედეგადაც დაადგინეს, რომ შეჯახებამდე ა/ზ „ოპელ-ვექტრა“ მოძრაობდა 92 კმ/სთ სიჩქარით, თუმცა, აღნიშნული მსჯელობა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მართებულად შეფასდა დაუსაბუთებლად, რამდენადაც ი. ვ-ე ჩვენებაში უთითებს მხოლოდ მისა მოძრაობის სიჩქარეს და არა შეჯახების მომენტში არსებულ სიჩქარეს, ამავდროულად ექსპერტებს არ უმსჯელიათ 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი ა/ზ ელექტრო ბოძთან შეჯახე-

ბის დროს მიღებული დაზიანების ხარისხი, რის გამოც ამ მონაცემით დაზიანების – ხარისხი სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობის დროს, დადგენა იმისა თუ რა სიჩქარით მოძრაობდა „ოპელ-ვექტრა“ და რა მანძილზე იქნებოდა დაშორებული შეჯახების ადგილიდან, დაუსაბუთებელია.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ შეფასებაზე არ ყოფილა არც დასაბუთებული სააპელაციო და არც საკასაციო საჩივრები წარმოდგენილი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საკითხზე ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას ვერ აქარწყლებს საკასაციო პრეტენზიაში მოყვანილი არგუმენტაცია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების შეფასებას, რომ ავტომობილის სიჩქარის გაანგარიშება, რომელიც გამოთვლილია ა/მ „ოპელ-ვექტრას“ დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, ასევე, ა/მ წითელ თუ მწვანე შუქნიშაზე გავლის შესახებ მოსაზრება არ ეფუძნება საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დეტალურ გამოკვლევას, მსჯელობის სისწორის გამო, რამდენადაც ამგვარი გამოთვლა არ ითვალისწინებს განსხვავებული ფაქტების დაშვების შემთხვევაში შესაძლო შედეგებს, რომელთა შესწავლის შედეგად თვალსაჩინო გახდებოდა გამოთვლის შედეგების ხასიათი. ასეთის არარსებობის პირობებში, კასატორის მოტივაცია, რომელიც ექსპერტთა ერთი ჯგუფის დასკვნას ეფუძნება, ვერ იქნება გაზიარებული დასკვნის არასრულფასოვანი და წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოტივაციას სააპელაციო სასამართლოს მიერ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის ნორმების არასწორად გამოყენების თაობაზე, კერძოდ, რომ სასამართლომ გაავრცელა რეგულირებად გზაჯვარედინზე ავტომობილების გავლის წესებზე და სპეციალურ ნორმების ურთიერთობებზე გაავრცელა ზოგადი ნორმები, შემდეგ გარემოებათა გამო:

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით მოწესრიგებულია გზაჯვარედინზე საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ქცევის წესები, ვალდებულებები, გავლის უპირატესობები და ა.შ.

მითითებული ნორმით დიფერენცირებულია მოძრაობის წესები რეგულირებულ და არა რეგულირებულ გზაჯვარედინზე ზე-4-და მე-5 ნაწილები). საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა/ს შემთხვევა მოხდა რეგულირებად გზაჯვარედინზე, რომლის შემთხვევაში მოძრაობის მონაწილეთა ქცევის წესე-

ბის შეფასებისას კანონის მე-4 ნაწილით განსაზღვრული ნორმის შეფარდება არ არის ამომწურავი და ქვემდგომ სასამართლო-ებს სრულიად კანონიერად გააჩნდათ უფლებამოსილება სადაც სამართლურთიერთობისათვის შეფარდებინათ არამხოლოდ ეს კონკრეტული სამართლებრივი ნორმა, არამედ ასევე, კანონის ზოგადი ნორმების შინაარსი, რაც სავსებით შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ სამართლის ნორმის კანონიერ შეფარდება-განმარტების სტანდარტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მოტივაცია არსებითად არ განსხვავდება სააპელაციო საჩივრის მოტივებისაგან, რომელთა თაობაზე დასაბუთებულად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმსჯელა სააპელაციო სასამართლომ და საკასაციო საჩივრის განხილვის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების სტადიაზე არ დადასტურდა ქვემდგომ სასამართლოთა არამართებული შეფასებებისა და სასამართლო დასკენათა კანონშეუსაბამობა და დაუსაბუთებულობა, რაც კასაციის დაკმაყოფილების წინაპირობა შეიძლება გამხდარიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუშენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს ე. თ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3, 410-ე მუხლებით და

### **დადგინდება:**

1. ე. თ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შეფასება და დაკისრებული ჯარიმის ოდენობის კანონირება

## განხილვა

№პს-177-170(ქ-13)

26 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

### აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 18 იანვარს შპს „...“-მ სასარჩელო განცხადებით  
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს კომუნიკაციე-  
ბის ეროვნული კომისიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს კომუნიკაციების  
ეროვნული კომისიის 2011 წლის 21 დეკემბრის №786/18 გადაწ-  
ყვეტილებით სამაუწყებლო არხების არამართლზომიერი გადა-  
ცემისათვის შპს „...“-ის დაეკისრა ჯარიმა 43.031.96 ლარის ოდე-  
ნობით და ამავე გადაწყვეტილებით შპს „...“-ის დაევალა საქარ-  
თველოს ტერიტორიაზე სატელევიზიო არხების: „Aztv“, „7Pro“,  
„Al-Jazzera“, „ZDF“, „ტვე“, „CCTV-4“, „ORT“, „TRT-TURK“, „Osn-pre-  
miere“, „Osn-Comedy“, „Entertainment“, „MGM“, „Osn-sport-2“, „Osn-  
sport-3“, „HTB+Тенхис“, „VIVA“, „mcmTop“, „National Geographic“,  
„Eurosport“, „Eurosport 2“, არამართლზომიერი გადაცემის დაუ-  
ყოვნებლივ შეწყვეტა.

მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს კომუნიკაციების  
ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება იყო უკანონო, რადგან  
კომისიას არ ჰქონდა ლეგიტიმაცია საავტორო და მომიჯნავე  
უფლებებს დაცვის კუთხით. მოსარჩელის მითითებით, „ელექ-  
ტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის  
43-ე მუხლში 2005 წლის 28 დეკემბრის №2564 ცვლილების თა-  
ნახმად, კომისიას მიეცა უშუალო ლეგიტიმაცია განეხორციე-  
ლებინა კონტროლი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შე-  
სახებ საქართველოს კანონის შესრულებაზე, მაგრამ აღნიშნულ  
კანონში შესული ცვლილების თანახმად, კომისიას ეს ფუნქცია

ჩამოერთვა და მის ნაცვლად ეს ფუნქცია გადაეცა ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას.

ამასთან, მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული კომისიის 2011 წლის 5 დეკემბრის შემონმების №49 აქტიც იყო უკანონო, რადგან იგი მიღებული იყო „-ს ფარულად, მისი მონაწილეობის გარეშე. აღნიშნული კი უკანონო ქმედებას ნარმოადგენდა, კერძოდ, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებდა მუდმივად და სისტემატურად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემონმების ჩატარების შესახებ კომისია იღებდა გადაწყვეტილებას, რომელშიც უნდა მითითებულიყო შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა. ნათელი იყო, რომ ასეთი გადაწყვეტილება კომისიას საერთოდ არ ჰქონდა მიღებული და თუ მიღლო „-ს მონაწილეობის გარეშე და მისგან ფარულად, რაც კანონის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენდა. მოსარჩელის მოსაზრებით, ასევე უხეშად იქნა დარღვეული ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, შემოწმების ჩატარებამდე შემოწმებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული იყო შესამოწმებელი პირის უფლებამოსილ წარმომადგენლისათვის წარედგინა პირადობის მოწმობა და თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. იგი უფლებამოსილი იყო შეემოწმებინა ავტორიზებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები მათი განთავსების ადგილზე, გადაეღო დოკუმენტების ასლები, სპეციფიკური საშუალებებით შეემოწმებინა ტექნიკური მოწყობილობები, მოეთხოვა თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს ინფორმაცია, ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები შესამოწმებელ საკითხთან დაკავშირებით.

მოსარჩელის განმარტებით, კომისიის მიერ იგნორირებული იყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები. კერძოდ, შემოწმებაზე უფლებამოსილი პირი კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით ადგენდა შემოწმების აქტს, რომელიც შეიტანებოდა სპეციალურად ამისთვის წარმოებულ რეესტრში. შემოწმების აქტში უნდა მითითებულიყო შემოწმების ჩატარების დღე,

დრო და ადგილი; შემონმების ჩატარების საფუძველი; შესამონ-მებელი პირის მხრიდან შემონმებაზე დამსწრე პირის ვინაობა; შემონმებული დოკუმენტების ჩამონათვალი, თუ ისინი ადგილზე შემონმდა (ასლის გადაღების შემთხვევაში ასლი უნდა და-ერთოს აქტს); შემონმებული მოწყობილობების ჩამონათვალი და მათი ტექნიკური პარამეტრები; მიღებული ზეპირი ახსნა-განმარტებების მიმოხილვა (მათი წერილობით მიწოდების შემ-თხვევაში წერილობითი მასალა უნდა დაერთოს აქტს); შემონ-მებაზე უფლებამოსილი პირის კომენტარები (მათი არსებობის შემთხვევაში); შესამონმებელი პირის (მისი წარმომადგენლის) სხვა ახსნა-განმარტებანი (მათი არსებობის შემთხვევაში); შე-მონმებაზე უფლებამოსილი პირისა და შესამონმებელი პირის (მისი წარმომადგენლის), ხოლო მის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში – სულ ცოტა 2 დამსწრე მოწმის ხელმოწე-რა.

მოსარჩელის მოსაზრებით, კომისიამ აქტის შედგენისას, რომლითაც დააფიქსირა სატელევიზიო არხების მართლსაწინა-აღმდეგო გადაცემა, დაარღვია კანონი, ხოლო აქტის შედგენის მონაწილე პირებმა კი გადაამეტეს საკუთარ უფლებამოსილე-ბას. მოსარჩელის განმარტებით, რომ არა მითითებული დარღვე-ვები, საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებუ-ლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 5 დეკემბრის №49 შემონმების აქტისა და საქართველოს კომუ-ნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოე-ბა, რომ 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს კომუნიკაციე-ბის ეროვნული კომისიის მაუწყებლობის რეგულირების დეპარ-ტამენტის მიერ შედგენილი იქნა შემონმების აქტი №49, რომ-ლის თანახმად, შპს „...“ მისი საკაბელო ქსელით, რეტრანსლი-რების თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების გა-რეშე ახორციელებდა შემდეგი სამაუწყებლო არხების რეტრან-სლირებას: „Aztv“, „7Pro“, „ALjazzera“, „ZDF“, „tve“, „CCTV-4“, „ORT“, „TRT-TURK“, „Osn-premiere“, „Osn-Comedy“, „Inter+“, „Ent-ertainment“, „MGM“, „TV-5monde“, „Osn-sport-2“, „Osn-sport-3“, „HTB+Тенвис“, „VIVA“, „mcmTop“, „National Geographic“,

„Eurosport“, „Eurosport 2“.

2011 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, შემდგომი რეაგირების მიზნით, სამსახურებრივი ბარათით მიმართა კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა და აცნობა, რომ კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტში დასაქმებულ უფლებამოსილ პირთა მიერ, 2011 წლის 5 დეკემბერს განხორციელდა შპს „...“-ის შემოწმება პროგრამების აუდიო-ვიზუალური დათვალიერება-მოსმენის საშუალებით, გადაცემის დროის დაფიქსირებით და ზემოაღნიშნული კომპანიის მიერ კომისიაში წარდგენილი სატელევიზიზო არხების საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების უფლებამოსილების დამადასტურებელი ხელშეკრულებების შესწავლით. მოხსენებით ბარათს თან ერთვოდა 2011 წლის 5 დეკემბრის შემოწმების აქტი №... .

2011 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს წარმოებაში გადაეცა კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 13 დეკემბრის №... სამსახურებრივი ბარათი და 2011 წლის 5 დეკემბერს შპს „...“-ის მიმართ შედგენილი შემოწმების აქტი №... .

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (13.12.2011, №...) საფუძველზე, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 2011 წლის 14 დეკემბერს კომისიაში დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „...“-ის სანქცირების თაობაზე, ხოლო საკითხის განხილვა დაინიშნა 2011 წლის 21 დეკემბერს. აღნიშნულის თაობაზე შპს „...“-ის ეცნობა შეტყობინებით, რომელიც მას გაეგზავნა დაზღვეული საფოსტო გზავნილით და მიზევეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად მას, ასევე, განხემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარდგენის, აგრეთვე საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის უფლება.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, ის გარემოება, რომ კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 15 დეკემბრის №... სამსახურებრივი ბარათის თანახმად, შპს „...“-იმ 2011 წლის 14

დეკემბერს №... წერილით კომისიაში წარადგინა სამაუწყებლო არხების: „Inter+“-სა და „TV-5 monde“-ს საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების დამადასტურებელი ხელშეკრულებები, ხოლო 2011 წლის 20 დეკემბერს შპს „...“-ს დირექტორმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს აცნობა, რომ თუ შპს „...“ არღვევდა რომელიმე კერძო სამართლის სუბიექტის ქონებრივ უფლებას, ამ ფაქტის იურიდიული შეფასება სცილდებოდა მათი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს იურიდიული ლეგიტიმაციის საზღვრებს. შპს „...“-ის მითითებით, კომისია, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა შპს „...“ უნებართვოდ გადასცემდა თუ არა რომელიმე სატელევიზიო არხს და აღნიშნული საფუძვლით განმცხადებელმა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

2011 წლის 21 დეკემბრის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხდომაზე შპს „...“-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ გამოცხადდა. გამომდინარე იქედან, რომ „...“-სათვის ცნობილი იყო საკითხის განხილვის თარიღისა და სხდომის გამართვის დროის შესახებ, ხოლო შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადების თაობაზე კომისიაში არ შესულა, კომისიაშ შპს „...“-ის დაუსწრებლად განიხილა საკითხი. 2011 წლის 21 დეკემბრის კომისიის სხდომაზე გამოცხადდა სასტუმრო „...“ ტექნიკური დირექტორი გ. თ-ი, რომელიც ესწრებოდა 2011 წლის 5 დეკემბერს სასტუმრო „...“ ჩატარებულ შემოწმებას. მოწმე გ. თ-მა განაცხადა, რომ იგი ესწრებოდა 2011 წლის 5 დეკემბრის შემოწმებას, რომელიც განხორციელდა სასტუმრო „...“; მან დამატებით აღნიშნა, რომ სასტუმრო „...“ და შპს „...“-ის შორის 2011 წლის 1 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად სასტუმრო „...“ ღებულობდა სატელევიზიო არხების პაკეტს შპს „...“-საგან. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ გარდა „...“-სა სასტუმრო „...“ მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებას არ იღებდა სხვა ავტორიზებული პირისაგან, ამასთან, იგი იღებდა რამოდენიმე სპეციფიკურ არხს თანამგზავრიდან, რომელთა ნახვა შესაძლებელი იყო მხოლოდ დამატებითი საფასურის გადახდის საფუძვლზე, სპეციალური კოდის გამოყენებით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასებისა და გამოკელევის საფუძველზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: შპს „...“ იყო ავტორიზებული პი-

რი, რომელსაც ავტორიზაცია გავლილი პქონდა 2011 წლის 31 იანვარს, ტრანზიტული მაუნიკებლობის მომსახურებაზე; შპს „...“-ის მიერ 2011 წლის 14 დეკემბერს კომისიაში წარდგენილი იქნა რეტრანსლირების უფლების მიმნიჭებელი ხელშეკრულებები (სამაუნიკებლო არხებზე „Inter+“ და „TV-5 monde“), რომელთა შესანაცლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ არხებზე შპს „...“-ის ტრანზიტის განხორციელების უფლება მოპოვებული პქონდა 2011 წლის პირველ ივნისს („Inter+“-ის შემთხვევაში) და 2011 წლის პირველ აპრილს („TV-5 monde“-ს შემთხვევაში), თუმცა აღნიშნული ხელშეკრულებები მას კომისიისათვის უნდა წარედგინა აღნიშნული არხების ქსელში ჩართვამდე, ვინაიდან, კომისიამ 2011 წლის 14 მარტს წერილობით მიმართა მაუნიკებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირებს და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სატრანზიტო მომსახურების პაკეტში არსებული სამაუნიკებლო არხების ჩამონათვალი და აღნიშნული სამაუნიკებლო არხების საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების უფლებამოსილების დამადასტურებელი ხელშეკრულებები მოსთხოვა (აღნიშნული წერილი შპს „...“-ის 2011 წლის 16 მარტს ჩაბარდა, რასაც ადასტურებს შპს „...“ მიღებული საფოსტო ქვითარი №...); ამავე წერილით, კომისიამ განუმარტა მაუნიკებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირებს, რომ მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ პაკეტებში ყოველი სამაუნიკებლო არხის ცვლილების (დამატების) შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაცია კომისიაში უნდა წარედგინათ მათ მიერ შესაბამისი სამაუნიკებლო არხის პაკეტში ჩასმამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამაუნიკებლო არხის რეტრანსლირება ხორციელდებოდა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, აუცილებელი იყო კომისიაში წარმოდგენილიყო აღნიშნული სამაუნიკებლო არხის პროგრამებზე საავტორო და მომიჯნავე უფლების მქონე პირის/კომპანიის ნებართვის წერილი (წერმისსიონ გეტტერ), რომელშიც აღნიშნული იქნებოდა: ა) ნებართვა ავტორიზებული პირის მიერ სამაუნიკებლო არხის საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების შესახებ; ბ) დადასტურება სამაუნიკებლო არხის ბადები განთავსებული პროგრამების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების უფლების შესახებ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამაუნიკებლო არხების: „Aztv“, „7Pro“, „ALjazerra“, „ZDF“, „tve“, „CCTV-4“, „ORT“, „TRT-TURK“, „Osn-premiere“, „Osn-Comedy“, „Entertainment“, „MGM“, „Osn-sport-2“, „Osn-sport-3“, „HTB+Теннис“, „VIVA“, „mcmTop“,

„National Geographic“, „Eurosport“, „Eurosport 2“, შესაბამისი ხელ-შეკრულებების გარეშე უცველელი სახით გადაცემით, შპს „...“-ს მიერ დაირღვა „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის მე-11bis მუხლი, ისმო-ს სა-ავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულების მე-8 მუხლი, „შემსრულებლების, ფონოგრამების, დამამზადებლების და მა-უწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ“ რო-მის 1961 წლის კონვენციის მე-13 მუხლი, „საავტორო და მო-მიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, 37-ე, 38-ე, 50-ე, 51-ე მუხ-ლები და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. გარ-და ამისა სამაუწყებლო არხებზე: „TV5 monde“ და „INTER+“ რეტ-რანსლირების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუ-მენტაციის კომისიის მიერ მოთხოვნილ ვადაში წარუდგენლო-ბით, შპს „...“-ის მიერ დამატებით დარღვეული იქნა „ელექტრო-ნული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 21 დეკემბრის №786/18 გადაწყვეტილებით შპს „...“-ის და-ეკისრა ჯარიმა 43.031.96 ლარის ოდენობით და ამავე გადაწყვე-ტილებით საქართველოს ტერიტორიაზე სატელევიზიო არხების: „Aztv“, „7Pro“, „ALjazzera“, „ZDF“, „tve“, „CCTV-4“, „ORT“, „TRT-TURK“, „Osn-premiere“, „Osn-Comedy“, „Entertainment“, „MGM“, „Osn-sport-2“, „Osn-sport-3“, „HTB+Теннис“, „VIVA“, „mcmTop“, „National Geographic“, „Eurosport“, „Eurosport 2“, არამართლზომი-ერი გადაცემის დაუყოვნებლივ შეწყვეტა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ განხმარტა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხ-ლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაცი-ების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებდა ავ-ტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის შეფერ-ლების მიერ რადიოსის შემსრულებელი საქეტრით ან/და ნუმერაციის რე-სურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიუ-ლი და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მა-თი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსი-ლებების ფარგლებში, ამავე კანონითა და საქართველოს ადმი-ნისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილი იყო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და რადიოსისში-რული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დაცვაზე განეხორციელებინა ზედამხედველობა და მათი დარღვევისას გაეტარებინა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ხოლო 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებდა ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას; ამავე კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებდა მუდმივად და სისტემატურად.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე კომისია აკონტროლებდა ავტორიზებული პირების მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულებას. ამ ფუნქციის ფარგლებში კომისია ამონშებდა ავტორიზებული პირების მხრიდან ტრანზიტის კანონიერად განხორციელების ფაქტს. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „პ<sup>45</sup>“ პუნქტი გულისხმობდა, რომ მაუწყებლის ტრანზიტი ეს იყო ავტორიზებადი საქმიანობა, რომელიც მოიცავდა პირის მიერ მაუწყებლისგან კანონიერ საფუძველზე მიღებული ტელე-ან რადიოარხის უცვლელი სახით გადაცემასა და ბოლო მომხმარებლისათვის მიწოდებას საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების გამოყენებით. ამდენად, კომისია კონტროლს ახორციელებდა იმდენად, რამდენადაც ეს იყო დაკავშირებული სატელევიზიო არხის მართლზომიერ ტრანზიტთან.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ კომისია შემოწების ჩატარების დროს მოქმედებდა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ ამავე მუხ-

ლის მე-5 პუნქტის თანახმად, მონიტორინგის ჩატარების მეთო-დებსა და ხერხებს მონიტორინგის განმახორციელებელი უფლებემოსილი პირი განსაზღვრავდა დამოუკიდებლად. მონიტორინგის განხორცილება არ იყო შეზღუდული ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის განთავსების ადგილმდებარებით. განსახილველ შემთხვევაში შემოწმების ჩატარება განხორციელდა მოსარჩევის აპონენტთან სასტუმრო „...“.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის აუცილებელი არ იყო დადგენილიყო, რომ პროცედურული მოთხოვნების დაცვის პირობებში ამ საკითხზე აუცილებლად სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღებოდა. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი უნდა გაბათილებულიყო თუ დადგინდებოდა, რომ ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვისას არსებობდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე მხარის მიერ ადგილი არ ჰქონია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და მესამე ნაწილების დარღვევას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც აქტის გამოცემისას გამოკვლეული და შესწავლილი იყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია კანონის ისეთი დარღვევასა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის ისეთ არსებით დარღვევას, რომლის არსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, რის საფუძველზეც სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც აქტები გამოცემული იყო კანონის დაცვით და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“-მ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 იანვრის განჩინებით შპს „...“-ს სააპელაციო საჩივრა არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და დასკვნებს საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას არ ჰქონდა უფლებამოსილება განეხორციელებინა კონტროლი, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის კუთხით, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებაზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მე-2 და მე-3 მუხრეტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებდა ამ კანონის მოთხოვნებს, ითვლებოდა საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დამრღვევად. საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევად აგრეთვე ჩაითვლებოდა ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მონაცემთა ბაზის უკანონო გამოყენება.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კომისია აკონტროლებდა ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, შეს „...“, კანონიერი საფუძვლის გარეშე (წერილობითი შეთანხმების, გარიგების არარსებობა) ახორციელებდა რა „Aztv“, „7Pro“, „ALjazzera“, „ZDF“, „tve“, „CCTV-4“, „ORT“, „TRT-TURK“, „Osn-premiere“, „Osn-Comedy“, „Entertainment“, „MGM“, „Osn-sport-2“, „Osn-sport-3“, „HTB+Теннис“, „VIVA“, „mcmTop“, „National Geographic“, „Eurosport“, „Eurosport 2“, ტელეარხების გადაცემათა ტრანზიტს, ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილი იყო გასაჩინიერებული გადაწყვეტილებით განეხორციელებინა მაუწყებლობის სფეროში კანონით მასზე დაკისრებული მაკანტროლებელ-მარეგულირებელი ფუნქცია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუ-  
მენტაცია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქარ-  
თველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5-6 პუნქტის მოთხოვნების  
დარღვევასთან დაკავშირებით. სასამართლო მიუთითა ზემოაღ-  
ნიშნული კანონის 44-ე მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის შესაბა-  
მისად, აეტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკა-  
ციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის,  
კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზ-  
ღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მო-  
ნიტორინგს კომისია ახორციელებდა შუდმივად და სისტემატუ-  
რად.

ამავე კანონის 44-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თა-  
ნახმად, შემონმების ჩატარებამდე შემონმებაზე უფლებამო-  
სილი პირი ვალდებული იყო შესამონმებელი პირის უფლებამო-  
სილი წარმომადგენლისათვის წარედგინა პირადობის მონმობა  
და თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენ-  
ტი. იგი უფლებამოსილი იყო შეემონმებინა აეტორიზებული პი-  
რის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები მათი გან-  
თავსების ადგილზე, გადაეღო დოკუმენტების ასლები, სპეცი-  
ფიკური საშუალებებით შეემონმებრა ტექნიკური მოწყობილო-  
ბები, მოეთხოვა თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაქებს ინ-  
ფორმაცია, ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები შესა-  
მონმებელ საკითხთან დაკავშირებით; შემონმებაზე უფლება-  
მოსილი პირი კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით ადგენდა  
შემონმების აქტს, რომელიც შეიტანებოდა სპეციალურად ამის-  
თვის წარმოგებულ რეესტრში. შემონმების აქტში უნდა მითითე-  
ბულიყო: შემონმების ჩატარების დღე, დრო და ადგილი; შემონ-  
მების ჩატარების საფუძველი; შესამონმებელი პირის მხრიდან  
შემონმებაზე დამსწრე პირის ვინაობა; შემონმებული დოკუმენ-  
ტების ჩამონათვალი, თუ ისინი ადგილზე შემონმდა (ასლის გა-  
დაღების შემთხვევაში ასლი უნდა დაერთოს აქტს); შემონმე-  
ბული მოწყობილობების ჩამონათვალი და მათი ტექნიკური პა-  
რამეტრები; მიღებული ზეპირი ახსნა-განმარტებების მიმოხილ-  
ვა; შემონმებაზე უფლებამოსილი პირის კომენტარები (მათი არ-  
სებობის შემთხვევაში); შესამონმებელი პირის (მისი წარმომად-  
გენლის) სხვა ახსნა-განმარტებანი (მათი არსებობის შემთხვე-  
ვაში); შემონმებაზე უფლებამოსილი პირისა და შესამონმებე-  
ლი პირის (მისი წარმომადგენლის), ხოლო მის მიერ ხელმოწერა-  
ზე უარის თქმის შემთხვევაში – სულ ცოტა 2 დამსწრე მოწმის  
ხელმოწერა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნუ-

ლი ნორმით დადგენილი იყო, შემოწმების ჩატარებისას, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის ვალდებულებები. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ 2011 წლის 5 დეკემბერს, 18:39 საათზე, შპს „...“-ის აბონენტთან, სასტუმრო „...“ მისამართზე: ქ. თბილისი, ... გამზ. №13, კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის გ. რ-ის მიერ, ამავე დეპარტამენტის თანამშრომლის მ. ა-ის მონაწილეობით, განხორციელდა შპს „...“-ის მიერ სამაუწყებლო არხების საქართველოს ტერიტორიაზე გადაცემის მართლზომიერების შემოწმება, ასევე შემოწმდა ავტორიზებული პირის, შპს „...“-ის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები მათი განთავსების ადგილზე (ხელშეკრულება და დანართი) და სპეციფიკური საშუალებებით შემოწმდა ტექნიკური მოწყობილობები, რის თაობაზეც გაფორმდა შემოწმების აქტი №49. შემოწმების აქტს ხელს აწერდნენ: კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი გ. რ-ი, ამავე დეპარტამენტის სპეციალისტი მ. ა.ე, შემოწმების აქტის შედგენის დამსწრე მოწმეები: გ. თ-ი და ხ. ჯ-ი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება შემოწმების აქტის ჩატარებისა და შედგენის წესის დარღვევასთან დაკავშირებით, კერძოდ, აპელანტი აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ შემოწმება ჩატარდა „...“-ს მონაწილეობის გარეშე (მისგან ფარულად) და შემოწმების აქტზე არ იყო „...“-ს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, რაც კანონის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია შემოწმების ჩატარების დროს მოქმედებდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მონიტორინგის ჩატარების მეთოდებსა და ხერხებს მონიტორინგის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი განსაზღვრავდა დამოუკიდებლად. მონიტორინგის განხორციელება არ იყო შეზღუდული ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის განთავსების ადგილმდებარებით. განსახილველ შემთხვევაში შემოწმების ჩატარება განხორციელდა შპს „...-ს“ აბონენტთან სასტუმრო „...“ და შემოწმების აქტს ხელს აწერდა ორი მოწმე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო ბათილი, თუ იგი ენინაალმდეგებოდა კანონს ან არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ნარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 იანვრის განჩინება საქასაციო წესით გაასაჩირება შეს „...“-მ, რომელმაც გასაჩირებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გამოიყენა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5-მე-6 პუნქტების მოთხოვნა, რომელიც კომისიის 2012 წლის 5 დეკემბრის შემოწმების №49 აქტს განიხილავდა, როგორც კანონის დარღვევით მიღებულ აქტად.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაიზიარა მხარის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიას არ ჰქონდა ლეგიტიმაცია საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის კუთხით. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლში 2005 წლის 28 დეკემბრის №2564 ცვლილების თანახმად, კომისიას მიეცა უშუალო ლეგიტიმაცია განეხორციელებინა კონტროლი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის შესრულებაზე. მაგრამ აღნიშნულ კანონში შესული ცვლილების თანახმად, კომისიას ეს ფუნქცია ჩამოერთვა და მის ნაცვლად ეს ფუნქცია გადაეცა ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძვლზე მმართველ ორგანიზაციას.

კასატორის მოსაზრებით, შემოწმების აქტი სასამართლომ დატოვა შეფასების გარეშე. მხარე უთითებს, რომ შემოწმების აქტი მიღებულია „...“-ის მონაბილეობის გარეშე (მისაგან ფარულად), რაც ენინაალმდეგება კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კა-

ნონის პირველი პუნქტის თანახმად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემონბების ჩატარების შესახებ კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შემონმებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა. ასეთი გადაწყვეტილება კომისიას საერთოდ არ მიუღია და თუ მიიღო, მაშინ „...“-ს მონაწილეობის გარეშე და მისგან ფარულად, რაც კანონის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენდა.

კასატორის მოსაზრებით, ასევე უხეშად იქნა დარღვეული ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, შემონმების ჩატარებამდე შემონმებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია შესამონმებელი პირის უფლებამოსილ წარმომადგენელს წარუდგინოს პირადობის მოწმობა და თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. იგი უფლებამოსილია შეამონმოს ავტორიზებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები მათი განთავსების ადგილზე, გადაიღოს დოკუმენტების ასლები, სპეციფიკური საშუალებებით შეამონმოს ტექნიკური მოწყობილობები, მოსთხოვოს თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს ინფორმაცია, ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები შესამონმებელ საკითხთან დაკავშირებით.

კასატორის განმარტებით, კომისიის მიერ იგნორირებულია ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები. კერძოდ, შემონმებაზე უფლებამოსილი პირი კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით ადგენს შემონმების აქტს, რომელიც შეიტანება სპეციალურად ამისთვის წარმოებულ რესატრში. შემონმების აქტში უნდა მიეთითოს: შემონმების ჩატარების დღე, დრო და ადგილი; შემონმების ჩატარების საფუძველი; შესამონმებელი პირის მხრიდან შემონმებაზე დამსწრე პირის ვინაობა; შემონმებული დოკუმენტების ჩამონათვალი, თუ ისინი ადგილზე შემონმდა (ასლის გადაღების შემთხვევაში ასლი უნდა დაერთოს აქტს); შემონმებული მოწყობილობების ჩამონათვალი და მათი ტექნიკური პარამეტრები; მიღებული ზეპირი ახსნა-განმარტებების მიმოხილვა (მათი წერილობით მინოდების შემთხვევაში წერილობითი მასალა უნდა დაერთოს აქტს); შემონმებაზე უფლებამოსილი პირის კომენტარები (მათი არსებობის შემთხვევაში); შესამონმებელი პირის (მისი წარმომადგენლის) სხვა ახსნა-გან-

მარტებანი (მათი არსებობის შემთხვევაში); შემოწმებაზე უფლებამოსილი პირისა და შესამოწმებელი პირის (მისი წარმომადგენლის), ხოლო მის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში – სულ ცოტა 2 დამსწრე მოწმის ხელმოწერა.

კასატორის მოსაზრებით, კომისიამ აქტის შედგენისას, რომლითაც დააფიქსირა სატელევიზიო არხების მართლსაწინააღმდეგო გადაცემა, დაარღვია კანონი, ხოლო აქტის შედგენის მონაწილე პირებმა კი გადაამტეს საკუთარ უფლებამოსილებას. კასატორის განმარტებით, რომ არა მითითებული დარღვევები, საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...“-ს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 27 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი შპს „...“-ს საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაიწიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 19 სექტემბერს 12:00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკავშირდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია

(სსკ.394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

საკართველოს სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არ-სებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 5 დე-კემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის მიერ შედგენილი იქნა შემოწმების აქტი №49, რომლის თანახმად, შპს „...“ მისი საკაბელო ქსელით, რეტრანსლირების თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების გარეშე ახორციელებდა შემდეგი სამაუწყებლო არხების რეტრანსლირება: „Aztv“, „7Pro“, „Aljazzera“, „ZDF“, „tve“, „CCTV-4“, „ORT“, „TRT-TURK“, „Osn-premiere“, „Osn-Comedy“, „Inter+“, „Entertainment“, „MGM“, „TV-5monde“, „Osn-sport-2“, „Osn-sport-3“, „HTB+Теннис“, „VIVA“, „mcmTop“, „National Geographic“, „Eurosport“, „Eurosport 2“.

2011 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, შემდგომი რეაგირების მიზნით, სამსახურებრივი ბარათით მიმართა კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა და აცნობა, რომ კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტში დასაქმებულ უფლებამოსილ პირთა მიერ, 2011 წლის 5 დეკემბერს განხორციელდა შპს „...“-ის შემოწმება პროგრამების აუდიო-ვიზუალური დათვალიერება-მოსმენის საშუალებით, გადაცემის დროის დაფიქსირებით და ზემოაღნიშნული კომპანიის მიერ კომისიაში წარდგენილი სატელევიზიო არხების საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების უფლებამოსილების დამადასტურებელი ხელშეკრულებების შესწავლით. მოხსენებით ბარათს თან ერთვოდა 2011 წლის 5 დეკემბრის შემოწმების აქტი.

2011 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს წარმოებაში გადაეცა კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 13 დეკემბრის №... სამსახურებრივი ბარათი და 2011 წლის 5 დეკემბერს შპს „...“-ის მიმართ შედგენილი შემოწმების აქტი №49.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (13.12.2011, №...) საფუძველზე, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 2011 წლის 14 დეკემბერს კომისიაში დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „...“-ის სანქცირების თაობაზე, ხოლო საკითხის განხილვა დაინიშნა 2011 წლის 21 დეკემბერს.

აღნიშნულის თაობაზე შპს „...“-ის ეცნობა შეტყობინებით, რომელიც მას გაეგზავნა დაზღვეული საფოსტო გზავნილით და მიწვეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. მას, ასევე განემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარდგენის, აგრეთვე საემის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის უფლება.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 15 დეკემბრის №... სამსახურებრივი ბარათის თანახმად, შპს „...“-იმ 2011 წლის 14 დეკემბერს №... წერილით კომისიაში წარადგინა სამაუწყებლო არხების: „Inter+“-სა და „TV-5 monde“-ს საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების დამადასტურებელი ხელშეკრულებები, ხოლო 2011 წლის 20 დეკემბერს შპს „...“-ს დირექტორმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს აცნობა, რომ თუ შპს „...“ არღვევდა რომელიმე კერძო სამართლის სუბიექტის ქონებრივ უფლებას, ამ ფაქტის იურიდიული შეფასება სცილდებოდა მისი, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს იურიდიული ლეგიტიმაციის საზღვრებს. შპს „...“-ის მითითებით, კომისია, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა შპს „...“ უნებართვოდ გადასცემდა თუ არა რომელიმე სატელევიზიო არხს და აღნიშნული საფუძვლით განმცხადებელმა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

2011 წლის 21 დეკემბრის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხდომაზე შპს „...“-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ გამოცხადდა. გამომდინარე იქედან, რომ „...“-სათვის ცნობილი იყო საკითხის განხილვის თარიღისა და სხდომის გამართვის დროის შესახებ, ხოლო შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადების თაობაზე კომისიაში არ შესულა, კომისიამ შპს „...“-ის დაუსწრებლად განიხილა საკითხი.

2011 წლის 21 დეკემბრის კომისიის სხდომაზე გამოცხადდა სასტუმრო „...“ ტექნიკური დირექტორი გ. თ-ი, რომელიც ესწრებოდა 2011 წლის 5 დეკემბერს სასტუმრო „...“ ჩატარებულ შემოწმებას. მოწმე გ. თ-მა განაცხადა, რომ იგი ესწრებოდა 2011 წლის 5 დეკემბრის შემოწმებას, რომელიც განხორციელდა სასტუმრო „...“; მან დამატებით აღნიშნა, რომ სასტუმრო „...“ და შპს „...“-ის შორის 2011 წლის 1 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკ-

რულება, რომლის შესაბამისად სასტუმრო „...“ დებულობდა სატელევიზიო არხების პაკეტს შპს „...“ -საგან. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ გარდა „...“ -სა სასტუმრო „...“ მაუნიკებლობის ტრანზიტის მომსახურებას არ იღებდა სხვა ავტორიზებული პირისაგან, ამასთან, იგი იღებდა რამოდენიმე სპეციფიკურ არხს თანამებუროდან, რომელთა ნახვა შესაძლებელი იყო მხოლოდ დამატებითი საფასურის გადახდის საფუძველზე, სპეციალური კოდის გამოყენებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დაგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: შპს „...“ იყო ავტორიზებული პირი, რომელსაც ავტორიზაცია გავლილი ჰქონდა 2011 წლის 31 იანვარს, ტრანზიტული მაუნიკებლობის მომსახურებაზე; შპს „...“ -ის მიერ 2011 წლის 14 დეკემბერს კომისიაში წარდგენილი იქნა რეტრანსლირების უფლების მიმნიჭებელი ხელშეკრულებები (სამაუნიკებლო არხებზე „Inter+“ და „TV-5 monde“), რომელთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ არხებზე შპს „...“ -ის ტრანზიტის განხორციელების უფლება მოპოვებული ჰქონდა 2011 წლის პირველ ივნისს („Inter+“ -ის შემთხვევაში) და 2011 წლის პირველ აპრილს („TV-5 monde“ -ს შემთხვევაში), თუმცა აღნიშნული ხელშეკრულებები მას კომისიისათვის უნდა წარედგინა აღნიშნული არხების ქსელში ჩართვამდე, ვინაიდან, კომისიამ 2011 წლის 14 მარტს წერილობით (№...) მიმართა მაუნიკებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირებს და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სატრანზიტო მომსახურების პაკეტში არსებული სამაუნიკებლო არხების ჩამონათვალი და აღნიშნული სამაუნიკებლო არხების საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების უფლებამოსილების დამადასტურებელი ხელშეკრულებები მოსთხოვა (აღნიშნული წერილი შპს „...“ -ის 2011 წლის 16 მარტს ჩაბარდა, რასაც ადასტურებს შპს „...“ მიღებული საფოსტო ქვითარი №...); ამავე წერილით, კომისიამ განუმარტა მაუნიკებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირებს, რომ მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ პაკეტებში ყოველი სამაუნიკებლო არხის ცვლილების (დამატების) შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაცია კომისიაში უნდა წარედგინათ მათ მიერ შესაბამისი სამაუნიკებლო არხის პაკეტში ჩასმამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამაუნიკებლო არხის რეტრანსლირება ხორციელდებოდა ზეპირი შეთან-

ხმების საფუძველზე, აუცილებელი იყო კომისიაში წარდგენილიყო აღნიშნული სამაუწყებლო არხის პროგრამებზე საავტორო და მომიჯნავე უფლების მქონე პირის/კომპანიის ნებართვის წერილი (წერმისსიონ გეტტერ) რომელშიც აღნიშნული იქნებოდა: ა) ნებართვა ავტორიზებული პირს მიერ სამაუწყებლო არხის საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების შესახებ; ბ) დადასტურება სამაუწყებლო არხის ბადეში განთავსებული პროგრამების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების უფლების შესახებ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამაუწყებლო არხების: „Aztv“, „7Pro“, „ALjazzera“, „ZDF“, „tve“, „CCTV-4“, „ORT“, „TRT-TURK“, „Osn-premiere“, „Osn-Comedy“, „Entertainment“, „MGM“, „Osn-sport-2“, „Osn-sport-3“, „HTB+Тенниис“, „VIVA“, „mcmTop“, „National Geographic“, „Eurosport“, „Eurosport 2“, შესაბამისი ხელშეკრულებების გარეშე უცველელი სახით გადაცემით, შპს „...“-ს მიერ დაირღვა „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის მე-11bis მუხლი, ისმო-ს საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულების მე-8 მუხლი, „შემსრულებლების, ფონოგრამების, დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ“ რომის 1961 წლის კონვენციის მე-13 მუხლი, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, 37-ე, 38-ე, 50-ე, 51-ე მუხლები და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. გარდა ამისა სამაუწყებლო არხებზე: „TV5 monde“ და „INTER+“ რეტრანსლირების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიის მიერ მოთხოვნილ ვადაში წარუდგენლობით, შპს „...“-ის მიერ დამატებით დარღვეული იქნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 21 დეკემბრის №786/18 გადაწყვეტილებით შპს „...“-ის დაეკისრა ჯარიმა 43.031.96 ლარის ოდენობით და ამავე გადაწყვეტილებით შპს „...“-ის დაევალა საქართველოს ტერიტორიაზე სატელევიზიო არხების: „Aztv“, „7Pro“, „ALjazzera“, „ZDF“, „tve“, „CCTV-4“, „ORT“, „TRT-TURK“, „Osn-premiere“, „Osn-Comedy“, „Entertainment“, „MGM“, „Osn-sport-2“, „Osn-sport-3“, „HTB+Тенниис“, „VIVA“, „mcmTop“, „National Geographic“, „Eurosport“, „Eurosport 2“, არამართლზომიერი გადაცემის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის მფლობელების მიერ რადიოსისშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილი არის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და რადიოსისშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დაცვაზე განახორციელოს ზედამხედველობა და მათი დარღვევისას გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ხოლო 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას. ამავე კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას. ამავე კანონის მუდმივად და სისტემატურად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე კომისია აკონტროლებს ავტორიზებული პირების მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულებას. ამ ფუნქციის ფარგლებში კომისია ამონებს ავტორიზებული პირების მხრიდან ტრანზიტის კანონიერად განხორციელების

ფაქტს. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ<sup>45</sup>“ პუნქტი გულისხმობს, რომ მაუწყებლის ტრანზიტი ეს არის ავტორიზებადი საქმიანობა, რომელიც მოიცავს პირის მიერ მაუწყებლისგან კანონიერ საფუძველზე მიღებული ტელე-ან რადიოარხის უცვლელი სახით გადაცემასა და ბოლო მომხმარებლისათვის მიწოდებას საერთო საარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების გამოყენებით. ამდენად, კომისია კონტროლს ახორციელებს იმდენად, რამდენადც ეს არის დაკავშირებული სატელევიზიო არხის შართლზომიერ ტრანზიტთან.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას არ ჰქონდა უფლებამოსილება განეხორციელებინა კონტროლი, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის კუთხით, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მე-2 და მე-3 მუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კანონის მოთხოვებს, ითვლება საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დამრღვევად. საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევად აგრეთვე ჩაითვლება ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მონაცემთა ბაზის უკანონო გამოყენება.

ამასთან, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციებს სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე, მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას. მოცემულ შემთხვევაში, შეს „Aztv“, „7Pro“, „ALjazzera“, „ZDF“, „tve“, „CCTV-4“, „ORT“, „TRT-TURK“, „Osn-premiere“, „Osn-Comedy“, „Entertainment“, „MGM“, „Osn-sport-2“, „Osn-sport-3“, „HTB+Теннис“, „VIVA“, „mcmTop“, „National Geographic“, „Eurosport“, „Eurosport 2“, ტელეარხების გადაცემათა ტრანზიტს კანონიერი საფუძვლის გარეშე (წერილობითი შეთანხმების, გარიგების არარსებობა) ახორ-

ციელებდა, ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე კი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილი იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით განეხორციელებინა მაუწყებლობის სფეროში კანონით მასზე დაკისრებული მაკონტროლებელ-მარეგულირებელი ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო, ასევე, არ იზიარებს კასატორის არგუმენტაციას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5-მე-6 პუნქტების მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზემოაღნიშნული კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის მოსაზრებას შემოწმების აქტის ჩატარებისა და შედგენის წესის დარღვევასთან დაკავშირებით, კერძოდ, კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შემოწმება ჩატარდა „...“-ს მონაწილეობის გარეშე (მისგან ფარულად) და შემოწმების აქტზე არ იყო „...“-ს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, რაც კანონის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია შემოწმების ჩატარების დროს მოქმედებდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მონიტორინგის ჩატარების მეთოდებსა და ხერხებს მონიტორინგის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი განსაზღვრავს დამოუკიდებლად. მონიტორინგის განხორციელება არ არის შეზღუდული ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის განთავსების ადგილმდებარეობით. განსახილველ შემთხვევაში შემოწმების ჩატარება განხორციელდა შპს „...-ს“ აბონენტთან სასტუმრო „...“ და შემოწმების აქტს ხელს აწერდა ორი მოწმე. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შემოწმების ჩატარებისას და №49 შემოწმების აქტის შედგენისას შესაბამისი სამართლებრივი ნორმები არ დარღვეულა.

ზემოაღნიშნული მსჯელობის შედეგად, ცალსახაა ის გარემოება, რომ საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს და შეფასებას შპს „...“-ის მიერ სამართლდარღვევის ფაქტის ჩადენის თაობაზე, თუმცა საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა ის ფაქტი, თუ რამდენად სწორად განხორციელდა შპს „...“-ის ქმედების კვალიფიკაცია და მისთვის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქციის დაკისრება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არა „...“-ის მიერ სამართლდარღვევის ჩადენა/არ ჩადენის ფაქტის დადგენა, არამედ მისი არსებითად სწორი შეფასება და შესაბამისი საქციის განსაზღვრაა, რაც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის განმარტების შედეგად არის შესაძლებელი.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღგ-ს გარეშე) 0.5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 3000 და არაუმეტეს 30 000 ლარისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმების შემდეგ, მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა, ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა ნაკლებ 9000 და არაუმეტეს 90 000 ლა-

რისა ან ლიცენზიის მფლობელის მიმართ იმოქმედოს ამ კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 31 მაისის №... გადაწყვეტილებით, საქართველოს ტერიტორიაზე სატელევიზიო არხების: „MEZZO“ და „FASHION TV“ არამართლზომიერი გადაცემის გამო, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შპს „...“-ის მიეცა გაფრთხილება და ზემოაღნიშნული არხების არამართლზომიერი გადაცემის დაუყოვნებლივ შეწყვეტა დაევალა (აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არის შესული).

ასევე დადგენილია ის გარემოება, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 15 ივლისის №... გადაწყვეტილებით, შპს „...“-ის დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა – ჯარიმა 8 295 94 ლარის ოდენობით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ ქვეპუნქტის დარღვევის გამო, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ „...“-ის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში, მენარმეთა და არასამერარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრში 2011 წლის 20 აპრილს განხორციელდა ცვლილება – შეიცვალა დამფუძნებელი და ნაცვლად ა. თ-ისა დამფუძებლად განისაზღვრა შპს „... შ.“, რის თაობაზეც შპს „...“-ის მიერ კომისიაში არ ნარდგენილა ინფორმაცია. კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი და კომისიას საქმის გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დავალა.

მოცემულ შემთხვევაში სადაც ქცეული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 21 დეკემბრის №786/18 გადაწყვეტილებით კი შპს „...“-ის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სატელევიზიო არხების: „Aztv“, „7Pro“, „ALjazzera“, „ZDF“, „tve“, „CCTV-4“, „ORT“, „TRT-TURK“, „Osn-premiere“, „Osn-Comedy“, „Entertainment“, „MGM“, „Osn-sport-2“, „Osn-sport-3“, „HTB+Теннис“, „VIVA“, „mcmTop“, „National Geographic“, „Eurosport“, „Eurosport 2“ არამართლზომიერი გადაცემით და სამაუწყებლო არხებზე: „TV5 monde“ და „INTER+“ რეგრანსლირების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის

კომისიის მიერ მოთხოვნილ ვადაში წარუდგენლობით, შპს „...“-ის მიერ დარღვეული იქნა „ლიტერატურული და მხატვრული ნანარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის მე-11ბის მუხლი, ის-მო-ს საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულების მე-8 მუხლი, „შემსრულებლების, ფონოგრამების, დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ“ რომის 1961 წლის კონვენციის მე-13 მუხლი, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, 37-ე, 38-ე, 50-ე, 51-ე მუხლები, „ელექტრონული კომუნიკაციებს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რის გამოც მას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანქცია დაეკისრა.

ამდენად, თითოეული სამართალდარღვევის ქრონოლოგიურად განხილვის შედეგად ნათელი გახდა ის გარემოება, რომ პირველი ქმედება კერძოდ, სამაუწყებლო არხების არამართლზომიერი გადაცემა, რომელიც „ელექტრონული კომინიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად მიიჩნევა, თავისი არსით სხვა შემადგენლობის მქონე და სხვა პუნქტით, კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონის მე-19 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქმედების (სავალდებულო ინფორმაციის ვადაში წარუდგენლობის) პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად იქცა, აღნიშნული სამართალდარღვევა კი შემდგომი სამართალდარღვევის (კერძოდ, სამაუწყებლო არხების არამართლზომიერი გადაცემის და ინფორმაციის ვადაში წარუდგენლობის) პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება გახდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევა არის სამართალდარღვევის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომლის მიმართაც (ზემოაღნიშნულ კანონში სპეციალური წესის არ არსებობის გამო) უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმები, რომლებიც სამართალდარღვევის ჩადენისათვის სანქციის შეფარდების წესებს ადგენენ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კა-

ნონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა ამ კოდექსის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლები განსაზღვრავენ სამართალდარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის შეფარდების ზოგად წესს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს სპეციალურ მოწესრიგებას, ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისი კანონის ნორმებთან ერთად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებები უნდა გათვალისწინებინა.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოების ერთ-ერთ საფუძველს, ერთი წლის განმავლობაში ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა ნარმოადგენს, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი. ამავე კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად კი ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი მას დაედება თითეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევებისათვის. ამ შემთხვევაში ძირითად სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი სახდელთაგანი, რომლებსაც ითვალისწინებენ რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის მიერ ერთდროულად ერთი მუხლით (მუხლის ერთი ნაწილით/პუნქტით) განსაზღვრული რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, დამრღვევას აღნიშნული მუხლით განსაზღვრული ერთი სახდელი დაედება. ერთდროულად სხვადასხვა მუხლით (მუხლის სხვადასხვა ნაწილით ან პუნქტით) განსაზ-

ღვრული რამდენიმე (ორი ან მეტი) სამართალდარღვევის ჩა-დენის შემთხვევაში კი, თუ საქმეებს ერთდროულად ერთი და იგივე ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) განი-ხილავს, სამართალდამრღვევს უნდა დაედოს ერთი სახდელი, იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერი-ოზული დარღვევისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამარ-თალდარღვევის საქმეები ერთდროულად ან/და ერთი და იგივე ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ არ გა-ნიხილება, ადმინისტრაციული სახდელი დამრღვევ პირს დაე-დება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურად-ღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რაც შეეხება სხვადას-ხვა დროს ჩადენილი ორი ან მეტი სამართალდარღვევის შემ-თხვევას, ისინი ერთმანეთისათვის ადმინისტრაციული პასუხის-მგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, მხოლოდ განმეორე-ბით იგივე/ერთგვაროვანი სამართალდარღვევის ჩადენის შემ-თხვევაში მიიჩნევიან (ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენილი, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციუ-ლი სახდელი).

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ელექ-ტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლში მითითებული ახალი ერთჯერადი ხასიათის დარ-ღვევა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მხოლოდ – განმეორებით იგივე/ერთგვაროვანი სა-მართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში მიიჩნევა. შესაბამი-სად, შპს „...“-ის ადმინისტრაციული სახდელი არა „ელექტრო-ნული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილით, არამედ ამავე მუხლის პირველი ნაწი-ლით უნდა დაკისრებოდა, რადგან 2011 წლის 21 დეკემბერს არ-სებული მდგომარეობით თითოეული სამართალდარღვევისათ-ვის სახეზე იყო პირველად დაჯარიმების (დარღვევის პირვე-ლად განმეორების) შემთხვევა, ვინაიდან, პირველი და მეორე სამართალდარღვევა არაერთგვაროვან/სხვადასხვა სამართალ-დარღვევას წარმოადგენდა, ხოლო მესამე სამართალდარღვე-ვა კი – სამაუწყებლო არხების არამართლზომიერი გადაცემის ნაწილში – პირველი სამართალდარღვევის, ხოლო ინფორმაცი-ის ვადაში წარუდგენლობის ნაწილში – მეორე სამართალდარ-ღვევის იდენტური იყო.

თუმცა, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურად-ღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით სა-დაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სა-ქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 15 ივლისის №360/18 გადაწყვეტილება (ინფორმაციის ვადაში წარუდგენლობის გამო შპს „...“-ის დაჯარიმების თაობაზე) და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის მიერ გამოცე-მული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტი საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის, საკასაციო სასა-მართლო მოკლებულია შესაძლებლობას მოცემულ შემთხვევა-ში ზუსტად შეაფასოს სადაცო სამართლდარღვევის სიმძიმე და პასუხისმგებლობის ზომა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საქმის ხელახლა განხილვისას, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მი-ლებული შესაბამისი გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ, ხე-ლახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებუ-ლი განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბ-რუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-რივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასა-მართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს მოცემულ საქმე-ზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

## ადგინისტრაციული პასუხისმგებლობის პროცედურის დაცვა

## ადგინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურის დარღვევა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელის

№ბს-1853-1807(კ-10) 27 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წერაპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

2009 წლის 1 სექტემბერს სს „...“ სარჩელი აღმდრა მცხეთის  
რაიონულ სასამართლოში სსიპ გარემოს დაცვის ინსპექციის აღ-  
მოსავლეთ ცენტრალური ბიუროს მიმართ და მოითხოვა გარე-  
მოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს  
2009 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილებისა და 2009 წლის 8  
ივნისის №... დადგენილების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძ-  
ვლით:

#### საქმის გარემოებები:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსე-  
ბის სამინისტროს სსიპ გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავ-  
ლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 26 ივნისის №... გადაწ-  
ყვეტილებით არ დაკამაყოფილდა სს „...“ საჩივარი და ძალაში  
დარჩა 2009 წლის 8 ივნისის №... დადგენილება სს „...“ ჯარიმის  
სახით 500 ლარისა და მიყენებული ზიანის სახით 1930 ლარის  
ანაზღაურების დაკისრების შესახებ.

#### სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მი-  
ღებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა  
დარღვევით, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის  
96.1, ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 264-ე  
მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. ბიურომ ვერ მოიპოვა

მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა. აღნიშნულის მიუხედავად, სადაცო გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი სს „...“, კონკრეტულად კი მცხეთა-მთიანეთის ფილიალის, დუშეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, რასაც არ დაეთანხმა მოსარჩელე, რამდენადაც სს „...“ თანამშრომლების მიერ რაიმე ქმედების ჩადენა თავისთავად არ ნიშნავს ქმედების ჩადენას „...“ მიერ. მოსარჩელის მითითებით, გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს მიერ სადაცო დადგენილების გამოცემისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 252-ე და 264-ე მუხლების მოთხოვნები, საქმის განმხილველმა ორგანომ დავა განიხილა მოქმედი კანონმდებლობის სრული იგნორირებით, არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

ადმინისტრაციულმა ორგანომ სამართალდარღვევის ჩამდენად მიიჩნია სს „...“ კონკრეტულად – მცხეთა-მთიანეთის ფილიალის, დუშეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომლები. მოსარჩელის მითითებით, სამართალდარღვევის ოქმის ასლი არ ჩაპხარებია კომპანიის წარმომადგენელს. სადაცო გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ სამართალდარღვევის ოქმის ერთი პირი ჩაპხარდა კომპანიის მენეჯერს – თ. ს-ს, რომელიც მიჩნეული იქნა კომპანიის უფლებამოსილ წარმომადგენლად, თუმცა სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იყო თ. ს-ის, როგორც ფიზიკური პირის და არა კომპანიის მიმართ, მისი თანამდებობა არ ითვალისწინებდა სს „...“ სახელით რაიმე ქმედების განხორციელების ან კომპანიისათვის განუცემნილი დოკუმენტების მიღების უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო უზრუნველეყო კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა როგორც ოქმის შედგენისას, ასევე საქმის განხილვისას, სს „...“ არ შეუტყობინებიათ საქმის განხილვის შესახებ. ამასთან, სამართალდარღვევის ოქმი არ შეუდგენიათ უინვალში, ასევე არ შემდგარა ოქმი სამართალდარღვევის ჩადენის ან გამოვლენის დროს.

მოსარჩელის მითითებით, სადაცო აქტის გამოცემისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლის მოთხოვნები, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანომ გაითვალისწინა მხოლოდ ოქმში მითითებული გარემოებები, ადმინისტრაციული წარმოების დროს არ იქნა გამოკვლეული ფაქტები, რის შედეგადაც უკანონო გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

მოსარჩელემ დაუსაბუთებლად მიიჩნია სადავო დადგენილება ასევე ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების წესი რეგულირდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 5 ივნისის №... ბრძანებით დამტკიცებული „გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდიებით“, რომლის თანახმად, გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის აუცილებელია მონაცემები ხის სახეობის, ამავე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ სიმაღლეზე გაზომილი დამტკრის, რაოდენობისა და მდებარეობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სამართალდარღვევის №019684 ოქმის თანახმად, დაზიანებული იყო იფნის ჯიშის 10 ხე, მითითებული დიამეტრებით, თუმცა, გაურკვეველია რა სიმაღლზე გაიზომა იგი.

მოსარჩელის მითითებით, სამართალდაღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება დაუსაბუთებელი და უკანონოა, მასში სამართალდამრღვევადა დაფიქსირებული პირი საერთოდ არ მოიხსენიება სამართალდარღვევის ოქმში. ამდენად, მოსარჩელის მითითებით, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია მნიშვნელოვანი დარღვევებით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 მარტის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მიერ 2009 წლის 24 აპრილს ქ. დუშეთში შედგა სამართალდარღვევის ოქმი, სადაც სამართალდამრღვევად მიეთითა სს „...“ მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრი, ნარმომადგენელი – თ. ს-ი. ოქმის მიხედვით, 2009 წლის 24 აპრილს დაბა ჟინვალში, კორპუსების გასწვრივ კომპანია „...“ მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომლებმა თვითნებურად მოახდინეს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწაზე მწვანე ნარგავების დაზიანება. სამართალდარღვევის ოქმზე ახსნა-განმარტება შედგენილია დუშეთის მომსახურების ცენტრის მენეჯერის – თ. ს-ის მიერ, რომელიც დაეთანხმა ოქმში მოყვანილი ფაქტები

ბის სისწორეს და ხელი მოაწერა ოქმს. ჩგარემოს დაცვის სახელმწიფო ინსპექციის მიერ შედგენილი გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშებით, კომპანიის მიერ მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1930 ლარი. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 8 ივნისის №... დადგენილებით კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, ასევე დაეკისრა გარემოსათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო თანხის – 1930 ლარის გადახდა. 2009 წლის 19 ივნისს გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარმა ინსპექტორებმა შეადგინეს აქტი იმის თაობაზე, რომ თ. ს-მა უარი განაცხადა ოქმთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების მიცემაზე. ასევე, უარი განაცხადეს ახსნა-განმარტების მიცემაზე თ. ფ-მა და ნ. ზ-მა, რომლებმაც მოჭრეს ხეებზე ტოტები. გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 8 ივნისის დადგენილება საჩივრით გაასაჩივრა სს „...“, რაც არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №472 ბრძანება, რომლითაც სს „...“ მიენიჭა სპეციალური ჭრების განხორციელების უფლებამოსილება სახელმწიფო ტყის ფონდში ელექტროგადამცემი ხაზებით დაკავებულ ფართობებზე, რამდენადაც დავა ეხება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ფართზე აღმოცენებული მწვანე ნარგავების დაზიანების ფაქტს. სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ დაბა უინვალში საცხოვრებელი კორპუსების წინ მდებარე გამწვანების ზოლი არ წარმოადგენს თვითმმართველობის ერთეულის ქონებას, რამდენადაც იგი კანონით დადგენილი წესით არ გადასცემია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 20.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და განმარტა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას ავტომატურად გადაეცა მითითებული კანონის 2.5 მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ძირითადი ქონება, მათ შორის დაბა უინვალში, საცხოვრებელი კორპუსების წინ მდებარე მწვანე ნარგავები.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 24 აპრილს სს „...“ მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუ-

შეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომლებმა თვითნებურად, სათანადო ნებართვის გარეშე დააზიანეს ხეები, რაზედაც შედგა სამართალდარღვევის ოქმი კომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრში, რადგან გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას არ დახვდათ კომპანიის თანამშრომლები.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ კომპანიის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და დადგენილად მიიჩნია, რომ ოქმი შედგა კომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრის მიმართ, საქმის განხილვას ესწრებოდა კომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრის ოფის-მენეჯერი და სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით არანაირი მტკიცებულება არ წარუდგენია.

რაიონულმა სასამართლომ, ასევე, გაიზიარა მოპასუხის მითითება, რომ მიყენებული ზიანის გამოანგარიშება მოხდა ტაქ-საციური დიამეტრით, დიამეტრიც გაიზომა მიწის ზედაპირიდან 10 სმ-ის სიმაღლეზე და ზიანის ოდენობამ შეადგინა 1930 ლარი.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული დადგენილებისა და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „...“ და მოითხოვა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, რაიონულ სასამართლოს არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნლობის მქონე ყველა გარემოება, აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა, რომ კომპანიის დუშეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომელმა ჩაიბარა სამართალდარღვევის ოქმი და შესაბამისად, კომპანიისათვის ცნობილი იყო აღნიშნულის თაობაზე. ენერგოკომპანიამ სადაც გახადა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ოქმში არსად არ ფიგურირებდა ენერგოკომპანია და იგი შედგენილი იყო ფიზიკური პირის – თ. ს-ის მიმართ. აპელანტის მოსაზრებით, ოქმი შედგენილია სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. ასევე დაირღვა სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლი, რადგან ოქმის შედგენას არ დასწრებია კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

აპელანტის მითითებით, სახდელის დადების შესახებ დადგენილების მიღებისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე, 264-ე მუხლები, რაც კანონიერად მიიჩნია სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად. რაიონულ სასამართლოს არ გამოუკვლევია სად მოხდა სამართალდარღვევის ჩადენა, დაბა ჟინვალის ტერიტორია და თუნდაც კორპუსების მიმდებარე ტერიტორია ზოგადი მისამართია, დაბა ჟინვალი ძირითადად მოიცავს კორპუსების ტიპის დასახლებას, ამასთან, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორია განეკუთვნება კერძო საკუთრების სფეროს და არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებას.

აპელანტმა, ასევე, არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა ზინანის ოდენობასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განჩინებით სს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაემყოფილდა და უცველელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 377.1, 377.2 მუხლებით, 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და აპელანტებმა ვერ გააბათილეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...“ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განჩინების გაუქმება და სასაჩივრელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მითითებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებაში მიცემული პირის სავალდებულო მონაწილეობას ამავე კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართლადარღვევის საქმის განხილვაში, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა. კასატორის მითითებით, ოქმის შედგენას არ დასწრებია კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი, ამასთან, ოქმი არ შემდგარა სამართალდარღვევის ადგილას, რითაც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დადგენილების მიღებისას დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კო-

დექსის 96-ე მუხლი და, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 252-ე და 264-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 9 მარტის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი სს „...“ საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (აბსოლუტური კასაცია).

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის საოქმო განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება სს „...“ საკასაციო საჩივარზე გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ-ცენტრალური ბიუროს საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინებით გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ-ცენტრალური ბიუროს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ენერგეტიკის ბუნებრივი რესურსების სსიპ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახური და განახლდა საქმის წარმოება სს „...“ საკასაციო საჩივარზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიღა და იმ დასკვნამდე, რომ სს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს ნანილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „...“ სარჩელი დაკამაყოფილდება ნანილობრივ; ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება სრულად მისი გამოცემის მომენტიდან, ასევე, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს ინსპექტორების განყოფილების მთავარი სპეციალისტის ა. ჯ-ის 2009 წლის 8 ივნისის №... დადგენილება, მისი გამოცემის მომენტიდან და სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებებისა და შეჯერების შედეგად ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამდღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი ოფალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცეს ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიკაციისას მისი, როგორც არამართლზომიერი ქმედების შემადგენლობის განსაზღვრისა და გამორკვევის აუცილებლობას. კანონმდებლი მიიჩნევს რა ქცევის კონკრეტულ წესს მართლსაწინააღმდეგოდ, კანონის ტექსტში მკაფიოდ და ცალსახად განსაზღვრავს თუ რა პირობებში და რა შემთხვევაში ექვემდებარება იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიკაცია დამოკიდებულია მომხდარი ფაქტის, სამართლის ნორმაში სწორედ ასეთად მიჩნეული ფაქტის, გარემოების სრულად და ზუსტად აღნერილთან თანადამთხვევაზე და შესაბამისობაზე, ანუ ქმედება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონით ასეთად მიჩნეული ქმედების ნიშნების შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოების მხრიდან სამართალდარღვევათა სხვაგვარი, თავისუფალი შეფასების შემთხვევაში დაირღვევა სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთერთი ქვაკუთხედია და რის გარეშეც მოქალაქეთა კანონიერი მოლოდინი – პასუხისმგებლობა მხოლოდ კანონით ზუსტად გათვალისწინებული გარემოებების დადასტურებისას, რაც შეესაბამება სამართლის პრინციპს: „აკრძალულია ის, რაც კანონით აკრძალულია“, უსაგნო და შინაარსგამოცლილი გახდება. რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს – კანონიერების პრინციპს და კანონიერი ნდობის უფლებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ საქმეზე ჩამოყალიბებული სასამართლო განმარტებები და დასკვნები სასარგებლო იქნება როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო ორგანოებისათვის და ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენისა და შეფარდების პროცესში ერთგვაროვანი სამართლებრივი ტენდენციის ჩამოყალიბებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობა წარმოშობილია ეკოლოგიური სამართალურთიერთობის სფეროში ადმინისტრაციულ ორგანოსა და კ/ს იურიდიულ პირს შორის. საგულისხმოა, რომ მოსარჩელე თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ახორციელებს სახელმწიფოს ტყის ფონდში სპეციალურ ჭრებს ელექტრო გადამცემი ხაზებით დაკავებულ ფართობებზე (იხ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №472 ბრძანება).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, სასამართლომ განსახილველი დავა გადაწყვიტა არსებოთად, მაშინ როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე ოფიციალობის პრინციპის გამოყენებით სრულყოფილად არ არის მოპოვებული და გამოკვლეული საქმის გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სამართლებრივი შეფასება მისცეს მტკიცებულებას, რომლებიც სადავო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს განხილვისა და შეფასების საგანი არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგ-

ვარი გადაწყვეტილება.

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურმა (სსიპ გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს უფლებამონაცვლე) ისე გამოსცა 2009 წლის 8 ივნისის №... დადგინდება, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, რომ საერთოდ არ გამოუკვლევია აღნიშნული ოქმი შედგენილ იქნა თუ არა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ამავე კოდექსის 151-ე მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მინაზე მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებურად მოჭრა, ან გამწვანებისათვის გამოყოფილი ზოლის დაზიანება იწვევს დაჯარიმებას – 500 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, დაჯარიმებას – 1000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, განმარტავს: მისათვის, რომ ფიზიკური თუ იურიდიული პირის ქმედება ზემოაღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირდეს, სახეზე უნდა იყოს არამართლზომიერი ქმედების როგორც დასჯადის, შემადგენლობა, კერძოდ: 1. მწვანე ნარგავის დაზიანების ფაქტი;

2. მინის ნაკვეთი უნდა იყოს თვითმმართველი მუნიციპალიტეტის საკუთრება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დადგინდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს მონაცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით.... და სხვა დოკუმენტებით. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და დამრღვევის დასჯა ემსახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხოლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება – კერძო ინტერესს – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირებას პირობებში ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყვლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 252.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება

განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე., ამასთან ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 151-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში დამრღვევის მოწვევის ვალდებულება უზრუნველყოფს პირის უფლებას ისარგებლოს საპროცესო უფლებებით და მათ მეშვეობით დაიცვას თავისი მატერიალური უფლებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 240-ე მუხლით სამართალდარღვევის ოქმისათვის დადგენილი რეკვიზიტებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან, გამომდინარეობს, რომ მის შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენის და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შედგენა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, იმ პირობებში, როცა საქმის მასალებით ცალსახად არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში მითითებული დაზიანებული მწვანე წარგავები წარმოადგენს თუ არა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება, მით უფრო იმ ვითარებაში, როცა ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურის (სსიპ გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს უფლებამონაცვლე) 2009 წლის 8 ივნისის №... დადგენილების გამოცემისას დარღვეულია დადგენილების გამოცემის მთელი რიგი პროცედურები, კერძოდ, დადგენილება ისე იქნა გამოტანილი, რომ მოწვეული არ ყოფილა ადმინისტრა-

ციულ პასუხისმგებაში მიცემული პირი, ასევე არ გამორკვეულა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოცემულია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, მითითებულია თუ არა მასში სამართალდამრღვევი იურიდიული პირი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადავონ საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადავოა ქმედების სამართლდარღვევად არაკვალიფიციური მიჩნევა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ შმართველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციას და მართლმასაჯულების ეფექტუან განხორციელებას. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს საერთოდ არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა – შეფასება, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში რიგ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება მათი გამოკვლევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხ-

ლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადაცო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნეს ცნობილი გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს ინსპექტიორების განყოფილების მთავარი სპეციალისტის ა. ჯ-ის 2009 წლის 8 ივნისის №... დადგენილება, მისი გამოცემის მომენტიდან და ამასთან, მოპასუხეს უნდა დაეგალოს ახალი ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე. ასევე, აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1 მუხლის საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 26 ივნისის №... გადაწყვეტილება, სს „...“ საჩივრის არ დაკმაყოფილების თაობაზე, რამდენადაც ზემდგომ აღმინისტრაციულ ორგანოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის XIII თავის ნორმების საფუძველზე სრულყოფილად არ ჩატარებია აღმინისტრაციული ნარმება, რის გამოც იგი ცალსახად ენინაალმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ სსსკ-ის 53.1. მუხლის თანახმად, სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხე-თა-მთიანეთის სამსახურს სს „...“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე 399-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ უ ვ ი ტ ა:**

1. სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 26 ივნისის №... გა-

დაწყვეტილება სრულად მისი გამოცემის მომენტიდან;

5. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის ა. ჯ-ის 2009 წლის 8 ივნისის №... დადგენილება, მისი გამოცემის მომენტიდან და დაეგალოს უფლებამონაცვლეს – სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეჯერების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

6. სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს დაეკისროს სს „...“ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი  $100, 150, 300 = 550$  ლარის გადახდა სს „...“ სასარგებლოდ;

7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საგართალდარღვევის ოქმის შედგენის პროცედურის დაცვა

### გადაცვების დაცვის სამართლოს სახელი

№ბს-585-575(კ-12)

5 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**მოსარჩევე:** შპს „...“

**მოპასუხები:** ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური; ქ. თბილისის მერიის შემსახური

**სარჩევის სახე:** საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ

სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სარჩელის საგანი:

1. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №... ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა.

2. ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 30 დეკემბრის №... განკარგულების ბათილად ცნობა.

**სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** მოსარჩელის განმარტებით, შპს „...“ 2011 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ანარმოებდა სამუშაოებს ... ქუჩაზე. თითოეული დაზიანება აღმოფხვრილ იქნა დაუყოვნებლივ, სათანადო წესით, რის თაობაზეც ეცნობა როგორც მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, ასევე კომპანიის კონტრაქტორ შპს „...“, რაც დასტურდება საქმეში არსებული ... ქუჩის ავარიასთან დაკავშირდებული მასალებით და 2011 წლის 30 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტით შპს „...“ და „...“ შორის.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბერის №... სამართალდარღვევის ოქმით შპს „...“ დაჯარიმდა – 2000 ლარით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 152<sup>3</sup>.1 მუხლით, კერძოდ, ქ. თბილისის ტერიტორიაზე, ... ქ. №2-ის მიმდებარედ, საავარიო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვებისათვის.

მითითებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შპს „...“ გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში, რომლის 2011 წლის 30 დეკემბრის №... განკარგულებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის განმარტებით, სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დარღვეულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, ოქმი შედგენილია ზერელედ, ცალმხრივად, დამრღვევისა და მოწმეების ხელმოწერის გარეშე. ოქმზე დამრღვევის გრაფაში მინანერი „ჩავიბარე გადასაცემად – ა. ქ-ე“ შესრულებულია კომპანიის ცენტრალურ იფისში, კანცელარიის თანამშრომლის მიერ. შესაბამისად, შპს „...“ არ მიეცა ახსნა-განმარტების საშუალება, რაც ოქმის შემდგენს შესაძლებლობას მისცემდა ობიექტურად მიეღო გადაწყვეტილება ოქმის შედგენასთან დაკავშირებით. ამასთან, ოქმი არ არის მითითებული არც ერთი მოწმე, რომელიც დაადასტურებდა დარღვევის არსებობის ფაქტს.

მოსარჩელის განმარტებით აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დროს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მოისმინა რა კომპანიის არ-

გუმენტები, განაცხადა, რომ მართალია ტერიტორია მოყვანილი იქნა პირვანდელ მდგომარეობაში, მაგრამ ასფალტის საფარის აღდგენა არ მოხდა შესაბამისი ხარისხით და ტერიტორიაზე არ-სებობს ჯდენის ნიშნები. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული განცხადება არ არის კავშირში ადმინისტრაციულ-სამართალ-დარღვევის ოქმში მითითებულ დარღვევის არსთან და ეს ორი ცნება არ არის იდენტური.

**სამართლებრივი:** მოსარჩელე მიიჩნევს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სადაც აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

მოპასუხების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შესაგებლები:

**ფაქტობრივი:** მოპასუხების განმარტებით, შპს „...“ მიერ შესრულებული სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, რიგ ობიექტებზე ტერიტორია არ იყო მოყვანილი პირვანდელ მდგომარეობაში, მათ შორის ... ქუჩაზე, რისთვისაც შპს-ს მიეცა 10-დღიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად, ასევე, განემარტა მოსალოდნელი სანქციის შესახებ, ვინაიდან მოსარჩელის მხრიდან აღნიშნულ წერილს არ მოჰყოლია არავითარი რეაგირება, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება შპს „...“ დაჯარიმების თაობაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152.3 მუხლის შესაბამისად.

მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის პოზიცია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არის დაუსაბუთებელი, ვინაიდან დამრღვევს არ მიეცა ახსნა-განმარტების შესაძლებლობა, ასევე არ არსებობს მოწმე, არის უსაფუძვლო, ვინაიდან დაჯარიმების საფუძველი გახდა დარღვევის გამოუსწორებლობა, ანუ უმოქმედობა, შესაბამისად, გაურკვეველია მოწმის სავარაუდო როლი აღნიშნულ საქმეზე.

**სამართლებრივი:** მოპასუხეთა განმარტებით, სადაც ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძვლები.

**საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

ზედამხედველობის სამსახურის 2011 წლის 27 სექტემბრის №... წერილით სამართალდამრღვევს ეცნობა, რომ რიგ ობიექტებზე, მათ შორის ... ქუჩაზე, ტერიტორია არ იყო მოყვანილი

პირვანდელ მდგომარეობაში და მიეცა 10-დღიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად, ასევე განემარტა მოსალოდნელი სანქციის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2012 წლის 8 ნოემბერს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შპს „...“ დაჯარიმების თაობაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152.3 მუხლის შესაბამისად.

სამართალდარღვევის ოქმი შპს „...“ გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში, რომლის 2011 წლის 30 დეკემბრის №... განკარგულებით საჩივარი არ დაქმაყოფილდა.

#### **სასამართლოს მიერ სადაცვოდ მიჩნეული ფაქტები:**

სადაცვოა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მიმდებარედ, საავარიო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შპს „...“ მიერ ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება.

#### **დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს მიერ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. მითითებული კოდექსის 152<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს ქ. თბილისის ტერიტორიაზე გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება, რაც გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 2000 ლარის იდენტობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში, ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათ-

ვის.

ამავე კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოები, მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციულ პასუხისებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტება და სხვა დოკუმენტები.

სასამართლოს განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რაც არც მხარეებს გაუხდიათ სადაც ვად, რომ ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „...“ უკანასკნელ პერიოდში რამდენჯერმე აწარმოა სამუშაოები. ასევე დადგენილა, რომ ზედამხედველობის სამსახურის 2011 წლის 27 სექტემბრის №... წერილით სამართალდამრღვევს ეცნობა, რომ რიგ ობიექტებზე, მათ შორის ... ქუჩაზე, ტერიტორია არ იყო მოყვანილი პირვანდელ მდგომარეობაში და მიეცა 10-დღიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად, ასევე განემარტა მოსალოდნელი სანქციის შესახებ, თუმცა საქმეში წარმოდგენილი ფოტოსურათები ცხადყოფენ, რომ მიუხედავად გაფრთხილებისა, ტერიტორია პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარემო იქნა მიტოვებული.

### **სადაც მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმსა და ქ. თბილისის მერიის განკარგულებაში მითითებული გარემოებების გამაბათილებელი შესაბამისი მტკიცებულებები. შესაბამისად, სადაც ვა აქტების გამომტანმა ორგანომ მართებულად მიიჩნია, რომ შპს „...“ ჩაიდინა სამართალდარღვევა გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152<sup>3</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით, ის ბრალეულია მის ჩადენაში და ექვემდებარება პასუხიმგებლობას. რაც შეეხება მითითებას მასზე, რომ მოსარჩელეს არ მიეცა ახსნა-განმარტების მიცემის შესაძლებლობა, სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული ვერ გახდება მისი სარჩელის დაკავშირების საფუძველი.

### **სასამართლოს დასკვნები:**

სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან ადგილი არა აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-

სის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გა-საჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასა-ხული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს, რის გამოც შპს „....“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქარ-თველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

#### **აპელაციი: შპს „....“**

**მოწინააღმდეგე მხარეები (მოპასუხე):** ქ. თბილისის მერი-ის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური; ქ. თბილისის მე-რია

#### **აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება

#### **აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არასწორად ცნო დადგენილად ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „....“ ტერიტორია პირვანდელ მდგომარეობა-ში მოყვანის გარეშე იქნა მიტოვებული.

**სამართლებრივი:** მოსარჩელის განმარტებით, სასამარ-თლომ არასწორი შეფასება მისცა ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლს, ასევე არასწორად გამო-იყენა ადმინისტრაციულ სამართალდართვევათა კოდექსის 237-ე, 264-ე, 236-ე მუხლები. მოსარჩელის განმარტებით, სასამარ-თლომ სრულად გაზიარა ადმინისტრაციულ სამართალდარღვე-ვათა ოქმში მოყვანილი გარემოებები და არ შეისწავლა და გა-მოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ თანდართული ფოტოსურათებიდან არ ხერხდე-ბა ე.წ სამართალდარღვევის ადგილის იდენტიფიცირება და ასე-ვე ფოტოსურათის გადაღების თარიღის განსაზღვრა.

#### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზო-ლუციო/:**

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის განჩინე-ბით შპს „....“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლე-ლად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტი-ლება.

#### **აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპე-**

### **ლაციო სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტივები, პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

### **გასაჩივრებული განჩინების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

დადგენილი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე საპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლოა და შესაბამისად, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. მოსარჩელის მიერ ვერც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, იმ გარემოებების დასადგენად, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა ისეთი დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, შეიძლებოდა გამხდარიყო მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

**კასატორი: შპს „...“**

**მოწინააღმდეგე მხარეები:** ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური; ქ. თბილისის მერია

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელის დაკმაყოფილება.

**კასაციის მოტივები:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლინობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

**მატერიალური:** კასატორი საკასაციო საჩივარში ძირითადად მიუთითებდა სასარჩელონ და სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებზე და ამასთან, განმარტა, რომ ადმინის-

ტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში სამართალდარღვევის ჩადენის მოტივად მითითებულია საავარიო სამუშაოების დასრულების შემდგომ, ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას და შემდეგ სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მოისმინა რა მოსარჩელის არგუმენტები, განაცხადა, რომ მართლია ტერიტორია მოყვანილ იქნა პირვანდელ მდგომარეობაში, მაგრამ ასფალტის საფარის აღდფენა არ მოხდა შესაბამისი სარისხით. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული განცხადება არ არის კავშირში სამართალდარღვევის ოქმში მითითებულ დარღვევის არსთან.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი ფოტომასალით საერთოდ არ დგინდება რამე სამართალდარღვევა, მით უმეტეს მისი ჩადენა შპს „....“ მიერ.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ასევე არ იმსჯელა და არანაირი შეფასება არ მისცა სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე განხილულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე.

მოწინააღმდეგე მხარეებმა – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა და ქ. თბილისის მერიამ საკასაციო საჩივარი არ ცნეს და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლითანობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლოს განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შპს „....“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწ

ყველილება, რომლითაც შპს „...“ სარჩელი დაქმაყოფილდება ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის მერიის 2011 წლის 30 დეკემბრის №... განკარგულება და ქ. თბილისის მერიას დაევალოს საქმის გარემონტების ხელახლა გამოკვლევის საფუძველზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შემდეგ გარემონტებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩინობული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ხორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და დავა არსებითად გადაწყვიტა მაშინ, როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე ოფიციალობის პრინციპის გამოყენებით სრულყოფილად არ არის მოპოვებული და გამოკვლეული საქმის გარემონტებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ქ. თბილისის მერიამ ისე გამოსცა სადაც განკარგულება, საერთოდ არ გამოუკვლევია სამართალდარღვევას ჰქონდა თუ არა ადგილი, ან სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იყო თუ არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ხორმების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა საქმის გარემონტებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის მიხედვით დავის გადაუწყვეტლად, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

საქმის მასალების შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 27 სექტემბრის №... წერილით შპს „...“ ეცნობა, რომ თბილისში, ... ქუჩაზე ტერიტორია არ იყო მოყვანილი პირვანდელ მდგომარეობაში და მიე-

ცა 10-დღიანი ვადა არსებული დარღვევის გამოსასწორებლად, ასევე განემარტა მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №... სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, შპს „...“ დაჯარიმდა 2000 ლარით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1523.1 მუხლის საფუძველზე.

ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 30 დეკემბრის №... განკარგულებით შპს „...“ საჩივარი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №... სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახელელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების გამოცემისას მათი სამართლებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული პროცედურა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ამავე კოდექსის 152<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულია სანქცია ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას ეზოგების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებურად გადახსრის, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვის, გადაოხრის ადგილის პირვანდელ მდგომარებაში მოყვანის გარეშე მიტოვებისათვის ან/და უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამუშაოების წარმოებისთვის დადგენილი პირობების დარღვევა ან/და შეუსრუ-

ლებლობა იწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 2000 ლარით.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მუხლის საფუძვლზე, განმარტავს: იმისათვის, რომ ფიზიკური თუ იურიდიული პირის ქმედება ზემოაღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირდეს, სახეზე უნდა იყოს არამართლზომიერი ქმედების როგორც დასჯადის, შემადგენლობა, კერძოდ: ადგილი უნდა ჰქონდეს ტერიტორიის თვითნებურად გადათხრას, მისი სამშენებლო მასალებით დაბინძურებას და მის მიტოვებას სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე არსებული მდგომარეობაში მოყვანის გარეშე.

საქმის მასალების შესაბამისად, მოსარჩელე შპს „...“ თბილისის ზედამხედველობის სამსახურმა დააჯარიმა სწორედ ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, იმ საფუძვლით, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ შპს „...“ ტერიტორია მიატოვა პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე, შპს „...“ კი, სადაც გახადა საერთოდ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და აღნიშნა, რომ თბილისში, ... ქ. №2 მიმდებარე ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვებას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან საწარმოს წარმომადგენელთა განმარტებით, მათ ... ქუჩაზე რამდენჯერმე იმუშავეს და სამუშაოების დასრულების შემდეგ მის კონტრაქტორ შპს „...“ აცნობეს წერილით წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებზე საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შედეგად დაზიანებული ასფალტის საფარის დაგების თაობაზე, რაც შპს „...“ შესარულა დაუყოვნებლივ, რასაც ადასტურებს 2011 წლის 30 სექტემბრის შპს „...“ და შპს „...“ შორის შემდგარი მიღება-ჩაბარების აქტით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დადგინდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არასებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოები, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს მონაცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა

და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით... და სხვა დოკუ-  
მენტებით. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის  
ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრა-  
ციული სამართალდარღვევის ოქმი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული  
სამართალდარღვევის გამოვლენა და დამრღვევის დასჯა ემ-  
სახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხო-  
ლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება  
– კერძო ინტერესის – პირის უფლების მაქსიმალური დაცვის  
უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირების პირობებში ირღვევა  
ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინ-  
სტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულო-  
ბის პრინციპი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახ-  
მად, (ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორ-  
განოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამო-  
იყვლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება  
და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეაფასებისა და  
ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნა-  
წილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის  
გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი,  
რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლო განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაცი-  
ული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწ-  
ყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობის საქმიანობას  
წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული  
ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იუ-  
რიდიულ შედეგს იწევეს. ადმინისტრაციული სამართალდარღვე-  
ვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად გან-  
სხვავდება სხვა მმართველობით სფეროებში მიღებული გადაწ-  
ყვეტილებისაგან. უპირველესად, მისი მომზადების და გამოცე-  
მის პროცედურის თვალსაზრისით.

ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალი-  
ფიკაცია დამოკიდებულია მომხდარი ფაქტის, სამართლის ნორ-  
მაში სწორებ ასეთად მიჩნეული ფაქტის, გარემოების სრულად  
და ზუსტად აღნერილთან თანადამთხვევაზე და შესაბამისო-  
ბაზე, ანუ ქმედება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონით  
ასეთად მიჩნეული ქმედების ნიშნების შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, ქ. თბი-  
ლისის მერიამ ისე მიიღო სადავონ განკარგულება, რომ დაეყ-  
რდნო მხოლოდ ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოკ-

ვლეულ და წარდგენილ მასალებს და თვითონ დამატებით სრულ-ყოფილად და სარწმუნოდ არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, კერძოდ, არ გამოუკვლევია მართლაც ჰქონდა თუ არა მოსარჩელის მიერ სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიის მიტოვებას ადგილი, არ გამოუკვლევია რა მდგომარეობაში იყო სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე ... ქუჩაზე ასფალტის საფარი, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული წარმოება და უნდა გამოიკვლიოს წარმოადგენს თუ არა მართლაც მოსარჩელე შპს „...“ ამ შემთხვევაში სამართლდამრღვევ იურიდიულ პირს, მოიპოვოს დამატებითი მტკიცებულებები და უნდა გამოიკვლიოს თუ როგორი იყო გზის საფარი შპს „...“ მიერ საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებამდე ქ. თბილისში, ... ქ. №2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მანამდეც ალინიშნებოდა თუ არა ასფალტის ჯდენა თუ ეს გამოწვეული იყო შპს „...“ მიერ ჩატარებული სამუშაოების გამო და დასრულების შემდგომ სრულყოფილად მოხდა თუ არა ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის მერიას, მის შესაბამის სამსახურებს როგორც დედაქალაქის მმართველობით ორგანოს, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოადგენს კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო სისტემის ალგებრა-განვითარება, აქვს თუ არა შემუშავებული სამართლებრივი მიდგომა ამ ტიპის სამუშაოების გადაცემა-ჩატარებაზე /მიღება-ჩაბარების აქტით ან სხვა/, , რაც განსაზღვრავდა ამ ტიპის ურთიერთობებში მხარეთა უფლება-მოვალეობებს მეაფიოდ და ცალსახად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას, ვინაიდან კანონმდებელი არ ადგენს მონმეთა აუცილებელ დასწრებას, ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენ მოხსელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება. აღნიშნული, რასაკვირველია არ გამორიცხავს სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობას, მიერძოებას ან არაობიერტური შეფასების კონკრეტული შემთხვევის დასაშვებობას (შესაძლებლობას).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში, როცა სადაც აქტის კანონიერების განსაზღვრა დამოკიდებულია აქტით აღნერილ და გამოვლენილ იურიდიული ფაქტის ნამ-

დვილობის დადგენაზე, ადმინისტრაციულმა ორგანომ დამატებით უნდა მოიპოვოს და გამოიკვლიოს საქმის გარემოებები და ადმინისტრაციული წარმოებისას არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოპოვებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, მით უფრო იმ შემთხვევაში როცა იგი ამონებებს მის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამარათლებრივი აქტის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიკაცია ადმინისტრაციული ორგანოს შეუძლია მხოლოდ შესაბამისი ფაქტების გამოკვლევა-შეფასება-დადგენის საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ სწორედ ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს თუ რა ფაქტების არსებობამ განაპირობა ქმედების ამგვარი კვალიფიკაცია. აღნიშნული გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულებიდან და სამართალდარღვევის ჩადენის უფლებების უზრუნველყოფის სტანდარტებიდან.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უტყუარად უნდა დაამტკიცოს (დაასაბუთოს) მიღებული გადაწყვეტილებაში იმ გარემოებათა არსებობა, რომელთაც განაპირობეს კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნეული ქმედების ფაქტის არსებობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის სანქციის შეფარდება შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური გამოკვლევა-დადგენის გარეშე არ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფოში იურიდიულად უზრუნველყოფილ კანონიერი მმართველობის სტანდარტს, რაც საფრთხეს უქმნის ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეთა უფლებების სრულფასოვან რეალიზაციასა და დაცვას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით: ადმინისტრაციული საჩივრის ხელახლა განხილვისას თბილისის მერიამ თავისი გადაწყვეტილებაში უნდა გააქარწყლოს საჩივრის ყველა მოტივი/არგუმენტი დასაბუთებულად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიზიაროს მათი საფუძვლიანობა, იმ ღოგიერთ, რომ სწორედ წორმათ შემფარდებელი ორგანოა (თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა სამშენებლო, სარემონტო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე, კერძოდ, მინის გადათხრასთან დაკავშირებით სამუშაოების ჩატარების და სამუშაოების დამთავრების შემდეგ ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანაზე ზედამხედველობა) ვალდებულია დამტკიცოს სადაცო აქტების ფაქტობრივი და სამართლებრივი კანონიერების საკითხი. აღ-

ნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება“ მოთხოვნებიდან მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება – განახორციელონ ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუკერძოებლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის ნინაშე თანასწორობის პრიციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადაწყვეტის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, როცა ქვემდგომ ორგანოს დამაჯერებლად არ გამოუკვლევია აქტის გამოცემისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და მათი შეფასება-დადგენის საფუძველზე კანონიერად გადაწყვიტოს დავა.

აქვე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლით სამართალდარღვევის ოქმისთვის დადგენილი რეკვიზიტიტებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან, გამომდინარეობს, რომ მისი შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენის და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შედგენა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილების მიღებისას ასევე გამოკვლეული არ ყოფილა ის გარემოება, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა თუ არა სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენის ადგილას, თუ ოქმი შედგა სხვა ადგილას, როგორც ამას კასატორი აღნიშნავს, ორგანოს არ გამოუკვლევია ასევე სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დაირღვა თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 240.4 მუხლის დანაწესი, კერძოდ, სამართალდამრღვევს განემარტა თუ არა ამავე კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აგრეთვე აღინიშნება ოქმი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათი-

ლად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაუწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადაც კმედების სამართალდარღვევად არაკვალიფიციური მიჩნევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური ნინაპირობები, რომლითაც „...“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა საკითხის ხელახალი განხილვისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიამ საჩივრის ხელახლა განხილვისას სარწმუნოდ უნდა გამოიკვლიოს შპს „...“ არის თუ არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152.3 მუხლით გათვალისწინებული სამართალდამრღვევი პირი, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის ჩადენისას გაცილებით მარტივია ფაქტის გამორკვევა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, რამდენადც სადაც გარემოების უშუალო მტკიცებულება (ვიდეოთვალი ან სხვ.), ან მოწმეთა მიერ მიღებული ახნსა-განმარტებების საფუძველზე შესაძლებელია სადაც ფაქტების დადგენა-გაანალიზება და მისი შეფასების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის მიღება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53-ე მუხ-

ლის თანახმად, ქ. თბილისის მერიას უნდა დაეკისროს სამართლნარმოებისას გაწეული ხარჯის სახით გადახდილი 275 ლარის გადახდა შპს „...“ სასარგებლოდ, ხოლო სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32.4; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 390-ე 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ დ ე ს :**

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი თბილისის მერიის 2011 წლის 30 დეკემბრის №... განკარგულება და ქ. თბილისის მერიას დაევალოს საქმის გარემოებათა ხელახლი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში;
5. ქ. თბილისის მერიას დაეკისროს მოსარჩელის მიერ სამართლნარმოებაზე გაწეული ხარჯების სახით გადახდილი 275 ლარის შპს „...“ სასარგებლოდ გადახდა;
6. ქ. თბილისის მერიას დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საქონელი

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის კანონიერება და გასაჩივრება .....	3
დაჯარიმების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების სუბიექტის განსაზღვრა .....	12
პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევის გამო .....	33
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების გამომრიცხავი გარემოება .....	48
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კვალიფიკაციის კანონიერება .....	66
ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი .....	81
დაჯარიმება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო .....	97
დაჯარიმება ავტოსაგზაო სამართალდარღვევის გამო .....	137; 172
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შეფასება და დაკისრებული ჯარიმის ოდენობის კანონიერება .....	197
ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პროცედურის დაცვა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის	
დაკისრების პროცედურის დარღვევა .....	225
სამართალდარღვევის ოქმის შედგენის პროცედურის დაცვა .....	239